

სხანი უმკობელი

ივნისი 2010 №61

ფასი 5 ლარი



ისტორიები

კეტლიურა და სხვები

დავით ჩიხლაძე

პოლონეთი

ქეთი ქანთარია

თადეოშ კანტორი

დავით ბუხრიკიძე

ულრიკა გაინოვოვი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ინტერვიუები

ერიკ ტრუფაზი

კახა თოლორდავა

ერიკ მონიო

ქეთევან საღლობაძე-შვილი

კომენტარები

37

გიგი გულადანი

ცენტესიური გვირგვინის აღდგენა

ბასა ჯანიაშვილი

ლოკალურის კალაძობა

პაატა შამუგია

„ნიჭიერი“

საბლონო ნაპერკიანი

საავტორო

ლიცენზია

ლევან ბერძენიშვილი

იხვე ბირსი გამახსენდა

აკა მორჩილაძე

ხელოვნება და „პერვერსივობი“

გიორგი მაისურაძე

ლიტერატურა

მარიო ვარგას ლიოსა

სეზუელ ბეკეტი

მაკა მიქელაძე

ირაკლი ქაქაბაძე

ISSN 1512-2220



771512222006



მედიონეთ
ჯეოსედის ოფისებში



ჯეოსედი

877

- ახავითაჟი სააბონენტო გადასახადი
- 2 თვითი მუოჟე ნუთიდან - აქტივაცია: *122#OK
- 39 თვითი საჯიოთაშოჟისო ზახებზე - აქტივაცია: *165#OK



სასწავლო ცენტრი

"British Connection"

ბთავაზობთ მოსამზადებელ კურსებს
სხვადასხვა სასერტიფიკატო გამოცდებისთვის:

FCE (B1-B2)

CAE

TOEFL

IELTS

მაგისტრატურის ინგლისური ენის გამოცდისთვის

მოსამზადებელი ჯგუფები

ფუნქციონირებას იწყებენ 1-7 ივნისიდან

კურსის ხანგრძლივობა – 12 კვირა

☺ სასარგებლო რჩევა – ეწვიეთ საიტს

www.britishconnection.ge

მისამართი: ბუღაჩეშვილის ქ. 1

ტელეფონი: 308 135 / 855 301 390



ETCETERA
EDUCATION



ინგლისურენოვანი ბანაკი კვარიათში **Camp etc.**

ინგლისური ენის გაკვეთილები / თამაშობები / ექსკურსიები / ღონისძიებები

ინგლისელი და ამერიკელი მასწავლებლები და ხელმძღვანელები

მაღალი ხარისხის სასწავლებელი პირობები

სამწერადი კვება

ბრწყინვალე აღზიდვებარეობა

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი: 8 907 907 07 / 8 908 908 08

www.etcetera.ge



გარეკანზე: საშა ლუგინი, კატია რიფიკოვა
ფოტო: გურამ ნიბახაშვილი

სხალი შოკოლადი

№61, ივნისი 2010

მთავარი რედაქტორი:
ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე

კორექტორი: ნინო საითიძე

ნომარჩა მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიგი გულედანი, ქეთი ქანთარია, გიორგი მაისურაძე, კახა თოლორდავა, ნინო ბექიშვილი, ანა კორძია-სამადაშვილი, ქეთევან სადღობელაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, პაატა შამუგია, სანდრო ნავერიანი, გიორგი სვანიძე, ნათია გულიაშვილი, აკა მორჩილაძე, ირმა ტაველიძე

ფოტო: ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქოჩიაშვილი, გურამ ნიბახაშვილი

ილუსტრაციები: მარიამ ზაღდასტანიშვილი, მაია სუმბაძე

დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ლელა შუბითიძე

სარეკლამო გაყიდვები: შალვა ჩუბინიძე

დისტრიბუცია: ზვიად შენგელა

გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სხვა გამომცემები: ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელეტი.

სტამბა: „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

მიმოხილვები

- 8 რედაქტორის წერილი
- 10 ჩვენი ავტორები
- 12 „ექსლიბრისის“ მკითხველთა კლუბი **დავით ჩიხლაძე**
- 13 „ახალი გალერეა 9“ **დავით ჩიხლაძე**
- 14 ტოტალიტარული ეპოქის არქიტექტურა კონცეპტუალურ ფოტოგრაფიაში **დავით ჩიხლაძე**
- 14 უხმო ევოლუცია **ნათია გულიაშვილი**
- 16 იური მეჩითოვის ჟურნალისტური რეტროსპექტივა **დავით ჩიხლაძე**
- 17 როკ კაფე დროებით დაიხურა **დავით ჩიხლაძე**
- 18 გასეირნება ძველი თბილისის ფოტოპეიზაჟში **ნათია გულიაშვილი**
- 19 ლვინის ფესტივალი **გიორგი სვანიძე**
- 20 არის თუ არა ოლეგ ტიმჩენკოს სფინქსი სამკაული **დავით ჩიხლაძე**
- 22 ისტორიული რევერსი საპნის არომატით **ნათია გულიაშვილი**

**რეცენზია
კომენტარები**

- 24 მიეცით ქმარი ნინის... **დავით ბუხრიკიძე**
- 25 37 **გიგი გულედანი**
- 26 ტენდენციური გმირების ალლუმი **ბასა ჯანიკაშვილი**
- 27 ლოკალურის ძალადობა **პაატა შამუგია**
- 29 ფინალური მწუხრი **სანდრო ნავერიანი**

ისტორიები

- 30 ერთი საათი თბილისისთვის **დავით ჩიხლაძე**
- 38 დილეთანტის მოგზაურობა პოლონეთში **ქეთი ქანთარია**
- 44 თადეუშ კანტორი
„მკვდარი კლასის“ ჩანაწერები **დავით ბუხრიკიძე**
- 50 ულრიკე მაინჰოფი
ძალიან სახიფათო ფრაუ მაინჰოფი
ანა კორძია-სამადაშვილი

ინტერვიუები

- 54 ინტერვიუ ერიკ ტრუფაზთან **კახა თოლორდავა**
- 58 ინტერვიუ ერიკ მონიოსთან
„მეორე არხის“ პირველი პარტნიორი
ქეთევან სადღობელაშვილი

**დისკუსია
ესეი**

- 62 რადიკალიზმი დიალოგის მაგივრად **ნინო ბექიშვილი**
- 68 ისევ ბირსი გამახსენდა **აკა მორჩილაძე**

თარგმანი

- 72 რინგ ზე **ნორმან მეილერის წერილები ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ**

საავტორო

- 76 ლისმანისი **ლევან ბერძენიშვილი**
- 82 ხელოვნება და „პერვერსიები“ **გიორგი მაისურაძე**



ექსპრეს ჯღინიანა

ბაიოაქტიური ჯანმრთელობაზე ზედხედვა

ჩვენ გიპარტივებთ ექიმთან ვიზიტის პროცესს

- ✓ თქვენს სახლთან ახლოს
- ✓ სწრაფი მომსახურება
- ✓ ხელმისაწვდომი ფასი
- ✓ მოსახერხებელი სამუშაო
საათები
- ✓ წინასწარ ჩაჯარის
შესაძლებლობა



**აღვიღალ ხელმისაწვდომი,
სწრაფი სამედიცინო მომსახურება**

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24,
ჭავჭავაძის გამზ. 50, ეოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

ექსპრეს ჯღინიანა
ექიმის ანისტანტი



დღესაც ზუსტად ვერავინ იტყვის ვინ არის ულრიკე მაინჰოფი. ელფრიდე ელინეკი ფიქრობს, რომ ულრიკეს ბიოგრაფია ისტორიულ საიდუმლოდ დარჩა, და ანი ამ ფენომენის ამოხსნას ვერავინ შეძლებს. მაინჰოფის მკვლევარი, კარინ ბაუერი მას ტრაგიკულ პერსონას უწოდებს, მაღალი იდეალებისთვის მებრძოლ ქალს, ფრუსტრირებული თაობის შვილს. სხვები ფიქრობენ, რომ ის ნამდვილი სისხლიანი მონსტრია, და მისი ნაკვალევი გვაგმობთაა აღნიშნული. ჰაინრიხ ბოლი წითელი არმიის (RAF) ექვსკაციან ფრაქციაზე (მათ შორის მაინჰოფზე) წერდა, რომ ეს იყო ექვსის ომი ექვსი მილიონის (ექვს მილიონში ძალოვანებს გულისხმობდა) წინააღმდეგ.

1960-70-იან წლებში, გერმანულ ჟურნალ „კონკრეტი“ გამოქვეყნებული ულრიკე მაინჰოფის პუბლიკაციების მიმართ, ბევრს გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა, როცა არ იცი, ის გიყვარს თუ მთელი არსებით გძულს. ყველაზე ნეიტრალური შეფასება კი ასეთია – მაინჰოფი უბრალოდ საინტერესო მწერალია, ვინც გადარეული დროის ქაოსმა ჩაითრია და ველარ იპოვა გზა უკან. მოკლედ, რთულია გაიგო, ვინ არის მაინჰოფი.

ფაქტია, ულრიკე ტერორისტად რომ არ ქცეულიყო მისი ნაწერები დღეს აღარავის ემახსოვრებოდა. ალბათ, არც არავინ შეკრებდა „კონკრეტის“ პუბლიკაციებს და ვერასდროს იქცეოდა ეს უნიკალური წერილები წიგნად – „ყველა ამინდზე ლაპარაკობს. ჩვენ – არა“. მაინჰოფის მკვლევარი, წიგნის შესავალ სიტყვაში წერს, რომ გერმანულ საზოგადოებას ულრიკეს ტერორისტულ აქტებთან კავშირზე მეტად ის აბრაზებდა, რომ მან ქალის ტრადიციული როლის უარყოფის მაგალითი აჩვენა. RAF-ში განწევრიანების შემდეგ, მაინჰოფმა 8 წლის ტყუპი გოგონები მიატოვა და იმის გამო, რომ არ სურდა, მის ბავშვებზე სახელმწიფოს ეზრუნა, ისინი RAF-ის ტერორისტულ ბანაკში გაგზავნა.

ტყუპები გზაში პოლიციამ დააკავა და თავშესაფარში წაიყვანა.

ალბათ, მანაც ვერავინ მოუძებნა მაინჰოფის ისტორიას იმაზე ზუსტი სახელი, როგორც თვითონ, საკუთარ პუბლიკაციაში, რომელიც მისი ცხოვრების მთელ გზას აჩვენებს – „პროტესტიდან წინააღმდეგობამდე“.

„პროტესტი: ვაცხადებ, რომ ესა და არ მანყობს.

წინააღმდეგობა: ვიქცევი ისე, რომ რაც არ მანყობს, არსებობას წყვეტს.

პროტესტი: ვაცხადებ, რომ მორჩა, მე ამაში აღარ ვმონაწილეობ.

წინააღმდეგობა: მე ვიქცევი ისე, რომ ამაში აღარავინ მიიღებს მონაწილეობას. წელს, თებერვალში ვიეტნამისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ბერლინში ერთმა შავკანიანმა ამერიკელმა, მოძრაობა Black Power-ის წარმომადგენელმა დაახლოებით ეს თქვა – სიტყვასიტყვით არ მახსოვს.

სტუდენტები სულაც არ „ანყობენ აჯანყებას“, ისინი წინააღმდეგობას სწავლობენ. დიახ, ქვებს ისროდნენ, დიახ, ბერლინში შპრინგერის კონცერნის შენობის ფანჯრები დაიმსხვრა. მანქანები ააღდა, „ბილდ ცაიტუნგის“ ერთ-ერთი რედაქცია დაზარალდა, საბურავები დაიგლიჯა, სატრანსპორტო მოძრაობა პარალიზებული იყო, სატვირთო მანქანები გადააყირავეს, პოლიციელების ჯაჭვები გაარღვიეს – დიახ, ძალას მიმართეს, ფიზიკურ ძალმომრეობას. მიუხედავად ამისა, შპრინგერის პრესის გამოსვლას ხელი ვერაფერმა შეუშალა, ქუჩის მოძრაობა რამდენიმე საათში განახლდა. ფანჯრების ფულს სადაზღვევო კომპანიები გადაიხდიან. დამწვარი სატვირთო მანქანების ნაცვლად, ქუჩებში სხვები გამოვლენ. პოლიცია წყლის ქავლს კვლავ გამოიყენებს, ისევე, როგორც რეზინის ხელჯოხები არ მოგვაკლდება. მაშასადამე, ის, რაც მოხდა, შეიძლება კვლავ განმეორდეს: შპრინგერის პრესა კვლავ გააფთრებულ დევნას განაგრძობს, კლაუს შულცი კვლავ მოგვინოდებს, რომ „ამ სუბიექტებს თვალეში ჩახეხდით“ და – მოდით, ვიყო თანმიმდევრული – ვურტყათ (რაც 21 თებერვალს უკვე მოხდა) და, საბოლოოდ, ვესროლოთ“.

ვფიქრობ, დღეს მნიშვნელოვანია ფიქრი იმაზე, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს კითხვებზე პასუხი.

როდის იქცევა კითხვები – პროტესტად და პროტესტი – წინააღმდეგობად?

როდის იბადება მაინჰოფი?

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge



ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჭაბუჩი სოსოხაძე ანაბანკი
GENERAL SPONSOR



MINISTRY OF CULTURE
MONUMENT PROTECTION
AND SPORTS OF GEORGIA



Black Sea JAZZ Festival BATUMI 2010 15-18 JULY



ROY HARGROVE



THE BRAND NEW HEAVIES

RH FACTOR



MIKE STERN



DAVE WECKL



CHRIS MINH DOKY



GIORGI MIKADZE JAZZ TRIO



NIMO



HUGH MASEKELA



BEKA GOCHASHVILI



RANDY BRECKER



Festival Partner



SYNDICATE



24/7

GEORGIA TODAY

FORMS

საქონლის ანაზღაურება

The Messenger



For information & Ticket Reservation call: 990 599 www.batumi jazz.com



ქეთი ქანთარია

კლავიატურაზე დროდადრო კიდევ ერთი წყვილი ხელი ჩნდება და მინერს „რას შევბი ახლა ქეთი“. წელს ახალი შიში აქვს, რომელსაც ვეღარ ერევა, ბუზები. მეც წელს ერთი დიდი ბუზი გამიჩნდა, რომელსაც ფანჯრიდან ვერ ვაგდებ. ტელევიზორი. მოწყენილი ბავშვების მეგობარი. „ახლა მე რა ვქნა“, მწერს ისევ. „ნაიკითხე რამე“, ვწერ. „მე პატარა ვარ“. „არ ხარ.“ „ვარ“. ჰმ. დიალოგის აზრგამოცლილობა ჩემი ბრალია. ბოლო დროების ჩემი სიფუყის ბრალია. ნახეთ როგორ არის მოწყობილი ცხოვრება. გაჩერების და დაფიქრების ფუფუნება მასში არ არის გათვალისწინებული, მეორე თვეს გაზს გამოვირთავენ. „ჯეტისის“, MTV-ის დეკორატიული და ვულგარული ლათინური ამერიკის ხმაურში (აბა ბორხესს დიდი ხანია ბიბლიოთეკაში სძინავს), პატარა ვარდისფერი პუტყუნა კარიერისტების მქუხარე სიტყვებში დეტექტივი, რომელშიც რაღაცას იხდიან, მაინც ითარგმნება, ავტობიოლოგი. რაც თავი მახსოვს, დღისით თბილისი სულ ასეთი ქანცამქრალი და ძალაგამოცლილია. ალბათ ამიტომ ვწვები ძალიან გვიან. ღამით, თორმეტის მერე, რაც უნდა გამოფიტული ვიყო, თავში რაღაც ნათურები ინთება და დღეის იქითა ცხოვრების დასაჯდომი განათებები მოჩანს. დღეს უკვე ზუსტად ვიცი, ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ყველაზე კარგად მოსაზრებელი პლასტიკინია. მე ხომ უკვე ბებერი მგელი ვარ და ჩემი გადახელვა შეუძლებელია (თუმცა, ამის თქმაზე რაღაც სასიგნალო თუ სიფრთხილის ნათურები მაინც მენტება), მაგრამ ვინც ძალიან ადრე იძინებს? მე თორთ მიყვარს ყველაზე ძაან, გუნებაში მასთან ერთად ტყეში ვცხოვრობ. მართალია, მწერების მეც მეშინია, მაგრამ ამ ჯიუტ კაცთან ერთად მაინც იქა ვარ. ოღონდ ერთი პატარა ბავშვი მახარია (შვილი, არაშვილი – არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი, რომელიც მახარია), რომელიც სადღაც ორ რეალობას შორის მეჭიდება, იმიტომ რომ კარგად ვერ ვერ ვუხსნი, ვინ არიან ყველაზე ტვინისგამხვრეტი ბუზები, ვისი უნდა ეშინოდეს. ამიტომ მას უყვარს ყველაფერი ვარდისფერი, საიტები, რომლებზეც ბევრი ვარდისფერი „პროდუქტი“ ეგულება და ნათურები მათი თვალჩინებისას ენთება. აი, ახალი ყურნალი, რომელშიც პატარა ადამიანს ახალისებენ: ევრე გააგრძელე და ჩვენსავით დიდი და მსუქანი (უკაცრავად, „skinny“ და ლამაზი) იქნები, იჯდება არამყუდრო, მაგრამ დიდ სახლში და გამოშტერებულ ყურნალისტს შენი ფეხსაცმლის ოთხმოცდაათ წყვილს გადმოუწყობ. ვიღაცას აქ შეველა სჭირდება, ხსნა – არა, ხსნა გარანტირებულია, ინდულგენცია მეტ-ნაკლებად ყველა ქართველს განაღებულად აქვს. ოთხმოცდაათი წყვილი შეიძლება სულიერ მამასაც გადმოუწყობ, თუ პატარა პლასტიკინი იქნები. არადა, ა.დ.ვ. თორთ და მეც ქრისტიანები ვართ.



ნინო ბაქიშვილი

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმური სულისკვეთებით“
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
მუხლი 1

„ცხელი შოკოლადის“ რედაქციაში დისკუსიაზე ლევან ბერძენიშვილმა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ შესახებ, რომელიც გაერომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო, ასეთი რამ თქვა: „ამ დეკლარაციას დღეს ვერავინ ვერ დაწერს და არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც მას დღეს მიიღებდა. ყველა რელიგიური კონფესია ეწინააღმდეგება ამ დოკუმენტს, ეს ნორმალურიცაა, ასეც უნდა იყოს. ეს დეკლარაცია ყველაფერზე მაღლა დადგა სწორედ იმიტომ, რომ მისმა შემქმნელებმა წარმოუდგენელი სისასტიკე ნახეს“.

იმ დღეს, 2010 წლის 15 მაისს პირველად დაფიქრდი იმაზე, რომ შეიძლება ეს დოკუმენტი გასული საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყოს. დეკლარაციის არსებობის შესახებ, ვითარცა საბჭოთა მოქალაქემ, გვიან გავიგე. მერე უამრავჯერ წამიკითხავს, პუნქტების მიხედვითაც შემიძლია ჩამოვთვალო იქ აღწერილი უფლებები, მაგრამ შინ მოსულმა კიდევ ერთხელ გადმოვიღე და მივხვდი, რომ ბატონი ლევანი არ ცდებოდა. შორს ნასვლა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გახსენება სულაც არ დამჭირდა – ტექსტის დიდი ნაწილი თანამედროვე, დემოკრატიული და განვითარების გზაზე დამდგარი საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის გაუგებარი და მიუღებელია. ცხადი და მარტივი ჭეშმარიტებების აღიარების ნაცვლად ჩვენს ევგემურულ შიშებს ისევ ვერაფერს ვუხერხებთ, და როცა რაღაც პრობლემის წინაშე ვდგებით, „ძმური სულისკვეთება“ სადღაც ქრება – სულ ერთია ვინ ვართ, მდიდრები თუ ღარიბები, განათლებულები თუ გაუნათლებლები, ლიბერალები თუ მართლმორწმუნე ქრისტიანები.

ეს, რა თქმა უნდა, სამწუხარო ამბავია. ერთი ნუგეში ისაა, რომ მარტო არა ვართ – ადამიანები სხვაგანაც, სხვა ქვეყნებშიც მეტ-ნაკლები სიმძაფრით იმავე პრობლემების წინაშე დგანან. მთავარი ალბათ ისაა, რომ გვევროდეს – საუბრით, ერთმანეთის მოსმენით და კომპრომისის ძიებით გამოსავალი ყოველთვის შეიძლება ვიპოვოთ...

R.O.C.S.



ბონიხი ზილის პასტა სიამოვნების მოყვანად



R.O.C.S.-ის კბილის პასტა „ყავა და თამბაქო“ სპეციალურად შემუშავებულია ყავის, ჩაის, ნივთიერი ღვინისა და თამბაქოს მოყვარულთათვის.

შეინარჩუნეთ მომხიბვლელი ღიმილი და ჯანსაღი სუნთქვა.



www.gpc.ge



www.reda.ge



საინფორმაციო სამსახური



„ექსლიბრისის“ მკითხველთა კლუბი

ყაზბეგის გამზირისა და თამარაშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე მაღაზია „ექსლიბრისი“ ცდილობს, ყოველ ხუთშაბათს ავტორებთან შეხვედრის ტრადიცია დაამკვიდროს. მაგრამ, სხვა ასეთივე შეხვედრებისგან განსხვავებით, ეს არ არის პათეტიკური შემოქმედებითი საღამოები, სადაც მწერალი საკუთარი თავის მორიგი განდიდებისთვის მიეშურება. აქ ყველაფერი პირიქითაა – ანუ ისე, როგორც უნდა იყოს, და ჩვენც ნამდვილი ინტერესები და ხალისი დაგვიბრუნდეს. მწერალს ელოდება მკითხველთა ვიწრო წრე, რომელსაც განსახილველი ნიგნი ნაკითხული აქვს და კონკრეტული შეკითხვების დასმა სურს. პირველი ორი შეხვედრიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ მართლაც დასაშვებია ისეთ მკითხველთან შეხვედრის მოლოდინი, რომელიც გვეგონა, რომ უკვე აღარ არსებობს. ყურადღების ცენტრში სწორედ ბელეტრისტიკაა, მისი კლასიკური გაგებით, ყოველგვარი პოეტური და პოსტმოდერნისტული ტრიუკების გარეშე – თუ როგორ ქმნის ავტორი სიუჟეტს, პერსონაჟთა ხასიათებს და მერე უკვე ისტორიას და დიალოგს. ისტორიის და დიალოგის დავიწყება ვცადეთ, თუმცა მივხვდით, რომ ეს, რაღაც თვალსაზრისით, მკითხველისა და ლიტერატურის დავიწყებას უდრის. ალბათ ამიტომაც ირიდებს „ექსლიბრისი“ პოეტებს – ისინი არასოდეს მისდევდნენ თხრობას და ამბავს. მაგრამ, ჩვენი პათეტიკური ტენდენციებიდან გამომდინარე, ქართული პროზა, უმეტესწილად, სწორედ მანერული სახელების მქონე პერსონაჟების, მათი არადამაჯერებელი დიალოგების და ანგაჟირებული სიუჟეტების ტყვეობაში აღმოჩნდა. პირველი შეხვედრა მოენყო მწერალ ზურაბ ლეჟავასთან. განხილვისთვის წარმოდგენილი იყო მწერლის პირველი კრებული „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში“, რომელიც 2010 წელს გამოსცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“. ნიგნში მწერლის სხვადასხვა პერიოდის მოთხრობები და ერთი რომანია გაერთიანებული. როგორც მაღაზიისა და ამ პროგრამის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, მწერალმა ზაზა კოშკაძემ აღნიშნა, ზურაბ ლეჟავას მსუბუქი შავი იუმორითა და ძალზე ზომიერი სიურრეალისტური და ფანტასმაგორიული სახეებით გამსჭვალული ეს ნიგნი ნამდვილი ბელეტრისტიკის, ლამის, ერთადერთი ნიმუშია ქართული ლიტერატურის ბოლოდროინდელ სინამდვილეში. ანუ ასეთი შეფასება ეტყობა მინიშნება იყო, რომ მწერალი ისტორიით და პერსონაჟებით უნდა ცხოვრობდეს, ის უნდა იყოს სხვების ცხოვრების შემოქმედი და შეეძლოს საკუთარი ცხოვრების გვერდზე განწევა, დავიწყება, და ძალზე ცნობისმოყვარეც უნდა იყოს. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი ბელეტრისტიკა არც მკითხველისთვის იქმნება, არც ფულისთვის და არც კარიერისთვის. ის უბრალოდ ისტორიების შესაძლებლობათა უზომო სიყვარულის შედეგია. ასეთ შემთხვევაში სტილის ნიუანსები თავისთავად ჩნდება და მკითხველისკენ მიმავალი კულტურული ველი სწორედ ასე იქმნება. მწერალს საბოლოოდ, მართლაც მკითხველი ქმნის, თუკი მას მისცემენ ამის საშუალებას. ასეთი ფანტასმაგორიებისგან იქმნება ყველაზე რეალისტური მწერლობა. ხოლო მწერლების ხელოვნური განწყობა ჩვენთვის კარგად ნაცნობ პათეტიკას და მანერულობას წარმოშობს. მეორე შეხვედრა მწერალ ლაშა ბულაძესთან შედგა. განხილვებოდა მისი ახალი ნიგნი „ლიტერატურული ექსპრესი“. ლაშა ბულაძესთან საუბარი სწორედ იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ ეს მწერლის პირველი ნიგნია, რომელიც არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას არ ეხმიანება და წმინდა ბელეტრისტიკის ნიმუშია. ამ საუკეთესო ტრადიციის აღდგენა მაღაზიის ხელმძღვანელების – თედო მირიჯანაშვილისა და ნატა ცაავას დამსახურებაა. მართლაც, იქნებ შეიქმნას მკითხველთა კლუბი და არა უბრალოდ მსმენელთა აუდიტორია. და ეს ყველაფერი არაფერსაც არ ემსახურება, მხოლოდ – ლიტერატურის სიყვარულს.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
 ფოტო: ნათია ხაჩიკაშვილი



ახალი „გალერეა 9“

ახლახან გახსნილ „გალერეა 9“-ში, რომელიც გუდიაშვილის 9 ნომერში მდებარეობს და სიმპათიურ და კომფორტაბელურ სივრცეს წარმოადგენს, უნიკალური ჯგუფური გამოფენა შედგა – სახელწოდებით „არტ პროცესი“. აქ გამოფენილი ნამუშევრების ავტორები თბილისში მომუშავე კურატორები, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები ან კოლექციონერები არიან. ცხადია, რომ ეს მხატვარ იური ბერიშვილის მიერ ორგანიზებული რალაც პოსტმოდერნისტული ექსპრომტი იყო, რომლითაც ამ ახალი გალერეის ბიოგრაფია დაიწყო.

გამოფენაზე ნაჩვენებ იყო ბაია წიქორიძის, ვანდა მუჯირის, ქეთი კორძაბიას, დავით ანდრიაძის, არჩილ დარჩიას, ზაირა ბერელიძის, ლიკა მამაცაშვილის, ია დვალის, მაია ნოზაძის, გია ჯამბერიძის, დავით მუშუკიანიანის, ნინო გუჯაბიძის, ნიკა მაჭავარიანის, რუსიკო ოატის და თვით „გალერეა 9“-ს კურატორის, მარინა ამზაშვილის ნამუშევრები – ანუ იმ პროფესიონალების, ვისი საქმიანობაც აქამდე მხატვრების ნამუშევრებზე იყო დამოკიდებული. ახლა კი, თუ გალერისტები ასე გადანყვეტენ, მხატვრებს ნამდვილად ქუჩაში მოუნვეთ დარჩენა. შეიძლება ეს რალაც მინიშნებაა – „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ თეზისის ახალი, საპირისპირო თეზისი – „გალერეა გალერისტებისთვის“. ან შეიძლება იმ მცდარ შეხედულებას ადასტურებს, რომ ყოველი კრიტიკოსი ვერშემდგარი მწერალია, ანდა გალერისტი – ვერშემდგარი მხატვარი. არ მგონია, რომ ამ გამოფენას ასეთი ფარული სურვილების ასრულების მოტივაცია ჰქონოდა. ეს უფრო ერთი კარგი და გამახალისებელი თამაში გამოვიდა, რომელიც მართლაც სჭირდება ჩვენს სამხატვრო გარემოს. სასურველია ასეთი თამაშის უფლება გალერისტებმა მხატვრებსაც მისცენ. ეს, შესაძლოა, ნეგატიური და სამიში სულაც არ აღმოჩნდეს. „გალერეა 9“-ს ნამდვილად კარგი მონახაზი გამოუვიდა და დანარჩენს კი, როგორც იტყვიან, დრო გვიჩვენებს. სწორედ დროზე, აქტუალობასა და კონტექსტებზეა საჭირო დაფიქრება, როგორც ამ ახალ გალერეაში, ასევე სხვაგან. მხოლოდ ფული არაფერს ცვლის. ის უფრო მყარი ვალუტის – ცხოვრებისა და მისი მშვენიერების ახლებურად წაკითხვის პირობაა. სწორედ დრო ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორია გალერისტებისთვის და საინტერესო იქნებოდა, სწორედ დროსთან, აქტუალობასთან და კონტექსტებთან მეტი მუშაობა, როგორც ამ ახალ გალერეაში, ასევე ზოგადად. რადგან დრო, ასე პირდაპირ, მხოლოდღა ფული არ არის, ის უფრო მყარი ვალუტის – ცხოვრებისა და მისი მშვენიერების ახალი წაკითხვების პირობაცაა.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
 ფოტო: ანი გუბუნიშვილი



ავტორი: ღაბია ჩხეიძე
ფოტო: ანი ბუბუჩიანი

გოტლიბარული აკოქის არქიტექტურა კონსერვაციურ ფოტოგრაფიაში

ფოტოგრაფი ირინა აბუხანდაძე ახალ ინტერდისციპლინურ და ინტერპერსონალურ პროექტს, და ახალ გამოფენას გვთავაზობს. 5 მაისს საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში მან მუსიკოს გელა მეგრელიძესთან ერთად წარმოადგინა ფოტოგამოფენა „ტემპელჰოფიდან კარლ მარქსის გამზირამდე“. ბერლინი ორ ნაწილად – ნაციონალ-სოციალისტურ და სტალინისტურ ბანაკებად იყო გაყოფილი და, არქიტექტურის მხრივ, ამ ორი დიქტატურის დაპირისპირებაც და თანაარსებობაც აქ დღესაც თვალნათლივ ჩანს. ირინა აბუხანდაძემ ძირითადად ფასადები გადაიღო, ხოლო გელა მეგრელიძემ აღმოსავლეთ ბერლინში დასახლებული ადამიანები და მათი საცხოვრებელი სახლების მყუდრო და მოდური ინტერიერები. ამ კონსტრუქცივისტული რემინისცენციის გამოფენით მხატვრები გვაჩვენებენ, რომ ბნელმა ისტორიამ ჩაიარა და ნაგებობები უბრალოდ ნაგებობებად დარჩა, მიუხედავად მათი იმდროინდელი იდეოლოგიური კონტექსტებისა. ირინა აბუხანდაძე არ ლატობს წმინდა ხელოვნების ნორმებს და ის დოკუმენტური და სტრუქტურალისტური ფოტოგრაფიის მედიუმს ნამდვილი და მოკრძალებული თერაპიის ფორმად იყენებს. მაყურებელი ეცნობა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის გაუქმებული აეროპორტის მინისქვეშა სათავსოებს, რომლებიც ფაშისტური გერმანიის სადაზვერვო სამსახურის დაკითხვის ადგილებსაც წარმოადგენდა და, გელა მეგრელიძის პროგრამის პერიფრაზი რომ გვაკეთოთ, მართლაც გასაოცარია ამ ოთახებში მხიარული გრაფიტებისა და ნახატების აღმოჩენა, კედლებს უწყინარად რომ ამშვენებს. გამოფენის გახსნაზე არქიტექტორმა ლევან ლომინაშვილმა წაიკითხა მოხსენება ნაციონალ-სოციალისტური არქიტექტურის მნიშვნელობის შესახებ. ასევე უჩვენებს ნანყვეტი ფილმიდან „მსოფლიო დედაქალაქი გერმანია“.

უხმო ევოლუსია

26 აპრილს მარჯანიშვილის თეატრის სცენა უჩვეულო სპექტაკლს დაეთმო. ქუთაისის 45-ე სკოლის მოსწავლეებმა, გიგა მიქაძის რეჟისორობით, მიმოდრამა „ევოლუსია“ წარმოადგინეს. უჩვეულო კი ამ, ერთი შეხედვით, დრამატურგიითა და ინსცენირებით ჩვეულებრივ სპექტაკლში ის იყო, რომ სცენაზე მდგომ არც ერთ ბავშვს არ ესმოდა. ქუთაისის 45-ე სკოლა ყრუ-მუნჯი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. „ევოლუსიამ“ ყველანაირი წინასწარგანწყობა და სტერეოტიპი გააქრო, რაც მაყურებელს შეიძლება პროვინციული თეატრის მიმართ ჰქონდეს. დეკორაციების კიტური ნიმუშებით გაფორმების ნაცვლად, სცენა მინიმალისტურია. არანაირი კოსტიუმი, არც ერთი რეკვიზიტი. პატარა მსახიობები კი დრამატურგიულ განვითარებას, მოძრაობის დინამიკას და მეტიც, მუსიკასაც ისე მიჰყვებიან, რთულია დაიფერო, რომ მათ არც საკუთარი მოძრაობის ხმა ესმით, და სპექტაკლში ერთმანეთის ფუნქცია და სცენარის შინაარსი რეჟისორისგან შესტის პედაგოგის დახმარებით გაიგეს. პიტერ გებრიელის მედიტაციური მუსიკის ფონზე, რომელიც მუსიკოსმა სკორსეზეს „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნებისთვის“ დაწერა, სპექტაკლში სამყაროს დაბადების პირველი სცენა ვითარდება. თეთრ ტილოში გახვეულები სცენაზე წვანან. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი მათგანი ჯერ ფრთხილად, შემდეგ დაჟინებით, ელასტიური მოძრაობით ცდილობს გარსის შემორღვევას და მალე ნაჭრის „კვერცხიდან“ ჯერ კაცი „იბადება“, შემდეგ – ქალი. ერთმანეთს რამდენიმე წუთის მანძილზე შორიდან აკვირდებიან, მერე კი ხელებით ერთმანეთის სხეულების შესწავლას იწყებენ; ამჩნევენ მსგავსებას და განსხვავებას. ეს სამყაროს შექმნის და ადამიანის განვითარების ამბავია. ყველა თვისებას და შეგრძნებას გზადაგზა იძენენ; სწავლობენ, როგორ დაძლიონ შიშოლი, წყურვილი, სიცივე. მერე სხვა კვერცხებიდანაც იჩეკებიან და ჩნდება ტომი. ტომი იწყებს ცხოვრებას. ტომში ჩნდება პირველი ტყუილი, პირველი დანაშაული – ცოდვა და ამით გამოწვეული მკვლელობა; ბოლოს კი – რწმენა და სიყვარული, როგორც კათარზისი. სცენაზე მდგომმა 13-მა მოზარდმა, რომლებსაც სპექტაკლის დასრულებისას მათკენ მიმართული აპლოდისმენტების ხმაც კი არ ესმოდათ, მიმოდრამის საშუალებით საზოგადოებას აჩვენა და უამბო იმ გზის შესახებ, ყველანი რომ გავდივართ, განურჩევლად იმისა, ჩვენს ნელთალრიცხვამდე დავიბადეთ, თუ 21-ე საუკუნეში.



**თბილისის საერთაშორისო
თეატრალური ფესტივალი
29 სექტემბერი - 15 ოქტომბერი
2010 წელი**



**TBILISI INTERNATIONAL
FESTIVAL OF THEATRE
29 September - 15 October
2010**



იური მეჩითოვის ჟურნალისტური რეპორაჟაჟი

ქარვასლაში გაიხსნა ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის, იური მეჩითოვის გამოფენა, რომელიც დეტალებში ასახავს საქართველოს ცხოვრებას 1981 წლიდან დღემდე. ეს დახუნძლული ექსპოზიცია მათიანეს წარმოადგენს, მაგრამ მთავარი აქ მაინც ადამიანთა ბედია; ადამიანების, რომლებმაც უკიდურესად რთული და სიძნელეებით აღსავსე ცხოვრება განვლეს და ასევე შეეგებნენ 21-ე საუკუნეს. თუ როგორი განადგურებულები შევედით 21-ე საუკუნეში, ამის საჩვენებლად იური მეჩითოვი ისეთი ფოტოები გამოფინა, რომელიც ჩვენს რუხ ცხოვრებას შეგვახსენებს, და რასაც უკვე ვეღარც ვამჩნევთ, რადგან თვალი შეეჩვია. ამ ფოტოებზე ალაგ-ალაგ კრთება რაღაც შოუების, მოდელების, დღესასწაულების ამსახველი კადრები, რომლებიც, ღარიბული საბჭოთა პერიოდის რაიონული სასადილოების ან ატლახებულ ქუჩებში უმნეოდ დარჩენილი ადამიანების ფონზე, სევდიან შინაარსს იძენენ – თითქოს ეს ზეიმები სოფლის მიტოვებულ კლუბში იმართება, ჩვენ კი ჩვენი ცხოვრება უაღრესად ფეშენებელური გვეგონია. მიტინგები, სამგლოვიარო პროცესიები, შიმშილი, ომები, დარბევები, გულუბრყვილობამდე მისული უიმედობა – იური მეჩითოვი იმას გვიჩვენებს, რაც მის გარშემო ყოველდღიურად იყო ამ 20 წლის მანძილზე. ერთ სურათში ის კონტრასტს ასახავს – ცოცხლად დარჩენილი მეზობლების წინ მინაზე დასვენებული, დახოცილი და ნანამები ჯარისკაცების სხეულები. ჩვენ კი კონტრასტის მხოლოდ ერთ მხარეს ვხედავთ, დავიღალეთ და გამოსავალი, პრინციპში, მაინც არ ჩანს.

მიუხედავად ფოტოსურათების სიმრავლისა, ფოტოგრაფმა ექსპოზიცია ისე ააწყო, რომ ეს მასშტაბური გამოფენა დამთავლიერებელს არ ღლის. და მიუხედავად ყველაფრისა, არც სიმძიმის გრძნობა მოგყვება დარბაზიდან გამოსულს. ალბათ იმიტომ, რომ ეს რეალობა და აქ არავინ გატყუებს. ფოტოგრაფი გვაჩვენებს, რომ სიმართლეს, რა მძიმეც უნდა იყოს ის, უკეთესი მომავლის რეალური საფუძველი მეტად აქვს, ვიდრე აქა-იქ ამოკრეფილ მხიარულ, სინამდვილეში კი, სევდიან კადრებს. მნახველს ისეთი განწყობა ეუფლება, თითქოს ამ გამოფენის მერე რაღაც უნდა შეიცვალოს, თითქოს ეს ამ რუხი პერიოდის დამთავრების სინდრომი. არ ვიცი, როგორ მოახერხა ფოტოგრაფმა ასეთი ოპტიმისტური განცდის შექმნა – ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცით, ცუდს კარგი მოსდევს, და რომ აქ ყველა ფოტო შავ-თეთრია, დარბაზის გარეთ კი მაინც მრავალი ფერით აღსავსე ცხოვრება გველოდება.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
 ფოტო: ირინა ხუციშვილი



ფოტო: ნათია ხაჩიკაშვილი



ფოტო: ირინა წამახშილი

როკ კაფე ღრუბრით დაიხურა

1 მაისს როკ კაფე დროებით საზეიმოდ დაიხურა ე.წ. პაპსას ირონიული ჯემ კონცერტით. მანამდე კი, რამდენიმე დღით ადრე დახურვის რეალური პროგრამა ვალერი ხაჩიძეს და ჯგუფ „მონოპლანს“ ეკუთვნოდათ. ეს ჯგუფი, რომელიც თბილისში ავანგარდულ ალტერნატიულ როკს უკრავს, მართლაც ყველაზე მეტად ენათესავენ „აუტსაიდერს“ და მის მთავარ ფიგურას, რობი კუხიანიძეს. სწორედ ეს ორი მუსიკოსი იყო წარმოდგენილი ბოლო კონცერტებზე როკ კაფეში, 28 და 29 აპრილს.


თუ „აუტსაიდერს“ რუსული პანკის შლაგერი და ქართული კიტჩური ბალადის კარგად გამოგონილი მელოდიური შამანიზმი აერთიანებს, „მონოპლანი“ წმინდა ანარქისტული პანკია, ჰარმონიის პირობითი მონახაზით, რეფრენის მონოტონურობით, არცთუ მარტივი მელოდიით და ყვირილში გადასული ვოკალით. შეიძლება ითქვას, რომ ორივე ამ ჯგუფს უტოპიური ანარქისტული იდეალები ასაზრდოებს, ისეთი, რუსეთში, უკრაინაში ან ამერიკაში რომ შეიძლება ნახოთ, მაგრამ არა – საქართველოში. და შეიძლება სწორედ ოცნების ეს ხარისხი ჰმატებს მომხიბვლელობას მათ მუსიკას.

დახურვის წინა დღეებში როკ კაფეში სხვა რალაცებაც მოხდა – მწერალი თეონა დოლენჯაშვილი პერფორმანსების კეთებაზე გადავიდა და ერთ საღამოს ბექა მოლაშვილთან ერთად შესანიშნავი ტექსტურ-მუსიკალური პერფორმანსი წარმოადგინა, სახელწოდებით „ფიდაი“. ეს იყო ისტორია შახიდ ქალზე, რომელიც თავს იფეთქებს. ჩვენ, მაყურებლები კი ვხედავდით ამ ქალს დარბაზში და ვიცოდით, რომ მას თავი უნდა აეფეთქებინა. ამასობაში თეონა დოლენჯაშვილის პროზაული რეჩიტატივი პოეზიად გადაიქცა და მთლიანობაში ეს გამოსულა მართლაც კარგი პერფორმანსი გამოვიდა; გვესმოდა ტექსტი და ამ ტექსტის დეტალები უფრო გვხიბლავდა, ვიდრე ისტორია.

მოკლედ, რალაც მისტერიული დღეები იდგა – ვალერი ხაჩიძემ წითელი ქსოვილით თვალებზე დაიხურა იმდერა მთელი კონცერტი, რომელიც ერთ უწყვეტ მთლიანობაში მიმდინარეობდა. მას შესანიშნავი გიტარისტი, სტას როგანკოვი და ბენდი ჰყავდა და ეს მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტი იყო ბოლო პერიოდის თბილისში. თეონა დოლენჯაშვილმა მოულოდნელად ლამაზი ლიტერატურა და ტექსტი შექმნა, არა მხოლოდ იმით, რაც უკვე დანერგილი ჰქონდა და ხელში ეჭირა, არამედ მთლად ჩვენ თვალწინ, იქვე რაც იქმნებოდა – ტექსტს, მუსიკასა და შახიდ მსახიობ ქალს შორის.

გულდასაწყვეტია და ალბათ ბევრს მოეწონება ეს ადგილი რუსთაველზე. მით უმეტეს, როგორც ცნობილია, აქ ხუთშაბათობით „lib.ge“-სა და როკ კაფეს ერთობლივი არტ-საღამოების ტრადიციაც დამკვიდრდა. თუმცა, როკ კაფე მალე, სულ რამდენიმე თვეში ახალ შენობაში გაიხსნება. მანამდე კი „lib.ge“ გაჩერებას არც აპირებს – უკვე გადაწყდა, ლიტერატურის მუზეუმთან ითანამშრომლებს.

ბასეირნება ძველი თბილისის ფოტოკაპიზაჟში



ევროპის სახლმა თბილისში საქმიანობა მასშტაბური კულტურული ღონისძიებით – ფოტოგამოფენით დაიწყო. ძველი თბილისის უბნები 3 დღით Tbilisi Open Air Photo Fest-ის საგამოფენო ტერიტორიად იქცა. 15 მაისს ღამეს გუდიაშვილის ბაღიდან აბანოთუბნამდე დამონტაჟებულ ათ ეკრანზე ასობით ფოტო ცვლიდა ერთმანეთს. გამოფენა ცნობილი არლის ფოტოფესტივალის (Les Rencontres d'Arles) პროგრამასაც მასპინძლობდა. არლის „წლის ღამის“ ფარგლებში ერთი ღამის განმავლობაში რამდენიმე ეკრანი სინქრონულად დილაგამდე უჩვენებდა და იმეორებდა მსოფლიოს წამყვანი ჟურნალების, სააგენტოების და დამოუკიდებელი ფოტოხელოვანების ნამუშევრებს და ვიდეოპროექციებს. მათ შორის იყო: Le Monde, Vogue, GQ, STILETTO, Reuters, World Press Photo, Magnum Photos, Corbis Outline. პარალელურად კი, იმ ღამით შეგეძლოთ თბილისის ფოტოგრაფიის სახლის მიერ წარმოდგენილი 12 ქართველი ფოტოგრაფის და 2 ქართული ჟურნალის – „ლიბერალის“ და „ტაბულას“ ფოტორეპორტიორების ნამუშევრებიც გენახათ; ასევე – უილიამ კლეინის ტელეარხ ARTE-სთვის შექმნილი ვიდეოსერია „კონტაქტები“, ნან გოლდინის შესახებ, სადაც გამოყენებულია ფოტოები გოლდინის ციკლიდან „ბალადა სექსუალურ დამოკიდებულებაზე“. ძველი თბილისის არქიტექტურული თავისებურებიდან გამომდინარე, გამოფენა Photo Fest თბილისში საგამოფენო სივრცის გამოყენების ყველაზე საინტერესო შემთხვევა იყო. მთლიანობაში, მთელი ეს სივრცე ერთიან კომპოზიციას წარმოადგენდა: ძველი თბილისის სხეული და 10 პატარა თვალი, სადაც მუდმივად ციმციმებდა სხვადასხვა გამოსახულება. ეკრანებს შორის მოსეირნე მაცურებლის მოძრაობა ერთგვარი ჰეფენინგის განწყობას ქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ დამთვალიერებელი ფოტოპერფორმანსში უშუალოდ არ მონაწილეობდა. არლის პროგრამის გარდა, თბილისის ფოტოფესტივალის ფარგლებში რამდენიმე პერსონალური გამოფენა, ფოტოგრაფთა დაჯილდოება, დისკუსია და Alter Vision-ის ორგანიზებული კონცერტიც მოეწყო. 14 მაისს, ფესტივალის გახსნის დღეს ევროპის სახლში სააგენტო მაგნუმმა კონკურსის – „პრიზი ახალგაზრდა ფოტოგრაფისთვის კავკასიის რეგიონიდან“ – მონაწილეები დააჯილდოვა. დარო სულაკაურმა საქართველოდან და კარენ მირზოიანმა სომხეთიდან საპატიო დიპლომები მიიღეს, გამარჯვებული კი აზერბაიჯანელი რენა ეფენდი გახდა, რომლის პროექტის PIPE DREAMS გამოფენა ევროპის სახლში იმ დღესვე მოეწყო. ფოტოსერია, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ეხებოდა, გვიჩვენებს, თუ როგორ აისახება 1700 კმ-ზე გადაჭიმული პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მილსადენი რეგიონის სამი ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაზე. პროექტის ჩვენება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში უკვე შედგა და წიგნადაც გამოიცა, თუმცა თავად აზერბაიჯანში, პოლიტიკური ცენზურის გამო, დამთვალიერებელს მისი ნახვის საშუალება დღემდე არ ჰქონია. მეორე პერსონალური გამოფენა ფესტივალის დახურვის დღეს, 16 მაისს „პურპურში“ შედგა. მაიკლ კენას ფოტოსერია „საქართველო“ 2008 წლის განმავლობაში იქმნებოდა და ფესტივალის ორგანიზატორის, ნესტან ნიჟარაძის თქმით, გამოფენაზე წარმოდგენილი 11 ფოტო, რომელიც კენამ თბილისის ფოტოგრაფიის სახლს პერსონალურად გამოუგზავნა, სერიის ნაწილია, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება და წიგნადაც გამოიცემა. ქართველი დამთვალიერებელი უცხოელი ფოტოგრაფის თვალთ დახახულ საქართველოში ნაკლებად თუ აღმოაჩენს რაიმე სიახლეს. მთის პეიზაჟები და მისი აუცილებელი კომპონენტები – ეკლესია და მაღლობზე შემომდგარი ცხვარი. მეორე მხრივ კი, ზღვის სანაპირო ზოლის პალმები ალბათ უფრო მათთვის იქნება საინტერესო, ვისთვისაც საქართველო უცნობი ეგზოტიკური ქვეყანაა. საბოლოო ჯამში, თბილისის ფოტოფესტივალი თბილისელი ფოტომოყვარულებისთვის საუკეთესო შესაძლებლობა იყო, ლოკალურ სივრცეში ენახათ, თუ როგორ გამოიყურება ბოლო დროს მედიის გრანდების ფოტოთვალებით დანახული ბებერი სამყარო, თავისი უკანასკნელი კონფლიქტური შეიარაღებით, ღარიბი უბნების გეტოებითა და ღამის ქალაქების გლამურული ცხოვრებით.



ავტორი: ნათია გულიაშვილი
ფოტო: ლევან ხარხაულიძე



ღვინის ფესტივალი

დაახლოებით ორი კვირის წინ ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის სატელიტიდან ფოტო რო გადაგელო, შუა საუკუნეების ბანაკი გეგონებოდა. შეიძლება კიდევ უფრო შორს წასვლა და რომელიმე აღმოსავლელი დამპყრობლის ლაშქრობის დროს გაშლილ ბანაკზე საუბარიც, მაგრამ იქ, ეთნოგრაფიულში, არც მურვან ყრუ იყო და ვერც გრძელფეხა ედვარდს მოჰკრავდით თვალს. იმ კარვებში, რომელიც რომელიც ქვეყნის არმიის ბანაკს ჰგავდა, ქართველი მეღვინეები იყვნენ დაბინავებული – თავისი ნაჟურით, ნითლით და თეთრით, წულუკიძის თეთრათი და უსახელაურით, ქვევრის და ქარხნის ღვინით...

ეჭვი მეპარება, ვინმემ არ იცოდეს, რაზე ვლაპარაკობ, მაგრამ არ იქნება ურიგო, თუ მაინც გავისხენებთ. ესე იგი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეთნოგრაფიულ მუზეუმში „ახალი ღვინის ფესტივალი“ ჩატარდა. ეთნოგრაფიულს იმ დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან ეწვივნენ მეღვინეები. იყვნენ დიდი ქარხნების წარმომადგენლები თავიანთი აუარება ღვინით, აქაურით და იქაურით, მშრალით და ნახევრად მშრალით, ტკბილით და ნახევრად ტკბილით... ყველაზე გემრიელი კი მაინც მეღვინე ოჯახები იყვნენ თავიანთი ნექტარით, მამა-პაპის დატოვებული ტრადიციებით და მულამით, რასაც უბრალოდ, მხოლოდ ღვინის მსმელი ადამიანი ვერ ხვდება. ყველა თავისი ღვინის ისტორიას ჰყვებოდა. საუბრობდნენ ტექნოლოგიებზე და სხვა ათას წვრილმანზე, რასაც მხოლოდ ღვინის სმით ვერ გაიგებ.

შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთგვარი სემინარი მათთვის, ვისაც ღვინო უყვარს და ერთხელ მაინც უფიქრია, თავად მოეგლო ვენახისთვის, რთველში გარჯილიყო, დაენურა და ბოლოს დაელია საკუთარი ნაწარმი. თუმცა, ეს ფესტივალი მაინც პირველი ღვინის ზეიმი იყო საქართველოში. ჩვენ გვახსოვს საყოველთაო რთველები, ცეკა-ს მდივნი და წყვებული დღევანდელი პრეზიდენტი დამთავრებული ყველა რომ იღებს მონაწილეობას. მაგრამ ის სხვა რამე იყო და სხვა მიზნებისთვის გათვლილი, რომელსაც თავისთავად სხვა შედეგი მოაქვს. „ახალი ღვინის ფესტივალი“ კი უბრალოდ კლასიკარულ საკითხავივით იყო, ზოგადი განათლების ამბავში, რომელსაც ცოტა შეუწყუნებული თავ-გულით უფრო გემრიელად შეიგრძნობდი, დაღვრილი ოფლის სუნსაც იგრძნობდი, დაკოჟრილ ხელებსაც დააფასებდი და მიწის მადლსაც შეიგრძნობდი. არ მინდოდა, ნამეტანი სადღეგრძელოსავით გამომსვლოდა, მაგრამ „ღვინის კლუბი“ და ფესტივალის პარტნიორები იმისთვის, რაც მე „ეთნოგრაფიულ მუზეუმში“ ვნახე, მართლა ერთ კარგ და მადლიან სადღეგრძელოს იმსახურებენ.



არის თუ არა ოლეგ ტიმჩენკოს სფინქსი სამკაული

ოლეგ ტიმჩენკოს, როგორც ავტორიტეტის, ეს პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „სფინქსი – საგანძურის მცველი“ „გალა გალერეაში“ შეიძლება იმთავითვე მივიჩნიოთ რაღაც ირაციონალურ რეცეპტად, სოციალური კრიტიკის ინდიკატორად. ავანგარდთან ასე დაკავშირებული მხატვარი შეუძლებელია კრიტიკისგან შორს იდგეს. და თუ ის საკუთარ ფერეებს, სირენებს და ახლა უკვე სამკაულებს ასეთი ხაზგასმით ხატავს, ეს არ არის მხოლოდ სილამაზის ნაივური აღქმის უბრალოება, არამედ შეიძლება ორმაგი კრიტიკაც კი აღმოჩნდეს – უკვე არა მხოლოდ სოციალური ფონის, არამედ თვით იმ არტისტებისკენ მიმართული, რომლებიც დაუსრულებელი კონცეპტუალური გასაჩივრებებით, ნიჰილისტური რეაგირებებით და მართლაც წმინდა და უსაფუძვლო ნარცისისტული პოზირებით არიან დაკავებული.

ოლეგ ტიმჩენკოს პერსონალური გამოფენა წარმატებული იყო. არ მახსენდება ბოლო პერიოდში გამოფენის გახსნაზე მოსული ამდენი დამთვალიერებელი. შეიძლება თბილისი პატარა ქალაქია, აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ და ყველა ყველას იცნობს, მაგრამ ტიმჩენკოს გამოფენის გახსნაზე მე ნამდვილად არ ვიცნობდი ყველას. ესეც ტრიუკია, აკეთო ისეთი ხელოვნება, რომელიც ყველას მოიზიდავს. ასეთი ტრიუკი კი ნიჭია – აკრიტიკებდე არა აქტივისტურად, სწორხაზოვნად, ლოზუნგით – არამედ ასე ირონიულად, შეფარულად, დახვეწილად, იმპერსონალურად. სწორედ ამ უნარით გახდა ენდი უორჰოლი ყველასგან გამორჩეული და ალბათ ნამდვილი ავანგარდის ყველაზე უტყუარი ნიშანიც ეს არის. ოლეგ ტიმჩენკოს სკივრების, ბეჭდების, მძივების, გნომებისა და სარფიანი გარიგებების სცენების ეს გამოფენა, როგორც ფიროსმანს, შავ ფონზე აქვს დახატული. და ისევე, როგორც ნიკო ფიროსმანთან, ან ენდი უორჰოლთან, აქაც ფიგურები ცარიელ სივრცეში გამოკიდებული აპლიკაციებია და ამით მათი სოლიპსისტური გამოვლინება დაუვიწყარი და შთამბეჭდავია. ოლეგ ტიმჩენკოს ეს გამოფენა იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ მისი ხატვის ძველი ხელწერა კვლავ ძალზე უშუალოდ ჩანს და არ არის დატვირთული რაიმე სიუჟეტზე ან კონცეფციაზე მინიშნებებით. ამ სურათებში სწორედ ოლეგ ტიმჩენკოს მაგიური კონტურების ხაზი და ამ ხაზების პალიტრაა ერთ-ერთი მთავარი გზავნილი.

დიახ, საქმე სწორედ პირიქითაა, ავანგარდში ხელოვნება სამკაული არ არის, თუნდაც ნახატში სამკაული ეხატოს – და კარგად რომ დაუკვირდე, მას ვერც გამოიყენებ. ასეთი, თითქმის შეუმჩნეველი ირონიის მქონე მხატვარია ოლეგ ტიმჩენკო. ის მიხვდა, რას ელოდებიან ადამიანები მხატვრობისგან და მათ ამ დახატული სამკაულებით ძვირადღირებულ პოეზიას სთავაზობს.

„გალა გალერეა“ სულ ახლახან გაიხსნა და მისმა მფლობელმა და კურატორმა დედიკა ბულიამ უკვე დაიწყო იმ ნიშის შექმნა, რაც შეიძლება ახალ, უფრო უკეთეს და დამსახურებულ ეპოქასაც უქადდეს საქართველოს სამხატვრო კულტურას. ეს გალერეა ხაზგასმით, უკომპრომისოდ და ელეგანტურად წარმოადგენს მაღალი გემოვნების თანამედროვე მხატვრობას და მისი უახლესი ისტორიის შექმნას იწყებს.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
 ფოტო: ირინა ხუსიშვილი

101.9 FM

მისამინე

08:00-11:00



101.9 FM

დილა რადიოქალაქში გემა ონიანთან და ნინი გუკიასთან ერთად

101.9 FM



ისტორიული რეჟერსი საპნის პრომატი

ავტორი: ნათია გულიაშვილი
ფოტო: თაქო რობაქიძე

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ივნისამდე პროექტ „ახალი ტალღის“ პიესები იქნება წარმოდგენილი. თეატრის მაგისტრანტ სტუდენტებს „ლია საზოგადოება – საქართველოს“ კონკურსში გასული ამ პროექტის ფარგლებში 10 ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის პიესა სცენაზე გადააქვთ.

„საპნის ოპუსი“ 10 პიესიდან ერთ-ერთია, რომელიც დრამატურგ დათო გაბუნის ეკუთვნის, რეჟისორი კი მაკა ნაცვლიშვილია. დრამატურგისთვის ეს რიგით მესამე ნამუშევარია.

ერთმოქმედებიანი დრამა-კომედიის უვერტიურა თეატრის გვერდითა შესასვლელიდან იწყება, სადაც გერმანელი ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ქალი მკაცრად გაფრთხილებთ, რომ ტელეფონები გამორთოთ და გახსოვდეთ, საათისა და 10 წუთის განმავლობაში შენობას ვერ დატოვებთ. მერე კი ბნელი გვირაბის გავლით, რომელიც თანდათან ლაბირინთის სახეს იღებს და სულ უფრო ღრმად, სარდაფისკენ ჩაჰყავხართ, ფარნით ხელში მიგიძღვებათ. ლამის 5-წუთიანი მოგზაურობის შემდეგ, სარეპეტიციო ოთახს მიადგებით, სპექტაკლის სცენად რომ გარდაუქმნიათ. ოთახის კართან კი კონტროლიორი ყველას სათითაოდ გკითხავთ „ქართველი ხარ?“ და დადებითი პასუხის შემთხვევაში წითელ ბეჭედს გასვამთ მტევანზე.

ამგვარად, მაყურებელიც ამ ჯურღმულის ერთ-ერთი ტუსალი ხდება, რომელსაც არც ფანჯარა აქვს, არც განათება, მხოლოდ სცენის სიღრმეში, უკანა კედელს წითელი შუქი ანათებს და მის ფონზე თანდათან არჩევთ 3 სხეულს. ქალები ოთახში აუჩქარებლად და უმისამართოდ დაბორიალებენ.

მოქმედება 1953 წელს ვითარდება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 7 წელია გასული, თუმცა აქ ისტორიული რეალობა თავდაყირა დგას. 1945 წლის გამარჯვებული ნაცისტური გერმანიაა, სტალინი ტყვეობაში ჰყავთ. ცისფერთვალა, ქერათმიანი გერმანელები თავიანთი ჯანმრთელი, არიული რასის გასამრავლებლად აბასთუმნის საკონცენტრაციო ბანაკად გადაკეთებულ ობსერვატორიაში დატუსალალებულ ქართველ ქალებს აუბატიურებენ და ექსპერიმენტებს ატარებენ.

ამ აბზაცის შემდეგ უთუოდ გაგახსენდებოდათ კვენტინ ტარანტინოს სწორედ მეორე მსოფლიო ომის თემაზე პაროდირება ფილმში „უსახელო ნაბიჭვრები“.

საკონცენტრაციო ბანაკის ერთ ოთახში 4 მთავარი გმირი ქალი ცხოვრობს. ნესტანი, მედეა, ქეთევანი და სალომე. სახელებს ლიტერატურული პერსონაჟებიდან იღებენ, ალბათ იმიტომ, რომ მაყურებელმა მათი საქართველოსთან იდენტიფიკაციის შეგრძნება არ დაკარგოს. სცენის



მთელი დეკორაცია 4 ლოგინი და მათ თავზე დაკიდებული ნათურებია. ქალებს საკონცენტრაციო ბანაკის სტანდარტული ფორმა – მოშხამული იისფერი და დანომრილი კაბები აცვიათ. ამგვარი გაფორმება გაბუნიას სპექტაკლებისთვის უჩვეულო არაა და კარნავალურ კოსტიუმებით, დეკორაციებით და პათეტიკური ყვირილ-შეძახილებით გაჯერებულ ქართულ თეატრალურ სივრცეში, ეს ნამდვილად მინიმალისტური არჩევანია. სამაგიეროდ, აქ მთელი დატვირთვა ტექსტზე მოდის, რაც ავტორისთვის მნიშვნელოვანია, დრამატურგიას დიალოგებითა და მონოლოგებით ავითარებს და ზოგჯერ სხვა ლიტერატურული ტექსტების გადათამაშებასაც მიმართავს.

ოთხზე გმირი საკუთარი „სოლო“ მონოლოგით იხსენებს არცთუ შორეულ წარსულს, გერმანიასთან დამარცხებამდელ საქართველოს, მშობლებს, საყვარელ ადამიანს, რომელიც გერმანელებმა დახვრიტეს, ან რომელმაც იმ მიზეზით მიატოვა, რომ ცოლად მამინდელი კულტურის მინისტრის გრიგოლ რობაქიძის ქალიშვილი ფალესტრა შეერთო. ისტორიულ სინამდვილეში „ფალესტრას“ ავტორს და ფაშიზმით გატაცებულ რობაქიძეს სპექტაკლში გერმანიის იმპერია ამ თანამდებობით ასაჩუქრებს.

იმპერიას არც იმ ქართველი დედების გმირობის წოდებით დაჯილდოება ენანება, რომელთა საშოც ერთგულად ემსახურება არიელების გამრავლების საქმეს. თუმცა ჩვენი ოთხეულისთვის ეს გმირობა სასჯელი და ტანჯვაა, რადგან ამის გამო ქართველები მათ მოლაღატებად თვლიან და იციან, მტრის მსახურებას აღარასოდეს აპატიებენ. ქალებს დანაშაულის გამოსყიდვა არც იმ პროტესტის გამოხატვით შეუძლიათ, რომელსაც მთელი საქართველო მოუტყავს. საქმე ისაა, რომ გერმანელები საკონცენტრა-

ციო ბანაკებში ქართველების მუცლის ქონისგან საპონს ამზადებენ და ხალხს ურიგებენ. ტყვეები კი ორმაგ წინააღმდეგობაში ვარდებიან, ერთი მხრივ, მათ მტრის ბინძური თესლის ჩამოშორება და ამით დაორსულების თავიდან აცილება სურთ, მეორე მხრივ კი, კარგად იციან საპონის შემადგენელი ინგრედიენტები და დაბანაზე უარის თქმით ცდილობენ შეინარჩუნონ ქართველობა. ეს პასაჟი რამდენადაც დრამატულია სცენის რეალობაში, იმდენადვე კომიკურია ქართულ კულტურულ და სოციალურ კონტექსტში და „ქართული ღირსების შენარჩუნების“ რიტორიკის პაროდის ნარმოადგენს.

ქალების მდგომარეობა თანდათან გაუსაძლისი ხდება, ყველა მათგანი ფიქრობს თვითმკვლელობაზე, მაგრამ ბანაკში ოთახებს ფანჯრები არ აქვს, ჭერი კი მიუწვდომლად მაღალია და არც რაიმე ნივთი მოეპოვებათ, რომ სხეული დაიზიანონ. კულმინაციურ მომენტში მათი მხსნელი საპონი აღმოჩნდება, როცა აფექტში მყოფი ერთ-ერთი ტუსალი მამების, ძმების და ქმრების ქონისგან დამზადებულ საპონის დიდ მარაგში გაშმაგებით ეძებს საკუთარ გულისსწორს და „პოულობს“, მერე წყლის კასრში დგება და ესიყვარულება. კვანძის გახსნა მისი ბოლო მოქმედებაა – ქალი პატარა ჭურჭელს ნაბანი საპნიანი წყლით ავსებს და სულმოუთქმელად გამოცლის. სხვებიც მას ბაძავენ.

მამინ, როცა ომის და ქალის თემაზე ქართული ხელოვნება ქალის, როგორც გმირის და ნამდვილი ვაჟკაცების აღმზრდელი დედის სახის შექმნით შემოიფარგლება, „საპონის ოპუსი“ ისტორიის ერთი ნაწილის გაყალბებით, იმ გაცილებით მტკივნეულ მაგრამ უზილაგ მხარეს ეძებს და გვაჩვენებს, რომელიც შეიძლება სულაც არ დგას რეალობისგან ძალიან შორს.

მიცით ქმარი ნინის...

და „ვარდისფერი ნეორეალიზმი“ ტანჯულ გაყურებულს

ავტორი: დავით ბუხრიაძე

როგორც იქნა!.. წვალეები გადაღებული ფილმები ომზე, სიდუხჭირეზე, ნარკომანებზე, ქურდებზე, უმუშევრებსა და სხვა ათასი ჯურის უბედურებაზე ოპტიმისტურმა „ოცნების ქალაქმა“ ერთ კვირაში გააბათილა. როგორც ამბობენ, ფილმმა კინოგაქირავებას უკვე რეკორდული შემოსავალი მოუტანა. წარმატებულ პროდიუსერს (მარტო რენე ჰარლინის „ჯორჯია“ რად ღირს!), ყოჩაღ კლიპ-მეიკერს (ფსოუს ნყალიც ხომ



გახსოვთ?) და ახლა „ოცნების ქალაქით“ თუ ვიმსჯელებთ, კომერციულ რეჟისორს – დავით იმედაშვილს დიდი შანსი აქვს, ქართულ დეპრესიულ „ნეორეალიზმზე“ ერთი მარდი და მსუბუქი ხელის დაკვრით ამაღლდეს. აბა, ქალაქი ტყუილადაა ასე განათებული, ხოლო საახალწლოდ რუსთაველზე ილუმინაციის მაუნყებელი ქალები უბრალოდ დაკიდეს? ან „პე-ეს-პე“ მარტო „ჩვენი ოჯახის აფთიაქი“ ხომ არ იქნება?.. აუცილებელია, ცოტა რამ საქმიან ბურჟუაზიასაც დარჩეს გასართობად.

ყველაფერი, რაც იმედაშვილის იმედით, საახალწლოდ შეთხზულ „ოცნების ქალაქში“ – საქმიანად მიბნედილი შორენა ბეგაშვილის ხარისხიანი თეთრეულით (ხანაც „შავეულით“) დაწყებული, „ნაით ოფისში“ მომზადებული ალუბლის კოქტეილებით, თუ ფინალში მომლოდინედ გაცოცხლებული მაია ასათიანის რეაქციით დამთავრებული – „ვარდისფერი ცხოვრების“ მძაფრად გამოხატულ ილუზიას უკავშირდება. როგორც ჩანს, ამაოდ ვერჩოდით თავის დროზე საზოგადოებრივ მაუნყებელს „ვარდისფერი გზის“ გამო. მასზე ახლა უკვე ნაც-მოძრაობით ნახალისებული ახალგაზრდა რეჟისორი, დავით იმედაშვილი, დრამატურგ ბესო სოლომონაშვილის თითქმის ზომიერი იუმორის ხარჯზე მიაბიჯებს. და ჯგუფ „მგზავრების“ ენით თუ მელოდით გვამცნობს: „ჩვენ ავაშენებთ ოცნების ქალაქს“.

სხვათა შორის, ბევრს სჯერა კიდევ ამ ილუზორული ქალაქმშენებლობის, თუმცა სპა-სალონებში „ნატანჯი“ გოგონებზე და დამცინავად ამბობენ, რომ „ოფიციალტიც ადამიანია“. რაც შეეხება თავად ოფიციალტი სანდროს (არჩილ სოლოლაშვილი ფილმში ყველასთან შედარებით ნამდვილად მსახიობია), ერთი მორცხვი ბიჭია, რომელიც პრესტიჟულ ბარში მუშაობს და გამოუცნობი ნიჭის მქონე მილიონერი შეფის (დუტა სხირტლაძე) ლონდონიდან დაბრუნებული ქალიშვილი ნინი (ნანკა კალატოზიშვილი) შეუყვარდება. გრძნობებში ვერგარკვეული ნინის კი ამასობაში შოუმენი და მამიკოს „ოქროს ბიჭი“ (პაატა პაპუაშვილი) ცუდი ზრახვებით უმიზნებს...

„ლირიკული კომედია დრამის ელემენტებით“ იმდენად ბა-

ნალური და სწორხაზოვანია, რომ მას ვერც გამოცდილი დრამატურგის შელამაზება, ვერც ფერადოვნებაზე გამეცადინებული ოპერატორის ოპტიმიზმი და ვერც ჯგუფ „მგზავრების“ ადამიანურ-ეთნოგრაფიული ლირიზმი შევლის. თანაც, „ჰეპი ენდის“ ლოგიკა და ჰოლივუდური ფინალი მოითხოვს, რომ ნიჭიერ, მაგრამ უპატრონო მუსიკოსებს მერიიდან დამხმარე გამოუჩნდეთ (ბოლოს და ბოლოს, მუდმივად ბნელ

და ცივ სადარბაზოებში, ან სახურავზე ხომ არ დაუკარვენ?), ხოლო მორცხვი და წესიერი ოფიციალტი, რომელიც საჭირო შემთხვევაში ბარმენის ფანტაზიითაცაა დაჯილდოებული, მილიონერი და ლამის ქარაფმუტა გოგოს სიყვარულით დაჯილდოვდეს.

რასაკვირველია, ოცნების წინააღმდეგი, უფრო ზუსტად, რაც ოცნება-იმედის კინემატოგრაფიულ ხატებს უკავშირდება, არავინაა. უბრალოდ, ჩვენთან შეთხზული „ვარდისფერი ნეორეალიზმი“ (გიგა აგლაძის თითქმის ხელოვნური „გოგონა სლაიდიდან“, პლუს დავით იმედაშვილის ოპტიმისტური „ოცნების ქალაქი“) გაცილებით ენერგიულად აღორძინდა, ვიდრე მოკლევადიანი „ნეორეალიზმი“ გაიხარებდა და ფესვებს გაიდამდა (ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, ალექო ცაბაძის „რუსული სამკუთხედი“, ლევან კოლუაშვილის „ქუჩის დღეები“). თუმცა, იტალიურისაგან განსხვავებით, ჯერ მოკრძალებული შედეგები ვერც ფერადად ვიხილეთ და ვერც აქრომატულ განზომილებაში. კინო სიყვარულივითაა: „ცოტა ხნით უნდა დაკარგო, რომ მერე მიხვდე, რა დაკარგე“...

სხვათა შორის, ამ ფრაზას ფილმში სწორედ შეყვარებული და იმედგაცრუებული ოფიციალტი ამბობს, რომლის ლირიკული მელანქოლია და მოკრძალებული სოციალური სტატუსი (ხელმოცარული მსახიობი მამა, ლამის დანგრეული ბინა ძველ თბილისში და მუსიკოსი მეგობრები) ერთადერთი ბუნებრივი გამონათებაა. დანარჩენი სოფიტების ხელოვნურ შუქზე, დიზაინერისა და მხატვრის მიერ არცთუ კოხტად გაფორმებულ ლამის ბარებსა და სპა-სალონებში გათამაშებულ „მოდეირებულ დრამას“ ჰგავს... ლირიკული კომედიის ელემენტებით.

მაგრამ ოპტიმისტურ სასონარკვეთაში არ ჩავარდეთ. აფიშები ქართული კინოს აღორძინებას ისევ გვამცნობენ და მანისში რამაზ ჩაჩავას ინგლისური სახელწოდების მქონე ფილმზე – Spam-ზე გვეპატიჟებიან. ოღონდ იქ აუზები, გრძელფეხება გოგოები და შამპანური არ იქნება. მისტიკურ ტრილერში გარდაცვლილთა სულების „გამოძახება“ გელით.



ავტორი: გიგი გულადანი

გამომდინარე იქიდან, რომ გასული თვე საყოველთაო სიძულვილის თვედ გამოცხადდა, საჭიროდ ჩავთვალე, გამომეჩვენებინა ანგარიში, რომელშიც რუსეთში ჩემი ბოლო ვიზიტის რამდენიმე გარემოებას შევხებოდი.

მოსკოვში ჩემი წასვლა „ბოლო წამს“ გადაწყდა და სულ ვფიქრობდი, – ნეტავი თუ შეიძლება ჩვენს დროშიც (ანტიტერორისტულ პროცედურებს ვგულისხმობ) აეროპორტში ნახევარი საათით ადრე გამოცხადება-მეთქი; მით უმეტეს, კარგად მახსოვს, სამი თვის წინ როგორ გამჭედეს 8 საათით ჩიკაგოში ავიახაზების უგემოვნოდ ჩაცმულმა გოგოებმა, მაიამის რეისზე სულ რაღაც ორმოცდახუთი წუთით ადრე მისვლისთვის.

მაგრამ ბოლოს მაინც წავედი.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში დავიბადე და რუსულიც კარგად ვიცი, მოსკოვში თავი უცხოელად არ მიგრძენია (მე მაპატიეთ). რაც არ უნდა იგესლებოდნენ ტელევიზიები ლენინის მუმიასა და მოსკოვში სტალინის კულტის რეაბილიტაციაზე, ქუჩაში თხუთმეტწუთიანი გასეირნებაც კი საკმარისია, რომ დაასკვნა – საბჭოთა მოსკოვს დაბრუნება აღარ უწერია. ეს ჩვეულებრივი მსოფლიო მეგაპოლისია და ერთადერთი ძაფი, რომელიც საბჭოთა მოქალაქეების ბოლო თაობას მასთან გვაკავშირებს, უკვე გამქრალი საბჭოთა ყოფიერების განცდა და სკოლაში ნასწავლი რუსული ენაა. ამ ძაფის განწყვეტაც დროის ამბავია, და ვიდრე ეს მოხდება, შეგიძლიათ დატკბეთ გამქრალ ცივილიზაციასთან ზიარებული ადამიანის განცდით.

ჯერ კიდევ თვითმფრინვაში დავიწყე ფანტაზიორობა: აი, მოსკოვში შეიძლება-მეთქი „მამენტ“ გადმოსვლა საცხოვრებლად, და წარმოვიდგინე, როგორ ვეუბნები კოსკის გამყიდველს იქაურ განცხადებების გაზეთზე: „Газету объявления, пожалуйста“, რომელსაც შემდეგ მეტროს ესკალატორზე წავიკითხავდი. ჩემი აზრით, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ნამდვილი მოსკოვური სამუშაო დღის დასასრული.

ფიქრებიდან ესკალატორზე ჩართულმა ნიუსებმა გამომარკვია: „Сегодня на Киевском проспекте, в торговом центре произошел несчастный случай, при котором пострадавший потерял девять из десяти пальцев. Как ни странно, он не подал в суд на администрацию“...

მეტროდან სწრაფადვე ამოვედი იმიტომ, რომ ერთ „ენჯელონიკურ“ სიმპოზიუმზე მაგვიანდებოდა (რისთვისაც საერთოდ წავედი კიდეც მოსკოვში, ამჯერად). „სუხოი პაიოკი“ და ფული ორგანიზატორებმა აეროპორტში დახვედრისთანავე დავგი-

რიგეს. „პაიოკი“ იყო გემრიელი და ოდნავ დეპრესიული. იქვე ჩავკბიჩე ერთი ცალი ბურიტო (მექსიკური ბურიტო მოსკოვში სულ სხვა ბაზარია), გვერდით მდგომ უკრაინელ გოგოს გავუღიმე და პირამოვსებულმა ოდნავ უხერხული ჩლიფინით ვუთხარი: „Как говорить, – მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“...

ასე დაიწყო ჩემი მოსკოვური ვოიაჟი.

სასტუმროში, სანამ აბაზანა წყლით ივსებოდა, სააბაზანო ოთახის დიდ ფანჯარასთან ვიდექი და გარეთ ვიყურებოდი. ფანჯრიდან გადაშლილი პანორამა თბილისში, ჩემი აივნიდან ნუცუბიძის პლატოს ხედს მაგონებდა, სადაც უკლებლივ ყველა კორპუსს სვამდნენ მთლიანად ლურჯ შუშებში, რომლებზეც მზე ირეკლებოდა და, რის გამოც, პლატო სეულის ცენტრს ჰგავდა.

მერე გამოვერკვიე და დავაკვირდი, რომ აბაზანის ფანჯრიდან ასევე ჩანდა ბადეებით შემოსაზღვრული ეზო სტადიონით. გამახსენდა, სასტუმროს კონსიერჟი მეუბნებოდა, – ეს სწორედ ის ეზოა, სადაც ფილმ „კურიერის“ დასკვნითი სცენაა გადაღებულიო. ის გულისხმობდა ეპიზოდს, რომელშიც შებინდებისას ჯარიდან ახლად დაბრუნებული ჯარისკაცი ეზოში მოყიადე თინეიჯერებს აკვირდება. „კურიერი“ იმდენად დიდი ხნის წინ მქონდა ნანახი, რომ ვერც ეს სცენა აღვიდგინე და ვერც ის გავიხსენე, რატომ უნდა დასრულებულიყო თავისი დროის ერთ-ერთი საკულტო რუსული ფილმი სასონარკვეთილი ჯარისკაცის სახით.

სანამ ფანჯრიდან გადაშლილ პანორამას ვაკვირდებოდი, დაბინდდა, საიდანაც გაძლიერდა ოთხმოციანების old school მუსიკა და ეზოში გამოსვლა დაიწყო ახალგაზრდების ჭრელმა „ტუსოვკამ“. მათ შორის იყო სასტუმროდან გამოსული ჩემი სიმპოზიუმის „სასტავიც“. მათ დანახვაზე, აბაზანის ონკანი დავეკეტე და მეც გარეთ გავედი.

მუსიკა უკვე ძალიან ხმამაღლა უკრავდა. სტადიონის კიდეში ჩადგმულ ლუდის ჯიხურთან იდგა ძველი საბჭოთა მაცივარი „დნებრი“, ზუსტად ისეთი, როგორიც სახლში მაქვს. ისე ჰგავდა ნაკანრებიტაც, რომ რაღაც მომენტი ვიფიქრე, – ჩემი ხომ არ არის-მეთქი, – მის გვერდით დავდექი და ხალხს დავაკვირდი. მოსკოვის ტრანსფორმაციაში დარწმუნებულმა გაოცებით აღვნიშნე, რომ „კურიერის“ ეზოს მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, 80-იანების შემდეგ აქ ბევრი არც არაფერი შეცვლილა. ვიდექი და თინეიჯერებს ვუყურებდი, როცა უცებ ვილაცამ გამწია, მაცივრის კარი გამოაღო და ცივი ლუდი ამოიღო. მერე მეორე მხრიდან სხვამ გამწია უხეშად და იმანაც ლუდი აიღო. ხალხი, ორ-ორი, სამ-სამკაციანი ჯგუფებით ელაპარაკებოდა ერთმანეთს. იდგა საშინელი აურზაური, ისმოდა მაგარი ბრეიქ-დანსის მუსიკა, წკრილებდა ლუდის ბოთლები და განუწყვეტლივ აჯახუნებდნენ ძველი მაცივრის კარს.

გამახსენდა, რომ სიმპოზიუმის Power Point-ის პრეზენტაციისთვის უნდა გადამეხედა და ნომერში ავბრუნდი. აბაზანის წყალი იდეალურ ტემპერატურამდე გაგრილებულიყო და მასში ჩანოლისას ვფიქრობდი, რომ რაც იმ წუთას ეზოში ვნახე, ალბათ არ იყო სპეციალურად დადგმული, მაგრამ ერთი-ერთზე ჰგავდა „კურიერის“ ფინალურ სცენას, მნიშვნელოვანი დეტალის გარდა – ეზოში არ შემიმჩნევია დემობილიზებული, სასონარკვეთილი ჯარისკაცი, რომლის სახეც ბოლო რამაა, რასაც ამ ფილმში ტიტრების წამოსვლამდე ხედავ.



ფოტო: ნათია ბაქრაძე

ტენდენციური ბიძების ატლუმი

ავტორი: ბასა ჯანიკაშვილი

*ნულარ უყურებ ქვრს,
თუ არ უშველი თავს,
არავინ გაგიღებს კარს.
ირაკლი ჩარკვიანი*

რა განსხვავებაა ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის? ირანში აკრძალულია აზარტული თამაშები – უბრალო სათამაშო კარტსაც ვერ იყიდი. საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე სათამაშო ავტომატები და სამორინეებია. ირანში მანდილოსნები ხიჯაბს, ანუ თავსაფარს ატარებენ, საქართველოში ქალბატონებს ნახევრად ჩაცმულებს შეუძლიათ სიარული, თუ, რა თქმა უნდა, ფიგურა ამის საშუალებას მისცემს. ირანში მისალმებისას ქალს ხელს ვერ ჩამოართმევ, აკრძალულია. საქართველოში შეგიძლია, შუა რუსთაველზე წელში შეუფარდე. თეირანში, ირანის ამჟამინდელ დედაქალაქში, შესამჩნევად ცოტა მეჩეთია. თბილისში კი, საქართველოს დედაქალაქში, საგრძობლად ბევრი ეკლესიაა. ეს ჩამონათვალი უსასრულოდ შეგვიძლია გავენლოთ. განსხვავება მართლაც ბევრია.

უკვე მერამდენე არჩევნებია, არაერთი პოლიტიკური პარტიის სარეკლამო კლიპში პატრიარქის სახელის გამოყენება მიდის. მე ამას სპეკულაციას დავარქმევდი, უფრო რბილად თუ ვიტყვით – მანიპულაციას. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩატარებული საარჩევნო კამპანიების ანალიზმა მაფიქრებინა, რომ ეს უკვე შეუქცევადი პროცესია. ეს შემთხვევითი არ არის. პოლიტიკოსები თვლიან, რადგან საქართველოს პატრიარქი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს, უწმინდესის რეიტინგის რაღაც პროცენტების მაღლი მათაც შეხვდებათ. ეს ასე იქნებოდა, რომ არა – ერთი დეტალი. როდესაც პატრიარქის სახელს ბევრი პოლიტიკური სუბიექტი ერთდროულად იყენებს, ხდება თავად პროცესის დეველვაცია; არა პატრიარქის სახელისა და ავტორიტეტის, არამედ პროცესის გაუფასურება. შედეგად, პატრიარქის სახელის გამოყენებით ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ აღწევს სასურველ შედეგს. პოლიტიკური წარმატებისთვის ეს აღარ კმარა.

თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში, შესაძლოა, სა-

ქართველოს პატრიარქი რომელიმე ფირმის აბრაზეც ვიხილოთ. მაგალითად: დალიეთ თბილისის წყალი, ამ წყალს პატრიარქი სვამს; ან კიდევ: ჩაერთეთ ჩვენს ქსელში და დაურეკეთ თქვენს მოძღვარს ყველაზე დაბალი ტარიფით. შესაძლოა პატრიარქის და საპატრიარქოს არაპირდაპირი რეკლამაც. მაგალითად, აი, ასე: მოზრდნდით კაზინო „ბედისწერაში“, მოიგეთ მილიონი და მოგების ათი პროცენტი საპატრიარქოში გადარიცხეთ. რა, ძალიან არარეალურს ვნერ? საკმარისია რომელიმე „მორწმუნე“ ბიზნესმენმა გარისკოს, პირველმა გადადგას ნაბიჯი და შემდეგ ასეთი სახის რეკლამები წალეკავს ტელევიზიებსა და რადიოს, პრესასა და ინტერნეტს, ქუჩასა და სადარბაზოებს.

შედეგად რას მივიღებთ? ფარისევლობას და არა – რწმენას, სიყალბეს და არა – სიმართლეს.

და იცით რა? ეს რომ მხოლოდ არასწორი სარეკლამო სტრატეგიის თემა იყოს, ყურადღებას საერთოდ არ გავამახვილებდი. მე უფრო საშიშ ტენდენციას ვხედავ. ეს არის ქვეყნის „გამართლმადიდებლების“ არასწორი ფორმა.

ნიგნის პრეზენტაციის ვითომ ჩაშლა, ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ჩხუბი, არაფრისმთქმელი ინტერნეტ კლუბი „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი“, და პირიქით – ფსევდოალტერნატიული კლიბი პატრიარქის „მონაწილეობით“. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მედია (ყველა სახის) მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რაც შეიძლება მეტად დაამახინჯოს ისედაც ლამაზი სულიები. ნუთუ, ისეთი უსუსური საზოგადოება, რომ სულიერ შიმშილს ამ ლუკმით ივსებს?

ჩვენ რეალური პრობლემები გვაქვს და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. უნდა ვალიაოთ, რომ ქართველები ერთმანეთს ვერ ვიტანთ. ჩვენ გვიყვარს მხოლოდ სიმღერა და გალობა მრავალხმიანი. ერთმანეთი გვეზიზღება და ერთი სული გვაქვს, რომ ჩავექოლოთ, შეურაცხყოფა მივაყენოთ, დავჩაგრეთ. ჩვენ გული გვერევა ერთმანეთზე კაფეებსა და რესტორნებში, სკოლებსა და ბალებში, ინსტიტუტებსა და კოლეჯებში, ქორწილებსა და წვეულებებში, სამსახურებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, ქუჩასა და ტრანსპორტში, ტელეშოუებსა და პრესის ფურცლებზე. ჩვენს სახეზე მხოლოდ ზიზღია. უსულდგამულო ზიზღი. მაგრამ, ეს ნახევარი „ბედნიერებაა“. იმიტომ, რომ ერთმანეთზე მეტად ჩვენ გვეზიზღება აფხაზები, ოსები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები და ქურთები. ნუ ვმაღავთ, ხმამაღლა ვთქვათ ეს! გული გვერევა ცისფერებზე და ვარდისფერებზე, შავებზე და ყვითლებზე. ჩვენ გვეზიზღება პრეზიდენტი და პარლამენტი, ოპოზიცია და რადიკალური ოპოზიცია, „რუსთავი 2“ და „იმედი“, „მაცსტრო“ და „კავკასია“. ჩვენი ნება რომ იყოს, მხოლოდ ნათესავების მცირე ჯგუფს და საძმკაცოს დავტოვებდით ცოცხლად. ჩვენი ნება რომ იყოს, რამდენ რამეს დავუშავებდით საკუთარ თავს... ჩვენ ვიღვიძებთ გულის რევით და ვიძინებთ საკუთარ წარწყვში. ვალიაოთ ეს და გავთავისუფლებდით.

ჩვენ ვნახეთ, რომ ახალი რეჟიმის მოსვლის შემდეგ დემოკრატიის ხარისხმა იკლო. ორიათას სამში ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ასე, ერთი ხელის მოსმით დამთავრდებოდა თავისუფალი ტელეკომპანიების არსებობა. როდესაც დღეს გვაყვედრიან, რომ რამდენიმე ტელევიზია, რადიო და უამრავი დამოუკიდებელი გაზეთი არსებობს, ავინყდებათ, რომ ჩვენ ეს ბრძოლით მოვიპოვეთ და შევიწარმინეთ. რომ არ გვებრძოლა, დღეს არც ერთი

არ გვექნებოდა. ვიქნებოდით ჩვენი ბევრი მეზობელი ქვეყნის დარად.

თავისუფალი პრესა ასე თუ ისე დავიცავით, მაგრამ ახლა ჩვენი სულის დაცვის დროა.

ამიტომ მოგვინევს ბრძოლა თავისუფლებისათვის. ჩვენდა უნებურად, იმ მდინარეში შევდივართ, რომელიც გადალახული გვეგონა. ბრძოლა უცოდინარობის, აგრესიის, ფსევდომართლმადიდებლობის კონიუნქტურასთან, მოგვინევს ახალი ფრონტის ხაზის გახსნა. იმ ხაზის, რომელიც გვეგონა, რომ აღარ არსებობს. მოგვინევს ფსევდოლიბერალებთან ბრძოლა, ჩუმად რომ ისხდნენ, როდესაც ორიათას ცხრა წლის აპრილში ხელკეტებით დასდევდნენ, სცემდნენ და ეროვნულ მომიტინგეებს (აღარაფერს ვამბობ სხვა თარიღებზე). მოგვინევს ფსევდომართლმადიდებლების აგრესიის და ძალით ლიბერალების პასიურობის

წინააღმდეგ გალაშქრება. როდესაც პირველი მეორენის საქმით არიან დაკავებულნი და მეორენი – პირველნის. მართლაც, თავდაყირა დგას საქართველოში ყველაფერი. „მართლმადიდებლები“ იბრძვიან და „ლიბერალები“ ლოცულობენ.

თუ თავისუფლად აზროვნება გვინდა, ჩვენი შვილების ლალი მომავალი, თუ გვინდა გვექონდეს არჩევანის უფლება – იცოდეთ, რომ ეს თავისით არ მოდის. წელს ეს დასაცავია, მომავალში, შესაძლოა, თავიდან იყოს მოსაპოვებელი.

მაგრამ, რით ჰგავს ირანი და საქართველო ერთმანეთს – პირველ რიგში, ისტორიის სათუთი და გადამეტებული სიყვარულით, ეროვნული ღირსების უპირატესობით, რასის პრიორიტეტულობის განცდით, სახელისუფლო რეჟიმით, ოპოზიციური გამოსვლებით, რეფორმების სურვილით, და რაც მთავარია – ირანელებიც და ქართველებიც ცვლილებების მოლოდინში არიან.



ლოკალურის ქაღალდი

ავტორი: პაატა შამუგია

ბეზუნოსები ცხოველს რომ მოკლავდნენ, მერე ბოდიშს უხდიდნენ. ეს მნიშვნელოვანი რიტუალი იყო, რომელიც ისეთივე მონდომებით ხორციელდებოდა, როგორც თავად ნადირობა. დარწმუნებული ვარ, ცხოველისთვის ვერაფერი შეება იქნებოდა, სამაგიეროდ, ბეზუნოსებისთვის ეს აქტი ერთგვარი კათარზისი იყო, აგრესიის მაკომპენსირებელი, დანაშაულის გამოსყიდვის საკრალური მომენტი, რომელიც მითოლოგიური აკრიბით გაამაგრეს.

აქეთ თუ არა მორალის აგრესიულ გუშაგებს მსგავსი რიტუალი, როდესაც დანაშაულის გაცნობიერების მომენტი დგება? იქნებ ეს მომენტი არც დგება? ვინ არიან ისინი? პასიური მრეველი, რომელიც მხოლოდ ლიდერის თითის დაქვევებაზე აქტიურდება და ხალხს ფიზიკურად უსწორდება? რიტორიკული კითხვებია. თითქმის.

უხამსობაა, იყო პასიური, პიროვნული იდენტობის გაუცნობიერებლად ემსახურებოდე კვლავწარმოებას, გენოფონდის ჭირვეულ კონსტიტუციას, ხედავდე პოლიტიკორექტულ სიზმრებს, ათვალე რეალობას სპეციალურად შენთვის გამოყოფილი ჭუჭრუტანიდან, საიდანაც მოჩანს მორფოლოგიური კენტავრი: მედია-მრეველი. და იყო კმაყოფილი.

არ ვაპირებ კულტუროლოგიური დისკურსების გავიღებო

და დასკვნების ჩამოყრას, ამისათვის ზედმეტად თავმდაბალი ვარ; იმდენად თავმდაბალი, რომ მიწისტრის შვილიც კი არ ვარ. შესაბამისად, ჩემი ყოველდღიური ტრანსპორტი ყვითელი, კარგა ხნის წინ ჩამოსანური ავტობუსია, საიდანაც უკეთ მოჩანს საქართველო, ქართველი საზოგადოება. მგზავრული თემების მრავალფეროვან და ფაქტობრივად უსასრულო ციკლს ამ დღეებში ილიას უნივერსიტეტის თემა შეემატა. „საიდუმლო სირობის“ გამოქვეყნების შემდეგ ილიას უნივერსიტეტი რამდენიმე დღის ტალღაში მოჰყვა. მართალია, აქციები და მიტინგები საქართველოში ვის უკვირს, მაგრამ იყო აქ რალაც სხვა, რალაც თავისებური და ძალიან, ძალიან ნიშანდობლივი:

ერთ მხარეს იდგნენ ანონიმური ღმერთების გუშაგები, მონიტორინგო რელიქტები, საკუთარ ჰორმონებზე ამხედრებული გრაალის მცველები, რომლებიც მუშტით ავრცელებდნენ „რწმენას“, „ზნეობას“, და მეორე მხარეს – ცენზურის მონინააღმდეგე, დაქსაქსული ლიბერალები, რომლებიც ეს-ესაა, მემარცხენე და მემარჯვენე დისკურსებზე კამათობდნენ და ჯერ კარგად ვერც გამოერკვიათ, როგორ უნდა დაეცვათ თავი „წმინდა ნიხლისგან“.

რომ არა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში შევარდნა და ურუნალისტებისა და სტუმრების წინააღმდეგ სასტიკი ანგარიშსწორება, ალბათ, ეს დარბევაც შერჩებოდა მმკ-ს, როგორც „პელოუინი“ შერჩა, ზაუტაშვილის გამოფენის დარბევა შერჩა, „დიდი ათეულის“ დახურვა შერჩა და ა.შ. ამ დროისთვის დაკავებულია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ რამდენიმე აქტივისტი. ხელმძღვანელები გარეთ არიან.

შუა საუკუნეების ინგლისში სამეფო კარზე ჰყავდათ პაყები, რომლებიც საერთოდ არაფერს აკეთებდნენ. თუმცა, დიდ როლს თამაშობდნენ მომავალი მონარქის აღზრდაში. ერთი სიტყვით, ესენი იყვნენ პატარა ბიჭები, რომელთაც ტაკუნებს წკეპლით უსისხლიანებდნენ, როცა ტახტის მემკვიდრე ცუდად იქცეოდა.

იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ისევ „პაყებს“ ხომ არ ვცემთ, „მემკვიდრის“ ნაცვლად? ცხადია, მოძალადე აქტივისტების დაკავება სამართლებრივად ადეკვატური იყო, მაგრამ მათი წვერუხვი თუ „ჯერო უწვერული“ ბოსები (ისაკაძე-გულაშვი-

კომენტარი

ლი) პასუხისმგებლობას თუ არა, დაკითხვაზე გამოძახებას მაინც არ „იმსახურებდნენ“? ეს ის კითხვაა, რომელიც გაჩნდა საზოგადოების მცირე წრეში და არ განეხილა ჩემი ავტობიოგრაფიული თანამგზავრების ტვინში, რომელთაც შესაშური გულმოდგინებით განვერცოთ „საიდუმლო სირობის“ თემა და ახლა უკვე მასონებზე გადასულიყვნენ. ეს კი ის თემაა, რომლითაც ქართული მორალი საკუთარ მონოლითურობას ტესტავს, აქ ყველა ერთიანია. მართალია, მთლად კარგად არაა ცნობილი, ვინ არიან მასონები, მაგრამ ეს, ცხადია, უმნიშვნელოა.

მორალის ქარხანა გაუჩრებლად მუშაობს, პერმანენტულად გვანდის უკანასკნელი მოდელის ტაბუებს, სრულიად ახალს, სრულიად ეჭვმიუტანელს და, შესაბამისად, სრულიად გაუგებარს. რაც მთავარია, თინეიჯერების (მართალია, მცირე, მაგრამ მაინც) ნაწილიც ჩათრულ იქნა ამ აბსურდში და მთელი ეს „სამომხმარებლო პედოფილია“ რელიგიურ სწავლებად მოი-

სწორილი ქართული ტოლერანტობის შესახებ ჩემი ჯერ კიდევ შემორჩენილი მითი ნელ-ნელა ორთქლდება. ბოლო დროის ბატალიების სამოყვარულო ანალიზიც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ჩვენთვის მუშტის ენა სოციალური ინტერაქციის ყველაზე მშობლიური ვარიანტია. დიალოგი რა, ველური დასავლელები ხომ არ ვართ?

ნათლა. ტოტალური შიშის კულტივირებით შეიქმნა მორჩილი და თავისდამქნევი მრევლის სახე, რომელსაც არ უჩნდება კითხვები... იმიტომ, რომ ამ კითხვებზე პასუხები უკვე განუსაზღვრეს „მამაოებმა“.

მე არ მინდა, ვისაუბრო რელიგიაზე, როგორც კოლექტიურ ნევროზზე არა იმიტომ, რომ ეს ასე არაა, უბრალოდ, აქ რელიგიის სახით მოგვევლინა სრულიად სხვა მოვლენა. აი ისეთი, სახელის დარქმევაც რომ ჭირს და ზოგადი აღწერილობით ცდილობს, ძირითადი არსი გამოკვეთოს, როგორც გამოცდაზე გასულმა აბიტურიენტმა. რელიგია კი ის უკანასკნელი ნილაბი აღმოჩნდა, რომლის ჩამოხსნის მერე შიშველი ტერორიზმი დავინახეთ თავისი სპეციფიკური სიმბოლიკებითა და დამთრგუნველი პათეტიკით. მიუხედავად ამისა, ერთბაშად შეუძლებელიც კია, ეს ექსტრემისტული ჯგუფები რამე კონკრეტულ სუბკულტურას მიაკუთვნო.

ცნობილია, რომ თვით ალკოჰოლურ ჰალუცინაციებშიც ვლინდება სოციალურ-კულტურული ფაქტორი. მაგ: ქრისტიან ალკოჰოლიკებს ეშმაკი ელანდებათ, ბუდისტებს დრაკონი, მუსლიმებს ჯინი და ა.შ.

რა ელანდებათ მშკ-ს და სმმ-ს ბრიგადებს, როცა ისინი რელიგიური ეგზალტაციის ქვეშ მყოფნი თავ-პირს აღწნავენ ადამიანებს? ვინ მიუძღვით წინ ფსევდო რწმენითი თრობისას? რატომ ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტების პრიორიტეტები დასაკუთრებული აქვთ და მხოლოდ მათი გავლით ხდება სალი აზრის

წვდომა? აღარაფერს ვამბობ სოციალურ ქსელებში გულაშვილის აქტივისტების მიერ გავრცელებულ აზრებზე, სადაც საუბარია „ქართველების მიერ სხვა ერებზე ჰეგემონიაზე“, „მათი შვილების სხვის შვილებზე ბატონობის“ იდეასა და „მართლმადიდებელთა შეიარაღებული არმიის“ შექმნაზე.

როგორც ჩანს, ეს სუბკულტურა ჯერ კიდევ შემოქმედებითი და მეთოდოლოგიური ძიების პროცესშია და საბოლოო სულიერი მისია შესაძლოა, ქართული Mein Kampf-ის დაწერით გამოხატოს.

ავტობიოგრაფიული გმირთა მოედანზე უხვევს. ვცდილობ, თვალში არ შევეჩხირო მკაცრ მორალისტებს, რომლებმაც უკვე ვერბალური ჯვარცმა მოუწყვეს დეისაძეს, გიგი თევზაძეს (ეს კაცი რა შუაშია, კაცმა არ იცის), გადასწვდნენ „პიდარასტ“ ბურჭულაძეს. ცოტა არ იყოს, ვმფობთავ, ემანდ ჩემი რამდენიმე წლის წინ „მიქარული“ რომ გაახსენდეს ვინმეს, როგორ გინდა, დაუძვრე ამ ჭყლეტაში?

ცნობილი ქართული ტოლერანტობის შესახებ ჩემშიც ჯერ კიდევ შემორჩენილი მითი ნელ-ნელა ორთქლდება. ბოლო დროის ბატალიების სამოყვარულო ანალიზიც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ჩვენთვის მუშტის ენა სოციალური ინტერაქციის ყველაზე მშობლიური ვარიანტია. დიალოგი რა, ველური დასავლელები ხომ არ ვართ?

აქვე ვიტყვი, რომ ნებისმიერი კულტურული აქტივობა ძალადობრივია და ამავდროულად უგნებელი, როგორც მკვდარი მონში, როგორც უშნო შედარება (თუნდაც, ისეთივე უშნო, როგორც ეს შედარება).

დეისაძის წიგნი (ისევე, როგორც ნებისმიერი (კონტრ)კულტურული ფაქტი, პროცესი, არტეფაქტი) პოზიტიური ძალადობა იყო, მაგრამ ის ასცდა (კონტრ)კულტურის კონტექსტს (შეიძლება, თავიდანვე ასე იყო ჩავიქრებული ავტორის ან გამომცემლის მიერ) და სოციალურ პროდუქტად იქცა, შესაბამისად, დეერაცია მიძიმე ფორმებში განვითარდა და ავტორის სავარაუდო სურვილი, ლიტერატურული ფლანგიდან მოეხდინა კონკრეტული მდგომარეობის დარეფრეშება, ლამის სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

და მაინც, მეორე მხარის რიტორიკა ურყევია: გვაქვს 365 წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ყველა უბანში 90-იანი წლების „ბუტკებივით“ გახსნილი ტაძრები, მოსახვევებში დამონტაჟებული ათასობით განათებული ჯვარი, ერთ მოქალაქეზე საშუალოდ სამი მღვდელი და შვიდი სტიქაროსანი მოდის, მილიონობით მრევლი...

მავანი ციმერმანი ამაზე იტყოდა, რომ ესაა „ეგოს ფხანა ციფრებით“. და პატიოსანი კაცი დაეთანხმებოდა ციმერმანს.

P.S. ავტობიოგრაფიული პეკინზე, რესტორან „ნიკალასთან“ საცობში იჭედება, მგზავრები ფუთფუთებენ, ჩემ გარშემო ქალები წყევლიან „დარსავაძეს“ (სინამდვილეში – დეისაძეს), კაცები იმუქრებიან და ევფემისტურად ციტირებენ ტელევიზორში ყურმოკრულ ფრაზებს „საიდუმლო სირობიდან“. შუახნის მამრი თემას ავრცობს და დეისაძესთან ერთად „წმინდანების მაგინებელ“ ბულაძესაც გაჰკრავს კბილს.

მე თავს ვხრი და ჩანთაში რაც შეიძლება ღრმად ვჭურთავ „ლიტერატურულ ექსპრესს“.



ფინალური მწუხრი

ავტორი: სანდრო ნავერიანი

კვანტურ ფიზიკაში უნივერსიადის ფინალი რო იყოს, დაჯდები და უყურებ. აი ეგეთი ინტრიგა რამეა ფინალი. იმ დღეს „ნიჭიერის“ ფინალი იყო. უკვე კაი ხნის წინ. პოდა ვუყურე. ერთი მონაწილე განსაკუთრებით მომეწონა – ილუზიონისტი იყო და ნაღდად საკაიფო შოუს აკეთებდა. ჩემზე რო ყოფილიყო მაგას გადავცემდი თასს. მაგრამ სულ სხვამ მოიგო იმიტომ, რომ ჩემზე არ იყო.

სულ თავიდან, პროექტი „ნიჭიერი“ რო დაიწყო, პირველი აღმოჩენა გულნაზ გოლეტიანი გახდა. youtube-ზე მისი ვიდეო ეგრევე სუზან ბოილის ვიდეოსთან დაილინკა. კამერების წინ ჟიურის ნევრებიც ალაპარაკდნენ ტალანტ ქალბატონზე. სიმღერა, რომელიც იმღერა და ხმა, რომლითაც იმღერა, ძალიან სევდიანია და ვილაც-ვილაცებს ალბათ შიგ გულის გულში მოხვდა. გულნაზ გოლეტიანის გამოსვლამდე მაყურებელს გვაჩვენეს მასზე მომზადებული პრომო, რომლის სათაურიც, ალბათ, ასეთი იქნებოდა: „თუ როგორ შეიცვალა გულნაზ გოლეტიანის ცხოვრება მას შემდეგ, რაც „ნიჭიერში“ იმღერა“. მისი ცხოვრება კი ცოტა ხნით მართლა შეიცვალა, ის მიიწვიეს ტელევიზიებსა და რადიოებში, ატრიალებდნენ მის ნამღერს და ჟურნალ-გაზეთებმა მასზე სტატიები დაბეჭდეს. მის შესახებ „ნიჭიერის“ ყველაზე ზარმაც მაყურებელსაც კი სმენოდა რამე. პრომოს ვერბალური მხარე აშკარად დადებითი იყო, მაგრამ პრომოს ყურებისას მე მაინც თანავუგრძნობდი ამ ადამიანს და როცა დავფიქრდი თუ რატომ, სწორად მაშინ მივაქციე ყურადღება ბრუტალურ კადრებს და მუსიკას, რომელიც ფონად გასდევდა გულნაზ გოლეტიანის სინქროს.

პრომო დაიწყო კადრით თუ როგორ ამუშავებს გულნაზ გოლეტიანი თოხით მიწას და როგორ რეცხავს სარეცხს დიასახლისისთვის აუტანელ პირობებში – გარეთ, ყინვაში და ცივ წყალში. ამის შემდეგ კი გვაჩვენეს ის რადიოს და ტელევიზიის სტუდიაში, რამპები და ჩირაღდნები, ჟურნალ-გაზეთების ყდებზე, აქ, იქ, რამე და რუმე. პროდიუსერები/რეჟისორები მეუბნებოდნენ, ნახე, რა ვუქენით, სად იყო და ახლა სად არის?! რა იყო და ახლა რა არის?! გამოვიყვანეთ, ტუსოვკა, აქეთ, იქით, გავასტარეთ, ცხოვრება ვანახეთ.

ეს იყო პროვინციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოვლენა, რაც კი ცხოვრებაში მინახავს.

საკმაოდ ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რით ჯობია ჟურნალ „გზის“ ყდაზე გამოჭიმვა, ვთქვათ, მეცხვარეობას? ან რომელიმე, თბილისურ ტუსოვკაში ერთი (თუნდაც ასი) ლამით გარევა რომელიმე სოფლის კოლორიტობას? რით ჯობია ის ცხოვრება, რითიც რამდენიმე დღე იცხოვრა გულნაზ გოლეტიანმა იმ ცხოვრებას, რომელშიც მთელი წარსული გაატარა? რომელმაც მისცა მას შვილები, ოჯახი, საკუთარი სახლი, მიწა და აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს. შეიძლება, გულნაზ გოლეტიანს მართლაც ურჩევნია ისე გაეტარებინა მთელი ცხოვრება როგორც ბოლო რამდენიმე კვირა ცხოვრობდა, შეიძლება არც ურჩევნია, მაგრამ ეს მან უნდა თქვას, მან უნდა გადაუსვას ხაზი თუ გადასასმელია და არა იმან ვინც მხოლოდ შოუს აკეთებს, მის წარმატებაზე ფიქრობს და ამ ფიქრში სრულიად ვერ ამჩნევს ან ამჩნევს და არ იმჩნევს, რომ საშინელ შეურაცხყოფას აყენებს ადამიანს და მთელ მის ცხოვრებას.

რატომ, საიდან აქვთ მენტორული ტონი, სად და როდის გადაწყდა, რომ თბილისი და თბილისური ჟურნალები განსაზღვრავს კაი ტიპობას?

თუმცა, როგორ გრძნობებსაც არ უნდა ინვევდეს ჩვენში მსგავსი კადრები, ეს შოუს წარმატების ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი გარანტია.

ჩვენ არ მოგვწონს ის, ვინც ჩვენზე უკეთესია და გვეჯობია. უფრო კონკრეტულად კი, ჩვენ არ დავრეკავთ და ხმას არ მივცემთ მას, ვინც არ შეგვეცოდება. ამ შოუში პრომოს მიზანიც ის იყო, რომ მაქსიმალურად შეგვეცოდებოდა გმირი; რომ ჩვენ მას თანავუგრძნოთ და ხმა მივცეთ, შოუს კი – რეიტინგი და შემოსავალი. ალბათ, ამას მეც ვგრძნობ, სხვა შემთხვევაში მე ამის შესახებ არაფერი მეცოდინებოდა – არ ვარ ის ტიპი, რო ჩაფუჯდე და ვიფიქრო რატომ მოხდა ასე.

„ნიჭიერის“ ფინალი თითქმის ერთი თვის წინ იყო და აბა გაიხსენეთ, ბოლოს როდის და სად ნახეთ გულნაზ გოლეტიანი? ადამიანი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ სუზან ბოილს ადარებდნენ, შოტლანდიელ მომღერალს, რომელიც მსოფლიომ სწორედ მსგავსი პროექტიდან გაიცნო. ადამიანი, რომელმაც ათიათასობით დისკი გაყიდა და რომლის მიმართ ინტერესი დღემდე არ გამქრალა მედიაში. შეიძლება ის აღარ არის პოპულარობის ზენიტში, მაგრამ მისით დღემდე ინტერესდება ამა თუ იმ პროვინციის გაზეთი ან საკაბელო ტელევიზია. მასთან ურთიერთობა დღემდე აქვთ ხმის ჩამწერ სტუდიებს და ათასგვარ პროექტში მონაწილეობას სთავაზობენ. სუზან ბოილი, მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა, გადაიღეს რამდენიმე სარეკლამო რგოლში, მოხვდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმში... და სად არის გულნაზ გოლეტიანი? რა თქმა უნდა, ცოტა გულუბრყვილო შედარებაა, რადგან საქართველოს გაბარიტები ვერ შეედრება ბრიტანეთისას, საიდანაც ყველა სახის პროდუქტი კიდევ უფრო დიდი გაბარიტების მქონე ამერიკაში ხვდება, სწორად მასშტაბებზე მაქვს საუბარი – ქართული მასშტაბითაც კი გულნაზ გოლეტიანის ნამდვილი ცხოვრება დღეს არავის არ აინტერესებს. ყველაზე დიდ იგნორირებას კი ის ტელევიზია იჩენს, რომელმაც ასე ლამაზად გაგვაცნო ეს ადამიანი.

ერთი საათი თბილისისთვის

ანუ მოსკოვური ხელშეწყობა, რომელიც არ იყიდება

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: გურამ ნიზანაშვილი





– რა ღირს ეს ძალი?
 – ერთი მანეთი, მაგრამ არ იყიდება.
მოსკოვი-თბილისის მატარებლის დერეფანი. 1990 წლის ზაფხული.

ეს უმნიშვნელო დიალოგი უზუსტესი განსაზღვრებაა ჩვენი დღევანდელი ისტორიის ერთ-ერთი გმირის, მოსკოველი არტისტის, პეტლიურას და მისი ხელოვნების ხასიათის გასაგებად. მისი ხელოვნებაც 1 მანეთი ღირს, მაგრამ ვერ იყიდი.

მისი ნამდვილი სახელი და გვარი ალექსანდრ ლიაშენკოა. 80-იანი წლების ბოლოს პეტლიურამ მიტოვებული სამსართულიანი სახლი იპოვა მოსკოვის ცენტრში, პეტროვსკი ბულვარზე. იქ ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ხმაურიანი არტ-კომუნა გაიხსნა. მხატვრებით დასახლებულ ასეთ შენობებს, რომლებიც მსოფლიოს ბევრ დიდ ქალაქში შეიძლება შეგვხვდეს, სკვოტს ეძახიან და ის ანდერგრაუნდის არტიტებისა თუ მუსიკოსების მყუდრო

სახელოსნოებია ხოლმე. არტისტული თავშეყრის მსგავსი გახმაურებული ადგილები არსებობდა ლენინგრადსა თუ ბერლინში, ანდა უილიამსბურგში, ნიუ-იორკში, მაგრამ პეტლიურას შემთხვევაში ეს ნამდვილი არტ-კომუნა იყო, ენდი უორჰოლის ფაბრიკის მსგავსი, მუდმივი პერფორმანსის და დღესასწაულის ადგილი, სადაც ხელოვნება, დასვენება, კონცერტი, კინო, ინსტალაცია, პოეზია, გულითადი საუბარი, მოდის ჩვენება, იაფი სადილი თუ ბაღში გასეირნება ერთი მთლიანი პროცესის სხვადასხვა ფრაგმენტად ჩანდა.

ამ უზარმაზარ სახლში ინახავდა პეტლიურა თავის კოლექციას – მივინყებულ საბჭოთა საყოფაცხოვრებო ატრიბუტიკასა და არტეფაქტებს – 20-30-იანი წლების ქალის გარდერობს, ქუდეებს და ფეხსაცმელს, სხვა ეპოქალურ ეფემერას, როგორცაა ბელადთა და კოლმეურნეთა კიტჩური ბიუსტები, სიგელები, ვიძულები

და სხვა სოციალისტური სუვენირები, საავადმყოფოების გადაყრილი ქირურგიული ინსტრუმენტები და სინჯარები, რომელთაც უცნობ ადამიანთა ტრაგიკული ბიოგრაფია დამჩნევდა. აქ თითქმის ყოველდღე გადასაღებად მოდიოდნენ უცხოელი ჟურნალისტები და ფოტოგრაფები, საღამოობით თავს იყრიდნენ მოსკოველი არტისტები, პოეტები, ხელოვნებათმცოდნეები, მოდელები და სუბკულტურის ბევრი ინკოგნიტო წარმომადგენელი, ვისაც ეს ყველაფერი უყვარდა, მაგრამ ავანსცენაზე გამოსვლის ამბიცია არ ამოძრავებდა. მალე პეტლიურას სახლში თავისუფალი აკადემია დაარსდა – ასე დაარქვეს იდეების წარმოშობის უკვე სახელგანთქმულ კერას მოსკოვში. იქ აჩვენებდნენ საკუთარ კინონამუშევრებს, აწყობდნენ პოეტურ და მოდის პერფორმანსებს, დადიოდნენ საგასტროლოდ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, მიჰქონდათ მოსკოვის დინამიკური ენერჯია, ხოლო იქიდან ახალი



©1998. V-VI.

არტეფაქტების კოლექციით ბრუნდებოდნენ.

1990 წლის ზაფხულში პეტლიურასთან ერთად მოსკოვი-თბილისის მატარებლით ვიმგზავრე. მესამე მგზავრიც გვახლდა, სახელად პეტლიკა, გერმანული ნაგაზის ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ხალისიანი ლეკვი. ჩვენთან ერთად თბილისში საგასტროლოდ სხვა მოსკოველი არაფორმალ არტისტებიც გამოემგზავრნენ – საშა ლუგინი, კატია რიჟიკოვა, ლენა და მაქსი, მაგრამ ამ ჯგუფმა მარშრუტი შეცვალა და ბაქოს გავლით წამოვიდა. არ ვიცი, რატომ გავიყავით ორად კურსკის სადგურზე, მოსკოვში. მგონი, მათ ბაქოს ნახვაც აინტერესებდათ, ხოლო პეტლიურას დასვენება და საკუთარი არტისტული იდეაზე საფიქრელად ერჩინა განმარტოება.

გამოვიარეთ რუსეთის გაშლილი დაბლობები და როდესაც მთები გამოჩნდა და მატარებელი უკვე საქართველოში შემოვიდა, მივხვდით, რომ

უკვე სხვა სიხშირის ველში ვიმყოფებით – არა მხოლოდ მუზეუმივით განლაგებულ ისტორიულ ძეგლებს შორის, სადაც ტრადიციები ლამის სურათებით ჰკიდია გარშემო, არამედ სადაც სხვაგან, სადაც კულტურა ჯერ კიდევ არ გულისხმობს უსასყიდლო და უანგარო თავისუფლებას. ალბათ ამიტომაც, გორთან ახლოს ვიღაც კაცი უხეშად შეეკითხა პეტლიურას, – რა ღირს ეს ძაღლიო, – თითქოს ეს რაღაც საგანი ყოფილიყო, ბაზრობაზე გასაყიდად გამოტანილი. პეტლიურამაც მოკლედ და სრულიად უცერემონიოდ უპასუხა, – ერთი მანეთი, მაგრამ არ იყიდება.

მე მინდა, რომ ქართველ არტისტთან ერთად გავაკეთო პერფორმანსი თბილისში. მაგრამ რა გავაკეთოთ? – მეკითხება მატარებელში პეტლიურა. ის ამბობს, რომ ჯაშუშების თემა შეიძლება აირჩიონ. ნიკო ცეცხლაძესთან ფიქრობს პერფორმანსის გაკეთებას, ან მამუკა ჯაფარიძესთან. ბოლოს ისევ ნიკო ცეცხლაძეზე ჩერდება. მე

ვთავაზობ ძეხვის დასაკუთრებისთვის ჩხუბს – მარტივია და პირდაპირი. ვიცი, რომ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის, მაგრამ არ მინდოდა ამაზე მეტი მეტყვა – აქ ისაა ავტორი, მე კი, პრინციპში, მისგან ვსწავლობ. პეტლიურას თავისუფალ აკადემიაში მართლაც ვსწავლობდი. ვსწავლობდი ამ უზარმაზარ, არცთუ იოლი ენერგეტიკის არტეფაქტებით მოფენილ შენობაში თუნდაც მარტო დარჩენას, დღეების განმავლობაში. როდესაც მთელი ჯგუფი რუსეთის რომელიმე ქალაქში იყო გასტროლებზე, მე კი ერთ-ერთ ოთახში დასახლებული მოსკოვერი ყვავის მოვლა და მისთვის სადილის მიტანა მევალეობდა.

დაახლოებით 1990 წლიდან გაჩნდა პეტლიურას ცხოვრებაში ბრონისლავა ანატოლიევნა დუბნერი, მოკლედ კი პანი ბრონია – მოხუცი, უმწეო მოსკოველი ქალბატონი საკუთარ ასეთივე მეუღლესთან ერთად. ისინი ახალ მოსკოვში უკვე აღარავის სჭირ-



დებოდა. პეტლიურამ არა მხოლოდ მათი მეურვეობა ითავა, არამედ პანი ბრონია ჩვენებებსა და გადაღებებზეც თავის მთავარ მოდელად და აქტრისად აქცია. გასტროლებზეც ერთად მიდიოდნენ ევროპის სხვადასხვა ქალაქში. პანი ბრონიამ სრულიად ახალი, არტისტული ცხოვრება დაიწყო მაშინ, როდესაც ამას უკვე ნამდვილად აღარ ელოდებოდა. დღეს კი პანი ბრონიას ნახატები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში ინახება. ექსტრავაგანტურობით ის, როგორც ამბობენ, სალვადორ დალის, ნინა ჰაგენსა და ბოი ჯორჯს არ ჩამოუვარდება. 1998 წელს ბრონიას ლონდონში ალტერნატიული მის მსოფლიოს ტიტული მიანიჭეს.

თბილისში პანი ბრონია არ ჩამოსულა, ალბათ თბილისისთვის ეს ძალიან ადრე იყო. 1990 წელს, პეტლიურას პირველი ქართული გასტროლის დროს, როდესაც ყველანი ნანატრი კაპიტალიზმის შემოსვლას ველოდებოდით, თბილისისთვის ჯერ ადრე იყო მოსკო-

ური არაფორმალური ხელოვნების მიღება, რომელიც, პეტლიურას ძაღლის მსგავსად, სულაც არ იყო გამიზნული სასწრაფო გაყიდვისა და ფინანსური პრესტიჟისათვის. პეტლიურას ტანსაცმლის თეატრი არასდროს ყოფილა კომერციაზე გათვლილი. ერთგან ის ამბობს, – ჩემთან იყო რამდენიმე ადამიანი, ისინი ალბათ კარგი არტისტები გახდებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, მერე მოდელირებად გადაიქცნენ და როგორც არტისტები დამთავრდნენო. თბილისში ყოფნის დროსაც პეტლიურამ ინტერვიუს დროს უპასუხა, – მე ვიღებ ნაგავს და მისგან ყვავილებს ვაკეთებ. მისი უნიკალური კოლექციის დიდი ნაწილი მოსკოვის ბარახლოვკაზეა ნაყიდი, მათ შორის იმ ხანად ყველაზე ცნობილ ტიშინსკი რინოკზე. ბევრიც ალბათ ნაგავშია ნაპოვნი.

პარადოქსია, მაგრამ სწორედ ეს არაკომერციული ხელოვნება გახდა ყველაზე კონვერტირებადი მსოფლიო ბაზარზე. არაფორმალური ხელოვნე-

ბა – ამ ნიშნით იყო და დღესაც არის მოსკოვში გააზრებული ის ხელოვნება, რომელსაც ავანგარდის ტრადიციასთან აიგივებდნენ და რომელიც თავს უყრიდა კონცეპტუალისტურ საფუძველზე წარმოქმნილ ყველა იმ მიმართულებას, რაც მოსკოვის ხელოვნების სავაჭრო ნიშანს ქმნიდა, მათ შორის: რუსული კონცეპტუალიზმი, სოც-არტი, კოლექტივნიე დეისტვია, მედგერმენევეტიკა და სხვ. არაფორმალური კი არაკომერციულსაც გულისხმობს და ამით მოსკოვის ე.წ. ანტისაბჭოთა არტისტები და დასავლეთის ნეომარქსისტები (პარტია არ ეგონოს მკითხველს, ჟან ლუკ გოდარს და სხვა თანამედროვე არტისტებს აერთიანებს) საერთო ბაზისს პოულობდნენ.

ვიდრე თბილისში წამოვიდოდით, მოსკოვიდან გია ბულაძეს დაუურეკე. მაშინ მხატვართა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და ვთხოვე, ნებართვა მოეპოვებინა ქარვასლაში მოსკოველი მხატვრების გამოფენისთვის. თბილისში ჩამოვედით თუ არა,



მოსკოველებს მაშინვე ქალაქში ხეტიალი მოუნდათ – ყოველგვარი ძილისა და დასვენების წინააღმდეგნი იყვნენ. მაინცდამაინც არც ქართულ სამზარეულოზე გაუმახვილებია ვინმეს ყურადღება, რადგან ეს არ დამმასხოვრებია. მათთვის უფრო ახალი არტეფაქტები იყო მიმზიდველი და მნიშვნელოვანი. არ ვიცი, რამდენად აღმოაჩინეს ასეთი რამ, თუ არ ჩავთვლით ერთ ისეთ ბანალურ არტეფაქტს, როგორცაა ჭაჭით სავსე 3-ლიტრიანი ბოცა, რომელიც პეტლიურას რომელიღაც აივანზე დაუნახავს, ამძვრალა და პირდაპირ გამოფენის გახსნის წინ მოიტანა ინსტალაციაში გამოსაყენებლად. მეორე ალბათ ის იყო, რომ ერთხელ ღამით გმირთა მოედანზე მოგვიხდა მანქანით გავლა. უკვე დაცარიელებულ ქუჩაში მართო ერთი წყვილი ჩანდა ვარაზისხევის კუთხეში და ვხედავთ, რომ ჩხუბობენ – კაცი ქალს მუშტს უღერებს დასარტყმელად ან ემუქრება. ეტყობა,

ჩვენთვის ასეთი სცენები ან ძალიან ბანალური და ყოველდღიური იყო, ან, ტრადიციული ქვეყნისთვის დამახასიათებელი დაუნერგელი კანონების გამო, წყვილის საქმეებში ჩარევას იმთავითვე გამოვრიცხავდით. პეტლიურას კი სწორედ ეს არ გამოჩნდა, ჯერ მანქანის გაჩერება მოითხოვა და როცა ტაქსის მძღოლმა არ ურჩია და ყური არც კი უგდო, მაშინ ფანჯარა ჩამონია და თბილისისთვის სრულიად უცხო, რუსული თუ უკრაინული, ანარქისტული, მთელი ხმით დაუყვირა, – შენ, ეი, არ გაბეძო ქალის შეურაცხყოფაო. მესამე თბილისური არტეფაქტიც, რასაც პეტლიურასთან ერთად წავაწყდით, მიუხედავად მისი არაკანონიერებისა და არაადამიანურობისა, მაინც ასევე ბანალური იყო ჩვენთვის – რუსთაველის პროსპექტზე ტროლეიბუსს გავყევით და ცენტრალური ფოსტის შენობას რომ გავუსწორდით, პეტლიურამ გინება დაიწყო და სახეზე ხელი აიფარა. ვერ მივხვდი, რა აყვირებდა, დანახვა

ვერ მოვასწარი. ტროლეიბუსი სწრაფად გასცდა იმ ადგილს, პეტლიურამ მითხრა, რომ დაინახა, თუ როგორ ჩართყა ვიღაცამ მეორე ადამიანს დანა პირდაპირ თავში და გაიქცა.

ასეთ დროს ჩამოიტანეს მოსკოველებმა ნამდვილი რუსული ავანგარდი თბილისში, პირველად, მაიაკოვსკისდროინდელი 20-იანი წლების მერე.

მეორე ჯგუფი, რომელიც მაშინ ჩვენთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და რომელიც ასევე პეტლიურას არტკომუნის ნაწილს შეადგენდა, ჯგუფი „სევერ“ იყო (ალექსანდრ ლუგინი და კატია რიუკოვა). თბილისურ გასტროლებზე კომუნიდან რამდენიმე სხვა არტისტიც წამოვიდა. კიდევ უფრო მეტს უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ყველაფერს პეტლიურა წყვეტდა. მან თქვა, რომ, ვიღაცის დასვენებისა და მოგზაურობის ხარჯზე, ლეკვ პეტლიკას საჭმელს ვერ მოაკლებდა.

გამოფენა ქარვასლისთვის დაიგეგმა. 80-იანი წლების მიწურულს სწო-



რედ ქარვასლა იყო ის ადგილი, სადაც თანამედროვე მხატვართა გამოფენები იმართებოდა. აქ ხშირად იყო თბილისური ჯგუფის „მეათე სართულის“ საპავილიონო გამოფენები, რომლებიც თბილისის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სტანდარტების გამოფენებთან აახლოებდა. ქარვასლას იმ დროსაც ხელოვნებათმცოდნე ლიკა მამაცაშვილი კურატორობდა და სწორედ მის საგალერეო საქმიანობასთან არის მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული თბილისის თანამედროვე საგამოფენო კულტურის შექმნის ისტორია.

პეტლიურას იმპორტის რეალური მიმღები თბილისში სწორედ „მეათე სართული“ და მისი გარემოცვა იყო – ჯგუფი, რომელიც 5 მხატვარს აერთიანებდა: მამუკა ცეცხლაძეს, ნიკო ცეცხლაძეს, მამუკა ჯაფარიძეს, ოლეგ ტიმჩენკოს, კოკა რამიშვილს; და ამ ჯგუფთან იმხანად დაკავშირებული იყვნენ სხვადასხვა ხელოვნები – ნიკო ლომაშვილი, გურამ ნიზაბაშვილი, კარლო კაჭარავა, გია რი-

გვავა, ლია შველიძე, მაია ცეცხლაძე, გია ლორია და სხვები.

ქალაქში პეტლიურას უდარდელი ხეტიალისგან განსხვავებით, რომელმაც პერფორმანსისთვის მხოლოდ მუყაოს ყუთები მოითხოვა, რათა დარბაზში კედელი აეშენებინა, როგორც საზღვარი, რომელსაც მერე პეტლიურა და ნიკო ცეცხლაძე ძეხვისათვის ჩხუბის დროს დაანგრევდნენ, ჯგუფი „სევერი“ – საშა ლუგინი და კატია რიჟიკოვა – ცალკე, განმარტოებით ამზადებდა საკუთარ პერფორმანსს, რომლისთვისაც მეტი დეკორაცია სჭირდებოდათ.

როდესაც მოსკოვში პირველი რეივკლუბი „პტიუჩი“ გაიხსნა, რომელიც საკუთარ გახმაურებულ პრიალა ჟურნალსაც გამოსცემდა, სახელწოდებით „ომ“, და სადაც დაცვაში მხოლოდ შავკანიანები ჰყავდათ, ხოლო მინერალური წყალი აუცილებლად „ევიანი“ უნდა ყოფილიყო, საშა ლუგინი იქ წამყვანი არტისტი და დიზაინერი იყო. ისინი ქმნიან მუსიკალურ და აქციო-

ნისტურ პერფორმანსს, რაც სლავური არქეტიპებისა და შამანური, მაგიური პერფორმანსის პარალელურად, ღრმად დაუკავშირდა ტრანსის, ფსიქოდელიისა და საკლუბო სუბკულტურას. ეს შამანურ ქმედებასა და თანამედროვე დიზაინს შორის არსებული ხელოვნება იყო, რომელსაც, როგორც თანდათან გამოჩნდა, რაღაც კომერციული პოტენციალს ჰქონდა. „სევერის“ პერფორმანსებში ის რიტუალური საწყისი იკითხებოდა, რამაც ბუნებრივად შეიძლება დააინტერესოს თანამედროვე რუსი ავანგარდისტი, თუ ის არ ეგუება დღევანდელ სტერილურ, კომფორტაბელურ და ამბივალენტურ სისტემას და გამოსავალს ისევ წმინდა მოდერნისტულ ფორმებში და თუნდაც შორეული აღმოსავლეთის მისტერიული არქეტიპებში ეძებს.

„სევერი“ ქარვასლაშიც აქციონისტურ ტრანსს ქმნიდა. საშა ლუგინისა და კატია რიჟიკოვას პერფორმანსის „შინაარსიდან“ გამომდინარე, გადაწყდა, რომ



კარი უნდა ჩაკეტილიყო და მნახველი დარბაზში არ შემოეშვათ. მაცურებელი მოქმედების მსვლელობას შესასვლელ კართან დამონტაჟებული ორი ტელევიზორის საშუალებით ადევნებდა თვალს. შიგნით კი, დარბაზის ერთ მხარეს, პატარა სცენაზე დრამზე უკრავდნენ. თავიდან „სევერის“ წევრები სპეციალურად მომზადებულ, ფანტასტიკურ კოსტიუმებში გამოწყობილები გამოვიდნენ, კოსტიუმები სიმეტრიულად იყო მოხატული არქაული და გამოგონილი რუსული ორნამენტებით. მალე გოგონებმა ტანსაცმელი გაიხადეს. კატიას და ლენას საღებავით სავსე კონტინერი ედგათ წინ და ხან ერთმანეთს ხატავდნენ, ხან კი სხეულებით რაღაც შამანურ ორნამენტებს ქმნიდნენ. მოხატვის საშუალება ემუქრებოდა ყველას, ვინც მათ მიუახლოვდებოდა.

კარს მიღმა, დარბაზში მონაწილეებს „მეათე სართულის“ თბილისელი მხატვრებიც შეუერთდნენ, საღამურებითა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტებით

„ალჭურვილები“. მხატვრებმა ასევე ექსპოზიციაც შექმნეს, სადაც ნიკოლომაშვილის, მამუკა ჯაფარიძის, შალვა ხახანაშვილის, პოეტ ბადრი გუგუშვილის ნამუშევრები და ინსტალაციები იყო გამოფენილი. იქვე იყო დიქტორიც, რომლის როლსაც გელა პატიაშვილი ასრულებდა. დიქტორი გარეთ პერფორმანსის მსვლელობის შესახებ მაცურებელს ინფორმაციას აწვდიდა და მცირე კომენტარებსაც აკეთებდა.

გამოფენის გახსნიდან ზუსტად ერთ საათში ცენტრალური კომიტეტიდან მითითება მოვიდა – სასწრაფოდ დაეხურათ გამოფენა. მალე ქარვასლასთან მანქანებიც გაჩერდა. გამოფენის სასწრაფო დაშლა და პერფორმანსის შეჩერება მოგვთხოვეს. ასე რომ, თბილისელ მაცურებელს სულ რაღაც 1 საათით ჰქონდა საშუალება, ენახა, თუ რას აკეთებს ავანგარდისტული მოსკოვი პერესტროიკის პიკში, როდესაც გორბაჩოვი იმავე პლატფორმების დაბრუნებას ცდილობს, როგორც 20-იანი

წლების პერიოდში იყო – იმ პერიოდში, როდესაც საერთოდ ავანგარდისტული ხელოვნება დაიბადა. მაშინაც, სსრკ-ს გარიჟრაჟზე საქართველოს ფუტურისტები და ავანგარდისტი პოეტები სტუმრობდნენ. ახლაც, როდესაც საბჭოთა კავშირის დაისის თუ მისი საწყისებისკენ მიბრუნების პერიოდი დადგა, პეტლიურაც სწორედ დიდი რუსი ავანგარდისტი პოეტის, ველიმირ ხლენიკოვის ლექსით დამშვენებული მაისურით ჩამოვიდა თბილისში.

ფაქტობრივად, ეს იყო პირველი მედია პერფორმანსი თბილისში, რომლის ობიექტის ტრანსლაცია იქვე ხდებოდა, იმავე დროსა და ადგილას. ეს გადაწყვეტილება მარტო კონცეპტუალური კაპრიზის შედეგი არ იყო, უბრალოდ მაშინდელ თბილისში – ტრადიციული ქვეყნის, ასე თუ ისე, პროგრესულად განწყობილ დედაქალაქში ამგვარად გადანყდა მონაწილეების უსაფრთხოება.

>>> ბაბრქილია ბვ. 88



პოლონელი მკვლელი ჯოზეფ პილსუდსკი



ლეს ჯაჩინსკი და ნიკოლა სარკოზი, ვარშავა, 2008



ჩეჩენური ანჟეი შულავსკი



პოლონელი ჩეჩენური ანჟეი შაილა



ავიკატასტროფაში დაღუპულთა ჩამოსვენება ვარშავაში, 11 აპრილი 2010

დილეტანტის მოგზაურობა პოლონეთში

ავტორი: ქეთი ქანთარია

პოლონეთთან დაკავშირებული ჩემი პირველი ვიზუალური შთაბეჭდილება კათოლიციზმს უკავშირდება. თორმეტი წლის ვიყავი, მხატვარ ეჟი დუდა გრაჩის გამოფენაზე რომ მოვხვდი. მასსოვს ჩემზე მაღალი ადამიანების დუდუნი თავს ზემოთ. ეს ამბავი

მოსკოვში ხდებოდა, და ძირითადად კომენტარებიც იმ სიამტკბილობის კვალობაზე კეთდებოდა, რომელიც ტრადიციულად ამ ორ ქვეყანას აკავშირებს. მაშინ გავბრაზდი, და პოლონეთთან ჩემი პირველი სოლიდარობის მომენტიც ეს იყო. იმ ასაკში, როცა

ბავშვების უმეტესობამ გეოგრაფიკი არ იცის წესიერად, მეც და ზოგიერთ ჩემს ამხანაგსაც პოლონეთისადმი უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულება გვქონდა. „სოლიდაროსჩ“, ამერიკის ხმა, ჟურნალი „ამერიკა“ დასტებად, რომლითაც რუსული წერა-

კითხვა ვისწავლე. აღფრთოვანებული „ხედავ, რას შევბიან პოლონელები?!“ – ერთი სიტყვით, ასეთი იყო პაკეტი, რომლითაც თავისუფლება, ასეთი დაუზუსტებელი დეფინიციით, შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან რამეს გვეუბნებოდა და გვაღელვებდა.

ეჟი დუდა გრაჩის ნამუშევრები იმ გამოფენაზე ბოლოჯერ ვნახე. ჩემი აზრით, განსაკუთრებულად გამორჩეული მხატვარი არ იყო. ის ჩენსტოხოვოში, კათოლიკური მსვლელობების, ნირვების და გალობის ატმოსფეროში გაიზარდა. მის ნახატებში ეკლესიური გადარევა, როგორც მახსოვს, გაშარეებული იყო.

იმ დღეებში აღმოვაჩინე, რომ გრაჩის რელიგიური შინაარსის ნამუშევრებიც ჰქონია და პოლონეთში ერთ-ერთი ეკლესიაც აქვს მოხატული. მხატვრის ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, მისი რელიგიურობაც და სატირაც გასაგები მომეჩვენა. სამოცდაათიანი წლების შემდეგ კათოლიციზმისადმი პოლონელებს განსაკუთრებით ინტიმური დამოკიდებულება გაუჩნდათ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, კაროლ იუზეფ ვოიტილა გახდა, პაპი იოანე-პავლე II, თითქმის ყოველი პოლონელის სიამაყე, რომლის ავტორიტეტმა, „სოლიდარნოსჩის“ ლეგენდასთან ერთად, პოლონეთი, გარკვეული აზრით, უნიკალურ ქვეყნად აქცია.

პანი ერჟებეტა და დანარჩენი აღამიანები

1996 წელს ჩემი პატარა ბინა გავყიდე და ასე თუ ისე სიმპათიური თანხა პოლონეთში სამოგზაუროდ გადავიტანე. მინდოდა, საკუთარი თვალთმენახა და ხელით მომესინჯა ის, რაც 10-11 წლის ასაკიდან გულში ჩამრჩა. ასე დავსახლდი ვარშავის ერთ ორსართულიან სახლში, 82 წლის პანი ერჟებეტასთან, მოულოდნელ ტიპაჟთან, რომელმაც პირველივე დღეს მიაშო, როგორ დაიკარგა ამას წინათ დისნეილენდში. ვიფიქრე, გაგვიჭირდებოდა ჩვენ-ჩვენი განსხვავებული რეალობებიდან ურთიერთობა, მაგრამ მას სულ რამდენიმე დღე დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ორს შო-

რის რეალობის განცდა დაკარგული მე მქონდა. პანი ერჟებეტა გერმანისტი იყო და ომის დროს ოკუპანტების თარჯიმნად მუშაობდა. გერმანელები ნამდვილი ჯენტლმენები იყვნენ და ომის წლებში თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, ჩიტის რძე არ მაკლდაო, – ამბობდა. კვანძევის მთავრობამ, როგორც ამ პერიოდში განსაკუთრებით საშიშ სამუშაოზე (ოკუპანტებთან!) მომუშავე პირს, სერიოზული პენსია დაუნიშნა. „როგორც ხედავთ, – მითხრა ისევ ემიკურად, – ყველა კარგად გავაცურე“. გამომიცხადა, – იმედი მაქვს, სახლში რუსებს არ შემოაპარებთო. პანი ერჟებეტა დარწმუნებული იყო, რომ ყველა ქართველი რალაცით მაინც რუსია, ყოველ შემთხვევაში, როცა საქმე მისი ბინის უსაფრთხოებას ეხებოდა, მათი რუსობის ბოლომდე გამორიცხვა (სიფრთხილის თვალსაზრისით) არ შეიძლებოდა. რუსების შემოპარების ვარიანტი ადვილად გამოვრიცხე, რამაც პანი ერჟებეტა მთლიანად გააბედნიერა და იმ დღიდან ისე შემეყვარა, როგორც შინაური ცხოველი, რომელსაც შინ ქუჩაში ნაპოვნი ჭუჭყიანი მოძმეების მოყვანა შეუძლია, მაგრამ ამას უცნაურად გამოჩენილი ადამიანური შეგნების გამო არ აკეთებს. რას ნიშნავს ქართველი, ერჟებეტამ პირველად, 82 წლის ასაკში გაიგო. ახალგაცნობილ ფენომენს პოლონური გამოთქმა მოარგო – „შარვალს ვყიდი, ფრაკს ვიტოვებ“; ძველი ეჭვებისთვისაც კი, მომიბოდიშა: მკაცრი ბავშვობა მქონდა, მუშის ოჯახში გავიზარდე და რეალობისთვის ახალგაზრდობიდან თვალი მაქვს გასწორებულიო, „თქვენ კიდევ წიგნებმა დაგლუპათ, წიგნებმა!“ – მომაძახა ისევ მკაცრად, როგორც სწვეოდა. მაგ ცოდვას ვერ დავიბრალებმეთქი, – გამოგტყდი. პანი ერჟებეტამ ხელები გაშალა, – „კი მაგრამ, აბა ამ პოლონეთში რა დაკარგეთ!“

მე არც ის რამდენიმეთვიანი პოლონეთი მინანია და არც პანი ერჟებეტას მკაცრი რეალობის გაცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ის დღემდე ვერ შევეუთავსე იმ სინამდვილეს, რომელიც მისი სახლის გარეთ არსებობდა: აღამიანებს, რომლებიც სტაბილური და მეტ-ნაკლებად შეძლებული ცხო-

ვრების შესაძლებლობას იჯერებდნენ, უცხოის მიმართ ყოველ ნაბიჯზე ცნობისმოყვარეობას და გულგახსნილობას ამჟღავნებდნენ; ტაქსისტებს, რომლებიც ფულს მარტო იმიტომ არ მართმევდნენ, რომ საყველპურო პოლონური ვიცოდი; გამყიდველებს, რომლებიც მამშვიდებდნენ, რომ პოლონეთში ციმბირივით არ აცივდება; საშობაო სიხარულს; ძველი ვარშავის ყველაზე ლამაზ ქუჩას, სადაც ქუჩის კაფეებში მსხდომი ხალხი ფეხზე ნამომდგარი უკრავდა ჩემს ქართველ ნაცნობს ტაშს, იმის გამო, რომ საკუთარ ჯვრისწერაზე ჩოხაში გამოწყობილი მიდიოდა.

პოლონური „პროპაგანდა“

საქართველოსადმი, საერთოდ კავკასიისადმი უნიკალური სოლიდარობის და გულწრფელი სიმპათიის ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ორი დიდი – 1830-31 და 1863-64 წლების – აჯანყებიდან იწყება. რა თქმა უნდა, ის, რაც ხშირად პარალელურად საქართველოში ხდებოდა, პოლონური მემამბოხეობის მხოლოდ სუსტი ანარეკლი იყო, ისევე როგორც თან მოყოლილი სასჯელი და საზღაური. ოციანი წლებამდე საქართველოში პოლონური არმიის ნაწილები იდგა. მათი შინ განვევის შემდეგ პოლონურ მხარეს საქართველოს დიდი ვალი დარჩა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მხრიდან ასეთივე დიდი ხელგაშლილობით ეპატია, სიტყვებით „ქართული მიწისთვის დიდი პატივი იყო ისეთი ბრწყინვალე ერის შეილების მასპინძლობა, როგორც პოლონელები არიან“. 1921 წლის შემდეგ პოლონეთი მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც ქართულ ემიგრაციას საკუთარ მიწაზე არა მხოლოდ თავშესაფარს აძლევდა, არამედ ხელისშემწყობ პირობებსაც უქმნიდა. პოლონურმა არმიამ სამხედრო პირებს არათუ ჩინები შეუნარჩუნა, არამედ ხელსაყრელი კონტრაქტებიც დაუდო. ქართული ემიგრაცია ყველაზე ღირსეულად სწორედ პოლონეთში გამოიყურებოდა. გამიცვინია ისეთი ადამიანები, ვისაც ეს ხალხი ახსოვდა, ვის მშობლებთანაც ისინი მეგობრობდნენ და ოჯახებში სტუმრობდნენ. სწორედ

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი. პოლონეთი, სლავური ქვეყნებიდან ყველაზე ევროპული, აღმოსავლეთის ყოფილი ბლოკიდან ყველაზე პროდასავლური სახელმწიფოა, რომელსაც 2004 წელს ოსნება აუსრულდა და ევროპის საბჭოს წევრი გახდა. თუმცა, ახლა თავად ქმნის დაბრკოლებებს ევროპის გზაზე და თავს თვითიზოლაციაში იქცევს.

მათი გამორჩეულობის გამო, ათწლეულების განმავლობაში საქართველო პოლონეთიდან ისეთი ჩანდა, როგორებიც გვინდოდა ვყოფილიყავით, მაგრამ არ ვიყავით. პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკიც იმ პოლონელების რიცხვს ეკუთვნოდა.

11 ნოემბერს, დამოუკიდებლობის დღეს პილსუდსკის მოედანზე გავიარე. მაინტერესებდა, რა მოხდებოდა ამ დღეს. ალღუმი და ბათქა-ბუთქი არ ყოფილა, სალამოსკენ კი ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ვნახე ბრძოლის ველი: როგორ უახლოვდებიან ერთმანეთს მონინალმდეგეების ნახევარკილომეტრიანი მწკრივები, როგორ ჩახედავენ ერთმანეთს თვალეში. მერე ეს ორი ზოლი, ერთ-ორმეტრიანი დისტანციის შენარჩუნებით, საათის ისარივით დატრიალდა. თუმცა, მათ შორის მანძილი არ შემცირებულა. პირველებმა რაღაც გაუგებრის ძახილით – „ნორმალურებმა“ – „ერთი რასა, კაცთა მოდგმას“ – ასე იტრიალეს და მალე დაიშალნენ, ისე, რომ ერთმანეთს არც კი შეხებიან. იმ დღეს ვერც ერთმა ნაცნობმა ვერ ამიხსნა, რა ვნახე. მაგრამ ერთი შთაბეჭდილება კი მახსოვს: ვფიქრობდი, რომ რაც უნდა მაგნე და სულელური ტენდენცია იყოს, ამ ქვეყანაში, ეტყობა, პასუხის გამცემი ადეკვატური ძალა ყოველთვის მოინახება-მეთქი. იგივეს თქმა მათ აღმოსავლელ მეზობლებზე ძნელი იქნება, პოლონელები კი საზოგადოებრივად მგრძნობიარე ხალხია. ამას ალბათ ამბობებუბისადმი ტრადიციული მიდრეკილება და სოლიდარობის ნიჭიც განაპირობებს. იმავე წელს, პოლონეთში ყოფნისას ვნახე, რა კარგად იცოდნენ ამ ქვეყანაში ჩეჩნეთის მოვლენები, როგორი თავდადებით გულშემატკივრობდნენ და აინტერესებდათ ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მცოდნოდა, მაგრამ მე მაშინ არაფერი ვიცოდი და, გარკვეულ მიზეზთა გამო,

რომლებიც მაშინ აქტუალური გვეჩვენებოდა, არც მაინტერესებდა. ამისთვის ბევრ პოლონელს არაერთხელ შევეურცხვენივარ. პოლონეთი იყო ქვეყანა, რომელიც საკმაო ენთუზიაზმით იღებდა ჩეჩენ ლტოლვილებს და თავშესაფარს აძლევდა. ლეხ კაჩინსკიმ ვარშავის მერობისას ქალაქის ერთ-ერთ მოედანს ჯოხარ დუდაევის სახელი მიანიჭა. ძნელია ზუსტად თქმა, როდის მოხდა გარდატეხა, მაგრამ დღეს ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში, ჩეჩენ ლტოლვილებს დიდი პრობლემები ექმნებათ. ლტოლვილები ამას მათი კათოლიციზმის მომძღაურების ფონზე ისლამისადმი აგრესიით ხსნიან. სამაგიეროდ, საქართველოს ქრისტიანული ისტორია აღფრთოვანებას იწვევს. ჩემი იქ ყოფნის დროს კი ჩეჩნები ბევრი პოლონელისთვის ნომერი პირველი ერი იყო. რა თქმა უნდა, ეს ანტირუსული ჟესტიც იყო, მაგრამ არა მხოლოდ ეს – „დაუმორჩილებელთა გენეოლოგიის“ მქონე კიდევ ერთმა ხალხმა ბუნებრივად დაიპყრო პოლონელების გულები. ისე, იმ წლებშიც კი, ახალგაზრდა ადამიანების დიდ ნაწილს რუსეთისადმი სრულიად ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდა. რუსეთი უბრალოდ არ აინტერესებდათ. ეს გულგრილობა, არააფექტური დამოკიდებულება, როგორც ჩანს, უკვე პოლონეთის საბოლოო გამარჯვების ნიშანი იყო.

ეკლესია, „ქაწონი და სამართლიანობა“

2005 წელს, პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ წმინდა პეტრეს მოედანზე ტრადიციული საერთო ლოცვის დროს თქვა, რომ ამ არჩევნების სათანადოდ დასრულებისთვის ლოცულობს. განცხადება სენსაციურად, მეტიც, დიდ შეცდომად იქნა მიჩნეული: რომის პაპს არც

ერთი ქვეყნის პოლიტიკით მეტიმეტი დაინტერესება არ შეეფერება. ყოველ შემთხვევაში, როდესაც გერმანია პრეზიდენტს ირჩევდა, წარმოშობით გერმანელ პაპს ეს მოვლენა ხსენების ღირსად არ ჩაუთვლია.

პოლონეთში კათოლიკური ეკლესია ისტორიის ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, დღეს კი პოლონეთი ევროპის ყველაზე კათოლიკური ქვეყანაა, რომის პაპის მთავარი დასაყრდენი დასავლეთში. უკვე თორმეტი წელია, პოლონეთმა აღადგინა 1925 წელს ვატიკანსა და პოლონეთის მეორე რესპუბლიკას შორის დადებული კონკორდატი, რომლითაც ეკლესიას – საზოგადოებრივ სფეროში ჩარევის უფლება, თავად კი პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება მიეცა.

პაპს კათოლიკე ეპისკოპოსებმაც მიჰბაძეს და კათოლიკე ამომრჩეველს რჩევით მიმართეს: სასურველი პარტია ლიად არ დაუსახელებიათ, მაგრამ იმ ძალის არჩევა მოუწოდეს, რომელიც „ოჯახის და ქორწინების სინმინდეს“ დაიცავს, ევთანაზიისა და აბორტის წინააღმდეგ გაილაშქრებს. საარჩევნო პროგრამაში ასეთი დაპირება ორ პარტიას ჰქონდა: ნაკლებ პერსპექტიულ „პოლონური ოჯახების ლიგას“ და „კაწონს და სამართლიანობას“, ლეხ და იაროსლავ კაჩინსკების პარტიას.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი. პოლონეთი, სლავური ქვეყნებიდან ყველაზე ევროპული, აღმოსავლეთის ყოფილი ბლოკიდან ყველაზე პროდასავლური სახელმწიფოა, რომელსაც 2004 წელს ოცნება აუსრულდა და ევროპის საბჭოს წევრი გახდა. თუმცა, ახლა თავად ქმნის დაბრკოლებებს ევროპის გზაზე და თავს თვითიზოლაციაში იქცევს.

2005 წელს კრაკოვის მთავარ მოედანზე ძალიან საინტერესო მიტინგი გაიმართა. რამდენიმე ასეული ადამიან-

ნი პოლონეთის მეფედ იესო ქრისტეს აღიარებას მოითხოვდა. ეს ალბათ ამ ქვეყანაში რელიგიური რწმენის ყველაზე ბრყვეული გამოვლინება იყო. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ პოლონელი ამომრჩევლის დიდ ნაწილს სულაც არ სჭირდება კარნახი, ვის მისცეს ხმა არჩევნებში, როდესაც არსებობს პარტია, რომელიც მას კათოლიკური ღირებულებების სახელმწიფო დონეზე დაცვას ჰპირდება. 2005 წლის დეკემბერში კიდევ გასაკვირი იყო, რომ პარტიის „კანონი და სამართლიანობა“ ლიდერს, დღეს ტრაგიკულად დაღუ-

პულ ლეხ კაჩინსკის, ხმათა მხოლოდ 54% დაუგროვდა, მის მთავარ კონკურენტს, ლიბერალ ტუსკს კი – 45%.

ბოლო თვის განმავლობაში პოლონეთში გაჩნდა იმის პრეცედენტები, რომ ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს, ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის ძმას, იაროსლავ კაჩინსკის კანიდადატურის წარსადგენად საჭირო ხმებს ეკლესიებში უგროვებენ. „კანონმა და სამართლიანობამ“ კათოლიკე ამომრჩეველს უკვე შეუსრულა ის, რასაც წინასაარჩევნო პერიოდში დაჰპირდა. ეკლესიის იდეა იყო უმეტესობისთვის საყვარელი,

სხვებისთვის კი რეტროგრადი პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის ერის „წმიდათა-წმიდა“ ადგილას – ვაველში დაკრძალვაც, პოლონეთის მეფეების, შოპენის და მიცკევიჩის გვერდით.

პოლონეთის კათოლიკურმა ეკლესიამ თავის დროზე შთააგონა და შეკრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს მსგავსად, ეკლესია და სარწმუნოება სწორედ ამ ასპექტზე აქცია ნაციონალური ეთიკის საფუძვლად. თუმცა, წიგნის „დაუმორჩილებელთა გენეოლოგიის“ ავტორი, ბოგდან ცივინსკი, რომელიც განმათავისუფლებელ



ანჟეი პილა ბალასაშა მოილაწა, პოლონეთი 1989



პოლონეთი, გდანსკი, 1988



პოლონეთი, გდანსკი, 1981



პოლონეთი გენერალი იარუსლავსკი და ბლრ-ის პრეზიდენტი ჟიხ კონეჟარი, ბარლინი, 1982

„პარადოქსული რამ მოხდა – სოვინიციუმის ქრახის შემდეგ პოლონეთს რალას სხვა „საბჭოურება“ დაეპარათ. ბლახური სიჭრუხე. ეპლასინისადმი უსაზღვრო დღობა, თითქმის ისეთი, როგორც საბჭოეთში – პარტიის მიმართ, პოლიტიკური ნიშნული გახდა. ჟეჟენის ბაღს ირონიულთიმილიანი კვერთხისთავები წყვავებენ, რომლებსაც ნასიონალიზმის, ანტისემიტისმის და პოპოვინიული მისინაგოვის წყლულები აწუხებთ“.

ბრძოლაში პოლონური ინტელიგენციის როლზე წერს, აღნიშნავს, რომ თუ პოლონელ ინტელიგენტსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებულ კონფლიქტს არ ვახსენებთ, სურათი უპატიებლად დამახინჯდება. ავტორი ამ კონფლიქტის ერთ-ერთ ასპექტად საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეთიკურ პრინციპებს ასახელებს, წინააღმდეგობის საფუძვლად კი – სოციალურ ეთიკას, რომელსაც კათოლიკე პოლონელი და რადიკალი ინტელიგენტი განსხვავებულად აღიქვამდნენ. ცივინსკის მიაჩნია, რომ XX საუკუნის პოლონურმა კათოლიკობამ მნიშვნელოვანი განახლება განიცადა, რის წყალობითაც ქვეყნის ინტელიგენციის დაახლოება მოახერხა.

ინტალიგენსია და ინტალიქტუალები

ტერმინების – „ინტელიგენცია“ და „ინტელექტუალები“ – შეჯახება პოლონეთშიც მოხდა, თუმცა პირველთათვის იქ ეს ისეთი კრახით არ დასრულებულა, როგორც ჩვენში. დისკუსიებში ხშირად ახსენებენ ხოლმე, რომ დასავლური ტიპის ინტელექტუალები პოლონურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შემოდიან. იმასაც ამბობენ, რომ ინტელიგენცია, პოლონურ-რუსული გაგებით, დასავლეთში არ არსებობს; არსებობს საშუალო კლასი, რომელიც მალე პოლონეთშიც მომძლავრდება და ინტელიგენციას წამყვან პოზიციებს მთლიანად ჩამოართმევს.

მარიუმ ცესლიაკი 2009 წლის სექტემბრის „ნიუსუიქში“ უარყოფს კომუნიზმის დამხობაში ინტელიგენციის როლს, და „კანონის და სამართლიანობის“ პოზიციების შესუსტებას. მას ახსენებენ, რომ, მაგალითად, იტალიაში სიტყვა *intelligenza* დღემდე პოლონური (რუსეთის პირველ ინტელიგენტებად დეკაბრისტები და მათი თანა-

მოაზრებები ითვლებიან. პირველები თავად-აზნაურებიდან, ვინც, მათდა გასაკვირად, 1812 წლის ომში აღმოაჩინა, რომ თურმე გლეხიც ადამიანია, მეტიც, პატრიოტია. პოლონური ინტელიგენცია კი, როგორც ჩანს, მე-18 საუკუნის ბოლოს იშვა, რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პრინციპებთან ერთად) ან რუსული ტრანსკრიფციით იხმარება. ასეა თუ ისე, ჩვენგან განსხვავებით, რამდენიმე ასეული, როგორც ახლა ამბობენ, „ცნობადი“ კონფორმისტის გამო, პოლონელებს უმადურად არ დაუფინწყნიათ ათობით ათასი ადამიანი, რომლებიც ორი საუკუნის განმავლობაში იმ იდეალებს ამკვიდრებდნენ, რისაც თავად სწამდათ. პოლონეთში მართლაც იყო და დღემდე არის – კათოლიკური ინტელიგენცია, ლიბერალური ინტელიგენცია, ნაციონალისტური და შერეული ტიპის კიდევ სხვა (პერიოდების მიხედვით) ინტელიგენცია, და მათი როლი ამა თუ იმ ხანის მოვლენების წარმართვაში ძალიან მნიშვნელოვანია.

პოლონეთში, ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, მასონური ორგანიზაციებიც კი ეროვნულ ელფერს ატარებდა და ანტირუსულ რევოლუციურ მოძრაობაში საინტერესო როლს თამაშობდნენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მაიორმა ლუკასიანსკიმ „თავისუფალი ეროვნული მასონობის“ საზოგადოება დააარსა. მასონობის სიმბოლური ნიშნებიც გაეროვნულეული იყო: ჰირამი – დაქუცმაცებული პოლონეთი იყო, მისი სამი მკვლეელი – ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის მონარქები, რომლებმაც ის დაინანილეს, შვილები – რევოლუციონერი პოლონელი მასონები. რუსი დეკაბრისტების შეთქმულება რომ გამოამკარავდა, მათთან ურთიერთობაში მყოფი პოლონელი მასონებიც დააპატიმრეს. თუმცა, პოლონეთის სეიმმა ისინი სამხედრო დამნაშავეებად კი არ ცნო, კონსტიტუციის

თანახმად, საიდუმლო ორგანიზაციის წევრობისთვის გაასამართლა და მსუბუქად დასაჯა, რის გამოც, ნიკოლოზ I-სგან შეირისხა. თუმცა, ეს ის კონსტიტუცია არ იყო, რომლითაც პოლონელები ასე ამაცობენ.

პირველი პოლონური კონსტიტუცია 1791 წლის 3 მაისს მიიღეს, საფრანგეთზე ნახევარი წლით ადრე და, შესაბამისად, ის ევროპის ყველაზე ძველ კონსტიტუციად ითვლება, რაც აბსოლუტური მონარქიებით გარშემორტყმული ქვეყნისთვის პროგრესულ მომენტად მიიჩნევა. მაგრამ ორი წლის შემდეგ ქვეყანას ამავე მონარქიებმა მოუღეს ბოლო – სამწუხაროდ, პოლონელივე მაგნატების და უმსხვილესი მინათმფლობელების ხელშეწყობით.

ნაციონალისტური ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი 40-იანი წლების ბოლოს მემარჯვენე ნაციონალ-უკლონიზმში დაადანაშაულეს და დააპატიმრეს. 1956 წელს პოზნანის მუშათა აჯანყების ჩახშობის შემდეგ მათი როლი უაღრესად შემცირდა და წინ ნამოინია კათოლიკურმა ინტელიგენციამ, რომლის გავლენა მას შემდეგ ძველებურად ძლიერია. და თუკი პერიოდული უკან დახევა მაინც არსებობდა, „სოლიდარნოსჩის“ წლებში, საიდუმლო სამსახურების მიერ გავლენიანი ინტელექტუალის, ქსენდ ეფი პეპელიოშკოს სადისტური მკვლელობის შემდეგ მოხდა ის, რომ პოლონური კაპიტალიზმის იდეებმა სოციალიზმის იდეები მკვეთრად ჩანაცვლა და ეს სურათი მას შემდეგ დიდად აღარც შეცვლილა.

თავისუფალი, სტიქიური პოლონეთი

მუდმივი ოპონირების თუ ღია დაპირისპირების მიუხედავად, პოლონური კულტურა ყოველთვის, ყველაზე მძაფრი კონფორმტაციის პერიოდებშიც კი ღია იყო ყოველივე საუკეთე-

სოს მიმართ, რაც რუსეთში იქმნებოდა. ლეგენდარულ 80-იან წლებშიც კი პოლონეთი, რუსული დრამატურგიის ინსტენიერების მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზე იდგა. ეს იმ თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება იყო, რომელსაც კათოლიკური, ტრადიციული პოლონეთი ხორცს ასხამდა ხელოვნებაში – ტრადიციული მეამბოხეობის მეორე სახე. ისედაც, ეკლესიურობა და თანამედროვე პოლონური ხელოვნების თავანყვეტილი ნიჭიერება (მასში კათოლიკე ქრისტიანის განსჯაც ბევრია და რელიგიურობისგან დაცლილი „ერესიც“) ამ ქვეყანაში ერთმანეთის

გვერდიგვერდ უპრობლემოდ თანაარსებობდა. ეს კარგად ჩანს პოლონური წარმოშობის ერთი ამერიკელი კრიტიკოსის წერილში, როცა ის წერს ეფი გროტოვსკიზე, როგორც პოლონური ხასიათის სტიქიურ, დიონისურ გამოვლინებაზე – რომ არსებობს სხვა გროტოვსკიც, პრივატული, ფორმალურობის ნიშნებჩამოცილებული. პირველი დროდადრო მიცკევიჩის და შოპენის მაღალ რომანტიკულ ტრადიციის ელემენტებს ამჟღავნებს; მაგრამ არსებობს პოლონელის მეორე ტიპიც, რომელსაც გროტოვსკი საკუთარ თავში ატარებდა და რომელიც არანაკლებ

სტერეოტიპულია – ბნელი, საეჭვო, კონსპირატორი, კონტრაბანდისტი და მაქინატორი, ისეთი, გერმანიის სარკინიგზო სადგურების და მდიდრული სასტუმროების მიდამოებში რომ ტრიალებდნენ და გულში შავბნელ ზრახვებს ატარებენ. პერსონაჟი, რომელიც შექსპირის და ჟან ჟენეს კალამთა თანამშრომლობით შეიქმნებოდა შექმნილიყო; შესაძლოა, დოსტოევსკისეული პერსონაჟი. ალბათ ამიტომ გამოვიდა ვაიდას „ავსულები“ რუსულზე ბევრად უფრო რუსული ფილმი.

>>> ბაზრქილება გვ. 89



პოლონეთი, ვარსავა, 1944



პოლონელი ვარსავალი ჯოზეფ პილსუდსკი, ვარსავა 1926



სახლი არქივიპოსოვისი იოზეფ კოვალჩიკი საგზლოვარო სერაფიმონალა, პოლონეთი, ვარსავა, 17 აპრილი 2010



ისტორია

ავტორი: დავით ბუხრიანიძე



„მკვდარი კლასის“ ჩანაწერები

თაღუშ კანტორი – რეჟისორი, რეჟორმატორი და წინასწარმეტყველი

ავტორი: ღაბით ბუხრიკიძე

მისი წარმოდგენები ცუდად მომართული მანეკენების, გროტესკულად მეტყველი თოჯინებისა და მკვდრებით აღმდგარი ადამიანების დროებით ზეიმს წააგავს. თითქოს ამქვეყნიური ვნებებისთვის ადგილი აღარ დარჩათ. ოდნავ განათებული ადამიანმანეკენები, აქრომატულად გადაწყვეტილი სცენოგრაფია და საგანგებოდ არითმიული, ტუხილი რეჟისურა დამცინავი სიკვდილის მნიშვნელობას გვამცნობს: მინორული ვალსის თანხლებით, მაგრამ მაჟორული ეპიტაფიით.

მისი გამომწვევი, მაგრამ სიასხლის შეგრძნებით გამორჩეული სასცენო ესთეტიკა მეოცე საუკუნის ხელოვნების ისტორიაში „სიკვდილის თეატრის“ სახელწოდებით შევიდა. თუმცა მუდმივი თვითგანახლების სურვილით აღბეჭდილი ექსპერიმენტები ხშირად გამხდარა მძაფრი კრიტიკის საგანი. ვიზუალურ ხელოვნებასთან ნაზავი მისი ჰეფენინგები ჯერ კიდევ 40-50-იან წლებში კრაკოვში, აღმოსავლეთ ევროპის „მცირე თეატრალურ რენესანსს“ მოასწავებდა; ხოლო 70-იან წლებში განხორციელებული სპექტაკლები (მსახიობის განცდისა და ექსპრესიის გარეშე, რასაც ხშირად „ნულოვან თეატრსაც“ უწოდებენ), ტრადიციულ დრამატურგიასა და კლასიკურ თეატრს შეჩვეული პუბლიკისათვის მართლაც შოკის მომგვრელი აღმოჩნდა.

გამომწვევად ნონკონფორმისტული, ვიზუალურად უჩვეულო და იდეოლოგიისგან თავისუფალი წარმოდგენები, კრაკოვის თეატრ „კრიკო 2“-ში შეიქმნა, რომელთა ავტორია ევროპული თეატრის ერთ-ერთ უდიდესი ექსპერიმენტატორი, აღიარებული პოლონელი რეჟისორი, მხატვარი და სცენოგრაფი თაღუშ კანტორი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისი მრავალრიცხოვანი პერფორმანსებით მან ერთ-ერთმა პირველმა უარყო კლასიკური თეატრის ენა, ამხილა მისი ყალბი პომპეზურობა და გამომსახველობითი სიღარიბე. შესაბამისად, შეცვალა თეატრისა-

დმი დამოკიდებულება, მისი სოციალური და კულტურული მნიშვნელობა.

„მკვდარი კლასი“

რომორს პოლიტიკური მახსიარება

რატომ თაღუშ კანტორი და რატომ სწორედ დღეს? ისეთი დიდი თეატრალური ტრადიციებით მდიდარ ქვეყანაში, როგორც პოლონეთია, სხვა სახელოვანი რეჟისორებიც მრავლად იყვნენ და არიან: ეუი გროტოვსკი, ანჯეი ვაიდა, კონრად შვინარსკი, იოზეფ შაინა, კრისტინა ლუპა... თუმცა, ჩემი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი საბედისწერო პოლიტიკური შემთხვევითობისა და დიდი ხელოვნების იდუმალ კავშირში უნდა ვეძიოთ. უფრო კონკრეტულად კი 1975 წელს, კანტორის მიერ კრაკოვში დადგმული „მკვდარი კლასისა“ და 2010 წლის 10 აპრილს, სმოლენსკში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ტრაგიკულ და პარადოქსულ გადაძახილში. ლუის ბუნუელი ხშირად ამბობდა, რომ ხელოვნება უსწრებს ცხოვრებას...

1975 წელს (დაახლოებით იმ დროს, როდესაც რობერტ სტურუამ „კავკასიური ცარცის წრე“ დადგა) თაღუშ კანტორმა კრაკოვში, მის მიერვე დაარსებულ თეატრში, სახელწოდებით „კრიკო 2“, პირველად უჩვენა სპექტაკლი „მკვდარი კლასი“. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ პატარა, ნაცრისფერ საკლასო ოთახში გამომწვევადეული, მეორე მსოფლიო ომის დროს გარდაცვლილი და რეჟისორის ფანტაზიით გაცოცხლებული ეს უცნაური პერსონაჟები – ბავშვები, მოხუცები, ქვრივები, სამხედროები, ებრაელები, მლოცველები, პენსიონერები, ხელმოცარული ახალგაზრდები თუ არაერთიკულად მომლოდინე ქალები დიდი თეატრალური მისტერიის ნაწილად იქცეოდნენ. ისევე, როგორც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2010 წელს ავიაკატასტროფაში დაღუპული პოლონეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის დაკრძალვის ცერემონია ლამის „მკვდარი კლასის“ თეატრალურ მეტაფორას დაემსგავსებოდა.



ისტორია

ასე უცნაურად, საბედისწეროდ და მოულოდნელად გაერთიმა ერთმანეთს დიდი რეჟისორის მხატვრული გამო-
ნაგონი და დღევანდელი პოლიტიკური რეალობა; მეორე მსოფლიო ომის შთა-
ბეჭდილებებით ნაკვები თეატრალუ-
რი ხილვები და ამავე ომში, კატინის
მასობლად დაღუპული პოლონელი
ოფიცრების ძებნაში დაფერფლილი
ადამიანების სიცოცხლე; გარდასული
თეატრალური სიგიჟე და დღევანდელი
პოლიტიკური ცინიზმი. თავდუმ კან-
ტორმა ლამის წინასწარმეტყველივით
დაასაბუთა, რომ თეატრის ეფემერული,
წარმავალი და სიზმარივით ნაქსოვი სა-
მყარო მუდმივად წააგავს სიკვდილთან
და აჩრდილებთან თამაშს; მაშინაც კი,
როდესაც ამ თამაშში ყოვლისშემძლე
„კგბ“ თითქმის არ მონაწილეობს.

„მკვდარი კლასი“ დღეს არა მხო-
ლოდ თეატრის ბრწყინვალე წარსულს
ასახავს, არამედ ამ წარსულიდან გა-
დმოყოლილ პოლიტიკურ მესხიერე-
ბასაც უფრო თხილდება. პოლონეთის
ეროვნულ კომპლექსებს, პატრიოტულ
სიამაყეს თუ არაცნობიერ შიშებს თი-

თქმის ყოველთვის განსაზღვრავდა
ორ დიდი ქვეყნის – გერმანიისა და
რუსეთის მეზობლობა. და არ არის
გასაკვირი, რომ თავდუმ კანტორიც
ამ სოციალურ-პოლიტიკური ველის
„კულტურული“ ტყვეა. მით უმეტეს,
რომ ის გალიციაში, პატარა ქალაქ ვე-
ლოპოლეში დაიბადა, რომელიც 1916
წელს ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიას
ეკუთვნოდა.

საბნეში და მსახიობები

კანტორი კრაკოვის სამხატვრო
აკადემიაში, სცენოგრაფიის ფაკულ-
ტეტზე სწავლობდა. ჯერ კიდევ სტუ-
დენტობისას გერმანული ექსპრესიო-
ნიზმისა და არქიტექტურის (კერძოდ,
„ბაუჰაუზის“) გავლენით, სამხატვრო
აკადემიის სცენაზე მეტერლინკის სიმ-
ბოლისტური პიესები დადგა, სადაც
პერსონაჟები მარიონეტულ ფიგურე-
ბად აქცია. ამდენად, მაშინვე გამოი-
კვეთა მისი ინტერესები თეატრში –
მხატვრობის აქცენტირება, სცენოგრა-
ფიის გადამწყვეტი მნიშვნელობა და
პერფორმანსი.

მისი კრიტიკული დამოკიდებულება
ტრადიციული თეატრისადმი მეორე
მსოფლიო ომმა და ტოტალურმა წგრე-
ვამ კიდევ უფრო გაამძაფრა. გერმა-
ნული ოკუპაციის პირობებში კანტორი
დგამს სლოვაკის „ბალადინას“ (1942)
და ვისპიანსკის „ოდისეის დაბრუნე-
ბას“ (1943). ამ წარმოდგენებში საგ-
ნებმა უკვე გადამწყვეტი მხატვრული
მნიშვნელობა და დიდი მასშტაბი შეი-
ძინა. მის წარმოდგენებში ჩნდება ბი-
ბლიური და აბსურდული ალუზიები,
ომით დასახიჩრებული ევროპის მეტა-
ფიზიკური და პესიმისტური ტექსტები,
შემოქმედებული ლექსები და გადაცვილილ-
თა გამოცხადებები, და ეს ყველაფე-
რი საგნებისა და დეკორაციის მნიშ-
ვნელობის ფონზე; რადგან, კანტორის
აზრით, „საგნები მსახიობებთან ერთად
თანაბრად ინაწილებენ და განსაზღ-
ვრავენ წარმოდგენის მნიშვნელობას“.

ექსპერიმენტული ხელოვნებისა და
სცენოგრაფიის სიღრმისეულმა შესწა-
ვლამ თავისი კვალი დააჩნია კრაკოვის
დამოუკიდებელ თეატრში დადგმულ
წარმოდგენებსაც. კანტორის იდეა



„საგანი-მსახიობი“ სრულადაა რეალიზებული „ოდისევსის დაბრუნებაში“, რომელიც ნახევრად დანგრეულ შენობაში თამაშდება. რეკვიზიტი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი რეალური ნივთებია, რომელიც თითქმის „ერწყმის“ მსახიობის თამაშსა და მის საარსებო სივრცეს. შედარებით მოგვიანებით, 50-იან წლებში გაჩნდა „სიმბიოზის“ იდეა, რაც, კანტორის აზრით, ადამიანისა და საგნის ურთიერთობაში ახალ ეტაპს მოასწავებს. მაგალითად პერსონაჟი, რომელიც სცენაზე მუდმივად თოჯინით შემოდის, რაც მის ახალგაზრდობას აღნიშნავს. ან ადამიანი კარადით, ადამიანი სკამით, ადამიანი საბავშვო ეტლით და ა.შ.

თეატრ „კრიკო 2“-ის დაბადება თადეუშ კანტორის მიერ 50-იან წლებში განხორციელებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების ლოგიკური დასასრული იყო. პერფორმანსი სახელწოდებით „თამაშები ვიტკევიჩთან“ (1956) მწერალ სტანისლავ ვიტკევიჩის სცენური ხატების თეატრის სიმბოლოდ იქცა, რომელსაც მოგვიანებით

„მკვდარი თეატრი“ უწოდა. ეს ყველაფერი სტალინის სიკვდილისა და პოლონური „ოტტეპელის“ პერიოდში ხდება, როცა მას უკვე ლეგალურად მიეცა საშუალება, დამოუკიდებლად ემუშავა, თანაც – ყოველგვარი ცენზურის გარეშე.

უკვე 60-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპამ მისი ობიექტები, ინსტალაციები თუ ჰეფენინგები აღმოაჩინა: „პატარა მამული“ (1962), „შეშლილი და მონაზონი“ (1963), „წყლის ქათამი“ (1967), „ლამაზები და მახინჯები“ (1970), რაც ინფორმაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გარღვევა აღმოჩნდა. თუმცა, კულტურულ საბჭოეთს დიდი პოლონელის არც ერთი სპექტაკლი არ უნახავს – არც ძველი და არც ახალი... მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის წინ „საბჭოთა ხელოვნებაში“ წავიკითხე ბატონ ნოდარ გურაბანიძის ვრცელი წერილი კანტორზე, რომლის ყველაზე დიდი სპექტაკლი – „მკვდარი კლასი“ მას ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ენახა.

80-იანი წლების ბოლოს უკვე ასაკოვანი თადეუშ კანტორი ხელმძღვანელობს მილანში გამართულ დრამატული ხელოვნების სემინარს, რომელშიც მისი თეატრის თაყვანისმცემლები, რეჟისორები და მსახიობები მონაწილეობენ. დასწრება შეზღუდულია, რადგან კანტორი საკმაოდ ჩაკეტილი და იდუმალი პიროვნება იყო. ალბათ, ამიტაც უნდა აიხსნას მისი იშვიათი გამოჩენა ტელეეკრანზე, ისევე – როგორც საკმაოდ შეზღუდული და ლიმიტირებული ურთიერთობა პრესასთან.

სემინარის დასრულების შემდეგ, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე (კანტორი 1990 წელს გარდაიცვალა) აქვეყნებს წიგნს სახელწოდებით „მილანის სემინარი“, რომელშიც თორმეტი ჩანერილი ლექცია თანამედროვე თეატრის შესახებ. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალური წიგნია არა მარტო სხარტი და უშუალო ენით, არამედ ავტორის დამოკიდებულებით თეატრისადმი და მოვლენების გადმოცემის იშვიათი ექსპრესიით. ეს ფაქტობრივად ერთადერთი წიგნია, სადაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი რეჟისორი



ისტორია

ქაოსურად, მაგრამ შეძლებისდაგვარად ზუსტად აყალიბებს საკუთარ თეორიას თანამედროვე თეატრის შესახებ.

ფრაზმენტები წიგნიდან „მილანის სემინარი“

მსურს მაგიური სიტყვით – „შესწავლა“, დავიწყო. არ მრცხვენია ამ სიტყვის წარმოთქმა 71 წლის ასაკშიც, რადგან ყოველთვის თავიდან ვიწყებდი და ეს ნიშნავს, რომ ვსწავლობდი. ფერწერაც იმ დროიდან დავიწყე, როცა პირველად აღმოვაჩინე, რომ დიდი ფრანგული მხატვრობა არსებობს. მაგრამ პოლონეთში ამის ნახვა შეუძლებელი იყო, ამიტომ კლასიკოსების გაცნობას წიგნებით და რეპროდუქციებით შევუდექი.

ეს არ ყოფილა არც სასკოლო დავალება, არც იძულებით მომზადებული გაკვეთილები, რადგან ყველაზე მეტად წარმოსახვა მეხმარებოდა. წარმოსახვა კი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მახსოვს, პირველი რეალური შეხვედრა ფრანგულ ფერწერასთან 1947

წელს შედგა, მაგრამ ეს ის არ იყო, რასაც ველოდი. უფრო ზუსტად, ეს მატერიალური შეგრძნებების გამოცდას ჰგავდა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წარმოსახვასთან. და ამის შემდეგ რეჟისურაშიც და შემოქმედებაშიც ყოველთვის წარმოსახვას ვარჩევ.

შემოქმედება პირველ რიგში საკუთარი თავის აღმოჩენას ჰგავს. ეს თავისებური მოგზაურობაა, შესწავლა, ახალი ტერიტორიების გაცნობა. როდესაც გგონია, რომ რაღაცას მიაღწიე, მიზანს კიდევ უფრო შორდები და სადღაც, უკან აუთვისებელი მიწები რჩება... ხელოვნება სწორედ ასე წარმომიდგენია: რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გშორდება.


არც ვიცი, როგორ აღვწერო საკუთარი შეგრძნებები ისე, რომ წარსულში არ დავრჩე და ნაამბობი უტოპია არ გამოვიდეს, მაგრამ შევეცდები...

წარსული ყოველთვის ახალი კუთხით წარმოგვიდგება და მუდმივად პულსირებს ანმყოში. ასეა თეატრშიც. რომ გაიგო მისი ბუნება, მთლიანად

ხელოვნება უნდა მოიცვა, რადგან თეატრის არსი მრავალფეროვნებასა და დროის განფენილობაშია. გამოცალკევება დამარცხებას ნიშნავს, უფრო ზუსტად ეს პარტიკულარიზმია. სინამდვილეში, თეატრს არ გააჩნია საკუთარი საყრდენი წერტილი, რადგან ლიტერატურას, დრამას, არქიტექტურას, სახვით ხელოვნებას, ცეკვას, პლასტიკას, მუსიკას ეფუძნება. ეს ყოველივე თეატრის პირველადი მატერიაა, პროტო-მატერია, განსაკუთრებული და მრავალფეროვანი.

ამის გააზრება გაგვიადვილებს თანამედროვე ხელოვნების შესწავლას და თეატრის თანამედროვე მნიშვნელობის გაგებას. თუმცა სინამდვილეში ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ამის შემდეგ დგება – როგორ მოვახდინოთ აბსტრაქცია? ეს იშვიათი მოვლენაა თეატრში და პირველად „ბაუჰაუზის“ აბსტრაქტულ სტილში, ოსკარ შლეიმერის თეატრში მოხერხდა.

>>> გაგრძელება გვ. 92







Ulrike Meinhof

ქალიან სახიფათო ფრაუ მაინჰოფი

RAF dich auf!

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

ინტერვიუ ჩანერილია 1970 წელს. ულრიკე მაინჰოფი 36 წლისაა. მას ორი შვილი ჰყავს, რომლებსაც მარტო ზრდის. გადალილია, წვალბის. ინტერვიუს დროს ხელებს ვერ აჩერებს, პაპიროსს ატრიალებს, ნივთებს აადგილებს. ულრიკე თავჩაღუნული ლაპარაკობს, სანდახან თუ ამოხედავს ხოლმე კამერას. გარეგნულად? რა ვიცი. მაგრამ ერთხელ თუ ნახეთ, არ დაგავინწყდებათ. თემა არის ბავშვთა აღზრდა, ოჯახის როლი ადამიანის ცხოვრებაში, როგორია, როცა პოლიტიკური მოღვაწე ხარ და თან შვილებს უნდა მიხედო. ულრიკე პასუხობს:

„ძნელია... ძალიან ძნელია... უაღრესად ძნელია“...

რამდენიმე თვის შემდეგ ულრიკე მაინჰოფმა თავისი შვილები მიატოვა.

ყველაზე კარგად ულრიკე მაინჰოფის ფენომენი ლაშა ბაქრაძემ ამიხსნა. ბოლოს ფილმი ვნახე, „ბაადერ-მაინჰოფის კომპლექსი“, და ლაშას შევჩვილე, რომ ველარაფერი გამიგია. რა გრძნობებს აღძრავს ჩემში ეს ქალი? – სიძულვილს? ალტაცებას? ულრიკეს გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ მისი სამშობლოდან ძალიან შორს, სულ სხვა კულტურის შვილი, სულ სხვა ბიოგრაფიის

მქონე ძალიან სშირად ვფიქრობ მასზე – ქალზე, რომელზე მნიშვნელოვანი უურნალისტიც გერმანიას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალბათ არც ჰყოლია. ვგონებ, მასზე უკეთ წერა არავის შეეძლო. მისი ნარკვევები და ანალიტიკური სტატიები დღესაც საუკეთესო რამაა, რაც იმ წლების შესახებ წამიკითხავს. მისი ტექსტები მარწმუნებს, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია – და კიდევ ერთხელ მაჩვენებს, რომ ამის გამბედაობა და უნარი არ მყოფნის. ამავე დროს ის, ჩემი ულრიკე მაინჰოფი, იყო ტერორისტი. მკვლელი. მე კი მაინც ძალიან მინ-

და, ისეთი გავხდე, როგორც ულრიკე მაინჰოფი იყო.

სამარცხენო მდგომარეობაა.

ქალბატონი ულრიკე მაინჰოფი ახლაც ძალიან სახიფათო ქალი გახლავთ.

და აი, ლაშა ბაქრაძემ ამიხსნა, რომ ეს სწორია. რომ RAF-ის და ულრიკეს ცალსახა შეფასება შეუძლებელია. მან მითხრა, რომ ულრიკე მაინჰოფი რომ არა, RAF არ იარსებებდა, ხოლო RAF რომ არა, დღევანდელი გერმანია და, გარკვეულწილად, დღევანდელი ევროპა ასეთი არ იქნებოდა; რომ მუდამ უნდა არსებობდეს ძალა, რომელსაც, პროტესტთან ერთად, წინააღმდეგობის უნარიც აქვს.

ულრიკე მარია მაინჰოფი

პროტესტიდან წინააღმდეგობამდე

„პროტესტი: ვაცხადებ, რომ ესა და ეს არ მანყობს. წინააღმდეგობა: ვიქცევი ისე, რომ რაც არ მანყობს, არსებობას წყვეტს. პროტესტი: ვაცხადებ, რომ მორჩა, მე ამაში აღარ ვმონაწილეობ. წინააღმდეგობა: მე ვიქცევი ისე, რომ ამაში აღარავინ მიიღებს მონაწილეობას“. ნელს, თებერვალში ვიეტნამისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ბერლინში ერთმა შავკანიანმა ამერიკელმა, მოძრაობა Black Power-ის წარმომადგენელმა დაახლოებით ეს თქვა – სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს.

სტუდენტები სულაც არ „ანყობენ აჯანყებას“, ისინი წინააღმდეგობას სწავლობენ. დიახ, ქვებს ისროდნენ, დიახ, ბერლინში შპრინგერის კონცერნის შენობის ფანჯრები დაიმსხვრა. მანქანები ააღდა, „ბილდ ცაიტუნგის“ ერთ-ერთი რედაქცია დაზარალდა, საბურავები დაიგლიჯა, სატრანსპორტო მოძრაობა პარალიზებული იყო, სატივროთო მანქანები გადააყირავეს, პოლიციელების ჯაჭვები გაარღვიეს – დიახ, ძალას მიმართეს, ფიზიკურ ძალმომრეობას. მიუხედავად ამისა, შპრინგერის პრესის გამოსვლას ხელი ვერაფერმა შეუშალა, ქუჩის მოძრაობა რამდენიმე საათში განახლდა. ფანჯრების ფულს სადაზღვევო კომპანიები გადაიხდიან. დამწვარი სატივროთო მანქანების ნაცვლად, ქუჩებში სხვები გამოვლენ. პოლიცია წყლის ჭავლს

კვლავ გამოიყენებს, ისევე, როგორც რეზინის ხელჯოხები არ მოგვაკლდება. მაშასადამე, ის, რაც მოხდა, შეიძლება კვლავ განმეორდეს: შპრინგერის პრესა კვლავ გააფთრებულ დევნას განაგრძობს, კლაუს შულცი კვლავ მოგვინოდეებს, რომ „ამ სუბიექტებს თვალეში ჩავხედოთ“ და – მოდით, ვიყოთ თანმიმდევრულნი – ვურტყათ (რაც 21 თებერვალს უკვე მოხდა) და, საბოლოოდ, ვესროლოთ.

სიტყვიერ პროტესტსა და ფიზიკურ წინააღმდეგობას შორის ზღვარი სააღდგომოდ გადაილახა, რუდი დუჩეზე თავდასხმასთან დაკავშირებული დემონსტრაციების დროს. ეს პირველად მოხდა მასობრივად და არა ცალკეული პიროვნებების მიერ, რამდენიმე დღის განმავლობაში და საყოველთაოდ, და არამარტო ბერლინში, პრაქტიკულად და არა სიმბოლურად. თუ 2 ივნისის მერე შპრინგერის გაზეთებს წვავენ, ახლა ცდილობენ, მათ გავრცელებას ხელი შეუშალონ. 2 ივნისს მხოლოდ პომიდვრებს და ლაყე კვერცხებს ისროდნენ – ახლა ქვებს ისვრიან. თებერვალში მხიარული და სასაცილო ფილმი აჩვენეს იმის შესახებ, თუ როგორ კეთდება „მოლოტოვის კოქტეილი“ – ახლა კი კოქტეილის ბოთლები მართლა აბრიალდა. პროტესტსა და წინააღმდეგობას შორის საზღვარი გადაილახა,

თუმცა არაეფექტურად. და მაინც, ის, რაც მოხდა, შეიძლება კვლავ განმეორდეს, ძალთა თანაფარდობა არ შეცვლილა. წინააღმდეგობა ვისწავლეთ. მაგრამ ძალაუფლების პოზიციები ვერ დავიპყართ. მაშ, შეიძლება თუ არა მომხდარს უაზრო, ტერორისტული, აპოლიტიკური, უძლური ძალადობა ვუნწოდოთ?

მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. რა სურს პოლიტიკურ ძალაუფლებას? ძალაუფლებას, რომელიც გმობს ქვების მსროლელ დემონსტრანტებს და ცეცხლის გაჩენას და არა შპრინგერის გააფთრებულ პროპაგანდას, ვიეტნამის დაბომბვას, ირანში გამეფებულ ტერორს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიღებულ წამებას. ძალაუფლებას, რომელსაც – კანონის თანახმად – შპრინგერის ექსპროპრიაცია შეუძლია, მაგრამ ამის ნაცვლად „კოალიციას“ ქმნის. ძალაუფლებას, რომელსაც მასმედიით შეუძლია მოჰყვეს სიმართლეს „ბილდის“ და „ბერლინერ ცაიტუნგის“ შესახებ, მაგრამ ამის ნაცვლად სტუდენტების შესახებ ცრუ ამბებს ავრცელებს. იმ ძალაუფლებას, რომელიც თვალთმაქცურად გმობს ძალადობას და „ორმაგი სტანდარტის“ მომხრეა, რომელიც სწორედ იმისკენ მიისწრაფვის, რაც ჩვენ, ამ დღეებში ქუჩაში ქვებით თუ უქვებოდ გასულეებს, სულ არ გვინდა: ჩვენთვის უძლური, დამოუკიდებლობას მოკლებული მასების ბედის თავზე მოხვევა, ჩვენთვის არავისთვის საშიში ოპოზიციის როლის თავზე მოხვევა, ჩვენთვის ბავშვური დემოკრატიული თამაშების თავზე მოხვევა და იმის დამტკიცება, რომ ჩვენი ბედი ესაა. ხოლო თუ საქმე სერიოზულ სახეს მიიღებს, ეს ძალაუფლება საგანგებო მდგომარეობასაც მოგვახვევს თავზე.

ჯონსონი, რომელმაც მარტინ ლუთერ კინგი ეროვნულ გმირად გამოაცხადა, კისინგერი, რომელმაც ტელეფონით გამოხატა თანაგრძნობა დუჩეზე თავდასხმის გამო – ორივენი ძალადობის სისტემის წამომადგენლები არიან, სისტემისა, რომლის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ კინგიც და დუჩეც, ძალადობის სისტემისა, რომელმაც შვა შპრინგერიც და ვიეტნამის

„იმიტომ, რომ თაჰინთი საყვარელი ფირმა, „ნიმფილე & ნასრიზი“ შინარჩუნონ. ერთდართი საშუალება არსებობს: შპრინგერის ექსპროპრიაცია. ჩვენ აღარ ვხუმრობთ. პროტესტი: ვაცხადებ, რომ ესა და ეს არ მანყოფს. წინააღმდეგობა: ვიქცევი ისე, რომ რაც არ მანყოფს, არსებობას წყვეტს“.



ომიც. ამიტომ არც ჯონსონს და არც კისინგერს არა აქვთ არც მორალური და არც პოლიტიკური უფლება, სტუდენტების წინააღმდეგობა გააკიცხონ.

კვლავ: ყველაფერს თავისი სახელი და ვარჯევით. დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ ჩვენთან, დღისით-მზისით, უბრალოდ ვიღაცამ ვიღაც კი არ დახვრიტა, არამედ ინტელიგენციის პროტესტი მასების გასულელების წინააღმდეგ სერიოზულად იყო შესწავლილი და გაანალიზებული შპრინგერის კონცერნის მიერ – და კონცერნმა ზომები მიიღო, რომ ისინი, ვინც გასულელების კამპანიის წინააღმდეგ გამოდიან, გამოაცხადოს ღვთის მოწინააღმდეგე ადამიანებად, სუბიექტებად, რომლებიც ვითომდა ყოველთვის ყველაფრის წინააღმდეგნი არიან. დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ ბიურგერული ფორმა „ჩვეულებები & კარგი მანერები“ ბორკილებია და ეს ბორკილები შეიძლება და უნდა დაიმსხვრეს, თუკი შებორკილების ცემა და დახვრეტა დაიწყება. დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ ამ ქვეყანაში კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არა მარტო გულის სიღრმეში არ ემხრობიან და კიცხავენ ტერორს და ძალადობას, არამედ მზად არიან, თავზე ხელი აიღონ და ეს ხმამაღლა თქვან, და მათ ვერავინ შეაშინებს; ანუ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც წინააღმდეგობის განწევის უნარი შესწევთ და შეუძლიათ ყველას აჩვენონ, რომ ის, რაც აქამდე ხდებოდა, ასე ვეღარ გაგრძელდება.

დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ სიკვდილის პროპაგანდა საზოგადოებისთვის საშიშია, და ამიტომ საზოგადოებაში აღმოჩნდა ძალები, რომლებიც მზად არიან, სასაკლაოზე უარი თქვან. დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ ადამიანის სიცოცხლე ბევრად ძვირფასია, ვიდრე ფანჯრის მინები და მანქანები, როგორც შპრინგერის კონცერნის სატვირთო მანქანები, ასევე დემონსტრანტების ავტომობილები, რომლებიც ბერლინში შპრინგერის გამომცემლობის შენობის ბლოკადის მოხსნის აქციის დროს პოლიციამ დაამტკიცა და დააზიანა. დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ საზოგადოებაში, როგორც იქნა, გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც მზად არიან არა მარტო აუტანელს აუტანელი უწოდონ, არამედ შპრინგერის და მისი მსახურების განიარაღების პროცესის ორგანიზებაც შეძლონ. მაშასადამე, იმის დემონსტრირება მოხდა, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებობს სხვა საშუალებებიც, უფრო ეფექტური, ვიდრე ის, რამაც თავისი უძლურება უკვე დაამტკიცა (ვგულისხმობ დემონსტრაციებს, პროტესტებს, შპრინგერის საქმის მოსმენებს და ა.შ.) – თუკი რუდი დუჩკეზე თავდასხმის თავიდან აცილება ვერ შეძლო. მაშასადამე, ვინაიდან ბორკილები ფორმისა „სიმშვიდე & წესრიგი“ უკვე დამსხვრეულია (თავად ძალაუფლების მიერ), ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავინყოთ ახალი დისკუსია ძალადობის და საპასუხო ძალადობის შესა-

ხებ. საპასუხო ძალადობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ის სააღდგომოდ განხორციელდა, არ არის განკუთვნილი იმისთვის, რომ (ოპოზიციური ძალების) სიმპათია გამოიწვიოს, არასაპარლამენტო ოპოზიციის მხარეზე გადაიყვანოს სამთავრობო ძალადობით დაშინებული ლიბერალები. საპასუხო ძალადობა უნდა გადაიქცეს ისეთ ძალადობად, რომელიც პოლიციური ძალადობის შესატყვისია, ძალადობად, რომელშიც გათვლა შეცვლის უძლურ რისხვას, ძალადობად, რომელიც პოლიციის შეიარაღებულ, საომარ ძალად გამოყენების შემთხვევაში, ასევე შეიარაღებული, საომარი საშუალებებით გასცემს პასუხს. ისტაბლიშმენტი, „მმართველი წრე“ უნდა ვაიძულოთ რუდისთან მოლაპარაკება ანარმოს – ისე, რომ მთავრობა, საპარლამენტო პარტიები და კავშირები მიხვდნენ: იმისთვის, რომ თავიანთი საყვარელი ფორმა, „სიმშვიდე & წესრიგი“ შეინარჩუნონ, ერთადერთი საშუალება არსებობს: შპრინგერის ექსპროპრიაცია.

ჩვენ აღარ ვხუმრობთ. „პროტესტი: ვაცხადებ, რომ ესა და ეს არ მანყობს. წინააღმდეგობა: ვიქცევი ისე, რომ რაც არ მანყობს, არსებობას წყვეტს“.

ეს ამბავი დაიწყო 1960-იან წლებში. უფრო სწორად, ერთბაშად ბევრი რამ მოხდა, და რამდენიმე ადამიანი, რომელიც მანამდე უბრალოდ რევოლუციობანას თამაშობდა, ძალიან მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.



სასხი ბაადერა გარჯვენა ხალით საქართველო ისროლა. გუდრუნ ენსლინა ჭარბი, კაუჭი ჩამოიხრჩო თავი, ოღონდ იქ როგორ აკვრა და ელექტროგაყვანილობის გავთული საიდან მოიტანა – გაუგებარია. სრულიად სარკილ საქანში ჩამოიხრჩო თავი ულრიკე მაინჰოფას. ასე აგზოვნა.

1967 წელს გერმანიას ირანის შაჰი უნდა სწვეოდა. მემარცხენე სტუდენტები ამ ვიზიტის წინააღმდეგი იყვნენ, რადგან სმენოდან, როგორ აწამებდნენ ადამიანებს ირანის ციხეებში. ერთ მანიფესტაციაზე მათ სტუდენტი, ბენი ონეზორგი შეუერთდა, ჩვეულებრივი სტუდენტი, მემარცხენეც კი არ ეთქმოდა. ის მოკლეს. უბრალოდ, წამების წინააღმდეგ გამოვიდა, და მოკლეს.

ერთი წლის მერე რუდი დუჩკეს ესროლეს. რუდი დუჩკე, რომელიც გერმანიის სტუდენტთა პროფკავშირის ლიდერი იყო, შპრინგერის საგაზეთო კონცერნს ჰყავდა ათვალწუნებული. გერმანელებს მოუწოდებდნენ: „შეაჩერეთ დუჩკე!“ დუჩკე ნეონაციტმა ბახმანმა შეაჩერა – თავში ესროლა. დუჩკე სასწაულად გადარჩა, მაგრამ მთელი დარჩენილი ცხოვრება თავის ტკივილი სტანჯავდა და ეპილეფსიის შეტევები დასჩემდა. მიუხედავად ამისა, შპრინგერის კონცერნს მისი დევნა არ შეუწყვეტია. დუჩკე ლონდონში გადავიდა, სადაც მარტოდმარტო დასახლდა და ეპილეფსიის მორიგი შეტევის დროს აბაზანაში დაიხრჩო.

„ტყვევებმა, რომლებიც დუჩკეს ესროლეს, ბოლო მოუღო ჩვენს ოცნებებს მშვიდობისა და არაძალმომრეობის შესახებ“, – წერდა ულრიკე მაინჰოფი.

დუჩკეს ესროლეს – და ფრანკფურტის სავაჭრო სახლის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარი უცებ ჩააქრეს, და მნაშავეები დააკავეს – საყვარლები იყვნენ, პაციფისტები, ანდრეას ბაადერი და გუდრუნ ენსლინი. სასამართლო გაიმართა და ადვოკატებმა იმდენი ქნეს, რომ მსჯავრდებულები მალევე გამოუშვეს ციხიდან. ერთ-ერთი ადვოკატი – ეს მნიშვნელოვანია! – ჰორსტ მალერი იყო.

ენსლინი და ბაადერი საფრანგეთში გაემგზავრნენ და უცებ, გაუგებარი მიზეზების გამო, ისინი ინტერპოლმა დააკავა და კვლავ ციხეში უკრეს თავი.

მემარცხენეები აღმოფთვდნენ, სასამართლო დარბაზში კი ერთმანეთს შეხვდნენ ზემოთ ხსენებული ადვოკატი ჰორსტ მალერი და მემარცხენე ჟურნალისტი გაზეთ „კონკრეტიდან“ – ულრიკე მაინჰოფი. სწორედ ასე დაიწყო „წითელი არმიის ფრაქციის“, RAF-ის ისტორია. ამ ორმა გაუგონარი რამ ჩაიფიქრა და განახორციელა: ბაადერი და ენსლინი ციხიდან გააქციეს. ოთხეული იორდანის სასწავლო ბანაკებში გაემგზავრა, სადაც მათგან პროფესიონალი ტერორისტები შექმნეს.

1970 წელს ისინი, განვრთნილები, მომზადებულები და საბრძოლოდ შე-

მართულები გერმანიაში დაბრუნდნენ. „წითელ არმიას“ უკვე 30 წევრი ჰყავდა და ასობით ადამიანი თანაუგრძნობდა.

მრავალ სხვა საკითხთან ერთად, მათ ერთი რამ აინტერესებდათ, მართლაც საინტერესო ამბავი: რატომ მოხდა ისე, რომ მრავალი ნაციისტი ომის შემდეგ არა მარტო სასჯელს გადაურჩა, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებაც შეძლო. RAF-ელები კვლევას შეუდგნენ და გასაოცარი ფაქტები აღმოაჩინეს:

ომის უკანასკნელი თვეების განმავლობაში ფაშისტური საგანგებო ტრიბუნალების მოსამართლეებმა „პანიკის თესვისთვის“ ათასობით ადამიანი ჩამოახრჩეს. არც ერთი დამნაშავე არ დაუსჯიათ. „დანიის ჯვალათი“, რომელმაც პირადად გაანადგურა, სულ მცირე, რვა ათასი ადამიანი, სახელგანთქმული იურისტი გახდა და რალაც დიდ კონცერნში დიდ ფულსაც იღებდა. ესეული მალაჩრინოსანი, საფრანგეთში ფაშისტური ტერორის ორგანიზატორი, რომელსაც საფრანგეთის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გამოითხოვა, უმაღლესი შეინყალა და გენერლის საპატიო პენსიაც დაუნიშნა.

>>> ბაზრქილიზა გვ. 94



ინტერვიუ ერიკ ტრუფაზთან

ავტორი: ქახა თოლორდავა
 ფოტო: მარიკა ჟოჩიაშვილი

რაზე გინდათ, რომ ვისაუბროთ?

ძირითადად მუსიკაზე.

ეს ისაა, რაც მიჭირს ხოლმე, განსაკუთრებით – ინგლისურად. მუსიკაზე მიჩვევნი ვიძლევო, ოღონდ – ფრანგულად. ახლა ნუ მომთხოვთ ამას, კარგი? სიმღერას ვგულისხმობ.

კარგი, შევთანხმდით. მუსიკაზე ზოგჯერ მართლა რთულია საუბარი. რამდენიმე კვირის წინ ჯონ მაქლაფლინის DVD-ს ვუყურებდი ინდოელ მუსიკოსებთან რომ ჩანერა ორიოდ წლის წინ; ფილმი იმაზეა, თუ როგორ მუშაობდნენ ისინი ერთად მაქლაფლინის ალბომზე Floating Point. ფილმის ბოლოს, მუშაობას რომ ასრულებენ, მაქლაფლინი ჰაეროვან კოცნას უგზავნის თავის მუსიკოსებს, მადლობის ნიშნად. ეს ალბათ მუსიკოსებთან ურთიერთობის ყველაზე კარგი საშუალებაა.

ეს მომწონს. ყოველი შემთხვევისთვის, სიტყვებს სჯობია.

არასდროს გიჩნდებათ მუსიკალური იმპულსების არტიკულირების სურვილი ან საჭიროება?

რა თქმა უნდა, მაგრამ როგორც წესი, სიტყვებით კარგად ვერ ვახერხებ ხოლმე იმის ახსნას, რაც ამ დროს ჩემში ხდება. უამრავი მეტაფორის გამოყენება მიხდება. ამიტომაც ვთქვი, რომ მუსიკაზე ლექსის თქმა ან სიმღერა მიჩვევნია. მე საყვირზე ვუკრავ, საყვირი კი ამოსუნთქვაა. სიმღერაც ამოსუნთქვაა. მე მომღერალი ვარ საყვირით ხელში და მომღერალივით ვუდგები მუსიკალურ მასალას, უფრო – მომღერალივით, ვიდრე ვირტუოზი ინსტრუმენტალისტივით.

ამიტომაც საუბრობთ ხოლმე ასე ხშირად თქვენსავე მუსიკაში დრამის პრინ-

ციპების და ელემენტების შემოტანაზე?

მართალია. დაკვირვებას იღუმალი ატმოსფეროს შექმნას ვცდილობ ხოლმე. მარტო ამას ვერ მივალწევ, ამიტომაც ჩემ გვერდით კარგი მუსიკოსები უნდა იდგნენ. მათ დაკვირვებაც უნდა იცოდნენ და სხვების მოსმენაც, თორემ სცენაზე ოთხი ან ხუთი კაცი რომ დგას და ყველა ერთდროულად უკრავს, ქაოსი იქმნება. მუსიკოსს დრამის შეგრძნება უნდა ჰქონდეს. მაქლაფლინი რადგან ვახსენეთ, პირადად მე მისი მაილზის დროინდელი პერიოდი უფრო მიყვარს. მაილზთან და თავის პირველ სოლო ალბომებში მაქლაფლინი შედარებით ძუნწად ავსებდა სივრცეს და მე სწორედ ასეთ მუსიკას ვანიჭებ უპირატესობას. მაილზთან ყოფნისას მაქლაფლინი განსხვავებულად უკრავდა, გახსოვთ?

რა თქმა უნდა. In a Silent Way, Bitches Brew, Live Evil. მაილზის იმდროინდელ მუსიკაშიც დრამის შექმნის მცდელობა იყო.

თან როგორი დაძაბული, საინტერესო და სახვე დრამის!

როგორც წესი, თქვენ ერთდროულად ძალიან ბევრ პროექტში ხართ ხოლმე „გახვეული“, თან ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პროექტებში – ხან ჰიფ-ჰოპერებთან ერთად წერთ ალბომს, ხან – ელექტრო-მუსიკოსებთან, ხან პიერ ჰენრისთან ან ჯონ ჰასელთან. ადვილად ახერხებთ თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი ატმოსფეროს შექმნას მუსიკიდან მუსიკაში გადასაცვლები-სას?

მუსიკა ჩემი ცხოვრებაა, ცხოვრება კი დღიდან დღემდე და წლიდან წლამდე ერთნაირი არაა. ამიტომაც ვიცვლი ხოლმე მუსიკალურ გარემოს, ჩემივე აღმოჩენების გადასახალისებლად.



ქარბი მუსიკა დროის მიღმა უნდა იდგას და წლების შემდეგაც თანამედროვედ ჟღერდეს. ვის რად უნდა ისეთი მუსიკა, რომელიც სხვათაგანს განსხვავდება – ერთი წამს გიზიზიანებს, მერე კი ქრება?

მიყვარს მუსიკალურად სხვადასხვა გეოგრაფიული სივრცეების შემოტანა ჩემს მუსიკაში. ასეთი გადაადგილებები აზროვნების უნარს მიუმჯობესებს. თანაც, კომპოზიტორიც ვარ და მუსიკასთან ასეთი მიდგომა განსხვავებული ფორმების გამოყენების საშუალებას მაძლევს. შარშან მაგალითად მეც ინდოელ მუსიკოსებთან ერთად ჩავწერე ალბომი.

ვიცი. ისიც ვიცი, ინდური კლასიკური რაგას შესწავლა რომ გინდოდათ. სხვათა შორის, სანამ ინდური მუსიკის შესწავლა არ გადაწყვიტეთ, არც კი ვიცოდით, რომ კლასიკური რაგას დიდი ნაწილი იმპროვიზაციაა.

ჰო, მაგრამ ამის გამო ის ადვილი არ ხდება და მისი შესწავლაც ძალიან, ძალიან ძნელია. რაგა ინდური კლასიკური მუსიკაა, და თუ გინდა, რომ სერიოზულად დაეუფლო მას, მინიმუმ 20 წელი მაინც უნდა დაახარჯო სწავლის პროცესს, რაღაცას მაინც რომ მიაღწიო. ჰო, რაგაში მეც იმპროვიზაცია მიზიდავს, მაგრამ, როგორც გითხარით, ამ შემთხვევაში ასე ადვილად არაა საქმე. მე ჰარიპრასად ჩაურასიას (ჰარიპრასად ჩაურასია – ბანსურზე, ბამბუკის ფლუტაზე, შემსრულებელი

ინდოელი მუსიკოსი) დიდი ფანი ვარ. ის თავისი მუსიკით რამდენიმე წუთში ახერხებს მსმენელი ამქვეყნიურობას მოსწყვიტოს. ჰოდა, სულ მეგონა, რომ მთელი მისი მუსიკა იმპროვიზაციაა, ვიდრე მის კონცერტზე არ მოეხვედი. ცოცხლად შესრულებისას მისი მუსიკის გარკვეული ნაწილი იმპროვიზაციაა, მაგრამ რაღაც მომენტში ამ ნაკადში ტაბლა (კლასიკური ინდური დასარტყამი ინსტრუმენტი) რომ შემოდიხ, მას სრულიად გათვლილი და განსაზღვრული კლასიკური სტრუქტურები შემოაქვს მუსიკაში. ამ დროს ინდოელი მსმენელი ტაშს უკრავს ხოლმე, ჩვენ კი – ვეროპელები ვერ ვხვდებით, თუ რამ გამოიწვია ეს ტაში. საქმე კი ისაა, რომ ისინი ცნობენ იმ სტრუქტურებს და ნიშანს აძლევენ მუსიკოსს, რომ ბოლომდე მიჰყვებიან მას. გენიალურია! ისე კი ტაბლაზე დამკვრელებთანაც მიყვარს მუშაობა. რამდენიმე წლის წინ ტალვინ სინგთან ერთადაც ჩავწერე დისკი. ბოლო ალბომზე კი აპურბა მუჰერჯისთან ერთად ვიმუშავე.

ვერასდროს წარმოიდგენ, რომ შესაძლებელია დასარტყამ ინსტრუმენტზე მელოდის დაკვრა. ზაკირ ჰუსეინი პუჩინის ცნობილ თემას უკრავს ტაბლაზე

ჩარლზ ლოიდის Sangam-ზე, გახსოვთ?

აჰ, ზაკირ ჰუსეინი! ლვთაებრივი მუსიკოსია! ტაბლა კი ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და რთული ინსტრუმენტი. აი, ასეთი რამეები იწვევს ჩემში მუსიკის კეთების პროვოცირებას. ასეთ ადამიანებთან შეხვედრა და მათი მუსიკის სმენა. მე იმ კაცივით ვარ, სულ რაღაცას რომ ეძებს და უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად გადაწყდება რაღაც იდეას ან კონცეფციას. ასეთ დროს ვხვდები, რომ ჩნდება შანსი, გამოხატვის ჩემებურ საშუალებას ახალი ფერები შევძინო. ადამიანებთან, სხვა მუსიკოსებთან შეხვედრის დროსაც ასე ხდება. რაღაც უხილავს იქნერ მუსიკისადმი მათ მიდგომაში და ხვდები, რომ თუ ერთად მუშაობის შანსი მოგეცემათ, მართლაც რომ ღირებულის შექმნას მოახერხებთ. ასეთი შეხვედრები აზარტული თამაშის ვითაა.

ერთხელ ახსენეთ, რომ სპარტანული გარემო გიზიდავთ – მთები, უდაბნო, იაპონური არქიტექტურა. მერე კი დაამატეთ, – მუსიკა ამ ყველაფრის მეტაფორააო. რას გულისხმობდით?

როგორც უკვე ვთქვი, საუნდის ორგანიზაციის ჩემებური მცდელობა მუ-



სიკაში განსაკუთრებული ატმოსფეროს დაძებნა. მე ჩაურასიასავით განწყობის შემქმნელი მუსიკოსი უფრო ვარ, ვიდრე რიტმულ სტრუქტურებზე დაყრდნობილი ვინმე კუბელი ვირტუოზი. ჩემი მუსიკა იმის მეტაფორაა, რაც მე მიზიდავს – გაშლილი სივრცეების, უდაბნოს, და ასე შემდეგ. იგივე ეხება ე.წ. ურბანულ, ინდუსტრიულ საუნდსაც. ისიც გარკვეულ ატმოსფეროზე აგებული მუსიკაა. სხვათა შორის, მიუხედავად ჩემი მცდელობებისა, წინასწარ გამოვიცნო, თუ რამდენად ღირებული იქნება შედეგი, მუსიკის კეთების პროცესში ამას ვერ ვახერხებ. ჩვენ ხშირად არ ვიცით, ვინ და რა ვართ, სანამ ჩვენივე შექმნილს გვერდიდან არ შევხედავთ. მუსიკის კეთების პროცესში, რამდენად კარგადაც უნდა ვიყო მზად, შედეგი, როგორც წესი, იდუმალბითაა მოცუული. ეს ცხოვრებასავითაა. მთავარი ამ დროს ისაა, რომ მუსიკას შენში შემოსვლის უფლება მისცე. ზოგჯერ ამას ვახერხებ, ზოგჯერ კი არაფერი გამომდის.

ქით ჯარეთი წამდაუნუმ იმეორებს, რომ მუსიკოსების დანიშნულება არაა მსმენელის გართობა, თქვენ კი, ამას წინათ პიერ ჰენრიზე, ელექტრონული

მუსიკის ერთ-ერთ პიონერზე საუბრისას აღნიშნეთ, რომ ის, მუსიკოსი კი არა, მაძიებელი უფროა. რა დოზით ხართ გამართობი და რა დოზით – მაძიებელი?

ჰენრივით მკვლევარი ნამდვილად არ ვარ. ვინაიდან მუსიკას მსმენელს ვასმენინებ, გარკვეული თვალსაზრისით, გამართობიც ვარ. ზოგჯერ ფორმებს შეგნებულად ვცვლი ხოლმე, მსმენელისათვის უფრო საინტერესო რომ გაეხადო. ეს ჩემთვის პრობლემა არაა. მსოფლიოს ყველა კუთხეში მიწევს გამოსვლა და მინდა, რომ ადამიანებმა კარგად იგრძნონ თავი ამ მუსიკის მოსმენისას. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, მეც მინდა, ჯარეთივით შემეძლოს ერთი და იგივე მუსიკის ისე დაკვრა წლების განმავლობაში, რომ მუსიკამ ხიბლი არ დაკარგოს. ჯარეთს შეუძლია ამის გაკეთება. ტრიოს ფორმატში, ლამის ოცდაათ წელზე მეტია, ჯაზ-სტანდარტებს უკრავს ერთი და იმავე მუსიკოსებთან ერთად და ყოველი მისი ახალი ალბომი მოვლენაა. მაგრამ, სწორად გამიგეთ, ის ქით ჯარეთია! ის გენიოსია, მე კი არ ვარ გენიოსი. საერთოდ, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ რა პოტენციალის მუსიკოსი ხარ. მე ვიცი, რომ გენიოსი არ ვარ და ამიტომაც მესაჭიროება გარკვეული სცენარების

შექმნა მუსიკის კეთებისას. ზოგს გენიოსად მიაჩნია თავი, სინამდვილეში კი მოსაწყენ მუსიკას აკეთებს. სამყაროში ასობით ქით ჯარეთი არაა. გარშემო ბევრი კარგი პიანისტია და ისინი ხშირად კარგ მუსიკასაც უკრავენ, მაგრამ მაინც უსმენ და გრძნობ, რომ ეს ის მუსიკაა, ერთხელ უკვე მოსმენილი რომ გაქვს. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ თუ მუსიკოსი ხვდება, რომ დაკრულს იმეორებს, აუცილებლად უნდა შეცვალოს მიდგომა და სხვა მუსიკალური ფორმით სცადოს საკუთარი თავის გამოხატვა. ასეთია ჩემი ფილოსოფია. უეინ შორთერს ნათქვამი აქვს, – იმისთვის, რომ საკუთარი თავი იპოვო, შენივე თავის ერთგული უნდა დარჩე. გიმეორებთ, ჯარეთი გენიოსია, მე კი – არა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯარეთისნაირი მუსიკოსებიც აწყდებიან პრობლემებს, თუნდაც დაკვრისას მექანიკურობის თავიდან ასაცილებლად. ამ ბოლო დროს მას არა ერთხელ ალუნიშნავს, რომ მაშინვე წყვეტს დაკვრას, რა წამსაც ხვდება, რომ „კომფორტულ“ ზონაში შეაბიჯა და ხელების მექანიკური კარნახით უკრავს.

>>> ბაბრქილია ბვ. 96

„მეორე არხის“ პირველი პარტნიორი

ინტერვიუ ერიკ მონიოსთან

ავტორი: ქეთევან საღმურაძე
ფოტო: ლევან ხარხაულიძე

ეს „მეორე არხი“, ოღონდ არა ის, კარგად ნაცნობი „მეორე არხი“. ეს არხი უკვე პოლიტიკურია და, მრავალფეროვანი გადაცემების ნაცვლად, არხზე ძირითადად პოლიტიკოსები და „უფრო ძირითადად“ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები არიან გამაგრებულები, ერთგვარი პოლიტიკური სერიალებით, ანუ, დღისით – ბრიფინგებით, პრესკონფერენციებით, საარჩევნო შეხვედრა-დაპირებებით და მყვირალა გამოსვლებით. ღამით – 17 კვალიფიციური პარტიისათვის განკუთვნილი, ხშირად მონოლოგებს შენირული „თავისუფალი ტრიბუნით“... და ეს ყველაფერი, მონტაჟის გარეშე. ამ „მეორე არხს“ ძალზე მწირი ტექნიკური შესაძლებლობები, გავრცელების შეზღუდული არეალი, გასულ საუკუნეში გარემონტებული ორი ოთახი, 34 ადამიანზე გათვლილი ყოველთვიური 31 000-ლარიანი ბიუჯეტი და ოპტიმისტური გეგმები აქვს, ქართული პოლიტიკური სპექტრისათვის მიუწვდომელი სლოგანით – ემოციიდან აზროვნებისაკენ!

ეს ერიკ მონიოა, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის საპარლამენტო არხის (LCP-AN) გენერალური მდივანი. ის ერთი კვირა თანამშრომლობდა „მეორე არხთან“ და ხელმძღვანელობას სტრატეგიისა და პროგრამირების პრინციპების, ადამიანური და ტექნიკური რესურსების განსაზღვრაში ეხმარებოდა, არხის სიდუხჭირეს კი ევროპელისათვის დამახასიათებელი თავშეკავებული ღიმილით უყურებდა.

ერიკ მონიომ საფრანგეთში საკმაოდ პრესტიჟული E.N.A-ს ადმინისტრაციის ეროვნული სასწავლებელი და პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობდა ფინანსთა სამინისტროსა და „რე-

ნოს“ საავტომობილო კომპანიაში. ოცი წლის წინ გადაწყვიტა, თავი აუდიოვიზუალურ სფეროში გამოეცადა, ხელმძღვანელობდა სოლიდურ საპროდიუსერო ჯგუფს, რომელიც მხატვრულ ფილმებს იღებდა. მონანილეობდა ენ ზღვის იქითა მხარის ქვეყნების ტელევიზიების ჩამოყალიბებაში. პოლინეზიაში ტელევიზიის ხელმძღვანელიც კი გახლდათ. მოგვიანებით საკუთარი კომპანია ჩამოაყალიბა, რომელიც დოკუმენტურ ფილმებს იღებდა, ამავე დროს მუშაობდა უცხოეთში ფრანგული პროდუქციის ექსპორტსა და სტრატეგიის შემუშავებაზე. 2008 წლიდან საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის საპარლამენტო არხის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ადმინისტრირებიდან აუდიოვიზუალურ სფეროში გადასვლის ინტერესს ერიკ მონიო იმით ხსნის, რომ ეს არის სფერო, სადაც ყველაზე გახსნილი გონებაა საჭირო.

ზოგადად, რამდენად ეფექტურია საზოგადოებრივი ტელევიზია, როგორია საზოგადოების ნდობის ხარისხი ასეთი არხების მიმართ, უნდა იფიქროს თუ არა საზოგადოებრივმა არხმა კონკურენციაზე, რადგან კომერციულ არხებთან კონკურენცია მაინც პირობითია. საზოგადოებრივი არხები ხომ ისეთ პროდუქციაზე მუშაობენ, რომლითაც კერძო არხები ვერც რეიტინგს მოიპოვებენ და კომერციისგანაც შორს იქნებიან.

როგორც საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის, ასევე საპარლამენტო არხისთვის მაყურებლის საკითხი, რა თქმა უნდა, სპეციფიკურია. კი ვამბობთ, რომ მაყურებელიც და რეიტინგიც ჩვენი მიზანია, მაგრამ არც მაყურებლის რაოდენობა და არც რეიტინგი აკვიატებად არ უნდა გვექცეს.





საზოგადოებრივ მაუწყებელს სამი ძირითადი ფუნქცია აქვს. პირველი – სოციალური კავშირები დააყაროს საზოგადოებასთან, მეორე – აამაღლოს კულტურის მნიშვნელობა და მოამზადოს გადასაშვები კულტურაზე და მესამე – წავიღოს რისკზე – ესაღოს, გააკეთოს ისეთი გადასაშვები, რომლების გაკეთებაც არ შეუძლია და არც უნდა კერძო არხს, რადგან ერიდება რისკზე წასვლას.

მაშინ, მიზანი რა არის? შესაძლოა, გკითხონ – რა საჭიროა ისეთი გადაცემების გაკეთება, რომელსაც არავინ შეხედავს.

რასაკვირველია, საზოგადოებრივი არხიც და ჩვენი ტიპის საპარლამენტო არხიც, მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიკურია, ყოველთვის ფიქრობს მაყურებლის მოზიდვაზე და ამისთვის ყველა საშუალებას ვიყენებთ – იგივე კომუნიკაციისა და პრესასთან ურთიერთობის სამსახური ჩვენს ტელევიზიაში ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენი საპარლამენტო არხი გადასცემს პარლამენტის სხდომებს, მაგრამ ამავე დროს ყველანაირი ტიპის მაყურებლის მოსაზიდად ვამზადებთ სხვადასხვა ჟანრის გადაცემებს, დაწყებული თოქ-შოუთი და შემეცნებითი გადაცემებით, დამთავრებული დოკუმენტური ფილმებით. თამაშიც კი გვაქვს, ანუ ვცდილობთ, სამიზნე ჯგუფები გვყავდეს და ყოველმხრივ დავაინტერესოთ მაყურებელი. ჩემი აზრით, საზოგადოებრივ მაყურებელს სამი ძირითადი ფუნქცია აქვს. პირველი – სოციალური კავშირები დააყაროს საზოგადოებასთან, მეორე – აამაღლოს კულტურის მნიშვნელობა და მოამზადოს გადაცემები კულტურაზე და მესამე – წავიღოს რისკზე – ეცადოს, გააკეთოს ისეთი გადაცემები, რომლების გაკეთებაც არ შეუძლია და არც უნდა კერძო არხს, რადგან ერიდება რისკზე წასვლას და ისეთი „არაპოპულარული“ გადაცემების გაკეთებას, როგორცაა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და კულტურული. მართალია, ასეთ გადაცემებს ნაკლები მაყურებელი ჰყავს, მაგრამ შედეგის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. თქვენ გაინტერესებდათ საზოგადოების ნდობის საკითხი, საფრანგეთის საზოგადოებრივი ტელევიზია, რომელიც რამდენიმე არხს

აერთიანებს, და ჩვენი საპარლამენტო არხიც მაღალი ხარისხის გადაცემებს ამზადებს ისეთ თემებზე, რომლითაც ყველა ტიპის მაყურებელი ინტერესდება, ამიტომაც, მაყურებლის ნდობა ნამდვილად არის. ჩვენთან კერძო არხს TF 1-ს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, თითქმის 30 პროცენტამდე, მაგრამ საფრანგეთის საზოგადოებრივი მაყურებელი, რომელიც რამდენიმე არხს აერთიანებს, საბოლოო ჯამში უფრო მეტ რეიტინგს აგროვებს, ვიდრე TF 1-ის რეიტინგია. აქვე ვიტყვი, რომ ნდობის განმსაზღვრელი აუცილებელი ფაქტორია საინფორმაციო გამოშვებები და, რაც მთავარია, პლურალიზმი. იმ ტელევიზიას, რომელიც პლურალიზმს იცავს, რეიტინგიც მაღალი აქვს და მუდმივი მაყურებელიც ჰყავს. ჩვენთან საზოგადოებრივი არხები უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე კერძო არხები და უფრო მეტი თავისუფლება გვაქვს, ვიდრე მათ.

რამდენადაც ვიცი, ფრანგული საპარლამენტო არხის რეიტინგი 0,5 პროცენტია.

ნამდვილად 0,5 პროცენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მუდმივად 300 000 კაცი უყურებს ჩვენს არხს, ზოგჯერ შეიძლება 100 000 უყურებდეს და ზოგჯერ მილიონზე მეტი, მაგრამ სტატისტიკურად მუდმივი მაყურებელი 300 000-მდეა. სხვათა შორის, „არტეს“ რეიტინგიც ამდენივეა.

არხის გავრცელების არეალი როგორია?

საფრანგეთში 40 მილიონ მაყურებელს შეუძლია საპარლამენტო არხის მიღება. საქართველოში, ისე როგორც საფრანგეთში, მაყურებელს ძირითადად გასართობი პროგრამები აინტერესებს, მაგრამ ის რეიტინგი, რაც

ჩვენი ტიპის პოლიტიკურ არხს აქვს, რომელიც კულტურულ და საგანმანათლებლო გადაცემებსაც ამზადებს, ძალიან კარგი მონაცემია. ჩვენ ინტერნეტ ვებგვერდიც გვაქვს და ხშირად ინტერნეტში უფრო მეტი გვიყურებს, ვიდრე ეკრანზე. ეს იმიტომაცაა კარგი, რომ ინტერნეტში როცა გინდა, მაშინ ნახავ სასურველ გადაცემას.

საშუალო ფრანგი მაყურებელი რამდენად ინტერესდება პოლიტიკით; ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მეორე ადამიანი პოლიტიკას მნიშვნელოვნად თვლის, პოლიტიკურ პროცესებში გარკვევა უმრავლესობას მაინც უჭირს.

ფრანგებს, ტრადიციულად, უყვართ პოლიტიკა, იშვიათად, რომ გარკვეულ მომენტში პოლიტიკაზე არ დაინყონ ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი სამიზნე ჯგუფები უფრო მეტად ახალგაზრდები და ის ადამიანები არიან, რომლებსაც ნაკლები განათლება აქვთ ან თავიანთი გაუნათლებლობის გამო უჭირთ პოლიტიკური პროცესების გაგება – სწორედ მათთვის მზადდება გადაცემები პოლიტიკაზე. ამავე მიზნით შექმენით თამაში, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათისაა, თამაშის ფორმით ვცდილობთ მაყურებელს კანონების მითხარა.

თქვენ დაესწართ „მეორე არხის“ გადაცემის „თავისუფალი ტრიბუნის“ მიმდინარეობას პირდაპირ ეთერში და ნახეთ ჩვენი პოლიტიკოსები. შედარების სახით, როგორია პოლიტიკოსების შინაგანი კულტურის დონე.

მხოლოდ ერთი გადაცემა ვნახე და თავს უფლებას ვერ მივცემ, ქართველი პოლიტიკოსების კულტურის დონეზე ვილაპარაკო. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკოსებს, ზოგადად, მათი კულტურის

დონე საკმაოდ მაღალია, ვგულისხმობ პოლიტიკურ კულტურას, განათლებას და ტექნიკურ კულტურას, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად ერკვევიან სოფლის მეურნეობაში, იურისპრუდენციაში და სხვა დისციპლინებში, რაც გასაკვირი არ არის. თავმდაბლურად არ გამომდის, მაგრამ ბევრ მათგანს ის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, რაც – მე. გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ხშირად საყვედურობს მათ, რომ ზედმეტად პროფესიონალები არიან, ანუ ერთი და იგივე ადამიანები საკმაოდ დიდხანს არიან იგივე ეროვნულ ასამბლეაში, ესენი არიან ყოფილი ფუნქციონერები და ჩინოვნიკები, იგივე, პროფესორები და, როცა საზოგადოების ყველა ფენა არ არის წარმოდგენილი პარლამენტში, სწორედ ამას საყვედურობს საზოგადოება.

კი, მაგრამ ძირითადი ამომრჩეველი საზოგადოებაა და ეს ინტერესი არჩევნების დროს გაითვალისწინოს.

ამომრჩეველი წარმოდგენილი კანდიდატურებიდან ირჩევს. როცა ყოფილი ფუნქციონერი ხარ და კანდიდატურას მეორედ წამოაყენებ, დასაკარგი არაფერი გაქვს. როცა ადვოკატი ხარ და ამავე დროს 5 წელიწადი დეპუტატი, შენი „კანტორა“ მაინც მუშაობს, მაგრამ პატარა სანარმოს ხელმძღვანელი 5 წლის ვადით რომ მოვიდეს პარლამენტში, ეს სანარმო უიმისოდ დაიშლება და, როცა დეპუტატი აღარ იქნება, შეიძლება უსამსახუროდ დარჩეს. ამიტომ ურჩევნია, თავის სანარმოს მიხედოს და პარლამენტზე უარი თქვას. ალბათ ესაა იმის მიზეზი, რომ ერთი და იგივე ადამიანები ხდებიან დეპუტატები.

პოლიტიკოსებისა და მედიის ურთიერთობაზე ვისაუბროთ. მედიას საზოგადოების ცნობიერებაზე ძალზე დიდი გავლენა რომ აქვს, არავინ დავობს. ცდილობენ თუ არა ფრანგი პოლიტიკოსები ეს გავლენა სათავისოდ გამოიყენონ. დასამალი არ არის, რომ ჩვენთან საზოგადოების დიდი ნაწილი საზოგადოებრივ მაუწყებელს სახელისუფლებო არხად თვლის და ერთ-ერთ ძლიერ ადმინისტრაციულ რესურსად მიიჩნევს.

უმრავლესობის წარმომადგენლებს ყოველთვის სურთ, რომ გააკონტროლონ მედია, კერძო არხი იქნება ეს თუ საზოგადოებრივი, მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებელში სარედაქციო ჯგუფისა და ჟურნალისტების მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებიან. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავის თანამშრომლებს მითითება მისცეს – რა გააკეთონ, რაზე ილაპარაკონ და რაზე არა. მსგავსი მდგომარეობაა ჩვენთანაც. იშვიათად არის ზარების შემთხვევები, მაგრამ ვინც რეკავს, არაფერი გამოსდის, რადგან ჟურნალისტები არ თანხმდებიან გააკეთონ ის, რაც თვითონ არ სურთ, ამის მაჩვენებელია საზოგადოებრივი არხისადმი ნდობა. როცა საპარლამენტო არხის გადაცემებს უყურებ, რომელიც ათი წელია არსებობს, ვერასდროს იტყვი, რომ არხი ან ერთ პარტიას მიემხრო, ან მეორეს. იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ასამბლეა ასი პროცენტით გვაფინანსებს, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ხელისუფლება ჩარეულიყო ჩვენს საქმიანობაში ან რაიმე დავებთან. ამის მაგალითია თუნდაც ჩვენი არხის ხელმძღვანელი, რომელიც მემარცხენეა, მაგრამ როცა გადაცემა მიჰყავს, მისი მემარცხენე პოზიცია არაფერში არ იგრძნობა. ეროვნულ ასამბლეაში უმრავლესობა არის მემარჯვენე, მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელი დანიშნულია ე.წ. ოპოზიციური ბანაკიდან. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენზე არანაირი ზეწოლა არ არის.

რა რეკომენდაცია გექნებათ ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის, როგორ უნდა დაიცვან თავი ჟურნალისტებმა პოლიტიკოსების ზეწოლისგან?

ჩემთვის ძალზე რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ალბათ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ სასიკეთოდ განვითარდეს ის პროცესები, რომელიც ახლა მიმდინარეობს. პოლიტიკოსებმა უნდა დაიცვან და პატივი სცენ ჟურნალისტების დამოუკიდებლობას და პლურალიზმს.

>>> ბაბრქაილება გვ. 97



დისკუსია რადიკალიზმი დიალოგის მავივრად

ავტორი: ნინო ბაქიშვილი



მონაწილეები:

ლევან ბერძენიშვილი

რესპუბლიკური პარტიის წევრი

ლელა გაფრინდაშვილი

ფილოსოფოსი

ნატო ზაზაშვილი

ფსიქოლოგი და წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური

ვახუშტი მენაბდე

იურისტი

მამა ვლადიმერ ვახტანგაძე

კონფლიქტი, რომლის კულმინაციაც ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ჩხუბი იყო, წლების წინ დაიწყო და პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს. მიუხედავად იმისა, რომ მოჩხუბრები დააპატიმრეს, დაძაბულობა ისევ რჩება – დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რომელთაგანაც ერთნი გამოხატვის თავისუფლებას და სხვადასხვა უმცირესობების უფლებებს იცავენ, ხოლო მეორენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე საუბრობენ და მიზნის მისაღწევად ძალადობას არ ერიდებიან. დიალოგი ვერ შედგა.

დღეს უკვე იურისტები და პოლიტიკოსები მსჯელობენ, შეიტანონ თუ არა ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას რელიგიური გრძობების სასარგებლოდ შეზღუდავს.

რამ გამოიწვია ეს კონფლიქტი, რატომ მიმართავენ ადამიანები ძალადობას, რა პოზიცია აქვს ეკლესიას – ამ საკითხების გარკვევას დისკუსიაზე შევეცადეთ.

ნინო ბექიშვილი: რა შეიძლება იყოს რელიგიური ექსტრემიზმის მიზეზები, როგორ მოვედით აქამდე?

ლევან ბერძენიშვილი: ეს არ არის მარტივი ამბავი. აქამდე მივედით იმიტომ, რომ კანონები და დეკლარირებული ღირებულებები ერთი მიმართულებით მიდის, საზოგადოებრივი ცხოვრება კი – სხვა მხარეს. საზოგადოება ხშირად საჯაროდ აცხადებდა, რომ კანონი არ არის მნიშვნელოვანი, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც კანონზე მაღლა დგას. მაგალითად, თუკი სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, შეიძლება კანონი დაირღვეს. ასეთი რამ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლთა ან კონფესიათა უარყოფელთა მხრიდან არაერთხელ თქმულა. აქამდე მივედით იმიტომ, რომ ჩვენ ვართ პრინციპულად ჩამორჩენილი და გაუნათლებელი საზოგადოება. ყველამ შესანიშნავად იცის, რომ ტერიტორიული მთლიანობის გარდა, არსებობს სხვა ღირებულებებიც, მაგრამ როცა საქართველოს ხელიუსფლებამ წამოიწყო ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, საზოგადოების დიდმა ნაწილმა თქვა: მერე რა, თუ ირღვევა კანონი, მთავარია აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა. ჩემი აზრით, აქ არის ძირითადი პრობლემა. მე ამ ყველაფერს ძალიან პირობით და გაცვეთილ სახელს ვარქმევ, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს მის თავდაპირველ მნიშვნელობასთან, მაგრამ კარგად გამოხატავს ჩვენი საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობას – ეს ფარისევლობაა. საზოგადოება აცხადებს ერთს, აკეთებს მეორეს და ფიქრობს მესამეს. ეს არ არის მარტივი პრობლემა. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი ერთ-ერთი ძალიან აქტიური მოქალაქეა ეკლესიაში. მას შეუძლია ამბიონზე სიტყვა წარმოთქვას, პატრიარქი გვერდზე განიოს. ჩვენ პატრიარქს ამის ბედი აქვს – მახსოვს ირაკლი წერეთელმაც გვერდზე განია თავის დროზე. ყველამ იცის, რანაირი აღმსარებელი და ქრისტიანია სააკაშვილი, მაგრამ ითვლება, რახან პრეზიდენტია, ამიტომ მართლმონაშენე ქრისტიანი უნდა იყოს. ფარისევლობა ბევრგან ჩანს. ვამბობთ, რომ ცოდნა ჩვენთვის ძალიან ღირებულია და ამ დროს მასწავლებლის ხელფასი, მეზადურთა ხელფასთან ერთად, ყველაზე ნაკლებანაზღაურებადია მთელ საბიუჯეტო სისტემაში. საზოგადოებაში არ არის გულწრფელობა და ხალხი არ აკეთებს იმას, რასაც ფიქრობს. კანონი დასუსტდა და ყოველთვის, როცა კანონი სუსტდება, პირველყოფილი ინსტინქტები წამოყოფენ ხოლმე თავს. ინსტინქტი მარტივია: მე მართალი ვარ, შენ – მტყუანი, უცხო არ ვარგა და ა. შ

ნინო ბექიშვილი: მამა ვლადიმერ, თქვენ უკვე გამოხვედით „კავკასიის“ ეთერში და ერთხელ უკვე თქვით, რომ იმ ძალადობრივ მეთოდებს, რომელსაც მიმართავდა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა“, ქრისტიანობასთან

არანაირი საერთო და კავშირი არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტის შემდეგ ამდენი დღე გავიდა, ოფიციალურად საპატრიარქოს განცხადება არ გაუქვთებია. პატრიარქის მიერ მამა დავით ისაკაძის დაჯილდოება საზოგადოების ნაწილმა ისე აღიქვა, თითქოს საპატრიარქო მიესალმება ბრძოლის ასეთ მეთოდებს. რამდენად ერთიანია ქართული სამღვდელთა? არის თუ არა ის მზად იმისთვის, რომ ძალადობრივი მეთოდები დაგმოს?

მამა ვლადიმერ: ყველანაირი ძალადობა, ვისი მხრიდანაც უნდა მოდიოდეს, დასაგმობია. ვერ გეტყვით, ინციდენტის პროვოცირება ვინ მოახდინა, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“, მაღლა გულაშვილის თანამოაზრეებმა, თუ ე.წ. ლიბერალებმა, რომლებიც იქ იხსდნენ. ეს არ ვიცი, მაგრამ ძალადობა რომ ყოველად მიუღებელია, ეს ცალსახად უნდა ითქვას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო, დღესაც არის და იქნება ყველანაირი ძალადობის მოწინააღმდეგე. რაც შეეხება დეკანოზ დავით ისაკაძის დაჯილდოებას, მამა დავითი არაერთი წელია, ქართული ეკლესიის მსახურია. ცალსახად ნუ ვიტყვით, რომ ის კონფლიქტების მოწინააღმდეგეა. მე არ ვიცი, თვითონ რამდენად მოწინააღმდეგეა ამ ინციდენტში.

ნინო ბექიშვილი: არსებობს ვიდეომასალა, სადაც ჩანს, რომ სწორედ მამა დავითი აძლევდა დავალებებს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებს.

მამა ვლადიმერ: არა მგონია, მამა დავითმა ვინმეზე მიუთითოს, – სცემეთო. არა მარტო მამა დავითმა, არამედ – ნებისმიერმა მღვდელმა. ეს მიუღებელია ნებისმიერი ადამიანისგან და მით უმეტეს – სასულიერო პირისგან. დეკანოზი დავით ისაკაძე, როგორც გითხარით, უკვე რამდენიმე წელია, ეკლესიის სამსახურშია და მას ეკლესიისთვის ბევრი სიკეთე აქვს მოტანილი. არაერთი ეკლესია ააშენა თუ განაახლა, მრავალი ადამიანი მოიყვანა ეკლესიაში და ვფიქრობ, ის ამ დამსახურების გათვალისწინებით დააჯილდოვეს.

ნინო ბექიშვილი: როდის ხდება ძალადობა შესაძლებელი? რა კვებავს ძალადობას?

ლელა გაფრინდაშვილი: ძალადობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ის არ განიშიფრება, ანუ არ არის მსჯელობა ამ სოციალურ მოვლენაზე. ექსტრემიზმი, ფუნდამენტალიზმი, შეუწყნარებლობა, ქსენოფობია შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც არ არის შეხვედრებათა პლურალიზმი და სადაც რადიკალიზაცია ხდება. ერთი მხრივ, არსებობს უკიდურესად ლიბერალური აზრი და მეორე მხრივ – უკიდურესად ფა-

ნატიკური შეხედულებები. შუაში კი არაფერია. მაგრამ ორ რადიკალურ აზრს შორისაც არ მოხდებოდა შეჯახება, რომ იყოს ამ შეხედულებებზე, მოსაზრებებზე მუდმივი მსჯელობა და საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, მოუსმინოს სხვადასხვა თვალსაზრისს, მოუსმინოს ყველას და საკუთარ თავს დაუჯეროს. თუკი დემოკრატიის, ლიბერალიზმის ევროპულ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ იყო რაღაც წარმოდგენები, შემდეგ ჩნდებოდა მათი საპირისპირო იდეები და სწორედ საპირისპიროს გაჩენის შემდეგ ჩნდებოდა ქვეყნების და შეხედულებების განვითარებას შესაძლებლობა. სტაგნაციას სწორედ ალტერნატიული აზრების არარსებობა იწვევს. მაგრამ თუ გადავხედავთ ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიას, ვთქვათ – დამოუკიდებლობიდან დღემდე, სულ სხვა სურათი დაგვხვდება – აქ თითქმის ყოველ-



გაგა ვლადიმერ ხახჩიკიანი

არავინ ამბობს, რომ ქუჩაში ვინმე უნდა დავიჭიროთ, ან ვინმეს რამე ავუკრძალოთ. ამ ყველაფერს სიტყვით და ყველა იმ ბერკეტით უნდა დავუპირისპირდეთ, რაც ეკლესიას აქვს ხელთ. ეკლესიის ძალა სიტყვაა. ჩვენ, სასულიერო პირები და ყველა ის ადამიანი, ვინც თავს ეკლესიის წევრად თვლის, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, მსგავს სიბინძურეს წინ აღვუდგეთ, ოღონდ – ყოველნაირი ძალადობის გარეშე.

თვის ბატონობდა ერთი შეხედულება, რომელზეც უნდა ყოფილიყო სწორება. სხვადასხვა ინსტიტუცია მუდმივად ამისაკენ მოგვიწოდებს: ან მმართველი პარტია, ან ეკლესია, ან ვინმე ინტელექტუალი ამბობდა, რომ მისი აზრი ერთადერთი და ხელთუქმნელია. არ ვმსჯელობდით და არც ახლა ვმსჯელობთ. მე არ მახსოვს არც ერთი საჯარო დისკუსია თემაზე, არის თუ არა გამოსატვის თავისუფლება კონფლიქტში სახელმწიფო სამართლის რაღაც დოკუმენტთან, ან რელიგიის კანონებთან. დისკუსიის არარსებობა მნიშვნელოვანი ხარვეზია.

ნინო ბექიშვილი: გავისხენოთ ის მეთოდები, რასაც ჩვენი ხელისუფლება პირველ წლებში იყენებდა, როცა ჩვენ ყოველდღე ტელეეთერთი ვუყურებდით ტელედაქტერებს – როცა ადამიანებს საკუთრებას ართმევდნენ, როცა ძალის გადამეტებით დაიჭირეს ბასილ მკალავიშვილი და ა. შ. ჩვენ შევეჩვიეთ ძალადობის ცქერას. ამგვარი ტელემედია და ამგვარი განწყობები უხსნის თუ არა გზას, ზოგადად, მოძალადეებს?

ნატო ზაზაშვილი: 9 აპრილით რომ დავიწყოთ და გამოვყვეთ, ვნახავთ, რამდენი კონფლიქტი მოხდა. ჩვენ სამოქალაქო ომი და არაერთი ეთნოკონფლიქტი გადავიტანეთ და იქიდან მოყოლებული ძალადობა ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. ბოლო წლების მოვლენებს ამ პროცესის ნაწილად აღვიქვამ. მე, როგორც პროფესიონალს – ფსიქოლოგს, მანუხებს ის, თუ როგორი დამოკიდებულებით, ინტონაციით ხდება ურთიერთობის გარკვევა. მაკვირვებს საზოგადოების მზადყოფნა, მომენტალურად შექმნას მტრის ხატი. შეიძლება რაღაცას არ ეთანხმებოდე, შინაგანად აგრესიაც გაგიჩნდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელი უნდა ვკრათ ადამიანს. რაც უნდა ხდებოდეს, ყოველთვის შეიძლება პირობითად, შენი მოწინააღმდეგე მაინც შენ გვერდით დატოვო. ამის მაგალითია მშობლის და შვილის ურთიერთობა, როდესაც მათ შორის კონფლიქტია. იშვიათად ხდება, რომ დედამ შვილი ნაპრაღის იქით გადატყორცნოს. თუ ამის გაკეთება საკუთარ შვილებთან შეგვიძლია, სხვის შვილებთანაც უნდა შევძლოთ. როდესაც კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფ ცოლ-ქმართან ვმუშობთ, პირველი წინ გადადგმული ნაბიჯია, როდესაც ურთიერთდაბრალების ტერმინებიდან ვახერხებთ და საუბარი მიზეზების ძიებისკენ მიგვყავს. ეს ადვილი არ არის, განსაკუთრებით, როცა საქმე ბავშვებს ეხებათ. ზოგჯერ მშობლები ბავშვებს ისეთ მძიმე პირობებში ამყოფებენ, რომ შეიძლება შინაგანად ძალიან აგრესიული დამოკიდებულება მქონდეს მშობლის მიმართ, მაგრამ ამას არასდროს გამოვხატავ. როცა ადამიანი მრისხანებაშია, ხდება ცნობიერების შევიწროება, ფოკუსი ვიწროვდება, ხედავ მარტო ერთ ნერტილს და გონება ბლოკირებულია, მოქმედებ მხოლოდ იმპულსებით და კონტროლს აღარ ექვემდებარები. ოჯახში ძალადობა და საერთოდ ძალადობა ერთმანეთს ჰგავს. ოჯახში შეხლა-შემოხლა ხდება ცოლ-ქმარს შორის, ამას ბავშვი ხედავს. სალამოს კი ყველა ტელევიზორთან ჯდება და უყრებენ, მაგალითად, 7 ნოემბრის კადრებს. ამით ისინი დასტურს იღებენ, რომ მათი საქციელი გამართლებულია: სახელმწიფო, რომლის ხელშიცაა ძალაუფლება – მოძალადეა. მოზარდი მეორე დღეს ქუჩაში გადის, თან დანა უდევს ჯიბეში და არავინ არ არის მის გვერდით, ვინც დაელაპარაკება. მგონია, ამაზე უნდა ვიფიქროთ – რას ფიქრობენ, რა სტკივათ, რა მოსწონთ ამ ბავშვებს. მათ დახმარება სჭირდებათ, რომ მოძალადეებად არ იქცნენ.

ლელა გაფრინდაშვილი: ჩვენ რამდენიმე ტიპის კანონს ვემორჩილებით. ერთი მხრივ არის რელიგიური კანონი, მეორე მხრივ – ცივილიზებული, ანუ სამოქალაქო კანონები, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები. ჩვენში ისევ ძლიერია ადათ-წესობრივი სამართალი. ჩვენს ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს ე.წ. ტრადიციული ნორმები, რომელსაც მაინცდამაინც დიდ წინაღმდეგობას ვერ ვუწევთ. ამავე დროს 1994 წლიდან საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა. თუ ჩვენ ვართ სეკულარული სახელმწიფო და გვინდა ცივილიზებული სამყაროს ნაწილად ვიქცეთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა სხვა სამართალთან მიმართებაში, პრიმატი საერთაშორისო სამართალს აქვს.

ნინო ბექიშვილი: ქართველი მოსამართლეები საქმეების განხილვისას იშვითად მიმართავენ საერთაშორისო სამართალს.

ლელა გაფრინდაშვილი: ხშირად მათ ისიც არ იციან, რომ საერთაშორისო სამართალს პრიმატი აქვს. ამის გარდა, საერთაშორისო სამართალით გარანტირებული უფლებები ბევრ მოქალაქეს, სახელმწიფო მოხელეს, პოლიტიკოსს თუ სასულიერო პირს გაცნობიერებული არ აქვს და არ ესმის, რომ ამის გარეშე ქვეყანა, სადაც ვცხოვრობთ, ვერ გახდება ცივილიზებული და ვერ განვითარდება.

ნინო ბექიშვილი: ერეკლე დეისაძის წიგნი, სავარაუდოდ, მხოლოდ საბაბი იყო. კონფლიქტი არ დაწყებულა გუშინ. ბოლო წლების მანძილზე გარკვეული სიხშირით ამგვარი შემთხვევები ხდებოდა. თუკი ვაღიარებთ საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო კანონმდებლობას, რომელიც იცავს ჩვენი გამოხატვის თავისუფლებას, მაშინ რა უნდა ვქნათ? არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ წიგნები უნდა აიკრძალოს, კანონმდებლობა გადაიხედოს და ა. შ.

ლევან ბერძენიშვილი: ეს მარტივი საქმე არ არის. დეისაძეს აქვს უფლება, წეროს, რაც უნდა. რაც შეეხება ამ ორგანიზაციას და მის ძალადობას – ქალბატონმა ნატომ ოჯახურ ძალადობაზე ისაუბრა, მაგრამ ორგანიზებული ძალადობა განსხვავდება ერთი პირის ძალადობისგან. კოლექტიურ ძალადობას აქვს ერთი თავისებურება. ამ თავისებურებას კაცობრიობა გაეცნო ისეთი ფორმით, რომ მერე შერცხვა და წარმოუდგენელი დოკუმენტი დადო 1948 წლის 10 დეკემბერს. დღეს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“ ვერავინ ვერ დაწერს და არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც მას დღეს მიიღებდა. ყველა რელიგიური კონფესია ეწინააღმდეგება ამ დოკუმენტს, ეს ნორმალურიცაა, ასეც უნდა იყოს. ეს დეკლარაცია ყველაფერზე მაღლა დადგა სწორედ იმიტომ, რომ მისმა შემქმნელებმა წარმოუდგენელი სისასტიკე ნახეს.



ლელა გაფრინდაშვილი

ერთი მხრივ, არსებობს უკიდურესად ლიბერალური აზრი და მეორე მხრივ – უკიდურესად ფანატიკური შეხედულებები. შუაში კი არაფერია. თუკი დემოკრატიის, ლიბერალიზმის ევროპულ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ იყო რაღაც წარმოდგენები, შემდეგ ჩნდებოდა მათი საპირისპირო იდეები და სწორედ საპირისპიროს გაჩენის შემდეგ ჩნდებოდა ქვეყნების და შეხედულებების განვითარება შესაძლებლობა.

ძალადობა ძალადობას წარმოშობს. ჩვენ ამდენი ხანია, ვუყურებთ სხვა ქვეყნებში ამას. თუ ისრაელი ძალადობს, მაშინ არაბები აფეთქებენ და თუ არაბები აფეთქებენ, მაშინ ისრაელი ძალადობს. ეს არ დამთავრდება, ვიდრე არ მოიძებნება რაიმე ფორმულა. ჩვენ საზოგადოებას კომუნისტური იდეოლოგია მოახვიეს თავს. ვინც არ ეთანხმებოდა, იმას მიხედევდნენ. ნახევარმა ქვეყანამ დახოცა ქვეყნის მეორე ნახევარი. კომუნისტების დროს ჩვენ გამოვტოვეთ განვითარების ფაზა, ჩამოვრჩით. ხოლო ჩვენ, ქართველები, ვინაიდან არ ვფლობდით საერთო სახელმწიფოს 800 წლის განმავლობაში, განსაკუთრებულად ჩამოვრჩით – უფრო მეტად, ვიდრე ბალტიის ქვეყნები.

საქართველოში გაჩნდა მოთხოვნა „ერთზე“. მაგალითად, მოითხოვენ, გაერთიანდეს მთელი ოპოზიცია. ნათელია, ვინც ამას ითხოვს, ის ხვალ გცემს, იმიტომ, რომ ის „ერთს“ ითხოვს. ერთისადმი ასეთი ბრმა რწმენაა, მოითხოვენ, რომ მთელი ნაცია ერთის გარშემო შეიკრას, ყველას უნდა ჰქონდეს ერთი აზრი, ყველას უნდა ეცვას ასე, ყველა უნდა იყოს ასეთი. მე განსაკუთრებით მომეწონა, როცა ახალგაზრდა ახალგაზრდას უხსნიდა, რა უნდა ჩაიცვას.

ნინო ბექიშვილი: საქართველო თანდათან ხდება თანამედროვე მსოფლიოს ნაწილი და ამ პირობებში ეკლესია ვერ იქნება ერთადერთი აზრთა მპყრობელი, როგორც

– ბევრი საუკუნის მანძილზე. თუ არის ეკლესიაში დიალოგი იმის შესახებ, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ეკლესია თანამედროვე სამყაროში? ეს არ არის მარტო ქართული ეკლესიის პრობლემა. ამავე დილემის წინაშე ალბათ ბევრი სხვა რელიგიური ორგანიზაციაც დგას.

მამა ვლადიმერი: ეკლესია არ არის მარტო იერარქები, არც მარტო მრევლი. ეს ერთი მთლიანობაა. რა თქმა



ნატო ჯაჯაშვილი

მე, როგორც პროფესიონალს – ფსიქოლოგს, მანუხებს ის, თუ როგორი დამოკიდებულებით, ინტონაციით ხდება ურთიერთობის გარკვევა. მაკვირვებს საზოგადოების მზადყოფნა, მომენტალურად შექმნას მტრის ხატი. შეიძლება რალაცას არ ეთანხმებოდე, შინაგანად აგრესიაც გაგიჩნდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელი უნდა ვკრათ ადამიანს. რაც უნდა ხდებოდეს, ყოველთვის შეიძლება პირობითად, შენი მოწინააღმდეგე მაინც შენ გვერდით დატოვო.

უნდა, საქართველოს ეკლესია ახალი გამოწვევების წინაშე დგას, ეს ბუნებრივია. მაგრამ რაც ბრძანეთ, რომ ისტორიის მანძილზე ეკლესია იყო აზრთა ერთადერთი მპყრობელი, მთლად ასე არ ყოფილა. ეკლესია ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს, რომ საზოგადოება იყოს ჯანსაღი. არ ვიცი, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჰომოსექსუალები და ასეთი უკუღმართობები სიჯანსაღის მახასიათებელია, ამას მართლმადიდებელი ეკლესია, მე მართლმადიდებელთა სახელით ვსაუბრობ, ვერ შეეგუება. არ მგონია, რომ მუსლიმები და იუდეველები ამას გაგებით შეხვდნენ. ეს არაბუნებრივია და ხშირად ეს ადამიანები, უფრო მეტად მოძალადეები არიან. დეისაძეს და მის მსგავსებს ვგულისხმობ. გვიკვირებენ, – ამის უფლება გვაქვსო. კი ბატონო, ჩვენ არავის საწერ მაგიდასთან არ ვუსხედვართ, და ვერავის ვუკრძალავთ

და არც ავუკრძალავთ, იმიტომ რომ ყველას თავისი აზრი აქვს; მაგრამ შემდეგ ამ წიგნებს დიდ პროპაგანდას უწევენ და რეკლამას უკეთებენ.

ნინო ბექიშვილი: ერეკლე დეისაძის წიგნს რეკლამა სწორედ იმ კამპანიამ გაუწია, რაც მის საწინააღმდეგოდ ააგორეს.

მამა ვლადიმერი: შეიძლება გამოხატვის თავისუფლების ნიღბით სხვა ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის რელიგიურ თუ მორალურ ღირებულებებს შეურაცხყოფა მივაყენოთ? ცემა-ტყეპა ცალსახად მიუღებელია, ამაზე არ არის საუბარი, მაგრამ არის ინსტიტუტები, მათ შორის საქართველოშიც, რომლებიც მიზანმიმართულად უწევენ პროპაგანდას ალვირახსნილობას. რატომ არ ხდებოდა ამგვარი რამ შვიდი, რვა, ათი წლის წინათ? მაშინ არ იყვნენ საქართველოში ჰომოსექსუალები? ეკლესია და ყველა მორალურად მდგრადი ორგანიზაცია, იქნება ეს რელიგიური თუ სხვა, ვერ შეეგუება, თვისობრივად ვერ მიიღებს და ვერ წაახალისებს ამორალურობას.

ნინო ბექიშვილი: ინტერნეტის ეპოქაში უხამსობისგან, ძალადობისგან, პორნოგრაფიისგან არავინაა დაცული. საქართველოში ირანს ვერ შევქმნით. ირანში მსგავსი არაფერი იწერება. ვინც დაწერს, მაშინვე თავს მოჭრიან ან ჩამოახრჩობენ.

მამა ვლადიმერი: არავინ ამბობს, რომ ქუჩაში ვინმე უნდა დავიჭიროთ, ან ვინმეს რამე ავუკრძალოთ. ამ ყველაფერს სიტყვით და ყველა იმ ბერკეტით უნდა დავუპირისპირდე, რაც ეკლესიას აქვს ხელთ. ეკლესიის ძალა სიტყვაა. ჩვენ, სასულიერო პირები და ყველა ის ადამიანი, ვინც თავს ეკლესიის წევრად თვლის, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, მსგავს სიბინძურეს წინ აღვუდგეთ, ოღონდ – ყოველნაირი ძალადობის გარეშე. ეროვნული ღირებულებები უნდა დავიცვათ თუ არა? უნდა დავიცვათ თუ არა ზოგადსაკაცობრიო მორალური ღირებულებები? ამაზეა საუბარი. გვიკვირებენ, – თქვენ არ უნდა დაიცვათ, და ჩვენ ეს ყველაფერი უნდა ვწერგოთო. ასე არ შეიძლება.

ლელა გაფრინდაშვილი: უნდა შევთანხმდე, რა მეთოდებით ვიცავთ ღირებულებებს. ცხადია, ეკლესიას აქვს უფლება, რაღაც არ მოეწონოს და ამაზე ისაუბროს.

მამა ვლადიმერი: ეკლესია ადამიანთა ერთობაა, ის ცოცხალი ორგანიზმია. როცა მისთვის წმიდათაწმიდას შეურაცხყოფენ, ცოტა ძნელია თავშეკავება. თავშეკავება იმ გაგებით, რომ მერე საპასუხო აგრესია არ წამოვიდეს. პირველი აგრესორი შეურაცხმყოფელია, მაგალითად – დეისაძე. ვილაცები ადამიანის მორალურ მხარეზე ძალადობენ. ეკლესიის ცნება, იცით, რა გახლავთ? ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე უნდა მიუშვირო.

სრულყოფის გზაზე უნდა მიდიოდე. თუკი პიროვნებებს რამე ეშლება, ამაში ეკლესია დამნაშავე არ არის. ეკლესია არის სახარება და წმიდა წერილი. ეკლესია არ არის ვიღაც ცდომილი პიროვნება. ასე იყო საუკუნეების განმავლობაში. ქრისტიანობა გვასწავლის, – გიყვარდეს შენი მტერი და ულოცევდით მანყევართა თქვენთაო.

ლევან ბერძენიშვილი: რაში სჭირდება საქართველოს, ჩვენს ქვეყანას, მის საზოგადოებას „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“? სერიოზულად ვკითხულობ. გულშემატკივარი რომ არ გვჭირდება, ეს უკვე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ იცის. ეს კავშირი რას აკეთებს? ეკლესიას რამე ფუნქცია აკლია, და ესენი ავსებენ? თუ ეს ეკლესიის კომკავშირია? ასეთი მოძალადეები კომკავშირები იყვნენ. ჩემს ახალგაზრდობაში ეკლესიაში შესვლას კომუნისტური პარტიის წევრები კი არ გვიკრძალავდნენ, არამედ – კომკავშირლები. ვთვლი, რომ დამნაშავეა საზოგადოება, რომელიც ამბობს, – მერე რა, იყოს ცოტა მოექსტრემისტო ორგანიზაციებიცო. მე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვიყავი წლების განმავლობაში, ვიცნობ ამ სექტორს და მინდა ვიკითხო, – რითი არსებობს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“?! ამ სფეროს კარგად ვიცნობ და ვიცი, შემოსანივით ვერ იარსებებს არც ერთი ორგანიზაცია, ე.ი. სპონსორი ჰყავთ, რომელიც დაფარულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გამჭვირვალე არ არის. ის ფინანსები, რომლებიც გამჭვირვალე არ არის, არ მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას. მაფიაც სამოქალაქო საზოგადოების წევრი იქნებოდა, ფინანსების ხარჯვა და ის ბრძანებები, რომლებიც გაიცემა, გამჭვირვალე რომ იყოს.

ნატო ზაზაშვილი: ერთია, როცა ვიღაც აკონტროლებს, ვიღაც აფინანსებს, მაგრამ ეს დამფინანსებლები, როგორც წესი, ნოყიერ ნიადაგს პოულობენ ადამიანებში, რომლებიც გულწრფელად იჯერებენ, გულწრფელად მიჰყვებიან მათ. ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება მძიმე კრიზისშია. უკანასკნელ ოცნლეულში მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისი კი არ იყო, არამედ იყო კულტურული, მორალური, ფსიქოლოგიური – ყველანაირი კრიზისი. შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ ვიღაც წერს და მიმართავს თვითგამოხატვის ასეთ მძაფრ ფორმას. ვიღაცას ასეთი რეაქცია აქვს და თვლის, რომ ეს მისაღებია, უნდა რომ იყვიროს, ხმამაღლა გამოხატოს პროტესტი. ადამიანის ასეთი სულიერი მდგომარეობა ყურადღებამისაქცევია. ეს შემთხვევით არ ხდება. არ ვგულისხმობ, რომ ჩემთან მოვიდნენ და მე ფსიქოთერაპიის კურსს ჩავუტარებ. ეკლესიას ძალიან დიდი რესურსი აქვს და მგონი, შეუძლია, გამოიყენოს საზოგადოების სასარგებლოდ.

ლევან ბერძენიშვილი: ერთი რამ უნდა ვთქვა დეისაძის დასაცავად. დეისაძე შემცდარია და, რამდენადაც მე




ლევან ბერძენიშვილი

აქამდე მივედით იმიტომ, რომ კანონები და დეკლარირებული ღირებულებები ერთი მიმართულებით მიდის, საზოგადოებრივი ცხოვრება კი – სხვა მხარეს. საზოგადოება ხშირად საჯაროდ აცხადებდა, რომ კანონი არ არის მნიშვნელოვანი, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც კანონზე მაღლა დგას. მაგალითად, თუკი სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, შეიძლება კანონი დაირღვეს.

ვიცი, ეკლესია უნდა ლოცულობდეს დეისაძისთვის, რომ მან სწორი გზა იპოვოს. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ კი არ ლოცულობს, არამედ სცემს დეისაძეს. ფიგურალურად ვამბობ, პირადად ის ვერ მოიხელთეს. ესაა განსხვავება. არც იმის მჯერა, რომ ეკლესია ვიღაცას უბრძანებს, ადამიანები სცემონ. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები დარწმუნებულები არიან, რომ ლოცვას ძალა არ აქვს და ეკლესიაც უძლურია, ამიტომაც სცემენ. რაც შეეხება ბატონ ისაკაძეს, ჩემი აზრით, ის ამჟამად ხულიგნური ქვენა გრძნობით კარნახობდა უნივერსიტეტთან, ვინ უნდა გაელახათ და ვინ – არა. აქ ეკლესია არაფერ შუაში არ არის. უბრალოდ, იმ მონეტში მას ანაფორა არ ეცვა, მან ქრისტე არ შეიმოსა.

მამა ვლადიმერი: მე არ მინახავს ეს.

ლევან ბერძენიშვილი: რომ ვნახე, იმიტომ გეუბნებით. პირადად იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ მერე ვუყურე. მთელ მსოფლიოს აქვს საშუალება, „იუთუბზე“ ეს კადრები ნახოს, სადაც ჩანს, რომ ისაკაძე წარმართავდა ძალადობას. ნამდვილად კონტექსტიდან ამოგლეჯილი აღმოჩნდა დაჯილდოება. ის, მართალია, სხვა რამის გამო მოხდა, მაგრამ ეს ამბები უნდა გაეთვალისწინებინათ. საჯაროდ კეთილად არ უნდა მოეხსენიებინათ კაცი, რომელიც, ყველამ ვნახეთ, რა პროცესებსაც წარმართავდა.



ამროზ ბირსი

ისევ ბირსი გამახსენდა

ავტორი: აკა მორჩილაძე

ახლა გამახსენდა, სწორედ რომ სამოცდაათიან წლებში იყო წიგნების ასეთი სერია, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე კარგი და მოქნილი სერია იმ დროში და ერქვა „ერთი მოთხრობა“.

შეიძლება ითქვას, რომ წიგნები არც იყო, არამედ პატარა, თხელი რვეულები, მომცრო ზომისა. თითო რვეულში, მწერლის თითო მოთხრობა იყო, ისინიც ალბათ სხვადასხვა ზომისა.

ყდას ფერადი ზოლი გასდევდა, რომელზედაც თეთრად ეწერა სათაური. ყდის მარცხენა კუთხეში მწერლის ფოტო იყო, როგორც წესი, ძალიან რეტუსირებული და მიხატულ-მოხატული. ეტყობა იმ დროში ან ჭირდა ან რა ვიცი, ხერხები არ იყო ფოტოს სუფთად დაბეჭდვისა.

ფოტოს ქვეშ კი მწერლის გვარი და სახელი ეწერა. მარჯვენა ზედა კუთხეში კი სერიის ლოგო იყო, გაშლილი გრაფიკული და ზედ კალამი, იქავე წარწერა, „ერთი მოთხრობა“.

არ ვიცი რა მიზეზით და ეს წიგნაკები ბლომად გვექონდა. ეტყობა მამაჩემი ყიდულობდა ხოლმე, ხელს გამოაყოლებდა. ცხადია, ძალიან იაფი წიგნაკები იყო, ჩემი ვარაუდით, ასე ოცი კაპიკი ეღირებოდა. ალბათ არც იყო გათვლილი დიდხ-

ანს შესანახად და არც შემონახულა, რაზეც გვარიანად მწყდება გული, ბოლომდე მქონდა ერთი და მერე აღარ ვიცი სად წავიდა.

ქართველი მწერლებისა ამ სერიაში ერთი მოთხრობა მასხოვს, გურამ გეგეშიძისა. გვარიანად შემაშინა ამ მოთხრობამ. ალბათ იმიტომ რომ პატარა ვიყავი, ხომ იცი, თან რომ მოგეწონება და თან რომ შეგეშინდება. მართლა ძალიან პატარა ვიყავი იმის საკითხავად. უფრო კი უცხოელები მასხოვს.

იქ იყო ტრუმენ კაპოტეს „ბავშვები დაბადების დღეზე“, სიმენონის „ღია ფანჯარა“, თუ რაღაც ასეთი, ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და ამბროზ ბირსის „შემთხვევა ჭოტისწყლის ხიდზე“.

სიმენონი იმ ფოტოზე რატომღაც ფერნანდელს ჰგავდა, ჰემინგუეი ზანგივით იყო და ილიმოდა როგორც არასდროს გაუღიმიდა და კაპოტე იყურებოდა სადღაც, შორეთში.

საქმე მართლაც ეგ არის, რომ ჩემთვის არასდროს უთქვამს ვინმეს, ეს წაიკითხე და ეს არ წაიკითხოო, როგორღაც ეგრე გამოვიდა. რაღაცას კი მიორჩევდნენ ეს წაიკითხეო, რო-

გორც ბავშვებს ურჩევენ ხოლმე, მაგრამ ამას ჯერჯერობით ნუ მიადგებიო არავის უთქვამს. ჰოდა, ეგრე გამოვიდა, რომ „კლიმანჯაროს თოვლიანი მთა“ დღემდე არ წამიკითხავს. არ წამიკითხავს როგორ, მასსოვს რომ გადაკეთებულში გრე-გორი პეკი თამაშობს და იმ ფილმს ჰეფი ენდი აქვს, თორემ მომკალი და ოდესმე წამიკითხე ეგ წიგნი. ისე, ვთვლი, რომ წაკითხული მაქვს, იმიტომ რომ იმ სერიაში წავიკითხე. რა თქმა უნდა, ბევრი ვერაფერი გავიგე და დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო ამ მოთხრობაში მისი ეპი-გრაფია. ანუ შემდგომი ამბავი საჭირო აღარ არის. იმ კაი კაცს შეეძლო ყინულებში მოხვედრილ ლეოპარდზე დაენერა, ოღონდაც მაშინ უფრო ადამიანებზე წერა იყო მოდაში და არა ამბებზე. ასე იყო, თუ ისე, იმ წიგნზე კი გული აღარ მიმივიდა.

სიმენონზე მივხვდი, რომ იყო იქ რაღაც მოუხელთებელი და ოსტატური. მაშინ ეგ სიტყვა არ ვიცოდი, რასაკვირველია. ოღონდ, რატომღაც მასსოვს ის დღე, როცა ამ მოთხრობას ვკითხულობდი და თან სამზარეულოს ფანჯრიდან ვიყურებოდი. კარგი ამინდი იყო, შაბათი, და ალბათ უკვე გვიანი გაზაფხული. მერე რაღაც კარგი მოხდა. კარგი რა, სასიამოვნო. ნამეტანია, შვიდი წლის რომ ხარ და ამ წიგნებს არ გამოგართმევენ ხელიდან. ალბათ იმიტომ ვკითხულობდი, რომ საქმე და გასართობი არაფერი მქონდა და ეზომიც არ გამიშვებს. რას გაუგებ.

კაპოტე თავიდანვე უარყვავი, არ ვიცი რატომ, ალბათ სათაური არ მომეწონა. ხოდა, მასსოვს, როგორ წავიკითხე ბირსი.

ამ წიგნაკებიდან, ბირსის წიგნაკი ერთადერთი იყო, რომელსაც ავტორის ფოტო არ ამშვენებდა. ეტყობა ვერ იშოვეს, არსად იყო საბჭოთა საწიგნე შესანახებში და არც ის ვიცი, ბირსის წიგნები გამოიცემოდა თუ არა საბჭოთა კავშირში ხშირად.

ბირსის ფოტოს ნაცვლად წიგნს ამშვენებდა სიბნელეში, შავ სილუეტებად მავალი კაცი და კაკტუსი.

მოთხრობას კი, როგორც მოგახსენეთ, ერქვა „შემთხვევა ჭოტისწყლის ხიდზე“.

გავიგე რა. ეგ რო წავიკითხე გავიგე. ისე დამწყდა გული და ისე ავლელიდი.

იქ ეგეთი ამბავია, რომ კაცი უნდა ჩამოახრჩონ ჯარისკაცებმა და თითქოს ეს კაცი გადარჩება, ლელეში გაცურავს, მერე კი ირკვევა, რომ ეს მხოლოდ მისი ფიქრები ყოფილა ჩამოხრჩობის დროს. აბა, გული არ გაგისკდება?

ჩამოხრჩობის ამბისა მაშინ ვიცოდი, რომ ძირითადად უდანაშაულოებს ჩამოახრჩობენ ხოლმე. რატომღაც კინოებში საკმაოდ ხშირად ჩანდა ჩამოხრჩობები და სიკვდილით დასჯები. ძირითადად რევოლუციონერებს ჩამოახრჩობდნენ ხოლმე და ისინიც გმირულად ჩამოეხრჩობოდნენ.

როგორც მასსოვს, ამ ჩამოხრჩობების ამბები კინოებით დიდად არ მოქმედებდა, რადგან იქ დიდად არ ჩანდა რომ ვინმე, თუნდაც ჩამოსახრჩობი, დიდად წინააღმდეგია ამ ამბისა. იქ ჩანდა, რომ ის იმდენად მამაცია, რომ თავის აღსასრულს რწმენითა და ღირსებით ხვდება, თუმცა იცის რომ ეს დიდი უსამართლობაა.

ამ მოთხრობაში კი კაცი დასაწყისიდანვე გადარჩენის გეგმას აწყობდა.

თუმცა, საქმე ეგეც არ იყო, რომ აქ თავგადასავლის ამბავი იყო საინტერესო. საქმე ფერები იყო, როგორც ახლა ვხვდები. როგორ იყო ეს ყველაფერი აღწერილი. ვაახ...

აბა რამდენი წლის მერე შევიტყვე, რომ ბირსი pure ინგლისურის ოსტატი იყო და ჩანს, ეს ქართულ თარგმანშიც გადმოჰყოლოდა.

თან ეს ყველაფერი, რაზეც ის მოგიხრობდა, სრულიად უცხო და ახალი იყო, უბრალოდ ქალების და კაცების ამბავი კი არ იყო, კიდევ რაღაც მეტი. კაცი იყო სამხრეთელი პლანტატორი, ჯარისკაცები – ჩრდილოელები და იმიტომ ახრჩობდნენ, რომ მან სწორედ ამ ჭოტისწყლის ხიდის დანგრევა გადაწყვიტა ერთი ჯაშუშის ჩაგონებით. ანუ, თვითონ უბიძგეს, რათა ჩამოხრჩობის მიზეზი ჰქონოდათ.

ეს პლანტატორობაც ვიცოდი მგონი. დიდი საზიზღარი რამე იყო, „ბიძია თომას ქოხიდან“ გამომდინარე, მაგრამ ეს ჩამოსახრჩობი კაცი საზიზღარი არ ჩანდა.

ან რას ომობდნენ ერთმანეთში, ხომ საერთოდ...

ბირსის წიგნები რუსულად არ მენახა-მეთქი და მოთხრობებიც იმდენი არ ჰქონდა, რომ უამრავი წიგნი გამოსულიყო. ბირსი ხომ უფრო ჟურნალისტი იყო, დღეს როგორც იტყვიან, ცხელი წერტილებისა, და მანამდე კი საბრძოლო ჭრილობები ჰქონდა, რაც მთელი ცხოვრება სტანჯავდა. ბოლოს, უკვე მოხუცი, სამოცდაათი წლისა გაქანდა მექსიკაში იქაური სამოქალაქო ომის გემოს ასაღებად და იქვე დაიკარგა.

არავინ იცის მისი საფლავი. ახორებული კაცი იყო, შემტევი, მწარეკალმიანი ჟურნალისტი, თავისი ჟურნალისტიკა ტომებად გამოსცა სანამ ცოცხალი იყო.

კომუნისტების დროში ეგეთი გამომცემლობა იყო, „პროგრესი“, რომელიც ინგლისურად უშვებდა წიგნებს. ჰოდა, ბირსის ერთი კრებული მქონდა სწორედ იმ გამომცემლობისა. პატარა იყო, ჯიბეში ეტეოდა და ერთ სტუდენტ გოგოს მივეცი.

აღარ მასსოვს, რატომ დაინტერესდა ბირსით, მე არ მიხსენებია. მგონი იმიტომ, რომ რაღაც ამის მსგავსზე ველაპარაკებოდი, ძველ ჟურნალისტებზე.

მგონი ამაზე სადღაც დავწერე უკვე, თუ რაღაც დეჟა-ვიუს ამბავია, არ ვიცი.

ესეც ბირსის პონტია, უყვარდა დეჟა-ვიუზე და ასეთ რამეებზე წერა.

პერესტროიკის დროს მისი წიგნები დაიყარა, უფრო სწორად ერთი და იგივე კრებული სხვადასხვა ყდაში. ვიყიდე, გაქრა, ვიყიდე, გაქრა. ჩინიკოსის ლექსიკონი და ასეთები.

ქართულადაც გამოჩნდა ის ძველი მოთხრობა, ოღონდ ცოტა სხვა სათაურით, „შემთხვევა ბუსნაკადის ხიდზე“. ანუ ჭოტისწყლის და ბუსნაკადის. ოულ ქრევექ.

ახლა იმის მოყოლა არ მინდა, რანაირი მწერალი იყო ბირსი, რისა სჯეროდა და რის არ სჯეროდა. ცხადია, რომ ბევრის არაფრისა სჯეროდა. ისე კი, გვარიანად ძნელია იმ დროს წერო, როცა მარკ ტვენი, ბრეტ ჰარტი, სტივენ კრეინი, ჯექ

ლონდონი, ო'ჰენრი და ასეთები წერენ და ისეთი რამეები დატოვო, რომ არ გამოჩნდეს და სულ არსებობდეს.

ახლა რომ შეხედო, რაც ამერიკელებს ომზე უწერიათ.

იგივე ჰემინგუეი, მთელი ეს დაკარგული თაობის ამბები, მთელი ეს ვიეტნამის ბიჭები. რა ვიცი, ბლომად უწერიათ და ბირსი კი ამათ ყველას სჯობს. ბირსს ბევრის არაფრისა სჯეროდა-მეთქი და მგონი იმიტომაც, რომ ძალიან ახლოს იცოდა ომი. იმგვარად ახლოს, რომ მგონი არც ერთ მწერალს არ სცოდნია.

ის, რომ ბირსი მამაცი და თავზეხელაღებული კაცი იყო, სულაც არ ნიშნავს, რომ რაიმე იმედი ჰქონდა ომებისა, ანდა მოსწონდა ომი. ომში სიარული მისთვის მხოლოდ საქმე და ჰონორარიც არ იყო. ეს უბედურება იყო. რალაცნაირი, დიდი იმედგაცრუება, რომელშიც ყოველ ჯერზე მიდიოდა და თითქოს იცოდა, იქ რა დახვდებოდა. მაგრამ მაინც მიდიოდა, რომ კიდევ ერთხელ დაენახა და კიდევ ერთხელ არ დაეჯერებინა სიკეთისა და იმედისათვის.

მე მგონი, ასე იყო.

კიდევ ერთხელ არ ერწმუნა და კიდევ ერთხელ დაენერა.

ეგეთი მოთხრობა აქვს, „აჭედილი ფანჯარა“. რომელი ერთი.

ისიც არის, რომ ბირსმა მოულოდნელი დაბრუნება იცის. ისე უცებ გაგახსენდება, მთლიანად, რაც წაგიკითხავს მისი, რომ გიკვირს. ის რალაცნაირადაა ჩაბმული უამრავ შემდგომდროინდელ მწერალთან და განსაკუთრებით კი ამერიკელებთან.

ამერიკაში ხომ ბირსისგან და ასეთი კაცებისგან განვითარდა უამრავი ჟანრი და ჟანრული მწერლობა ხომ საერთოდ.

დღესაც, რატომ გამახსენდა ბირსი და ჭოტისწყლის ხიდის ამბავი? იმიტომ რომ წუხელ ჯეიმს კრამლის რომანს ვკითხულობდი.

კრამლი ახლახან გარდაიცვალა, ძველი ტეხასელი კაცი იყო, ნაფეხბურთელარი, ნასალდათარი, ნაციხარი. დამლევი, ოთხ-ცოლგანაშვები, წერას ასწავლიდა უნივერსიტეტში, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს. თუმცა, საკვირველი არც უნდა იყოს, აბა ვინ უნდა ასწავლოს წერა, თუ არა ასეთმა კაცმა?

კრამლი დეტექტივებს წერდა. ცოტა დაწერა დეტექტივების ავტორის პირობაზე.

დეტექტივების მწერლები ხომ ბევრს წერენ, რაც მეტი, მით მეტი ფული და ასე შემდეგ. მთელი სისტემაა ასე. მაგრამ კრამლის ბევრი არ დაუწერია ორმოც წელიწადში. თანაც, არცერთი მისი დეტექტივი ბესტსელერი არ შეიქნა და როგორც ჩანს თვითონაც დიდად არ ნაღვლობდა ამაზე. ეწერებოდა და ასე მოსწონდა როგორც ეწერებოდა. ჰარდ-ბოილდ რომ ჰქვია, იმ ჟანრში მუშაობდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო დაუნდობელ და სისხლიან დეტექტივში, ოლონდაც დეტექტივებად მისი წიგნები დიდი ვერაფერიმ-ვილი რამეები იყო. სხვანაირად რომ ითქვას, დეტექტივობისთვის მის რომანებს არავინ ყიდულობდა და ამიტომ დეტექტივის მკითხველებს არ უყვარდათ. უყვარდათ უბრალოდ მკითხველებს, იმიტომ რომ კრამლის რომ კითხულობ, ერთი რომ ის გაოცებს, როგორ არ სჯერა, ბირსისა არ იყოს, და მეორეც – თუ როგორ წერს. ორივე შემთხვევაში რაიმონდ ჩენდლერს ამსგავსებენ, ის იყო მისი მამობილიო, მაგრამ მე ბირსისაც ბევრი მგონია.

მოკლედ, მე ასეც მგონია, რომ ჰემინგუეის რომ სამოციანების ბოლოს დაენყო წერა, კრამლი იქნებოდა, თავის სასმელს ნარკოტიკებსაც დაუმატებდა და მთლად შიშველა ვიეტნამის შემდგომი მაგარი ბიჭობის ამარა დარჩებოდა, სასტიკად დამარცხებული, მაგრამ მაინც ცოცხალი და მებრძოლი, რალაცის მატარებელი ამოთხვრილი ლანდი.

ხოლო ბირსს რომ დროში ემოგზაურა, კრამლი აუცილებლად მოინონებდა და ეტყოდა, მალაღეც შენო, მოდი თითო დავლიოთო.

კრამლი იმგვარი სტილისტია, რომ როდესაც მოკვდა, მისი რომანებიდან ამოკრეფილი წინადადებები მისავე ნეკროლოგებში მოხვდა. ნეკროლოგები ამ ციტატებთ იწყებოდა და მთავრდებოდა. აი, ამისთვის ვკითხულობთ კრამლისო.

სიმართლე რომ ითქვას, პირველად მის ნეკროლოგი წავიკითხე და ამიტომაც დავიწყე მისი წიგნების ძებნა. პოვნა არ გამჭირვებია.

იქ იყო ერთი წინადადება, რომლითაც იწყება მისი რომანი, რომლის შესახებაც კრამლიმ თქვა, ამ წინადადებას რვა წელიწადს ვწერდიო.

ახლა ნამდვილად ვერ გადმოვთარგმნი იმ წინადადებას, დროს მართლა წაიღებს და თან მისი ეს ნათქვამი პასუხ-



ერნესტ ჰემინგუე



რეიმონდ ჩენდლერი

ვინ იხის, სრულიად ახალგაზრდა ეგებ თავდას იღბა ისეთ ხილვა, თავის მოთხრობაში რომ აღწერა და თოქზე ჩამოკონიალებული გვაგებოს მრავლად ენახა და იფიქრა მრავალი წლის შემდეგ იმაზე, შეუძლია თუ არა კაცს, რომ იოცნებოს ჩამოხრჩობის წინ? და არა მაინცდამაინც იმაზე, რომ ჩამოხრჩობა საშინელია. არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩამოხრჩობას ჟურნალისტი აღწერს. შეუძლია კაცს ოცნება ჩამოხრჩობის წინ? არ ვიცი.

ისმგებლობასაც გმატებს. ისე მაგარი კაია წიგნის დასაწყისად.

ჰოდა, ბირსიც ამიტომ გამახსენდა.

ბირსს არა მხოლოდ ტრაგიკული ამბის დაუნდობლად მოყოლა შეეძლო, არამედ წინადადებებსაც ძალიან მოხდენილად აწყობდა.

საერთოდ კიდევ, მგონია, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როდის წაიკითხავ წიგნს. თუ სისქეს ერევი, სულაც პატარა რომ იყო და იქ ისეთი ამბები ეწეროს პატარა ბიჭს რომ არ ესმის, შთაბეჭდილება მაინც უტყუარია. ახლა იმას კი არ ვამბობ, მაინცდამაინც მარკიზ დე სადის რამეებს უნდა ეტაკოს-მეთქი. ანდა სად იყო ჩვენს ბავშვობაში დე სადის რაღაცეები, ანდა რომც ყოფილიყო, თაროებზე ვინ დაილაგებდა. დე სადი, მე თუ მკითხავთ, წერის გაგებაში არ იყო. მასში მთავარი მისი პოზიცია და სამყაროს აღქმა იყო, თორემ ფრანგი იყო და ეგრე წერდე, როცა უკვე არსებობს ფიგარო, ცოტა უხერხულია.

რალაც მგონი მივედ-მოვედები. იმას ვამბობდი, რომ რაც ბავშვობისას წაიკითხულიდან ჩაგრება, ძნელად რომ ტყუილი იყოს. საერთოდ, ეგ მაგარი უცნაურობაა, ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, პატარა ვიყავ, როცა „დონ კიხოტი“ ვკითხულობდი და დიალოგებს ვტოვებდი, ამბები მაინტერესებდაო. მეც ეგრე ვიყავი.

რატომღაც ასე ითვლებოდა, რომ ეს „დონ კიხოტი“ საბავშვოა, თუ რა იყო არ ვიცი. რახან ახირებულ კაცზე იყო, თუ.. მოკლედ, ეგრე იყო. მერე ეგეც არი, რომ ბავშვს ამბავი აინტერესებს. გულუბრყვილობას ამბავი აინტერესებს. რაც უფრო მწველია იგი, მით მეტად დაგამახსოვრდება. საერთოდ უცნაური რამეები გამახსოვრდება.

აი, კიდევ გამახსენდა, რახან ბირსზე ვლაპარაკობთ. არის ეგეთი ამერიკელი მწერალი, ჰარი ქრუსი. კრამლის არ იყოს, სამხრეთელი და ასევე ნახიშტარ-ნანვალეები, ბაბუობაში გადასული ბიძის იერის კაცი, რო არა ტყდებიან ხოლმე. ჰოდა, იმას აქვს თავის წიგნში, დედაჩემს დავურეკეო, ჩემს სანყალ დედასო, ობლობაში რო გაგვზარდა მე და ჩემი ძმაო, და ვეუბნები, – დედი, რომანი გაყვიდე, მორჩა, მწერალი ვარო. პირველი რომანი ცხოვრებაშიო. გაეხარდა დედაჩემსო, კითხულობდა ჩემს ნანვალებს ხანდახანო და მითხრა ეგ რომელიო, შენ რო მოიგონე, თუ ჩვენი ცხოვრება რომაა შიგ აღწერილიო და მე ვუთხარი, მე რო მოვიგონეო და ჩაჩუმდა დედაჩემიო, კარგა ხნით ჩაჩუმდაო. რა იყო, დედი, რატო ჩაჩუმდიო. და ვფიქრობო, ალბათ მე ცოტადა მესმის სამყაროსი, მოგონილ ამბავში ფული როგორ გადაგიხადეს, ეგ ხომ ტყუილიაო.

დედაჩემისთვისო, ქრუსი ამბობს, ჩემი ხელნაწერები იყო პირველი რომანები რომლებიც წაიკითხაო.

ეს გულუბრყვილობა ცხადია მაშინაც არსებობს, როცა ბავშვი ხარ და მულტფილმებსა და ურფინ ჯუსის მაღლა მდგომ რამეებს მიადგები. ოღონდაც მაშინ ვერ ხვდები, რა არის მწერლობა, მოცემულობა გაქვს: წიგნი და შიგ არც მთლად გასაგები ამბავი. იგებ თუ ვერა, ეგ ამბავი გრძნობებს აღძრავს. ჰოდა, სწორედ ეს გამახსოვრდება.

ბირსს იმდენი ჰქონდა ნანახი და იმდენი რეპორტაჟი დაენერა, რომ ასეთებს, ჩვეულებრივ, ცოტა დრო რჩებათ გამონაგონისთვის. ის, რაც ნამდვილად გინახავს და განგიცდია, გამონაგონში რომ გადაგაქვს, ისე უნდა გადაიტანო, რომ თვითონაც გაინტერესებდეს. თუ სრულიად განსაკუთრებულ წერის ხერხებს არ ფლობ, ეს უბრალოდ არ გინდა და მორჩა. ისიც, ან გამოვა, ან – არა. დარჩება ჟურნალისტიკად, როგორც შალამოვის გადასარევი მოთხრობები.

ბირსს თავად მოხვედროდა ტყვია და როცა კაცს ტყვია მოხვედრია და ტყვიის მოხვედრაზე წერს, ისე, რომ იქ თავისას არაფერს ტოვებს, წერის ოსტატობის გარდა, ეს კარგი მოთხრობაა. შეუძლია მთელი თავისი პირდაპირობით, ჟურნალისტურად დაწეროს და მისი ნაწერი ნამდვილად კარგი იქნება, მაგრამ რახანლა იცის, რომ არსებობს რალაც, ჟურნალისტობაზე ძლიერი და მაღალი, რასაც შეუძლია, რომ ეს ტყვია მთელს სამყაროდ აქციოს და არა უბრალოდ სულისშემძვრელ რეპორტაჟად, სული ნასძღვეს, რომ მწერალი გახდეს.

ბირსს ეს შეეძლო.

ის იგონებდა თავის მოთხრობებს.


ვინ იცის, სრულიად ახალგაზრდა ეგებ თავდაც იდგა ისეთ ხიდზე, თავის მოთხრობაში რომ აღწერა და თოქზე ჩამოკონიალებული გვაგებოს მრავლად ენახა და იფიქრა მრავალი წლის შემდეგ იმაზე, შეუძლია თუ არა კაცს, რომ იოცნებოს ჩამოხრჩობის წინ? და არა მაინცდამაინც იმაზე, რომ ჩამოხრჩობა საშინელია. არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩამოხრჩობას ჟურნალისტი აღწერს.

შეუძლია კაცს ოცნება ჩამოხრჩობის წინ? არ ვიცი.

მან უკეთ იცოდა.

ჰოდა, მეც ბავშვობიდან მჯერა მისი გამონაგონის. რამდენი ხანია მჯერა და არასდროს დამვიწყნია ბირსი. მწერლობაც ეგ არის ალბათ, როცა ნამკითხველს არ ავინყდები და რალაც უცნაური, ჩამოუქნელი, ფერადი სივრცე ამოუტივტივდება ხოლმე თავში შენი სახელის გახსენებაზე.

ამბროზ ბირსი. კაი მაგარი იყო იმ თხელ წიგნაკში.



რინბჷე

მეოცე საუკუნის პირისპირ

ნორმან მაილარის წერილები
ინტელისურიდან თარგმნა ირაბა ტაველიძემ

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის პერიოდის დაწყებული, ნორმან მაილერი თავის მიმონერაში მუდმივად აქტუალურ პოლიტიკურ თემებს ეხებოდა – გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრეც კი.

ბიოტარის მაილარს

8 აგვისტო, 1945

ჩემო პატარავ, ატომური ბომბის შექმნას აქ უფრო დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ვიდრე გერმანიის მხრიდან კაპიტულაციის გამოცხადებას. პრეზიდენტ რუზველტის სიკვდილმაც ასეთივე მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ძალიან დაბნეული ვარ (ამას რომ

ვწერ, მხოლოდ ოფიციალური განცხადება მაქვს ნაკითხული. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა). ახლა ვხვდები, რამხელა ზეგავლენას ახდენს ადამიანის აზროვნებაზე მისივე ეგოიზმი. ჩემი კეთილი „მე“ ყველაფერს მიესალმება, რაც ომის პერიოდს შეამოკლებს და შინ მალე დამაბრუნებს. აი, ეს კი სშირად უპირისპირდება უფრო ძველ, უფრო მნიშვნელოვან პრინციპებს. მაგალითად, იმედი მაქვს, რომ ახალწვეულებით ჯარის შეესება უკვე განხორციელდა, და თუ ასე არ მომხდარა, მაშინ ნელი, მტანჯველი დემობილიზაციის პროცესი გველის. სწორედ ამ აზრით ვამართლებ იმ ინსტრუმენტს, რომელსაც, შესაბამის პირობებში, წამიერად შეუძლია უამრავი ადამიანის მოსპობა.

სინამდვილეში კი რა შემზარავი პერსპექტივაა! სულ იმას ვამბობდით, რომ კაცობრიობა თვითგანადგურების გზას ადგას. ჰოდა, ახლა ეს ყველაფერი ისე ახლოს ჩანს, მხოლოდ ათწლეულებისა და რამდენიმე ბომბის ამბავია. ატომური აფეთქება ტექნიკის საბოლოო გამარჯვებას მოასწავებს. როცა ფიზიკას ვსწავლობდი, იმ დროს მხოლოდ უწყინარი გამოთვლები ტარდებოდა, ეს თითქმის განუხორციელებელ და მაინც თავზარდამცემ იდეას წარმოადგენდა: მუხუდოს მარცვლისოდენა მასის ატომური ენერგია ხომ სავსებით საკმარისია, რათა ლოკომოტივმა ზღაპრულად ბევრჯერ გადასეროს მთელი დედამიწა.

ფვიქრობ, ჩვენი ეპოქა სამუდამოდ დაასამარებს ისეთ ცნებებს, როგორცაა ადამიანის ნება და მასების ძალაუფლება. მსოფლიო რამდენიმე პოლიტიკოსისა და მექანიკოსის ხელში აღმოჩნდება – შპენგლერისეული გვიანდელი დასავლეთ-ევროპულ-ამერიკული ცივილიზაციის წარმომადგენლების ხელში. მე კი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ სააზროვნო იმპულსს მაძლევს, შპენგლერიანელი მაინც არა ვარ. თუ არ ჩვენანის წინაშე დავდგები: ის გააკეთო, რაც აუცილებელია, ან თითქმის არ გავანძრო, თითქმის არ გავანძრე, თუკი ის, რაც აუცილებელია, გულის ამრევი აღმოჩნდება.

მართლაც საშინელი პერსპექტივაა, ძვირფასო. კიდევ ერთი ომი გველის ოც წელიწადში თუ არა, ორმოცდაათ წელიწადში მაინც, და თუ ნახევარი მსოფლიო გადარჩება, დარწმუნებული ვარ, მომდევნო ომის დროს, უსაფრთხოების მიზნით, მომავლის დიდი ქალაქები მიწისქვეშ იქნება აშენებული. ადამიანი ცხოველივით იქ აღარ იცხოვრებს, სადაც დაიბადა – მწერები მას აღარ შეაწუხებენ და ის, ვინც სამოთხეს ანტარქტიკის მკვლევარივით ეძებდა, ჯოჯოხეთს ათასობით ფუტით მიუახლოვდება...

აქ სიყვარულის ადგილი აღარ არის, მე კი ახლა ისეთი გულმოკლული ვარ. რაც უფრო მეტს ფვიქრობ ამ ყველაფერზე, უფრო შემზარავად მეჩვენება. აბა, რომელი შენადნობი შეედრება მექანიკისა და სენტიმენტალურობის ნაზავს.

როგორ მინდა, ამაღამ მკლავებში მოგიქციო.

მიყვარხარ,
ნორმანი

**ფენი და აიჩაჰ მილიარებს, 26 და დივიდი
ქისლიარებს**

4 სექტემბერი, 1945

ძვირფასო დედა და მამა, დეიდა ნენ და ბიძა დეივი,
...როგორც რადიოს დიქტორმა მაუწყა, ისტორიულ მოვლენას შევსწრებუვარ. დაახლოებით ერთი მილი გვაშორებდა ხომალდ „მისურის“, როცა იქ იაპონიის კაპიტულაციის აქტს მოაწერეს ხელი. მესიამოვნა, რადიოში ეს ამბავი რომ გადმოსცეს, მე კი ამ ხომალდს ილუმინატორიდან ვხედავდი. მიმომხილველმა თქვა: „ხატოვნად თუ ვიტყვით, ტოკიოს ყურის თავზე მზე ამობრწყინდა და ნათელი მოჰფინა არემარეს: კაპიტულაციის აქტს ხელი უკვე მოეწერა და მშვიდობამ საბოლოოდ დაისადგურა“. შეიძლება თვალი ისე კარგად ვერ მიჭრის, როგორც ამ კაცს, მაგრამ იმ დღეს ცა ისეთივე ღრუბლიანი ჩანდა, როგორც ყოველთვის...

მიყვარხარო, ძვირფასებო,
ნორმანი

P.S. ახლა 145 ფუნტს ვინონი, როგორც ადრე. ასე რომ, არ იდარდოთ ჩემს ჯანმრთელობაზე.

ბიბტრის მილიარს

13 თებერვალი, 1946

გამარჯობა, ჩემო შტერუკა,
ამას წინათ ვცდილობდი, ჩემი მრწამსის უმთავრეს პრინციპებში გავრკვეულიყავი – პოლიტიკურ მრწამსს ვგულისხმობ. თუმცა, სინამდვილეში, მხოლოდ იმ პოლიტიკურ კრედოს ვთხზავდი, რომელსაც იმ შემთხვევაში ვუერთებულვდი, ადამიანის პროგრესულად განვითარების რომ მჯეროდეს.

პირველ რიგში, სრულიად ცხადი მგონია, რომ მარქსისტული მთავრობა ერთადერთი ღირსეული მთავრობა იქნებოდა, მაგრამ – მართლაც ძნელი წარმოსადგენია, ეს როგორ უნდა მოხდეს – მან ადამიანი კი არ უნდა მართოს, არამედ სახელმწიფო. პოლიტიკოსი რომ ვიყო, ერთადერთ რამეს გავაკეთებდი – ახალ კომუნისტურ პარტიას შეექმნიდი, რომელსაც რუსეთთან საერთო არაფერი ექნებოდა. რუსეთი მძულს (მისი მთავრობა და არა ხალხი). ამ ქვეყნით შენს აღფრთოვანებას ვერ გავიზიარებ. თუ დაფუშვებთ, რომ მისი აგრესიულობა და თვითორგანიზება მსოფლიო ზენოლამ განაპირობა, იმ ფაქტს ვერსად გავექცევით, რომ ის ახლა პიროვნების თავისუფლებას ახშობს და ტოტალიტარიზმის გზას ადგას, საიდანაც უკან ველარ დაბრუნდება. ჩემი ახალი კომუნისტური პარტია ნაკლებ მნიშვნელობას მინიჭებდა ეკონომიკასა და პოლიტიკას, რადგან ადამიანის სულის მხოლოდ ერთ ნაწილს ვერ დაეყრდნობი, როცა ცხოვრების სხვაგვარი წესის დამკვიდრება გსურს. ამ პარტიის ყურადღების ცენტრში მოექცეოდა სწორედ ადამიანის პიროვნული ზრდა, რაც ყველაზე მთავარია. გაიხსენე ჩემი მეზობელი ქრისტიანი კომუნისტები – ესეც მსგავსი იდეაა. ეთიკას ეკონომიკაზე ვერ დააფუძნებ, უფრო გონივრული იქნება, თუ მას, ვთქვათ, სექსთან მიმართებაში განავითარებ. ამგვარი კომუნისტური მთავრობა მხოლოდ დამხმარე რამ იქნება, იმ დროის ერთგვარი ბუნებრივი წარმონაქმნი, როცა ნამდვილად დააფასებენ თანასწორობას, ზომიერებას, ღირსებასა და შემოქმედებით მიდგომას. ჩემი აზრით, ამის საუკეთესო მაგალითს კვაკერები წარმოადგენენ. გასაგებია, მათ კარგი ხელმძღვანელები ჰყავთ, მაგრამ ესეც ხომ მათი მრწამსის ბუნებრივი, სამართლიანად მოწეული პოლიტიკური ნაყოფია...

რაც დაწერე, სრული აბსურდია, მიაბიტიური აბსურდია. არ მჯერა ამის, რადგან საერთოდ არაფრის მჯერა. თუმცა, რაიმესი რომ მჯეროდეს, სწორედ ამ პრინციპებს დავიცავდი. აბა, რას იტყვი, პატარავ?...
ძალიან მიყვარხარ, შტერუკა,

ნორმანი

ჟან მალაჰეს

13 ოქტომბერი, 1956

ძვირფასო ჟან,
...რადიკალად ყოფნა უცნაური რამ არის – წლები გადის

და აი, დგება დრო, როცა დანინაურებული თანამოაზრეები აღარ გირეკავენ. ვფიქრობ, მეგობრის ყოლა დიდი ფუფუნებაა და თუ მეგობრები შენ მიმართ მომეტებულ ყურადღებას არ იჩენენ – არა, არც ერთი თანამოაზრე ჩემ მიმართ მომეტებულ ყურადღებას არ იჩენს – მათი ორბიტიდან თანდათან გადაიხარ. გარდა ამისა, ნიუ-იორკიც ყელში ამომივიდა, ეს საშინელი ქალაქი, სადაც გააფთრებული კონკურენცია მძვინვარებს და ყველგან სისასტიკეს, სიცივეს, ნერვების წყვეტას აწყდები. ჰო, ალბათ ასაკში შევდივარ. ამას წინათ კონექტიკუტის ერთ-ერთ სოფელში მეგობრებს ვესტუმრეთ და სახლი ვნახეთ, რომელიც ძალიან მოგვეწონა. ახლა სწორედ მას ვყიდულობთ...

ორი კვირის წინ კი – ის დრო იყო, სახლის ყიდვა რომ გადავწყვიტეთ და ქალაქში დავბრუნდით – ძაღლები გავასეირნე (ორი დიდი ფრანგული პუდელი) გვიან ღამით, შაბათს, არა, უკვე კვირას – საათის ისრები 12-ს გადასცდნოდა. ერთ ადგილას ძაღლები გაჩერდნენ და რაღაცის ქექვა დაიწყეს. იქვე, სახლთან სამი მოხულიგნო ტიპი დაეხეტებოდა. ერთმა უხამსად გაიხუმრა, მეორემ გაიცინა. მეც რაღაცამ მომიარა და იმ მოხულიგნო ტიპს ვკითხე, – რა თქვამეთქი? შემაგინა, ვალში არც მე დავრჩი და ატყდა ერთი ამბავი. მითხრა, – აბა, დაახვიეო. შემეშინდა, მაგრამ ფეხი

არ მოვიცვალე. ყველაფერი ხელჩართული ჩხუბით დამთავრდა. ამ ჩხუბში აუცილებლად გავიმარჯვებდი, რადგან, დამიჯერე, იმ ტიპზე გაცილებით ძლიერი ვიყავი. მაღალი იყო, მაგრამ ჩემზე გამხდარი. ასე, 21 წლის იქნებოდა. როგორც ვთქვი, აუცილებლად გავიმარჯვებდი, მინაზე გორაობისას ჩემთვის თვალეში თითები რომ არ ეტაკებინა, რაც მართლაც პროფესიონალურად გამოუვიდა. ხელი გავუშვი, მერე ცოტა ისევ ვიბლარძუნეთ, მინაზე ვიგორავეთ, ბოლოს კი ისევ თვალეში მატაკა თითები. ამ დროს სახლიდან ბიჭების ჯგუფი გამოვიდა – მთელი ბანდა (ჩვენ ტროტუარზე ვჩხუბობდით). ვილაც აყლაყუდა მხეცმა სახეში მხია და მკითხა: „ეს გინდოდა, არა?“

ჰო, ეს მინდოდა. თითქმის ველარაფერს ვხედავდი, თვალეშიდან სისხლი მომდიოდა, ძვალ-რბილი გაერთიანებული მქონდა. იმ ბიჭს თავი დაუქნიე და რამდენჯერმე ჩავიბუტბუტე: „აი, ეს მინდოდა, ეს მინდოდა, ეს მინდოდა“. მერე მეორეს, რომელსაც მთელი ჩხუბის მანძილზე ძაღლების საყელურები დამცინავად ეჭირა, ისინი გამოვართვი და შინისკენ წავბანცალდი. არაადამიანური სისასტიკის ამბავი იქნებოდა, რომ არა იმავე ბანდის ორი შავკანიანი წევრი, რომელიც მაშინვე ამედევნა. ქუჩის კუთხეში ისინი დამენიგნენ კიდევ. იმ დროს ყველაფერი ფეხებზე მეკიდა და არაფრის მეშინოდა. უბრალოდ, ვფიქრობდი, თუ ფეხქვეშ გამიგდებენ, შეიძლება სული აღარ შემრჩეს-მეთქი. ალბათ ასეც იქნებოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ერთმა შავკანიანმა მითხრა: „უსამართლოდ მოგდეს, ძმაო“. მისი სიტყვები რაღაცნაირად მამხნეებდა, როცა მომდევნო დღეებში ამ ყველაფერზე ვფიქრობდი.

ეს ამბავი მძიმე შედეგით დასრულდა. რამდენიმე დღის მანძილზე მარცხენა თვალი მტკიოდა და მხედველობის არის შუაგულში ლაქას ვხედავდი. თითქმის მთელი კვირა ბნელ ოთახში გავატარე. თვალი ახლაც მანუხებს. მის მოშუშებას ერთი თვე მაინც დასჭირდება. რა ბედნიერი ვარ, რომ სახლი მანამდე ვიყიდე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა; თორემ, ყოველთვის ვიფიქრებდი, რომ ნიუ-იორკიდან პანიკაში მყოფი გავიქეცი...

ძველი მებრძოლისგან მეორე მებრძოლს სიყვარულით, ნორმანი

**ჟან მალაკის
30 დეკემბერი, 1957**

ძვირფასო ჟან,
...ახლა პარიზი ისე შორს მეჩვენება. ერთხანს სოფელში ვიცხოვრეთ, მერე მოგვებრდა, ყელში ამოგვივიდა მდიდარი მინათმფლობელების აუტანელი, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება (სხვათა შორის, ისეთი მდიდრები აღარ ვართ – „სპუტნიკის“ კოსმოსში გაშვებამ ჩემს კაპიტალდაბანდებებს დედა უტირა). ჰოდა, ნიუ-იორკში ვბრუნდებით. ბოლო დროს დეპრესიაში ჩავვარდი. წლები გავიდა მას შემდეგ, როცა ნებისმიერ წამონწყებას წარმატებით ვასრულებდი (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), ახლა კი სწორედ ის დამემართა, რაც შენ ორი წლის წინ გადაიტანე – ამას ნება-სურვილის კრახს დავარქმევდი. როგორც ჩანს,



ნიჭზე უფრო დიდი ამბიცია მაქვს, მერყევი ხასიათის გამო კი, ცხოვრებაში ნათელ პერიოდებს არ უნდა ველოდე. იმ უზარმაზარ რომანზე ვფიქრობ, რომლის წერაც დავინწყე და რომლის დასრულებასაც ალბათ ათი წელი მაინც დასჭირდება. თუ ჩანაფიქრის განხორციელება შეეძელი, მისი გამოცემა შეუძლებელი იქნება – მხოლოდ ფრანგულ უზარისხო, მწვანეყდიან გამოცემებს შორის თუ მოხვდება. მე კი უკვე შუახნის კაცი ვიქნები, როცა ამ წიგნს დავასრულებ. იცი, ისე აღარ მჯერა საკუთარი თავის, როგორც – ადრე და, რაც ყველაზე უარესია, ეს ყველაფერი სულაც არ მგონია ძალიან მნიშვნელოვანი. დამარცხებულების მიმართაც გაცილებით შემწყნარებელი გაეხდი. ის ხალხი, ვინც რამდენიმე წლის წინ მძულდა, ახლა ასატანი მეჩვენება. ვფიქრობ, წარსულში არაერთი ილბიანი შემთხვევა ხელიდან გაეშვი, ჰოდა, ისინიც არ უნდა განვსაჯო. ასეთი განცდები ბუნებრივად ერევა მთელ სულსა და გულს. მუშაობის სურვილი მიქრება და მერე დეპრესიაში ვვარდები იმის გამო, რომ არ ვმუშაობ, რაც სამუშაოსთან მიბრუნებას კიდევ უფრო მირთულებს, საბოლოოდ კი ეს ყველაფერი გულზე მძიმე ლოდად მანვება. სმირად მასწენდება ომის შემდგომი უბადრუკი წლები, რომლებმაც ბოლო მოუღო ჩემს ყველა ნაცნობს: მათი ამბოხი მიანავლა, მათი სიფრთხილე სილაჩრედ აქცია, ხოლო მათი უწყინარი მზაკვრობა – დიდ სიძულვილად. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ახლა იმასლა ვფიქრობ, ალბათ ადამიანის შესაძლებლობების ზედმეტად გვეჯეროდა-მეთქი. რასაკვირველია, ასეთი ფიქრების ფონზე, ცხოვრება უფერული და მოსაწყენი ხდება. მაბატიე ამხელა ტირადა. შენ შენი დეპრესია გაქვს, მე – ჩემი (მეც ისევ ძალიან ბევრს ვენევი)...

რა თქმა უნდა, ეს ნებისმიერი ხელოვანის ტკივილია – მრავალი ჩვენგანი ხომ გენიოსი გახდებოდა, ყველაფერი რომ სწორად წარმართულიყო. სხვებზე მეტად გამიმართლა, მაგრამ, ჩემო კარგო ჟან, ყველაფერი ისე ხელდახელ მივანიავე, იმედგაცრუებაც კი არ განმიცდია. ჰო, მართლაც საბრალეო რუს ემიგრანტებს ვგავართ. მაბატიე, ასე რომ გენუნუნე, მაგრამ ძველ, ერთგულ მეგობართან ნუნუნე ჯობს, რომელიმე წვეულებაზე მთვრალი უცნობის საეჭვო გულმონყალების იმედად ყოფნას.

(სხვათა შორის, ერთი თვის წინ ამ ეგოისტმა გენიოსმა ბოდლერის დღიურები წაიკითხა (ინგლისურად). ვფიქრობდი, აი, ზუსტად ჩემნაირი კაცი-მეთქი)...

მოკითხვა გელის,
ნორმანი

ჟან მალაქს

29 აპრილი, 1960

ძვირფასო ჟან,
...იცი, რატომ შევეუერთდი კუბის მხარდამჭერ კომიტეტს ძველი ლენინური პრინციპით? ამისკენ ჟურნალმა „ტიამმა“ მიბიძგა. ვიფიქრე, თუ ისინი კასტროს უპირისპირდებიან, მე მხარს დავუჭერ-მეთქი. შესაძლოა, ანტისტალინიზმი პოლიტიკური პოზიცია არ იყოს, მაგრამ ანტილიუისიზმი (ჰენრი ლიუისი (1898-1967) – გავლენიანი ამერიკელი გამომცემელი) ნამდვილად არის. ადამიანი თავად ფაქტების დადგენას ვერ

ახერხებს, თუმცა იმას კი ხვდება, რომელ ძალებს სურთ, რომ მას ამ ფაქტების სჯეროდეს. წესად შემოვიღე, ყოველდღიური პოლიტიკური ორომტრიალის წყარო სწორედ ძველ, საყვარელ ჟურნალ „ტიამში“ ვეძებო...

აქ დიდი თეატრალური მოვლენაა ჟან ჟენეს „აივანის“ დადგმა, რომელიც ბროდვეის გარეთ, თეატრ „სექს ინ ზი სქვეაში“ განხორციელდა. მე კი სპექტაკლი სულაც არ მომეწონა. პიესა სულელურად დაუჩხვავთ, ატმოსფეროც მძიმე და სულისშემზუთველი დამხვდა. ჩემი აზრით, ეს ნაწილობრივ ჟენეს ბრალიცაა. გული მერევა მთელ მის ბრწყინვალეობაზე.

მოკითხვა ედელისგან,
ნორმანი

ეიიტი იამანისის

23 ოქტომბერი, 1961

ძვირფასო ეიიტი,

...ტროცკისტან ყოველთვის დიდი სიახლოვე მაკავშირებდა და ის, რომ საკუთარ თავს ტროცკისტს ვეღარ ვუნოდებ, არ ნიშნავს, თითქოს მისით აღფრთოვანება გამინელდა. აქ, ამერიკაში სირთულეს ის ქმნის, რომ რევოლუციური მარქსიზმის ტრადიციული ფორმები ვერ ერგება ამერიკული საზოგადოების თავისებურ, მრავალსახოვან სტრუქტურას. არა, იმას არ ვგულისხმობ, თითქოს მარქსიზმი გამოსადეგი აღარ იყოს. თუმცა, აზროვნების ამგვარმა წესმა ისევ რომ აღაფრთოვანოს ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი, ის სხვა გენიოსმა უნდა განავრცოს, რომელიც ამერიკული ფენომენის სირთულეს ჩასწვდება. ვფიქრობ, „თეთრი ზანგის“ ბოლო აბზაცში სწორედ ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებაზე მივანიშნე. იცით, ეიიტი, პრობლემა ის არის, რომ ამერიკაში მშრომელთა კლასს საერთოდ არ აქვს რევოლუციური შეგნება. ამ ქვეყანაში ნებისმიერ ამბოხს ის ხალხი კი არ აწყობს, ვის მხრებზეც ეკონომიკა დგას, არამედ იმ ახალგაზრდების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, რომლებიც სრულიად გაუცხოებულები არიან საკუთარი ქვეყნისგან და მისი ისტორიისგან. შესაძლებელია, მომდევნო ათ წელში ამ ყველაფერმა რაღაც ნაყოფი გამოიღოს – შეამბოხებების სულისკვეთება ხომ ნამდვილია! ახლა არც ერთი ჩვენგანი არ არის იმ ინტელექტუალურ სიმაღლეზე, რაც პრობლემის გადაჭრის ახალი, რადიკალურად განსხვავებული გზის მოძებნას სჭირდება. ამერიკაში ყველაზე ცუდი ის კი არაა, რომ დამატებითი ღირებულების სახით ბევრს გვძალავენ, არამედ ჩვენი სულიერი გამოფიტულობა და ის, რომ ნამდვილი ზრდის შესაძლებლობა არ გვეძლევა. აი, ეს უდავოდ კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიაა. იცით, ამგვარ სიტუაციაში აზრს კარგავს საკუთარი თავის ტროცკისტად მოაზრება. ასეთივე წარმატებით შეიძლება თავს ბურონი ან ბატკო მახნოს მიმდევარი უწოდოთ. დარწმუნებული ვარ, ტროცკი რომ ცოცხალი ყოფილიყო და ამ ქვეყანაში ეცხოვრა, ტროცკისტობას არ მოინდომებდა...

გულთბილი მოკითხვით,
ნორმანი



ლისმანისი

ავტორი: ლევან ბარკანიშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ჯალღასანიშვილი

პოლიტიკურ ზონას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საბჭოთა ზონას, თავისი არისტოკრატია ჰყავდა: მზარეული, მეკუჭნავე, ბიბლიოთეკარი, ცეცხლფარეში, მებაზანოე, პარიკმახერი, ბარაკის მორიგე, კინომექანიკოსი, კურიერი და ა.შ. ამაზე წერდნენ სოლჟენიცინი, გინზბურგი, შალამოვი და სხვა ავტო-

რები, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ გულაგს. თუკი ძველ დროში, ბრეჟნევის ეპოქამდე, როდესაც გულაგის ნახევარზე მეტ მოსახლეობას 58-ე მუხლით გასამართლებულები შეადგენდნენ, ამ არისტოკრატიულ თანამდებობაზე მხოლოდ ჩვეულებრივი კრიმინალები, მარქსისტულ-ლენინისტური

თეორიის საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, ე.წ. „სოციალურად ახლობლები“ (социально близкие – მკვლევები, ქურდები, მძარცველები და ა.შ.) ხვდებოდნენ, ახალ დროში, როდესაც მსოფლიო ზენოლით პოლიტიკური პატიმრები სანახევროდ აღიარეს და მათ ცალკე ბანაკები გაუ-



დრე ახალი 70-ე (საქართველოს სსრ 71-ე) მუხლით იყავი გასამართლებული, პარიკმახერობა ან ბიბლიოთეკარობა არ შეგეძლო, თუნდაც მანამდე სსრკ-ს საუკეთესო პარიკმახერი ან დიდი ბიბლიოთეკის დირექტორი ყოფილიყავი.

ბუნებრივია, ბარაშევოშიც გვეყავდნენ „არისტოკრატები“ (ძველ დროში მათ უპატივცემულოდ, „პრიდურკებად“ მოიხსენიებდნენ და ჟორა ხომიზური ახალ დროშიც მხოლოდ ამ ტერმინით აღიარებდა მათ სტატუსს): ბიბლიოთეკარი ანდერსონი, მზარეულები მაქსიმოვიჩი და პეტროვ უფროსი, პარიკმახერი კუხარუკი, ცეცხლფარეშები საარი და მუზიკიავიჩუსი, მეაბანოე და კინომექანიკოსი (შეთავსებით) ლისმანისი, მეკუჭნავე ლეიკუსი, ბარაკის მორიგე კრანიკი და სხვ.

ლატვიელ ნაციონალისტსა და სოციალ-დემოკრატს, 1980 წლის ნოემბერში დაპატიმრებულ დაინის ლისმანისს ლატვიის უზენაესი სასამართლოს დახურულ სესიაზე 12 წელი ჰქონდა მისჯილი „სამშობლოს“ (ანუ საბჭოთა კავშირის) დაღატაკების. იმ ქვეყნის დაღატაკების, რომელშიც იგი არ დაბადებულა, რომელიც ოკუპანტად და მოძალადედ მიჩნდა და რომლის წინააღმდეგაც იარაღით ხელში ბრძოლა არც უფიქრია, უბრალოდ, ლატვიის ოკუპაციის შემდეგ იატაკქვეშეთში გადასული იმ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, რომლის სათავე ოფისი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იყო განთავსებული.

დაინის ლისმანისი საკმაოდ პიკანტურ გარემოებებში გაეიცანი. ზონაში ჩასვლისთანავე მე და დათოს ორი სასიხარულო ამბავი დაგვახვედრეს, სადილი და აბანო. სადილს პირველი მოვრჩი და აბანოში გამაგზავნეს. ზონური „აბანო“ საინტერესო დაწესებულება აღმოჩნდა: ხანგრძლივი ეტაპის შემდეგ „თავისუფალი“ საბანი რომ დავინახე და გახარებულმა (ჰიგიენა თავისუფლების განუყოფელი ნაწილია, აბანოში არ „ზიხარ“ ანუ თავს პატიმრად არ გრძნობ) კარგად გავისაპნე თავი, აღმოვაჩინე, რომ ონკანში წყალი აღარ მოდიოდა. აბანოში არავინ იყო, რომ დამხმარებოდა ჩვეულებრივ აბანო მხოლოდ მუბათობით იყო, ხოლო ჩვენ ხუთმაბათს

ჩავედით, სიცხე იყო და ცხელი წყალი არც გვეჩირებოდა, მაგრამ წყალი ზოგადად გჭირდება, თუ აბანოში ტანის დაბანას აპირებ. რა გზა მქონდა, რალაც ნაჭერი შემოვიხვიე წელზე და გარეთ გამოვედი შველის სათხოვნელად. პირველივე კაცი გავაჩერე და დახმარება ვთხოვე. მანაც ამიხსნა, რომ ონკანში წყალი არ უნდა იყოს (დახს!), რომ წყალი არის წინა ოთახში, ე.წ. „პრედბანიკში“ დიდ კასრში დაგროვილი და იქიდან უნდა მოვიმარაგო ტაშტში და მერე მომცრო ვედროსხელა ხისგან დამზადებული წყლის სახაპავით, რომელსაც ჰქვია „მაიკა“, ერთი ხელით უნდა ვისხა თავზე და მეორეთი სხვა ოპერაციები განვახორციელო. მაინცაღამაინც მოსახერხებელი არ იყო, მაგრამ საოცნებო სისუფთავის შეგრძნება ყველაფერს აღემატებოდა. კაცი, რომელმაც დახმარება გამინია და აბანოზე ძალიან სასაცილო ანექდოტის მოყოლაც მოასწრო შესამჩნევი ლატვიური აქცენტით, ხმოვნების დაგრძელებით და ხან პირველ და ხან მეორე მორაზე (გრძელი მარცვლის მოკლე ნაწილზე) მკვეთრი დინამიკური მახვილის დასმით, სანამ მე დიდ კასრსა და წყალს ვეძებდი, იყო დაინის ლისმანისი, სამშობლოს მოღალატე, სოციალ-დემოკრატი, მეაბანოე, კინომექანიკოსი, ჩრდილოური ტიპი, ჭეშმარიტი არიელი და შესანიშნავი მეოჯახე – тип нордический, истинный ариец и отличный семянин, როგორც თვითონ ამატებდა ხოლმე თავის დახასიათებას სახელგანთქმული საბჭოთა ჩეკისტი მწერლის, მისივე წიგნის მიხედვით რეჟისორ ლიოზნოვას მიერ გადაღებული ყველაზე პოპულარული საბჭოთა სერიალის, „გაზაფხულის 17 გაელვების“ სცენარის ავტორის, იულიან სემიონოვის მთხრობელივით, როდესაც ამ უკანასკნელის სახელით გესტაპოელი და აბერელი პერსონაჟების პორტრეტიანი ფორმულარის ფონზე შესანიშნავი ტემბრის მქონე საბჭოთა მსახიობი ეფიმ კოპელიანი მოკლე ანექტას კითხულობდა.

დაინის ლისმანისი მუდმივად კარგ ხასიათზე იყო. არავინ იცის, როგორ ახერხებდა ამას პოლიტიკურ ბანაკში, მაგრამ ფაქტია, რომ ახერხებდა: მოღუშული და უხასიათო არავის უნახავს.

ხსნეს (სულ 4 მთელ საბჭოთა კავშირში, 3 პერმში და ერთიც მორდოვეთში, სახელგანთქმული „დუბროვლაგი“), ახალ არისტოკრატისა ვაშუშები, სამხედრო დამნაშავეები და სამშობლოს მოღალატეები შეადგენდნენ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სისხლის სამართლის კოდექსის ძველი, 58-ე მუხლის მემკვი-

გარდა იმისა, რომ თვითონ იყო კარგ გუნება-განწყობაზე, თავის ირგვლივაც ასეთ მსუბუქ და მხიარულ გარემოს ქმნიდა. ყოვლად მიაჩნდა, რომ ეს მხოლოდ დასავლელი ადამიანის „საგარეო იერი“ იყო, რაფიკა თვლიდა, რომ ზედაპირული კაცი იყო (ხუმრობით მეუბნებოდა, ასე ხაზგასმით ევროპული გარეგნობა რომ არ ჰქონდეს, ეჭვი შემეპარებოდა, ლისმანიშვილი, ლისმანიძე ან ლისმანაური ხომ არ არისო), ჯონის „ჭკუა-მხიარულად“ მიაჩნდა, გენრიხა „უმისამართოდ ბედნიერს“ უწოდებდა, ბორია მანილოვიჩი ყველა ბალტიელივით „ბუნებრივ“ და მსუბუქ ანტისემიტად სახავდა, ხოლო მის სრულ ანტიპოდს, გაუცინარ მიშა პოლიაკოვს მრავალგზის უთქვამს, დაინისთან „ბოლომდე“ დალევს საინტერესო იქნებოდაო, იანკოვი როგორც დემოკრატიისთვის საერთოსაკავშირო ბრძოლის უარმყოფელს ეჭვის თვალთ უყურებდა, თუმცა „ფაუსტზე“ საუბარს მასთან არ გაუბოდა (გოეთე ლისმანიშის ღმერთი იყო, გერმანული, რა თქმა უნდა, წყალივით იცოდა და კარგა მოზრდილ ციტატებს „ურტყამდა“ „ფაუსტიდან“; ხუმრობდა, – გოეთე მამა-ღმერთია, შილერი სუ-

ლიწმინდა და თომას მანი ძეო). უკრაინელები გაუბოდიშდნენ ლისმანიშის, მისი მუდმივი ღიმილი დამცინავად ერვენებოდათ და რუსებისადმი დაუფარავ ზიზღში ანტისლავურ გამობტომას ხედვდნენ (მათი საერთო აზრით, რუსების ანუ „მოსკალების“ ზიზღი მარტო კიევის რუსეთის ერთადერთი კანონიერი შთამომავლების, ჭეშმარიტი უკრაინელების საქმე იყო).

ჩვენი ზონის ებრაელებისგან განსხვავებით, რომლებიც შაბათობით ყველა ტიპის საქმიანობას გაუბოდიშენ – გრიშა ფელდმანი, მაგალითად, პირში ნეკოს თვითნაკეთი სიგარეტით (კვირის წინა დღეებში შაბათის მარაგს იმზადებდა) და ასანთით ხელში წამოგენეოდა, გათხოვ, მომიკიდევო – დაინისის ზეობის დღე სწორედ შაბათს დგებოდა. შაბათს მისი ორმაგი ბატონობა მყარდებოდა, თავისუფლების ორ კუნძულზე – აბანოსა და კლუბ-სასადილოში, სადაც იგი „ახალი“ ფილმის დემონსტრირებას ახდენდა (ზონაში შემოტანილი ფილმი იყო ახალი, ფილმი ჩვენს პოლიტიკურ გამოსწორებასა და აღზრდას ემსახურებოდა, ამიტომ იდეურად იყო გამარ-

თული და, როგორც წესი, ეხებოდა ან ამხანაგ ლენინს, ან ამხანაგ სტალინს, ან ორივე ამ ამხანაგს ან ამ ამხანაგების ერთგულ სხვა ამხანაგებს, მაგალითად რკინის ფელიქსს, უცხო ენების მცოდნე ფრუნზეს ან სულაც საკავშირო „სტაროსტა“ კალინინს).

არ ვიცი – რატომ, მაგრამ კინოს ხალხთან (ხშირ შემთხვევაში, სრულიად შემთხვევითი) ახლობლობა ბედმა მარგუნა, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მეგობარი კინომცოდნეა (რა თქმა უნდა, არა შემთხვევით; სხვათა შორის, საქართველოში ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ვინ იგულისხმება); მე მოულოდნელად გადავყრივარ თბილისში ქუთაისის ქუჩაზე რობერტ რედფორდს (ერთი გამაგებინა, იქ რა უნდოდა, მანქანის ნაწილს ხომ არ ეძებდა?); ანჟეში ბიბლიოთეკართა წვეულებაზე, როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემი მასპინძლის, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის მაშინდელი დირექტორის მეგობარს, ქართული კულტურისა და, განსაკუთრებით, კულინარიის დამფასებელს ანი ჟირარდოს, რომელსაც ხაჭაპურზე მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველი ლექცია წაუკითხე (მასხოვდა, რომ მანამდე, ელდარ რიაზანოვის გადაცემაში ლეგენდარულმა ფრანგმა მსახიობმა ხაჭაპური რომ ახსენა, საბჭოთა რეჟისორს რატომღაც ხასიათი წაუხდა); მოსკოვში, სასტუმრო „როსიას“ დერეფანში კინოფესტივალზე გამარჯვებულ იტალიელ რეჟისორ ეტორე სკოლას და ჟიურის წევრ ჯინა ლოლობრიჯიდას, რომელიც უკვე ასაკში იყო, მაგრამ მნახველებს მაინც ადგილზე ყინავდა გორგონა მედუზასავით; მოსკოვი-თბილისის რეისზე დავმგზავრებე და დასვენების საშუალება არ მიმიცია ლიდია ფედოსეევა-შუქშინასთვის, რომელსაც თავზედურად ვუხსნიდი შუქშინის პროზაული შემოქმედების თავისებურებებს; ტამკენტი-მოსკოვის მატარებლის საერთაშორისო კუპეში „დურაკა“ მითამაშია უკვე „შტირლიც“ ვიარესლავ ტიხონოვთან; სანტა მონიკაში ლიფტში შევეჯახებივარ „დაუხატავ“ და დაღლილ შერონ სტოუნს, რომელიც „ჰოლანდიისთვის საკმარისი იყო“ (ასე უპასუხა სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა, მი-

XX 385/3-5-ის კლუბ-სასადილოს მრავლისმანახველ აპრანზა ხილიდან ღრმა ხეობაში ხტაბოდნენ სახჭოთა ცხველები, მათ შორის ქალაქი და ბავშვების, ოღონდ კი „თავისიანების“ ხელში არ მოხვედრილიყვნენ.



ხაილ გორბაჩოვმა ჰოლანდიელი ჟურნალისტის შეკითხვას, – განიარაღების შემდეგ რამდენი ბირთვული ქობინი დაგრჩათო; სიგარეტი მომიწვია ანტონიო ბანდერასთან ერთად „უორნერ ბრაზერზის“ სტუდიის შესასვლელში და ისეთი ქათინაური მოთქვამს ქეთრინ ზეტა-ჯონსისთვის, რომელმაც გადასაღებ ფილმში თავის პარტნიორს მოაკითხა, რომ კინალამ საფრთხე იყო ან მაიკლ დუგლასს მოვეკალი ან სახელგანთქმული ამერიკული „სექშუალ ჰარასმენტის“ მუხლისთვის გამომეკრა ხელი, ბანდერასს რომ არ განემარტა, კავკასიელი კავკასიელია (ერთი „კავკასიელი“ თეთრი რასის წარმომადგენელს ნიშნავს და ბანდერასმა ამიტომ იხმარა ორმაგი კავკასიელის ტერმინი) და ლამაზი ქალისთვის ქათინაური მაგისთვის გამარჯობის ანუ თქვენბური „ჰაის“ ტოლფასიაო.

ამ სატრაბახო ამბებიდან მხოლოდ ჯინა ლოლობრიჯიდა და ვიჩქესლავ ტიხონოვი შეადგენდნენ ჩემს სიმდიდრეს პოლიტიკურ ბანაკში მოხვედრამდე, ყველა სხვა შეხვედრა შემდგომში მოხდა. ლისმანისს, რა თქმა უნდა, უღამაზეს ჯინაზე ჩამოვუგდე სიტყვა (რუსი მზვერავის, ისავეის, იმავე შტირლიცის როლის შემსრულებელ ტიხონოვთან სამგზავრო-სამატარებლო ახლობლობით ტრაბახი არ იქნებოდა სწორი ტონი პატიოსან ლატვიელ ნაციონალისტთან საუბრისას). ლისმანისი კინოს ნამდვილი პარტიზანი იყო, მაშინ არ ვიცოდით სიტყვა, რომელიც ახლა იოლად აღწერს დაინისის მდგომარეობას, ლატვიელი სოციალ-დემოკრატი კინოს და, განსაკუთრებით, იტალიური კინოს ნამდვილი ფანი იყო. როგორც კი ჯინა ლოლობრიჯიდა ვუხსენე, ლისმანისი აღელდა.

– იცი თუ არა, ჩემო ქართველო მეგობარო, რომ ლოლობრიჯიდა ყველაზე ამერიკული იტალიელი მსახიობია, სოფი ლორენზე მეტადაც კი? ლოლობრიჯიდა ყველაზე დიდი სახელი იყო ორმოცდაათიანი წლებისა და სამოციანის დასაწყისის იტალიურ კინოში, თუმცა რა იტალიურ, მსოფლიო კინოში! და იცი, რა პერიოდი იყო ეს იტალიური კინოსთვის? იცი, რომ მას უთამაშია ისეთი გიგანტების მხარდამხარ, როგო-

რებიც იყვნენ ბერტ ლანკასტერი, იულ ბრინერი, ფრენკ სინატრა, სერ ალექ გინესი?

– მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მსგავსი სილამაზის ქალი პირადად, ასე ვთქვათ, „ცხოვრებაში“ არასოდეს მინახავს, – განვაცხადე მე და მეათასეჯერ დავიწყე მოყოლა, თუ როგორ შევეჩქეხე იტალიელების მთელ ხმაურთან დღე-ღაცისა მოსკოვის სასტუმრო „როსის“ დერეფანში 1975 წელს, როდესაც ჯინა ლოლობრიჯიდა უკვე 48 წლისა იყო.

– იცი თუ არა, ჩემო ლეევან (Léevan, მახვილით პირველ ე-ზე), რომ 1947 წელს ჯინამ მონაწილეობა მიიღო „მის იტალიის“ სილამაზის კონკურსში?

– არა, ეს არ ვიცოდი, მაგრამ წარმომიდგენია, რა ტრიუმფით გაიმარჯვებდა, მაშინ ხომ 20 წლისა იქნებოდა?!

– ვერ გაიმარჯვა! დიახ, ვერ გაიმარჯვა! სხვამ გაიმარჯვა, ლუჩია ბოზემ (ჯუზეპე დე სანტისის „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ხეების ქვეშ“, სუან ანტონიო ბარდემის „ველოსიპედისტის სიკვდილი“) და მეორეზე ჯანა მარია კანალე გავიდა (ამას, სხვათა შორის, ავა გარდნერს ადარებდნენ), ლოლობრიჯიდა მხოლოდ მესამე იყო! დაუჯერე ახლა სილამაზის კონკურსებს! ლუჩია ბოზე ჩემი და შენი დასაწუნი ქალი არ იყო, მაგრამ ჯინა?!

ლისმანისი კინოს, ბუნებრივია, კინომექანიკოსის ჯიხურიდან უყურებდა და ხანდახან მოულოდნელ და ხმამაღალ კომენტარებსაც აკეთებდა, რის გამოც პატიმარ-მყურებელთა ერთი ნაწილი აღშფოთდებოდა ხოლმე, ხოლო მეორე ნაწილი გვარინანდა ხალისობდა. მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდისტული შედეგის, „დამელოდეს“, ანუ «ЖДИ МЕНЯ»-ს დემონსტრირებისას, რომელშიც ქალის მთავარ როლს კონსტანტინე სიმონოვის მეუღლე, ვალენტინა სეროვა ასრულებდა, მსახიობი ქალის პირველი გამორჩენისთანავე ლისმანისმა ფილმის დემონსტრირება შეაჩერა და ხმამაღალი კომენტარი გააკეთა:

– თქვენ წინაშეა საბჭოთა კინოს მერლინ მონროდ წოდებული ქერათმიანი ლამაზმანი ვალენტინა ვასილის ასული სეროვა, რუსეთის ეკრანის ოცდაათიან-ორმოციანი წლების სექს-სიმბოლო, სტალინის უსაყვარლესი მსახიობი, რო-



მელსაც მსოფლიოს ხალხთა ბელადი და კინოს დიდი მეგობარი ჩკალოვის მეუღლესთან ერთად გვერდით დაისვა მდა ხოლმე წვეულებებზე, რადგან ეს ქალბატონი საბჭოთა კავშირის გმირის, ესპანეთის ომში თავგამოჩენილი პილოტის, ანატოლი სეროვის ქვრივი იყო. შემდგომში არამზადა (ჰაპაიანო, არ გენყინოს!) კონსტანტინე სიმონოვის ცოლი იყო, რასაც ხელი არ შეუშლია ქერათმიანი მზეთუნახავისთვის, რომანი გაება მაშინდელ გენერალ და მომავალ მარშალ კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკისთან, ისეთი რომანი, რომ ამხანაგ სტალინს ერთ-ერთ მიღებაზე უკითხავს გენერალ კ. კ. როკოსოვსკისთვის, – ხომ არ იცი, ამხანაგო როკოსოვსკი, ვისი ცოლია მსახიობი ვალენტინა სეროვაო; როკოსოვსკის ამოუღერლავს, – პოეტ სიმო-

ნოვისო, – და ამხანაგ ბელადს უთქვამს, – მეც ასე ვიცოდით. ამის შემდეგ მომავალი მარშალი თავის გულის სატრფოს აღარ გაჰკარებია. მსახიობი ქალი გალოთდა და გარდაიცვალა მარტოობაში 1975 წელს, სამხრეთელმა და „თბილმა“ სიმონოვმა კისლოვოდსკში დასვენება არ შეწყვიტა და მხოლოდ ვარდების გამოგზავნით დაკმაყოფილდა. საბჭოთა კინოს ლეგენდა უკანასკნელ გზაზე სამოდე კაცმა გააცილა, მათ შორის – ქალიშვილმა, მარია სიმონოვამ. ასე რომ, ამხანაგ სტალინს ქერთამიანი ლამაზმანები იტაცებდა, განსხვავებით მისი თანამემამულე, ამჟამად კლუბ სასადილოს დარბაზში მყოფი ლევან ბერძენიშვილისგან, რომელსაც გაუგებარი პრეტენზიები აქვს ქერთამიანების მიმართ. განვაგრძოთ ფილმის ჩვენება, გმადლობთ ყურადღებისთვის, მეგობრებო.

ლისმანისი, როგორც წესი, საშინელ კომენტარებს აკეთებდა ისეთი უკვდავი საბჭოთა შედეგების, როგორებიც იყო „შეიარაღებული კაცი“ (Человек с ружьем), „ლენინი ოქტომბერში“, „ლე-


დარბაზიდან ქართულ ენაზე წარმოთქმული კომენტარებით, რომელშიც ფიგურირებდა ისეთი უწყინარი შეფასებები, როგორიც იყო „გარენარი“, „არამზადა“, „დამპალი“, „ტვინგაყინული“ და სხვ. ამ მხრივ არც სომხები ჩამოგვრჩებოდნენ და ერთი-ორ ლამაზ შეფასებას ისროდნენ უკვდავი გრიგოლ ნარეკაციის ენაზე. ასე რომ, ლისმანისთან ერთად საბჭოთა პროპაგანდის საამაყო შედეგების, ე.წ. მხატვრული ფილმების დემონსტრირება ხალისიანად მიმდინარეობდა.

ერთხელ წარმოუდგენელი რამ მოხდა: შაბათს კინოჩვენებაზე ნამდვილი კინო მოიტანეს, ინგმარ ბერგმანის „შემოდგომის სონატა“ ინგრიდ ბერგმანისა და ლივ ულმანის მონაწილეობით. ჩემი აზრით, ბარაშევის არაზონურ კინოთეატრში აჩვენეს მაყურებელს, რომელსაც იგი აქტიურად არ მოეწონა და სასჯელის სახით შემოგვიგდეს ბანაკში – ესეც თქვენი საყვარელი დასავლეთი და მისი გაუგებარი შედეგით. დედაშვილის დრამატულ ურთიერთობებზე გადაღებული, საკმაოდ რთული და სი-

სიამოვნებით აიყვანდა თანაოპერატორად თუ არა, მთავარი ოპერატორის ასისტენტად მინც. თანაც, დარწმუნებული ვარ, საკმაოდ ცივი და მუდმივად მელანქოლიური, ტოკიოში დაბადებული და კანადაში აღზრდილი ნორვეგიელი ლივ ულმანის გამხიარულებასაც კი შეძლებდა თავისი უთვალავი ანეკდოტითა და ხალისიანი მოთხრობით.

ერთხელ ისეთი პატივი გვცეს, რომ, რომელიღაც მხატვრული ფილმის გარდა, ე.წ. ჟურნალიც მოგვანოდეს. ლისმანისმა წინასწარ გაგვაფრთხილა, – ეს კინო არ არის, ჟურნალია, კინო კიდევ იქნებაო. „ჟურნალად“ დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადიოდა, რომელშიც (არ დაგავიწყდეთ, ეს ყველაფერი პერესტროიკისა და გაქანებული საჯაროობის ეპოქაში ხდება) ნაჩვენები იყო უნიკალური კადრები, რომელსაც ათწლეულობით უმაღლესდნენ მთელ მსოფლიოს როგორც საბჭოთა კომუნისტები, ისე დასავლელი დემოკრატები. მოკლედ, დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენები იყო, თუ როგორ გადასცეს ინგლისელებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კავშირს მათ საოკუპაციო ზონაში მოხვედრილი ტყვეები. ლისმანისი სწრაფად გაერკვა სიტუაციაში და გამოაცხადა, – ვისაც სუსტი გული გაქვთ, დარბაზიდან გადით, ისე ვატყობ, საშინელი კადრები გველოდებაო. ამ კომენტარმა ადგილს მიაჯაჭვა ისინიც, ვინც ჟურნალის გამოტოვებას და ნეკოს მოსაწევად გარეთ გასვლას აპირებდა (კლუბ-სასადილო მართლა კლუბი კი არ იყო, რომ იქ მონვეის ნებართვა მიეცათ ვინმესთვის).

ეკრანზე გამოჩნდა ძალიან მაღალი ხიდი, რომლიდანაც მდინარის ხეობამდე, სულ ცოტა, ასი მეტრი მაინც იქნებოდა. ძალიან შორიდან იყო გადაღებული და თითქმის არაფერი არ ჩანდა, მაგრამ როგორც კი კადრის დაახლოება დაიწყო, გამოჩნდა რაღაც წერტილები, რომლებიც ხიდიდან ქვემოთ მიექანებოდნენ. როდესაც კადრი კიდევ უფრო ახლოს მოვიდა, ცხადი გახდა, რომ ეს წერტილები ადამიანებია, ადამიანები, რომლებიც საკუთარი ნებით ხტებიან მდინარეში და თავს იკლავენ. ЖХ 385/3-5-ის კლუბ-



ნინი 1918 წელს“ და ლენინიანას სხვა საბჭოთა კლასიკად ქცეული ფილმების დემონსტრირებისას, მაგრამ ეს კომენტარები ხაზგასმით ლატვიურ ენაზე კეთდებოდა და ლისმანისს ყოველთვის შეეძლო ეთქვა ლენინის როლის შემსრულებელი მსახიობების ოსტატობაზე ვაკეთებ კომენტარებსო. ხანდახან ლისმანისს ქართველებიც ეხმაურებოდნენ

ვრცეში ჩაკეტილი ფილმი პატიმრებს მაინცდამაინც არ მოეწონათ, მაგრამ ლისმანისი ხშირად აჩერებდა ჩვენებას და ინგმარ ბერგმანის ოცი ფილმის უცვლელი ოპერატორის, სვენ ნიუკვისტის ოსტატობაზე ამხვილებდა ჩვენს ყურადღებას. ლისმანისი ნამდვილი მხატვარი იყო, ისეთ დეტალებს ხედავდა, რომ სახელგანთქმული ნიუკვისტი

სასადილოს მრავლისმნახველ ეკრანზე ხიდიდან ღრმა ხეობაში ხტებოდნენ საბჭოთა ტყვეები, მათ შორის ქალები და ბავშვებიც, ოღონდ კი „თავისიანების“ ხელში არ მოხვედრილიყვნენ; ძირითადი მასა უკან დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ უკან მიბრუნებულებს ინგლისელები ცეცხლს უხსნიდნენ და ადგილზე ხოცავდნენ: ხიდზე საშინელი ტრაგედია ტრიალებდა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში უკვე სისხლმონატრებულ სიკვდილს ნამდვილი კალო ჰქონდა გამართული – ბრიტანელთა საოკუპაციო ზონაში მოხვედრილ საბჭოთა ტყვეებს წინ გულაგი და მასში სიკვდილი ელოდებოდათ, უკან – მოკავშირეების ტყვეით სიკვდილი და ქვემოთ, ღრმა ხეობაში – მინაზე დახეთქებამდე ჰაერში სიკვდილი. ამ ფონზე გამოჩნდა ერთი პატარა კაცი, რომელიც ხელეზანული გარბოდა რუსებისკენ. კამერამ იგი საგანგებოდ მსხვილი პლანით აიღო: პატარა კაცი გახარებული გარბის თავისიანებისკენ, ხელებს უცნაურად იქნევს და რაღაცას იძახის.

უეცრად კლუბ-სასადილო არაადა-მიანურმა ღრიალმა შეძრა:

– აარაა! აარაა! ლისმანის, გააჩერე კინო, ლისმანის, გააჩერე!

დაბნეულმა ლისმანისმა მართლა „გააჩერა კინო“ და ჩვენმა თანაზონელმა ტიმიმმა, პატარა კაცმა, რომელსაც მანამდე არასოდეს არაფერზე ხმა არ ამოუღია, არადა ნამდვილი საოპერო ბარიტონი აღმოაჩნდა, ეკრანზე გაჩერებულ გამოსახულებას მიმართა:

– Куда прѣшь, дуралей?! საით გარბიხარ, იდიოტო! ეს ხომ მე ვარ, ბიჭებო! ეს ხომ მე ვარ, სახლში მოვრბივარ ორმოცი წელი გულაგში ამოსახრჩობად!

ეკრანიდან მას და ყველას ახალგაზრდა ტიმინი გვიყურებდა, გაღიმებულს არ ესმოდა, რა ერჩოდა მას ორმოცი წლის შემდეგ მისი საკუთარი, გულაგში გატანჯული არსება. ლისმანისმა პროექტორი გამორთო, ამასობაში ხმა გავარდა, ტიმიინა ეკრანზე და მთელი ზონა კლუბ-სასადილოში შემოვარდა, მათ შორის იყვნენ – ზონის უფროსი მაიორი შალინი, დეპენეკა სურაიკინი, აღმზრდელობითი სამუშაოების ხელმძღვანელი ლეიტერანტი არაპოვი, ზედამხედველე-



КУДА ПРѢШЬ, ДУРАЛЕЙ?! საით გარბიხარ, იდიოტო! ეს ხომ მე ვარ, ბიჭებო! ეს ხომ მე ვარ, სახლში მოვრბივარ ორმოცი წელი გულაგში ამოსახრჩობად!

ბი ტრიფონოვი, კისელიოვი და ტრიმაზკინი და უკლებლივ ყველა პატიმარი, არკადი დუდკინიც კი, რომელიც, თუ ბერლინის აღებაზე და რაიხსტაგზე დროის აღმართვაზე არ იყო კინო, სხვა ფილმებს არასოდეს არ სწყალობდა.

– ლისმანის, მოიტა ტიმინი, – ბრძანა შალინი და ლისმანისმა თავიდან გაუშვა ფილმი ზუსტად იმ ადგილიდან, როდესაც ხიდზე გაჩერებულ მასას გამოეყო პატარა ნერტილი, მერე ეს ნერტილი ნელ-ნელა გადიდა და უტყუარ ტიმიინად იქცა. მორბოდა და მორბოდა გახარებული ტიმიინი, მორბოდა თავისი მონატრებული სამშობლოსაკენ, ოცდახუთწლიანი განაჩენისკენ, რომელსაც კიდევ ოცი უკვე გულაგში დაემატა, მორბოდა, რადგან ეგონა, რომ ბოლოს და ბოლოს გენერალ ვლასოვის არმიაში სამსახურს აპატიებდნენ და რუსულად მანც დაელაპარაკებოდნენ. ზონის ხელმძღვანელობამ ტიმიინი იოლად ამოიციო და შალინიდან დაწყებული ტრიფონოვით დამთავრებული, ყველას ჰომეროსული ხარხარი აუტყდა, მათ ზოგიერთი პატიმარიც

აჰყვა. კარგი სანახავი იყო კლუბ-სასადილო, სადაც მაცურებელთა ერთი ნაწილი გულზე სკდებოდა და მეორე ნაწილი გულიანად იცინოდა. საცოდავმა ტიმიინმა ჯერ სხვებივით გაცინება სცადა, არ გამოუვიდა, მერე უეცრად გული წაუვიდა და სამხრეთ კავკასიის ქრისტიან ხალხთა ფედერაციის წევრებმა, ქართველებმა და სომხებმა გარეთ გამოვიყვანეთ, სადაც ადგილობრივმა ესკულაპუსმა, არნოლდ ანდერსონმა სასწრაფოდ მოიყვანა გონზე თავისი სახელგანთქმული ნოუჰაუთი, რომელშიც არასაიდუმლო ინგრედიენტებიდან მრავალძარღვასა და პიტნის ნაყენი შედიოდა, ხოლო საიდუმლო ინგრედიენტების შემადგენლობას საბჭოთა პოლივიტამინების ავტორი საგულდაგულოდ მალავდა.

– ესეც ჩვენი სასიქადულო უინსტონ ჩერჩილი! – წამოიძახა ჟორა ხომიურმა, – კი წერდა ამაზე ალექსანდრ ისაევიჩი, მაგრამ მე მანც გადაჭარბებული კრიტიკა მეგონა.

>>> **ბაბრქილევა ბვ. 102**

ხელოვნება და „პერვერსიები“ აკრძალული სურვილები

ავტორი: გიორგი მაისურაძე
ილუსტრაცია: მანია სუმბაძე

„ჩვენ ვისჯებით იმიტომ, რომ სექსი ვილაცამ ოდესღაც ცოდვად გამოაცხადა“.
მიშელ ფუკო



ღრმადმორწმუნე რუს ფილოსოფოსს ვასილი როზანოვს ასეთი აზრი ეკუთვნის: თუკი სექსი სიყვარულის უმაღლესი ხორციელი გამოხატულებაა, მაშინ რატომღა უნდა გვიკვირდეს ინცესტი? – ის ხომ ადამიანის უკეთილშობილეს ლტოლვას განასახიერებს...

ინცესტი, ანუ სექსუალური კავშირი საკუთარი ოჯახის წევრებთან, კაცობრიობის ისტორიის ალბათ ყველაზე დიდი და უძველესი ტაბუა, რომლის გაჩენასაც ანთროპოლოგები კულტურის წარმოშობას, ადამიანთა ჯოგის – საზოგადოებად, ცივილიზაციად ქცევას უკავშირებენ.

„კულტურა“ და „ცივილიზაცია“ კი ადამიანის არა მხოლოდ განვითარებულობის, არამედ მისი თავისუფლების ჩახშობის სიმბოლოებიცაა. ფილოსოფოსი ჰერბერტ მარკუზე წერდა, რომ „თუკი თავისუფლების არქეტიპი ჩახშობის არარსებობაა, ცივილიზაცია ამ თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლად შეგვიძლია განვიხილოთ“. თუმცა, თავისუფლების აღმნიშვნელი უძველესი სიტყვა, რომელიც შუმერულ ენაშია მოცემული, ერთგვარ „ინცესტუალურ“ შინაარსს გადმოგვცემს, რომელიც სიტყვა-სიტყვით „დედასთან დაბრუნებას“ ნიშნავს და ამ მეტაფორით მზის ღმერთის ღამლამობით საკუთარ დედის წიაღში შესვლა და დილით მისი საშოდან კვლავდაბადება იგულისხმება.

დავუბრუნდეთ ისევ მარკუზეს დებულებას, რომელიც ცივილიზაციისა და ჩახშობის, ანუ „რეპრესიის“ ურთიერთმიმართების ფსიქოანალიტიკურ სურათს გადმოგვცემს: ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზიგმუნდ ფროიდმა ინცესტის თემა გასაღებად გამოიყენა ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკის უხილავ სამყაროში შესასვლელად და ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული გმირის მეფე ოიდიპოსის ფიგურით ფსიქოანალიტიკური მეტაფორა „ოიდიპოსის კომპლექსი“ შექმნა, რომელიც პატარა ბავშვის სასიყვარულო ლტოლვას განსხვავებული სქესის მშობლის მიმართ გამოხატავს. ამასთანავე, საკუთარი სქესის მშობელი ბავშვისათვის კონკურენტად აღიქმება და ასეთი გაორებული დამოკიდებულება სიყვარულისა და სიძულვილის პირველადი ობიექტებისადმი განსაზღვრავს ადამიანის ფსიქოსექსუალურ ბუნებას. ფროიდის თანახმად, არაცნობიერი ფსიქიკა განდევნილი და ჩახშობილი სურვილებისაგან შედგება, რომლებიც ადამიანს ნევროზების, ფსიქოზებისა და სხვა ფსიქიკური უსიამოვნებების სახით უბრუნდება. წარმოშობისთანავე ჩახშობილი სურვილები კი არაცნობიერშივე „პერვერსიებად“ გარდაიქმნება, რომლებსაც ფროიდი ფოტოგრაფიულ ტერმინ „ნეგატივს“ ადარებს: პერვერსიები ნევროზების ნეგატივებია. თავად „პერვერსია“ კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ქართულად „გაუკუღმართებად“ ითარგმნება და მასში, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივად მიღებული ნორმებიდან გადახვევა იგულისხმება. სექსუოლოგიაში კი ეს ტერმინი სექსუალობის გარკვეულ მარგინალურ ფორმებს აღნიშნავს, როგორებიცაა, მაგალითად, სოდომია, ანუ სექსუალური ლტოლვა ცხოველების მიმართ, ან კოპროფილია – სექსუალური აღგზნება განავალზე, აგრეთვე ნეკროფილია – გვამების სიყვარული და ა. შ. პერვერსიათა ყველაზე გავრცელებულ ფორმებად კი სადიზმი, ანუ პარტნიორისათვის სექსუალური აქტის დროს ტკივილის მიყენება და მისი საპირისპირო ფორმა – მაზოხიზმი, ანუ სასიყვარულო გრძნობის ტკივილთან და ტანჯვასთან გაიგივება მიიჩნევა. ეს უკანასკნელი, რომელიც სამედიცინო ტერმინად XIX საუკუნეში გაჩნდა და რომელიც ავსტრიელი მწერლის ლეოპოლდ ფონ ზახერ-მახოხის სახელს უკავშირდება, უკვე XX საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი თეორეტიკოსის მიერ შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ იმპულსად გამოცხადდა: ხელოვანი, რომელიც საკუთარი სურვილებისა და ლტოლ-

ვების განხორციელების შეუძლებლობას აცნობიერებს, მათ რეალიზებას მხატვრული ფანტაზიების მეშვეობით ცდილობს. ხელოვნების ნაწარმოები კი ავტორის მიერ განცდილი ტკივილების გამოსახვა და წარმოსახვის გზით მათი ხელახალი განცდაა. ამდენად, ხელოვნება პირდაპირ კავშირშია „პერვერსიებთან“.

„პერვერსია“ არის აკრძალვის, ნორმების დანესების შედეგი და არა ადამიანის ფსიქიკის „პირვანდელი“ მდგომარეობა. იმისათვის, რომ აკრძალვამ „იმუშაოს“, არქაულ და ტრადიციულ საზოგადოებებში მას რელიგიური შინაარსი აქვს და ის ღმერთის ან ღმერთების ნებად ცხადდება. ღმერთის სახელით ლაპარაკის მონოპოლია კი რელიგიურ ინსტიტუციებსა აქვთ, რომელთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფუნქციაც არა „ჭეშმარიტების“ სამსახური, არამედ სწორედ რეპრესიული, ჩამხშობი და სადამსჯელო მექანიზმების ლეგიტიმაციაა. წინარემოდერნულ საზოგადოებებში კანონმდებლობა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა დასარეგულირებლად იქმნება, საკრალური, რელიგიური შინაარსისა და მისი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი იერარქიებისა და ძალაუფლების სისტემების განმტკიცებაა, რომლებსაც ადამიანთა თავისუფლება ეწირება მსხვერპლად. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ყველა ჰუმანისტური თუ საგანმანათლებლო და განმათავისუფლებელი მოძრაობის კრიტიკის მთავარი სამიზნე რელიგიური ინსტიტუციებია, რამდენადაც რელიგია, რაოდენ ამაღლებულ და კაცთმოყვარე იდეალებიდანაც უნდა იყოს წარმოშობილი (ამის თვალსაჩინო მაგალითია ქრისტეს მოძღვრება), საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუციად ქცევისთანავე, სადამსჯელო და ტოტალიტარული იდეოლოგიების სათავედ გვევლინება. რელიგიის სიახლოვე ტოტალიტარიზმთან იმდენად დიდია, რომ თვით ყველაზე მეტად ათეისტური ტოტალიტარიზმებიც კი საკუთარ იდეოლოგიებს რელიგიების ანალოგიით ქმნიან და მათ მსგავსად რეპრესიებითა და შეჩვენებით დგანან „უბიზობისა“ და „მორალის“ სადარაჯოზე. თუმცა კი სახელისუფლებო და რელიგიურ ინსტიტუციათა ისტორია იმასაც გვაჩვენებს, რომ ხშირად სწორედ მორალისა და ზნეობის ამ დარაჯებს ხელთ ეპყრათ მონოპოლია იმაზე, რასაც ისინი თავად ცოდვად და გარყვნილებად აცხადებდნენ. ძალაუფლება, რომელიც მის არმქონეთა დამორჩილებითა და დაქვემდებარებით ხორციელდება, სიამოვნებაზე უფლების გარანტიცაა და, ამდენად, მართებული მგონია ის მოსაზრება, რომ რევოლუციები სწორედ ამ უფლების მოსაპოვებლად ხდება.

თუმცა არსებობს სფერო, რომელშიც უფრო დიდი რევოლუციური ძვრებია შესაძლებელი, ვიდრე ნებისმიერ შეიარაღებულ აჯანყებაში, სახელმწიფო გადატრიალება-სა თუ „ხავერდოვან“ რევოლუციებში. ესაა შემოქმედება, რომელშიც და რომლის მეშვეობითაც ადამიანი იმის განცდას, თუნდაც გამოხატული წარმოსახვის დონეზე მაინც ახერხებს, რისი რეალობაში განხორციელების უფლებაც მას ზნეობის ანაფორიანმა თუ სხვა უნიფორმიანმა დამცველებმა წაართვეს და სათავისოდ მიისაკუთრეს.

ყველა უზანდობრივი თუ საზანაღათლო და განათავისუფლებელი მოძრაობის ქრიტიკის მთავარი საიზენ რელიგიური ინსტიტუციონია, რამდენადაც რელიგია, რაოდენ ახალგაზრდულ და კასტომოზარკ იდეალუბიდანაც უნდა იყოს ნარომოზილი (აჲის თვალსაჩინო გაბალითია ქრისტან მოძვრება), საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუციად ქვეინსთანავე, სადასჯელო და ტოტალიტარული იდეოლოგიის სათავედ გველინება.

ხელოვნების დაბადება „სოლის“ სულიდან

თავის პირველ წიგნში – „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ ნიცმე მეფე ოიდიპოსის დანაშაულს – მამის მკვლელობასა და დედაზე ქორწინებას ბუნებრიობის სანინალმდეგოდ მიმართულ იმდენად დიდ ქმედებას უწოდებს, რომელიც თავად ბუნებას აიძულებს, მისი იდუმალუბანი გასცეს. ნიცმესთვის ოიდიპოსი ფილოსოფოსის პროტოტიპია, რომელიც აკრძალულ სფეროში შესვლით სამყაროს იდუმალ კანონებს იმეცნებს. იგი მის საქციელს პრომეთეს გმირობას ადარებს, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და, მათი ნების სანინალმდეგოდ, ადამიანებს „ღვთაებრივი ხელობები“ ასწავლა. ძველ ბერძნულ ენაში „ხელობა“ და „ხელოვნება“ ერთი და იგივე სიტყვით გადმოიცემა. შემოქმედი ადამიანის პირველხატება ღმერთების მიერ დაწესებული კანონების დარღვევა, ამ კანონების წინალმდეგ სვლაა. „საიდუმლოებები“ კი, რომლებიც აკრძალვებითა და ხელშეუხებლობითაა ყადაღადსმული, განდევნილ და ჩაკლულ სურვილთა ის სფეროა, რომელში ცოტა ხნით მაინც ჩახედვის უფლება ანტიკური საზოგადოებების ადამიანებს წელიწადში ერთხელ მაინც მისტერიების დროს ეძლეოდათ. ამ რელიგიური დღესასწაულების ზენიტი ინიციაციის ანუ ზიარების რიტუალები იყო. ასეთ რიტუალებს კი ხშირად სრულიად ღიად სექსუალური ფორმა ჰქონდა, რომელსაც თან ახლდა ორგიები და სექსობრივი როლების აღრევა. მათი მეშვეობით კი ადამიანი იმას ეზიარებოდა, რისი უფლებაც მას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში არ ეძლეოდა. მაგრამ ანტიკური ხანის ადამიანმა ისიც იცოდა, რომ სიამოვნების ამ ფორმებზე მონოპოლია მხოლოდ ღმერთებისთვის იყო განკუთვნილი. ღმერთები ადამიანების შეუზღუდავ უფლებას სიამოვნებასა და განცხრომაზე განასახიერებდნენ. ეს იყო მათი ზეადამიანური ძალის, ღვთაებრიობის გამოხატულება. ადამიანები კი, რომლებიც საკუთარი ძალაუფლებით თავს ღმერთებს უტოლებდნენ, ასეთ ძალაუფლებას ხშირად სწორედ სექსუალური აღვირახსნილობით გამოხატავდნენ.

მისტერიების თანმხლები ძველ საბერძნეთსა და რომში თეატრალური სანახაობებიც იყო, საიდანაც თავისუფალი ხელოვნების პირველი ფორმები დაიბადა. „თავისუფალი ხელოვნება“ ამ შემთხვევაში სწორედ რელიგიური ნორმებისაგან თავისუფლებას ნიშნავს. მაგალითად, როდესაც ბერძენი ტრაგიკოსი პოეტი ესქილე თავსი ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“ მეამბოხე ტიტანს ათქმევინებს, რომ უზენაესი ღვთაების – ზევსის ხელისუფლება დაემხო, ყოფით სიტუაციაში ასეთი განცხადება ღვთის გმობა იქნებოდა, ლიტერატურულ თხზულებაში კი, რომელიც

მისტერიების დროს თამაშდებოდა, ხელოვნის იმის საშუალება ეძლეოდა, რომ საკუთარი „მკრეხელური“ მოსაზრება საჯაროდ გამოეთქვა.

მაგრამ ამგვარი „შემოქმედებითი თავისუფლება“ მონოთეისტური რელიგიების გამარჯვებისთანავე მოისპო. სახელმწიფო რელიგიის რანგში აღზევებულმა ქრისტიანობამ ერთმანეთზე მიყოლებით აკრძალა ოლიმპიური თამაშობები, ანტიკური თეატრი, ფილოსოფოსთა აკადემიები, თვით საჯარო „ბიბლიოთეკებიც“ კი. მიუხედავად ამისა, თვით ამ „ბნელ ხანად“ წოდებულ შუა საუკუნეებშიც კი არსებობდა სფეროები, რომლებშიც ეკლესიამ და ძალაუფლების სტრუქტურებმა თავისი რეპრესიული აპარატის ამუშავება ბოლომდე ვერ შეძლეს. პირველ რიგში, ეს იყო ქრისტიანული მისტიკა, რომელიც საეკლესიო დოგმატიკის ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა და მის აკრძალულ საზღვრებსაც აბიჯებდა. რამდენადაც მისტიკოსების უმრავლესობა თავად სასულიერო პირი იყო, აზრს მოკლებული არ უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ მათ სრულიად შეგნებულად შექმნეს წერისა და საუბრის „გაუცნაურებელი“ სტილი, რომელსაც ისინი ეკლესიისა და ოფიციალის სხვა ჩინოვნიკებისაგან უნდა დაეცვა. მიუხედავად ამისა, არაერთი შუა საუკუნეების მისტიკოსი ან მათი ნაწერი მაინც აღმოჩნდა ეკლესიისა და ღმერთის სახელით დანთებულ კოცონზე.

მისტიკა ღვთაებრივ სიყვარულს ექსტატურ ფორმას აძლევს. ქრისტიანული მისტიკის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (სწორედ ის პიროვნება, რომელიც საქართველოში ქართული წარმომავლობის ღვთისმეტყველ პეტრე იბერთანაა გაიგივებული), ღვთაებრივ სიყვარულზე საუბრისას ხმარობს ბერძნულ სიტყვა „ეროს“, რომელიც ხორციელ სიყვარულს ნიშნავს და არა ქრისტესმთავარი სიყვარულისა თუ სათნოების აღმნიშვნელ „აგაპეს“. ამასთანავე, ეს მისტიკოსი ეროსს კიდევ ერთ წინაქრისტიანულ ბერძნულ ტერმინ „ექსტაზიასთან“ აკავშირებს, რომელიც ექსტაზს, თავდავინყებას გამოხატავს. სასიყვარულო თავდავინყება ღმერთს სამყაროს აქმნევინებს.

ამის სანინალმდეგოდ, „ოფიციალურ“ ქრისტიანობაში სხეულებრივ სიამოვნებათა უარყოფამ და გმობამ იმდენად ტოტალური სახე მიიღო, რომ ძალაუწებურად მისი შედარება ერთ ნევროტულ მექანიზმთან შეიძლებოდა, რომელსაც „უარყოფა“ ეწოდება: ნევროზები, რომელთა ნეგატივებიც პერვერსიებია, თავიანთ ფარულ შინაარსს მისი ამოჩემებული უარყოფით, ნეგაციით გამოხატავენ. შინაარსი, რომლის გამომწვეურებასაც ნევროტული პიროვნება მთელი თავისი ძალისხმევით ეწინალმდეგება, საკუთარ თავს ჰყიდის ამ შინაარსის არცთუ იშვიათად სრულიად უკონტექსტო

და აგრესიულ უარყოფაში. ასეთი „უარყოფების“ ყველაზე ცნობილი და ბანალური მაგალითია: „იცით, მე არა ვარ ჰომოსექსუალი... მე ჰომოსექსუალი არ გეგონოთ“... ამაზე ფსიქოანალიტიკოსის პირველივე რეაქცია იქნებოდა: „მაშასადამე ეს პიროვნება ჰომოსექსუალია“. არსებობს „უარყოფის“ უფრო მძაფრი მუხტის მატარებელი, აგრესიული ვარიანტებიც: „მე მძულს ჰომოსექსუალები... პიდარსტების დედა“... – ამგვარი ფორმულების ანალიზით მიღებული ყველაზე მარტივი დიაგნოზი ასე შეიძლება გამოიყურებოდეს: ნევროზის შინაარსი ჩახშობილი და განდევნილი ჰომოსექსუალური სურვილის სადო-მაზოხისტურ პერვერსიად გარდაქმნა. ადამიანის სიძულვილის ობიექტი საკუთარი თავია, რომელიც განდევნილ სურვილს გაუკუღმართებულო, ანუ პერვერსიული ფორმით ისრულებს, როდესაც მას სძულს ის ადამიანები, რომლებსაც ამ სურვილის ასრულება შეუძლიათ. ამ შემთხვევაში მისი აგრესია ეროსის, სიყვარულის გაუკუღმართებული, შებრუნებული ფორმაა და იგი ამ ფორმით ამყარებს თავისი გრძნობების ობიექტთან ეროტულ კავშირს. ამასთანავე, იგი განიცდის მაზოხისტურ სიამოვნებას საკუთარი თავის დასჯით, პირვანდელი სურვილის ცოდვად და მანკიერებად შერაცხვით.

მერაბ მამარდაშვილს ეკუთვნის ჯოჯოხეთის მეტაფო-

წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის კარნავალურმა კულტურამ, რომელთა ქართული ნაირსახეობა ბერიკაობა და ყვენობაა. ამ კულტურის ყველაზე ცნობილი მკვლევარი მიხაილ ბახტინი კარნავალს „უტოპიური თავისუფლების“ გამოხატულებას უწოდებს, რომლის დროსაც ადამიანებს უფლება ეძლეოდათ იერარქიისა და მმართველი კლასებისათვის, თვით საეკლესიო ავტორიტეტებისთვისაც კი დაეცინათ, მასხრად აეგდოთ ნორმატიული წესრიგი და შეუზღუდავი თავისუფლების იდეალური სამყარო თეატრალური და ხშირად „უხამსი“ ფორმებითაც გამოეხასიათა. უკვე გვიან შუა საუკუნეებში ეკლესიამ კარნავალური კულტურა აღქაჯთა თავყრილობად შერაცხა და მთელი თავისი სისასტიკე სწორედ ამ უსწავლელ ხელოვანთა და თავისუფალ მოაზროვნეთა წინააღმდეგ მიმართა, მაგრამ მისი აღმოფხვრა მაინც ვერ შეძლო. თანამედროვე სამყაროში კი იგი მასობრივ კულტურას შეერწყა და ჩვეულებრივ კომერციულ დღესასწაულად იქცა, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითიცაა „ჰელოუინი“.

ბახტინისა და არა მხოლოდ მისი აზრით, სწორედ ამ „მდაბიოთა“ უხამსმა კულტურამ უდიდესი სასიცოცხლო იმპულსები მისცა რენესანსის სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურას. კარნავალური წარმოშობისაა ხელოვნების



რის ასეთი ხატოვანი განმარტება: „ჯოჯოხეთია, როდესაც დაბმული ხარ და შენ თვალწინ აუპატიურებენ შენს სატრფოს“. ჯოჯოხეთის კუპრში წვა მაზოხისტური ფანტაზიების ტრიუმფია, რომელიც ნებადაკარგული ადამიანის მარადიულ ტანჯვას და საკუთარი სურვილების ვერასრულებას, მათ გამო დასჯასა და გვემას განასახიერებს. ქრისტიანულმა ეკლესიამ კი მთელი კაცობრიობა გამოაცხადა ცოდვილად და ამისათვის მას სურვილებსა და სიამოვნებაზე უარის თქმა და ცოდვების გამოსასყიდად მთელი სიცოცხლის მანძილზე თვითგვემა მიუსაჯა. ამით კი ეკლესია მიწაზე, სააქაოში შეუდგა იმის შექმნასა და განხორციელებას, რასაც იგი საიქიოში არსებულ ჯოჯოხეთად წარმოსახავდა. ფილოსოფოს მიმელ ფუკოს თქმით, „არასდროს ჰქონია სექსუალობას ესოდენ უშუალო და ბუნებრივი მნიშვნელობა, როგორც შუა საუკუნეების დაცემული სხეულებისა და ცოდვების სამყაროში“.

ხორციელი ექსტაზი, ორგაისტიკა, დაწესებული და წმინდად შერაცხული ნორმების დარღვევა შემოინახა შუა საუკუნეების „დაბალ ფენებად“ წოდებულ უუფლებო და

ისეთი ფორმები, როგორებიცაა პაროდია და გროტესკი, რომლებშიც უტირიებისა და გადამეტების მეშვეობით, ეპატაჟითა და ირონიით საკმაოდ რადიკალური სოციალური და პოლიტიკური კრიტიკა თუ პროტესტი გამოიხატება. თავად კარნავალური ჟანრი კი, რომლისთვისაც დაწესებული ნორმებისა და საზღვრების გადაბიჯება და „აკრძალული“ და ცოდვად შერაცხული თემების კულტივირებაა დამახასიათებელი, მთელი სიმძაფრით შუა საუკუნეების რელიგიური წესრიგისა და „ძველი რეჟიმების“ დამხობის შემდეგ გამოჩნდა და თანდათანობით კლასიკურ ჟანრად იქცა, რომლებსაც უკვე უნივერსიტეტებში ასწავლიან.

ხელოვნება, როგორც „პათოლოგია“ და „ბორცობა“

„Я люблю смотреть как умирают дети“. – ვლადიმირ მაიაკოვსკი

XVIII საუკუნეში, საფრანგეთის რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა ლიტერატურული ჟანრი,

თუკი სივილიზაციის, წესრიგისანი საფაროს არქატიკი თავისუფლების ჩახშობაა, შემოქმედება
 ამ დაკარგული თავისუფლების უკან დაბრუნებისა და მისი განხილვის, სულიერი ტრავმებისა და
 ტკივილების განაპურების ერთდართი საშუალებასაა.

რომელსაც „ლიბერტინული“ ეწოდა და რომელიც, საყოველთაოდ აღიარებული მორალური და სექსუალური ნორმების სანინალმდეგოდ, სრულ აღვირახსნილობას აღწერდა და ყოველგვარ ზნეობრივ ტრადიციას აბუჩად იგდებდა. ამ ჟანრის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ფრანგი მარკიზი დონასიენ ალფონს ფრანსუა დე სადი კაცობრიობის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, მისი სახელიდან წარმოებული ფსიქოპათოლოგიური ტერმინის სადიზმის სახელით შევიდა. სადი, გარდა სკანდალური რომანების ავტორობისა, ახალი ეპოქის პირველი უდიდესი დისიდენტიც იყო, რომელიც თანაბარი უკომპრომისობითა და რადიკალურობით აკრიტიკებდა ჯერ მონარქიასა და სამღვდლოებას, შემდეგ იაკობინელთა დიქტატურასა და „დირექტორიას“, ბოლოს კი ნაპოლეონის იმპერიას. XX საუკუნის გერმანელი დრამატურგის პეტერ ვაისის პიესაში „მარატ/სადი“ უკვე ფსიქიატრიულ კლინიკაში იძულებით მოთავსებული სადი იხსენებს საფრანგეთის მეფე ლუი XV-ზე განხორციელებულ წარუმატებელ ტერაქტში დადანაშაულებული პიროვნების – დამიანეს სიკვდილით დასჯის ამბავს. პარიზის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე რამდენიმე საათს გრძელდებოდა სიკვდილით დასჯის სანახაობა. ბრალდებული ნელი და ხანგრძლივი ნამებით მოკლეს. ამ ისტორიის გახსენებისას კი სადს ყურადღება იმაზე გადააქვს, რომ მოედანზე მდგარი ერთი სახლის ფანჯარაში ჯაკომო კაზანოვა ჩანს, რომელსაც ერთდროულად ორ ქალთან სექსი აქვს. ჩემი აზრით, პეტერ ვაისს ამ ერთ სცენაში ნაჩვენები აქვს სადის შემოქმედების მთელი არსი: იმ დროს, როდესაც საფრანგეთში მრავალწლიანი პოლიტიკური ტერორი, სამოქალაქო თუ იმპერიული ომები მძვინვარებდა, სადმა თავის რომანებში ყოველგვარ ზღუდეს მოკლებული და „აღვირახსნილი“ სექსუალობის დეტალური აღწერით ერთგვარი ჰიპერრეალობა შექმნა, რომელმაც ყოველდღე გილიოტინაზე მოკვეთილი თავების ნახვით ემოციებდაჩლუნგებული ადამიანების შეძრწუნება და მათთვის მგრძობელობის უნარის დაბრუნება შეძლო.

სექსუალური „მოდერნის“ ხანაში რელიგიური აკრძალვების ადგილი საზოგადოებრივმა მორალიზმმა და იურისპრუდენციამ დაიკავა, რელიგიებს სამეცნიერო დისკურსები ჩაენაცვლა, „ცოდვას“ – „პერვერსიები“ და „პათოლოგიები“. XIX საუკუნის არაერთი ცნობილი მწერალი და ხელოვანი აღმოჩნდა ახალი ზნეობრივი ინსტანციების შეტევისა და თავდასხმების სამიზნე. სამაგალითოდ გუსტავ ფლობერისა და ოსკარ უაილდის ნინალმდეგ მიმართული სასამართლო პროცესების გახ-

სენებაც შეიძლება. არაევეროპულ ქვეყნებში კი, მაგალითად რუსეთის იმპერიაში, სადაც საზოგადოებრივი განვითარების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპულ სტანდარტებს, 1917 წლამდე ისევ მძლავრობდა საეკლესიო ცენზურა, რომელსაც ძალა შესწევდა დოსტოევსკის რომანიდან „ეშმაკნი“ მთელი ერთი თავი ამოელო, ხოლო ტოლსტოი ანათემისთვის გადაეცა.

მაგრამ ასეთ კონფლიქტებზე მეტად მნიშვნელოვანი ის არის, რომ „მოდერნის“ ხანაში ხელოვანის, შემოქმედი ადამიანის და თავად შემოქმედების პარადიგმა იცვლება ან, უფრო სწორი იქნებოდა, ხელოვნების დაფარული არსი მუდავნდება: ლიტერატურა და ხელოვნება (რომლებიც ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა) გვევლინება როგორც შემდგარი, განხორციელებული სუბვერსია, მიმართული მორალური წარმოდგენებისა და პოლიტიკური წესრიგის ნინალმდეგ. ხელოვნების სუბვერსიულობა იმითაც გამოიხატება, რომ ის ადამიანების ნერვებზე მოქმედებს, წესებს და კონვენციებს არღვევს, მუდმივ კონფლიქტშია საზოგადოებასთან და მის ტრადიციულ ფასეულობებთან. ესაა ხელოვნების სუვერენულობის არსი, რომელიც ვერც ერთი ნორმატიული წესრიგის ფარგლებში ვერ თავსდება და, როგორც იური ლოტმანი ამბობს, „არა მხოლოდ აკრძალულს, არამედ შეუძლებელსაც შესაძლებელს ხდის“. ის, რაც ვერ ხერხდება რეალობაში, ხორცს ისხამს გამოთქმულ და გამოსახულ ფანტაზიებში. ხელოვნება იმდენადაა ხელოვნება, რამდენადაც იგი „აკრძალულ თემებს“ არ ცნობს, რამდენადაც მისთვის ზღუდები და თემატური იერარქიები არ არსებობს და ყველაზე ძლიერი იდეოლოგიური წნეხისა თუ ზოგჯერ ნიღბის ქვეშაც კი არსებული რეალობის შემარყვევებელი ბიძგებს წარმოქმნის. ყველა სხვა შემთხვევაში, ხელოვნება იდეოლოგიური ნაგვის რეპროდუქციის სამსახურშია. ხელოვნებაში არა მხოლოდ ცოცხლდება, არამედ ლეგიტიმური ხდება ის, რაც აკრძალული და ჩახშობილი იყო – ადამიანის სურვილები, რომლებიც რეპრესიის შედეგად „გაუკუღმართებული“, პერვერსიული სახით ამოტივტივდება შემოქმედი ადამიანის იმაგინარულ, ანუ წარმოსახვით სამყაროში. ეს ფაქტორი კი უკვე რადიკალურად ცვლის ხელოვანი ადამიანის, როგორც ხელოვნების სუბიექტის პარადიგმას: ის ღვთისგან ბოძებული ზეადამიანური უნარებით დაჯილდოებული ღმერთკაცი კი აღარაა, არამედ სიგიჟის ზღვარზე მყოფი, გარყვნილი და ამორალური ფანტაზიების პატრონი, რომელსაც სირცხვილის გრძნობა აქვს დაკარგული და საკუთარ უინტიმურეს დეტალებსაც კი საჯაროდ ყველას აცნობს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გავრცელდა აზრი, რომ გენიალურობა ფსიქოპათიის ნაირსახეობაა.

პოსტსტრუქტურალიზმის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი როლან ბარტის აზრით კი, „ყველა მწერალს შეუძლია თქვას: სიგიჟემდე ვერ ვქაჩავ, ჯანმრთელად ყოფნას ვერ ვკადრულობ, მაშასადამე ნევროტული ვარ“.

ისევე როგორც ნევროზების, ხელოვნების „ნეგატივებიც“ პერვერსიებია. XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მწერალი და თეორეტიკოსი ჟორჟ ბატაი თავის თეორიულ ნაშრომში, რომელსაც „ლიტერატურა და ბოროტება“ ეწოდება, ასე განსაზღვრავს ლიტერატურის არსს: „ლიტერატურა... ბოროტების მწვავედ გამოხატული ფორმაა, თავად ბოროტებაა... ეს დებულება არა მორალის არქონას, არამედ ზემორალს მოითხოვს“. ამგვარი „ზემორალი“ ყოფითი სამყაროს ზნეობრივ ნორმატივებზე გადაბიჯებას ნიშნავს. აქვე გასახსენებელია ლოტმანის აზრიც, რომ ყოველი ახალი, ნოვატორული მხატვრული ფორმა, „ტრადიციული აზრის მატარებელთა მხრიდან უკანონოდ და მათი გრძნობების შეურაცხმყოფლადაც კი ფასდება; ესაა შოკის მომგვრელი მეტაფორა, რომელიც შემოქმედებითი აქტის შედეგია“. ანუ შემდგარი შემოქმედებითი აქტი უკვე თავისდაუნებურად დამკვიდრებული ფორმებისა და ნორმების ნგრევას ან მათგან გამიჯვნას, მათ უარყოფასაც იწვევს. ამდენად, სრულიად ბუნებრი-

ვადია. ასეთი ადამიანები საკუთარ ფარულ ვნებებს გამიშვლებულსა და მხილებულს ხედავენ, როგორც დოსტოევსკის რომანის „დანაშაულისა და სასჯელის“ მთავარ პროტაგონისტს, როდონ რასკოლნიკოვს ქუჩაში ყურმოკრული ფრაზა „მკვლელო!“ მის პიროვნულ სამხილად ეჩვენება. ასევე ხელოვნების ნაწარმოების შინაარსითა თუ ფორმით აღშფოთებული ადამიანიც მას თავის პიროვნულ „ლუსტრაციად“ და შეურაცხყოფად იღებს.

როდესაც ხელოვნება თავის პერვერსიულობას კარგავს და საყოველთაოდ მისაღები და ხელმისაწვდომი ხდება, ბანალურ სტერეოტიპად გადაიქცევა, რომელიც პირვანდელ მნიშვნელობას იცვლის და თანდათანობით იდეოლოგიური ინსტრუმენტის ფუნქციასაც იძენს. როლან ბარტი ლიტერატურულ თხზულებას უსაქციელო პიროვნებას ადარებს, რომელიც „მამა-პოლიტიკას უკანალს აჩვენებს“. „მამა-პოლიტიკა“ აქ კონსერვატორული აზროვნების, იდეოლოგიური კულტურის სტატიკურობის სიმბოლოა, რომელიც „შვილებისგან“ მორჩილებასა და ქედმოხრილობას მოითხოვს და ნებისმიერი სასიცოცხლო ფორმის აქტიობის გამოვლინებას შეჩვენებითა და ჩახშობით ემუქრება. მხატვრული ნაწარმოებით ამგვარი ავტორიტეტებისა და ცენზორების მიმართ ის შიში და



ვია ისიც, რომ ტრადიციონალისტები მას საკუთარ ღირებულებებზე თავდასხმად აღქვამენ. ამის საპარისპიროდ, იდეოლოგიური ფსევდო-ხელოვნება სიცოცხლისგან დაცლილი და დიდი ხნის გახუნებული მკვდარი ფორმების კვლავნარმოებითაა დაკავებული, რომლებიც წმინდად პროპაგანდისტული შინაარსის გარდა, არანაირ ემოციურ მუხტს არ გადმოსცემენ. ესაა ფრიგიდული ხელოვნება ან ხელოვნების სუროგატი, რომელიც არა ცოცხალი ადამიანებისათვის, არამედ ზომბებისათვისაა განკუთვნილი, მათ კიდევ უფრო მეტად დასაკაბალეზლად და მათში სიცოცხლის იმპულსების კიდევ უფრო მეტად გასანეიტრალეზლად. ხელოვნება იმდენადაა დინამიკური და ცოცხალი, რამდენადაც მას ახალი ფორმების, მეტაფორების, გამოსახვის საშუალებების წარმოქმნა შეუძლია, რომლებიც თავდაპირველად პერვერსიად და უხამსობად აღიქმება და საზოგადოებაში დაძაბულობა შემოაქვს. განსაკუთრებით აღშფოთებულია საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებში საკუთარ თავს, საკუთარ ვერრეალიზებულ და ჩახშობილ გრძნობებს

მოწინება გადაილახება, რომელიც ადამიანის სასიცოცხლო ენერგიების დათრგუნვისკენაა მიმართული. თუკი ცივილიზაციის, წესრიგის სამყაროს არქეტიპი თავისუფლების ჩახშობაა, შემოქმედება ამ დაკარგული თავისუფლების უკან დაბრუნებისა და მისი განცდის, სულიერი ტრავმებისა და ტკივილებისგან განკურნების ერთადერთი საშუალებაა. ამდენად შემოქმედებას, რაოდენ ცინიკური და „ბოროტიც“, „გარყვნილებისა“ და „პერვერსიების“ გამომსახველიც უნდა იყოს იგი, თერაპიული ფუნქცია აქვს არა მხოლოდ ავტორისათვის, არამედ მისი მიმღები და გამგები აუდიტორიისთვისაც. აქვე გასაგებია ავტორიტარული იდეოლოგიური ორგანიზაციების, როგორცაა ეკლესია, ხელოვნებისადმი შიში და ზიზღი, რამდენადაც ხელოვნებას, ზოგჯერ შოკური, ზოგჯერ კი უფრო შეფარული და შენიღბული ფორმით ადამიანებში სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ ლტოლვის იმპულსების გამძაფრება შეუძლია. ეს კი ადამიანის ნებისა და სურვილების დამორგუნველ ინსტიტუციებს დასაყრდენსა და ძალაუფლებას აცლის.



ერთი საათი თბილისისთვის

<<< დასაწყისი გვ. 30

ნიკო ცეცხლაძე, პერფორმანსის მთავარი მონაწილე თბილისიდან, ჯგუფ „მეთე სართულის“ მხატვარი იყო – ჯგუფის, რომელმაც ქართული ტრანსავანგარდის პრეცედენტი შექმნა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ ჯგუფმა, ცოტა უფრო ადრინდელ აბსტრაქციონისტა ჯგუფთან ერთად, თანამედროვე ქართული ხელოვნების დასავლეთში ინტეგრირება დაიწყო. ეს ყოველთვის სხვადასხვანაირად ხორციელდებოდა. ამ გამოფენაზე არანაირი თავის ამატიკებელი „პროექტირება“ და ბრენშტორმინგი არ ყოფილა – ნიკო ცეცხლაძემ და პეტლიურამ გამოფენის გახსნაზე თეთრი „კომბინეზონები“ ჩაიცვეს, ძალზე მარტივად აიღეს საზღვრის, გაყოფის, ჩხუბისა და ძხვის იდეა და მოსკოვური და თბილისური არტის შეხვედრაც შედგა. ამიტომ ამბობდა ხშირად ხელოვნებათმცოდნე კარლო კაჭარავა, რომ ნიკო ცეცხლაძე მისთვის ამოუხსნელი არტისტული ფენომენია – შეუძლებელია დაადგინო, თუ მაინც რაშია მისი ესთეტიკური ძალა, და რასაც ის ქმნის, მისთვის ყოველთვის დამაინტრიგებელი მოულოდნელობაა.

ასეთი იყო ის ერთი საათი, როდესაც პეტლიურა და „სევერ“ თბილისელი მაცურებლის წინაშე წარდგნენ. პეტლიურა მერე კიდევ რამდენჯერმე ესტუმრა თბილისს, როდესაც აქ ავანგარდული მოდის ასამბლეა ეწყობოდა შესანიშნავი მოდელიორი არტისტის გელა კუპრაშვილის ინიციატივით, რომლის მრავალმხრივ საინტერესო საქმიანობასაც ჩვენ აუცილებლად გავიხსენებთ და პეტლიურასთანაც ისევ მოგვიწევს შეხვედრა. ალექსანდრ ლუგინი და კატია რიჟიკოვა კი თბილისში აღარ ჩამოსულან, მათთან შეხების ერთადერთი შესაძლებლობა კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩაკეტილ კართან დამონტაჟებულმა იმ ორმა მონიტორმა შეუქმნა ჩვენს მაცურებელს.

ეს მხოლოდ ერთი ისტორიაა, რაც პერესტროიკასთან არის დაკავშირებული; ეპოქასთან, როდესაც მოსკოვშიც და თბილისშიც აქტუალური გახდა ავანგარდული ხელოვნება. მიხაილ გორბაჩოვი სსრკ-ს ლიბერალური პრინციპების აღდგენისკენ მოუწოდებდა, და მოსკოვის მონინავე ხელოვნებაც კვლავ უბრუნდებოდა მემარცხენე, 20-იანი წლების ინტერესებს, რასაც ამჯერად უკვე არაფორმალურ ხელოვნებას უწოდებდნენ. ადრე აქ სხვა სახელები და სახელწო-

დებები იყო – მაიაკოვსკი, მეიერჰოლდი, ეიზენშტეინი, ვერტოვი, მალევიჩი, ხლეზნიკოვი – ვისგანაც მნიშვნელოვანილადა დავალებული, საერთოდ, მსოფლიო ავანგარდი. სსრკ-ს ადრეული, ანუ ლენინის პერიოდის დასრულების შემდეგ ასეთი მიმართულებები თანდათან აიკრძალა, ანდა ხელშეწყობა მოაკლდა. მისი ადგილი მთლიანად დაიკავა პროპაგანდისტულმა და პათეტიკურ-პატრიოტულმა თემატიკამ. ავანგარდისტული ხელოვნება ფორმალისტურად და დეკადენტურად გამოცხადდა და ამგვარად, საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა საკუთარ ავანგარდისტულ ტრადიციებზე. საქართველოში ასეთი არაფორმალური ხელოვნება საერთოდ გაქრა, მოსკოვში კი დროდადრო, უფრო ბრეჟნევის ხანაში ანდერგრაუნდში არსებობდა.

პერესტროიკის დროს ანტისაბჭოთა განწყობილებით ყველაზე მეტად სწორედ ნონკონფორმისტები და ავანგარდისტები გამოირჩეოდნენ. ძირითადი ცვლილებები სწორედ მათი გავლენით მომზადდა, რამაც დასავლეთის ღირებულებებთან დაკავშირების რეალური საშუალება გააჩინა. გამოჩნდნენ ისეთი მხატვრები და პოეტები, როგორიცაა – ილია კაბაკოვი, სერგეი ბუგაევი, ანდრეი ბარტენევი, ვსევოლოდ ნეკრასოვი, ლევ რუბინშტეინი, დიმიტრი პრიგოვი, გერმან ვინოგრადოვი და სხვები – არტისტები, რომლებიც არაფორმალურ ხელოვნებას ქმნიდნენ. მაშინ მათ გვერდით ჯერ კიდევ სუსტად ისმოდა პოლიტიკური და, მით უმეტეს, უბრალოდ დასავლური კომფორტის მოყვარული ლიბერალების ხმა, რომელთა მცირე ნაწილი დღეს მედიაში წამყვან როლს ასრულებს, ხოლო უმეტესობამ საერთოდ დაანება თავი ყველანაირ ბრძოლას. ნონკონფორმისტები კი კვლავ ანდერგრაუნდში დარჩნენ; იქ, სადაც სულ იყვნენ დანარჩენი მსოფლიოს მემარცხენე, ნეომარქსისტი და ფორმალისტი ხელოვნები, საიდანაც რეალურად დასავლეთის კულტურა იქმნებოდა.

ეს პროცესები საქართველოს ნონკონფორმისტებმაც გაიარეს. მაგრამ მაინც, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ცენზურა აღარ არსე-

ბობდა, საქართველოში ახალი, შიგნიდან წარმოქმნილი ბარიერი გაჩნდა ავანგარდისა და თანამედროვე ხელოვნებისთვის. ეს იყო კომერციულობის და პრესტიჟულობის გაფეტიშება. არაკომერციული აქ წარუმატებელთან და უიღბლოსთან გაიგივდა, რითაც, თავისთავად წინ წამოიწია თანამედროვე არტ კონტექსტებისთვის მიუღებელმა სალონურმა ღირებულებებმა. საქართველოში ბურჟუაზიული კულტურა ბოლომდე ვერ შემოვიდა და მდიდრული, თანამედროვე გალერეები ნაკლებად შეიქმნა. მოსკოვს, როგორც მეგაპოლისს, ასეთი პრეტენზიის მეტი შანსი ჰქონდა და ალბათ ამიტომაც, თავს ისეთი ფუფუნების უფლებაც მისცა, რომ საკუთარ კულტურაში წამყვან გენერატორად დაეტოვებინა არაფორმალური ხელოვნება.

მართლაც, დღეს კაბაკოვი მუზეუ-

მებშია, ბუგაევს, იგივე აფრიკას, ნიუ-იორკში ხშირად ნახავთ და ჩელსიშიც გამოიფინება, გერმან ვინოგრადოვი მოსკოვში, ისევ საკუთარ სამსართულიან ბინაში ატარებს გრანდიოზულ ალქიმიურ-შამანურ-მუსიკალურ პერფორმანსებს ყოველ კვირა დღეს, თუ ევროპულ ტურნეებზე არ არის წასული. ბარტენევი საბჭოთა ხელოვნების მაგნატთან, ზურაბ წერეთელთან ერთად აწყობს ერთობლივ სამხატვრო სეანსებს. ჟანა აგუზაროვა და სხვა რუსი არტისტები ამერიკიდან ისევ რუსეთს დაუბრუნდნენ. თბილისშიც, „მეთავე სართულთან“ დაკავშირებული არტისტები ყოველწლიურად ახალ სამუშაოს გვთავაზობენ. აწყობენ გამოფენებს და ისინი დღესაც პროგრესული ინტელექტუალური დიზაინის ბირთვს წარმოადგენენ. და მაინც, ამ ყველაფრის ინსტიტუციონალიზაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, და ის ჩვენ-

თვის ისევ გარეთ – დასავლეთშია. პეტლიურაც ისეთივეა, როგორც ადრე. ის მოსკოვის არაფორმალური ხელოვნების მთავარი „იკონაა“ არა იმიტომ, რომ ცნობილი ანარქისტის სახელი შემორჩა. მას პოლიტიკური ანარქია არ აინტერესებს. ის, ვინც მასთან მოხვდება და, ვისაც მისი სამყარო ეგზოტიკური ტანსაცმლის მოპოვების ადგილად, ან მოდელიორის კარიერისკენ მიმავალ უფასო ტრამპლინად არ მოეჩვენება, პეტლიურა ყველას კვლავ მშვენიერებასა და თავისუფლებაში გადარჩენის გზებს სთავაზობს. მისი ხელოვნება 1 მანეთი ღირს, მაგრამ არ იყიდება. ასეთივე შემოთავაზება ჰქონდა მას თბილისისთვის, როდესაც მოსკოვში ამბობდა, – დასავლეთისკენ კი არა, სამხრეთისკენ წავიდე, მეგობრებო, თან მატარებლით, იქ შესანიშნავი მხატვრები ცხოვრობენ, და ეს მშვენიერია.



დილტანტის მოგზაურობა პოლონეთში

<<< **დასაწყისი გვ. 38**

1972 წელს პოლონური კინოს მესვეურებმა რჩევისთვის სსრკ-ს კულტურის სამინისტროს მიმართეს. საქმე ანჯეი ჟულავსკის ექსპრესიულ, „ცოფიან“ ფილმს DIABEL-ს ეხებოდა: სიუჟეტი თითქოს მე-18 საუკუნის პოლონეთის ისტორიას უკავშირდებოდა, მაგრამ მათ რაღაც ეჭვები ღრღნიდათ და ფილმის გაქირავებაში

გაშვება ვერ გადაწყვიტათ. უფროსი ძმის გადაწყვეტილებით, ოსტბლოკის ქვეყნებში ეს ფილმი თხუთმეტი წლით აიკრძალა. ახლა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის არც დღევანდელ პოლონეთში მოენონებოდათ. მორიგ პოლონურ ამბოხში მონაწილეობისთვის დაპატიმრებული პატრიოტი, იაკუბი ციხეს თავს აღწევს და შინ ბრუნდება. პოლონეთის დაყოფა რუსეთ-პრუსია-ავსტრიას შორის

დასრულებულია. იაკუბს მშობლიურ ადგილებში დეგრადირების სრული სურათი ხვდება: შლიახტური ბუდე დანგრეულია, საცოლემ უახლოეს მეგობართან უღალატა, დედა სხეულით ვაჭრობს, მამას თავი მოუკლავს. პატრიოტულ წრეებში ლალატმა და პოლონეთის ბედისადმი გულგრილობამ დაისადგურა. იაკუბს ამის გაცნობიერება თანდათანობით, მოგზაურობის დროს უხდება, რომელშიც თან ორი პერსონაჟი ახლავს: შემლილი მონაზონი და ვინმე დიაბელი, პრუსიის ჯაშუში, რომელიც ცდილობს, იაკუბს თავისი ქვეყნის „ნამდვილი“ სახე აჩვენოს და ყველა იდეალი დაავინწყოს: დიაბელი სატანაა, რომელსაც პატრიოტის სულის ყიდვა აქვს ჩაფიქრებული და ამის გაკეთებას დედის, საცოლის, მეგობრების მიმართ შურისძიების სურვილის გაღვივებით ცდილობს. ყოველ ჯერზე, როცა მორალისტს შურისძიების სურვილი მართლაც უჩნდება, დიაბელის ოსტატობით, ხელში სამართებელი აღმოაჩნდება ხოლმე.

სინამდვილეში ფილმი 1968 წლის ცნობილ მოვლენებს ეხებოდა, როცა

სტუდენტური ამბოხება მიცკევიჩის პოემა „პაპების“ აკრძალვით დაიწყო, მაგრამ ხელისუფლების მიერ „შეგდებული“ ხაზის წყალობით, მალე ანტიემიტიზმის ნიშნები შეიძინა. მაშინ ამ ამბებმა შეიწირა მწერალი იასენიცა, რომელიც სტუდენტების თავდაპირველ მოთხოვნებს მხარს აქტიურად უჭერდა. იასენიცას ცილისწამების ტალღა დაატყდა და გულმა ველარ გაუძლო. ეს იყო „სწორი პოლონელების“ ხელში ჩადებული სამართების ნამდვილი მსხვერპლი. ყულავსკის, შეიძლება ქვეცნობიერადაც, რაღაც მეტის თქმა უნდოდა – მონესრიგებულობაში, სწორხაზოვნებასა და მინისტრიუმში დამალულ საფრთხეზე მითითება.

აჯანყებები და ქალები

„რა არის პოლონეთი ბოლოს და ბოლოს, – უთქვამს ერთ რუს დიპლომატს ვარშავაში, ბანკეტზე, – ბევრი კარტოფილი, ვაშლი და „სტრაიკები, სტრაიკები“... დიპლომატი მთვრალი იყო და მთავარი დაავიწყდა – პოლონელი ქალები. თანაც ბოლო ორი ელემენტი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. სადაც აჯანყებები იყო, იყვნენ პოლონელი ქალებიც, როგორც შთაგონების, სულისკვეთების წყარო. ნიკოლოზ I-ს უყვარდა პოლონელი ქალები, და თან, მგონი, ცოტა ეშინოდა კიდევ მათი, იმიტომ რომ პოლონეთში მომსახურე შეიღეს, მომავალ იმპერატორს წერილში აფრთხილებდა, – ფრთხილად იყავი მაგათთან, რაღაც მაგიური მომწესხველი ძალა აქვთო. ვფიქრობ, საქმე უფრო მარტივად იყო – ამ ქვეყნის სპეციფიკურმა ბედმა შექმნა განსაკუთრებული ქალი, ერის ინტელექტის, და კიდევ უფრო მეტად, სულისკვეთების მატარებელი.

1864 წელს, სისხლში ჩახშობილი აჯანყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ ნიკოლოზი ვარშავაში ჩავიდა. იქაურ ელიტას „ჟესტი“, თუ რაღაც ამის მსგავსი გაუკეთა, თან თვალსაც წყალს დააღვინებდა. მაგრამ იმპერატორი სწორედ მათ დაზაფრეს, ვისი წყალობის იმედიც ჰქონდა. პოლონეთის ყველაზე წარ-

ჩინებული, ყველაზე ლამაზი ქალები საზეიმო მეჯლისზე სრული სამგლოვიარო „ამუნიციით“ დახვდნენ, იმდენი თავშეკავებით, რის საშუალებასაც ეტიკეტი (მაინც მათი იმპერატორი იყო) იძლეოდა. ერთადერთი სამკაული, რაც იმ დღეს დარბაზში ეკეთათ, ფოლადის იყო: სიკვდილით დასჯილი პოლონელი ოფიცრების ოჯახებმა მათი იარაღი გადაადნეს და მათდამი პატივის მისაგებად ეს მოუხეშავი, უბრალო საპროტესტო სამკაული დაამზადებინეს. ვარშავის სახელმწიფო მუზეუმში ერთი დარბაზია, სადაც მხოლოდ ამ ქალების პორტრეტებია გამოფენილი. ამ სურათებზე ისინი სწორედ ისე გამოიყურებიან, როგორც ნიკოლოზ I-ს დახვდნენ.

პოლონური ტრადიციით, ქალი პასიურ, სიმყუდროვის შემქმნელ არსებად სულაც არ განიხილებოდა; პირიქით, ის ქმნიდა სტანდარტს, მაღალ სტანდარტს, რომელიც მამაკაცს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა, მყუდრო ცხოვრებას ურღვევდა, შეურიგებლობისკენ მოუწოდებდა. ეს სადღაც ოცი წლის ასაკში, ბულატ ოკუჯავას „დილეტანტების მოგზაურობის“ წაკითხვამ შემახსენა. რომანში მთელი პოლონეთი ამ ორ ქალში, არაორდინარულ დედა-შვილში იყრის თავს. ცნობილი ამბავია, ცოლები, მარტო რუს დეკაბრისტებს კი არა, მე-19 საუკუნის პოლონელ მემბოხეებსაც მიჰყვებოდნენ ციმიბირში, მაგრამ, თუ ჩემი შთაბეჭდილება სწორია, ეს ამბავი პოლონეთში ისეთი მითოლოგიზებული არაა, როგორც რუსეთში.

**„რატრადისიონალიზაცია“:
ტრადისიონაზ ბალახიჯებით**

ოთხმოციანი წლები პოლონეთშიც, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, საინტერესო და ცოცხალი პერიოდი იყო, თუმცა, იქ – ამას შემანახებელი სიღარიბეც ახლდა, რადგან აღმოსავლეთ ბლოკის კრიზისი პირველად ამ ქვეყანაში გამომჟღავნდა. უღარიბესი შლიახტის დევიზი – „შარვალს ვყიდ, ფრაკს ვიტოვებ“ – ცოცხალია, როგორც არასდროს. მაგრამ აი, ბლოკი დაშლილია და მასში შემავალ ქვეყნებს თავისუფალი განვითარე-

ბის საშუალება ეძლევათ. „პოსტკომუნისტებთან“ (იაროსლავ კაჩინსკის საყვარელი ტერმინია) ბრძოლაში, მაინცდამაინც მაშინ, როცა შარვლის გაყიდვის აუცილებლობა აღარ დგას – პოლონური ეკონომიკური რეფორმის მამის, ბალცეროვიჩის თქმით, ქვეყანას ასეთი ხელსაყრელი პერიოდი 300 წელია, აღარ ჰქონია – იბადება ახალი ფილისტერული ტენდენცია, რომლის გაჩენა თითქოს ბუნებრივია, მაგრამ გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს: რეტრადიციონალიზაცია. პოლონეთში ამ მიმართულებას რომის პაპის პოლონელობამ, მისმა განუზომელმა ავტორიტეტმაც შეუწყო ხელი. პოლონელების დიდი ნაწილისთვის ამ პერიოდში ყველაფერი გასაგებია; არსებობს იდეალი, რომელიც, თუ მემარცხენული ძალების კრიტიკას არ ჩავთვლით, უნაკლოა, სრულყოფილებაა. ეს ტენდენცია დულურად იყო დაკავშირებული ძველ, პოლონურ ტრადიციასთან: იმეორებდა, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თანაც უარყოფდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, და, რა თქმა უნდა, ქალის მიმართ დამოკიდებულებაზეც იქონია გავლენა.

პოლონური ფემინიზმი სათავეს მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში იღებს, და დღევანდლამდე, ასე ითვლება, შვიდ ტალღად აღწევს. ბუნებრივია, ორი დიდი, 1831 და 1863-64 წლების ამბოხება ქალების როლის გააქტიურებას ინვევს. ფემინიზმის მეორე ტალღა სწორედ ამ პერიოდზე მოდის. ორმოციანი წლებში ქვეყანაში ძლიერია ჟორჟ სანდის და „ლა გაზეტ დე ფამ“-ის გავლენა; იქმნება ქალების დაჯგუფება „ენტუზიასტიკი“; პირველი ფილოსოფოსი ქალი ელენორა ზიმიენცკა წერს „მოსაზრებებს ქალთა აღზრდის შესახებ“, რომელიც ქალში ჯერ ადამიანის, პიროვნების აღზრდის აუცილებლობას ადასტურებს, შემდეგ კი – ქალური სანყისის. მაგრამ მგონი, არც ერთ ტალღას არ შეხვედრია ისეთი წინააღმდეგობა, როგორც უკანასკნელს, რომლის წარმომადგენლებს კათოლიკური ეკლესიის მზარდი გავლენის პირობებში მოუწიათ ცხოვრება. 1993 წელს ქვეყანაში ოფიცია-

ლურად აიკრძალა აბორტები, რამდენიმე წლის შემდეგ კი – სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები სკოლებში. შეჩერდა კონტრაცეფციასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამები. თუ ეს ხდებოდა კვაშნევსკის პრეზიდენტობის პერიოდში, რომელიც კათოლიკური პლატფორმით არ მოსულა, „კანონის და სამართლიანობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტენდენცია მხოლოდ გაძლიერდა. მორწმუნე პოლონური ოჯახების დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ სამი კ-ს ბიურგერული კომბინაცია ქალისთვის სრულიად საკმარისია.

სამოციანი-ოთხმოციანი წლების პოლონეთი რუს მწერალს ვიქტორ ეროფეევს ასე წარმოედგინა: „ეს იყო ახალგაზრდა, აღტყინებული, გადარეული და აღვირახსნილი პოლონეთი, რომელსაც მის დაუძინებელ მტერთან, საბჭოთა კავშირთან ყველაფერი ბრწყინვალედ გასდიოდა. მის ფონზე, პოლონეთი თვალისმომჭრელ, ლამაზ ქალად ჩანდა, რომელიც მოკლე კაბას ატარებდა, როკ-ნ-როლს ცეკვავდა, უძილო ღამეების შემდეგ კოსჩიოლში ლოცულობდა... ჩვენ ყველამ გამოვიარეთ ასეთი პოლონეთით აღფრთოვანების პერიოდი“. მაგრამ ის პოლონეთი აღარ არის. ახლა მას საკუთარ თავთან უწევს ბრძოლა. „პარადოქსული რამ მოხდა – სოვიეტების კრახის შემდეგ პოლონეთს რაღაც სხვა „საბჭოურობა“ დაემართა. გლეხური სიჯიუტე. ეკლესიისადმი უსაზღვრო ნდობა, თითქმის ისეთი, როგორც საბჭოეთში – პარტიის მიმართ, პოლიტიკური ნიშნული გახდა. ქვეყნის ბედს ირონიულდომილიანი კვერთხისთავები წყვეტენ, რომლებსაც ნაციონალიზმის, ანტიემიტიზმის და პროვინციული მესიანობის წყლულები ანუხებთ. პოლონელი ინტელიგენცია, რომელიც ამ სკანდალურ ამბავს შეუიარაღებელი თვალით ხედავს, დაბერებულ, უსუსურ ქალს დაემსგავსა, რადგან თავისუფლების წლებში მისი როლი საბაზრო ეკონომიკის კანონებს დაუმორჩილეს“.

ლეს კაჩინსკი, პოლონეთის დაღუპული პრეზიდენტი, ძველი, რუსეთთან მძაფრად დაპირისპირებული, კა-

თოლიკური პოლონეთის შვილი იყო, ფასეულობების შესაბამისი პაკეტი. საერთოდ, აშკარაა, რომ ტრადიციული ქართულ-პოლონური სოლიდარობა სწორედ ამ პაკეტს ეფუძნება. ახალგაზრდა, განსხვავებული პოლონეთი ნაკლებადაა ცნობილი. მასთან ურთიერთობას საფუძვლად ისევ ძველი ტრადიცია უდევს, მაგრამ შეიძლება მალე ეს საკმარისი აღარ იყოს.

პოლონეთი ყველასია

როცა კაჩინსკის ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს, თუ რას ფიქრობს პოლონეთის კათოლიციზირებაზე (უცნაურად დასმული კითხვაა, მაგრამ აზრი, მგონი, გასაგებია), მან უპასუხა, – „ეს ქვეყნის დექრისტიანიზებას გამოიწვევდა, მე კი ეს არ მინდა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მორწმუნე ვარ, არამედ იმის გამოც, რომ სხვა, ყველასათვის მისაღები არჩევანი არ გვაქვს. ხშირად მიხდება ერთ მაგიდასთან ისეთ ადამიანებთან ჯდომა, ვისი აზრებიც ჩემსას არ ემთხვევა, და მათ მიმართ სიმპათიითაც კი ვარ განწყობილი“. თუმცა, როცა მისი მეგობრის პერიოდში გეი ორგანიზაციებმა ალღუმის ჩატარების მოთხოვნით მიმართეს, კაჩინსკიმ მათ განუცხადა, რომ პატივს სცემს მათ მოქალაქეობრივ უფლებებს, მაგრამ არა – მათი, როგორც გეების, უფლებას.

პოლონეთს ჰქონდა შანსი, განსხვავებულთა შორის ისეთი თანაარსებობისთვის მიეღწია, როგორცეც წიგნის „დაუმორჩილებელთა გენეოლოგიის“ ავტორი წერდა: „იქნებ ამ განსჯამ იმათ არგოს, ვინც მორწმუნეებს და ურწმუნოებს შორის არსებულ ზღვარს ბარიკადებად აღიქვამს... ეკლესიის გარე ეთიკური ტრადიციების მიმდევრებმა უკუაგდონ მითი ანტიჰუმანიტური ქრისტიანობის შესახებ და სახარებას მიმართონ... ქრისტიანმა კი გააცნობიეროს, რომ ეკლესიის გარეთ მყოფი მისი თანამომე ეთიკურ ვაკუუმში არ ცხოვრობს, არამედ მასავით – და მასავით მოუქნელად – ცდილობს საკუთარი ზნეობრივი კოდექსის ხორცშესხმას. ამ კოდექსში ასახულია თავდაპირვე-

ლი სიკეთე და სამარდისო ჭეშმარიტება, რომელსაც ყველა ჩვენგანი ასე ეძიებს და ასე ხშირად ღალატობს“.

არსებობს კიდევ ერთი პოლონური იდეალი, რომელიც იაგელონური (დიდი, ჭრელი – რაც გნებავთ, ის დავარქვათ – როცა სიტყვა პოლონელისათვის დამახასიათებელ შემწყნარებლობაზე ჩამოვარდება, საბუთად იაგელონური ხანა მოაქვთ ხოლმე) პოლონეთის საფუძველში დევს. როცა პოლონეთის და ლიტვის სამეფოები დინასტიური ქორწინებით ერთიანდებოდა, 1413 წელს ამ მოვლენის დამდასტურებელ გოროდლოს უნიაში ჩაიწერა: „მხოლოდ სიყვარული არაა ამაოება: სიყვარული სხივოსანია, წყენას აშუშებს, მშვიდობას ამკვიდრებს, დაყოფილთ აერთიანებს, დაცემულთ ფეხზე წამოაყენებს...სიყვარული ქმნის კანონებს, სამეფოებს მართავს, ქალაქებს საფუძველს უყრის... ამის გამოა, რომ ჩვენ, აქ ერთად თავმოყრილები, სიყვარულის ფარქვეშ თავის მოდრეკის მსურველები და მისადმი წმინდა გრძნობით აღვსილები ამ ქალღმერთ ვადასტურებთ, რომ ჩვენი სახლების და ოჯახების შეერთება და შეკვრა გვსურს“. ერთიანობაზე საუბარი ლეგენდარული „სოლიდაროსჩის“ წლებთან გვაბრუნებს, როცა იდეოლოგიურად დაპირისპირებული ადამიანები ბრძოლის სტრატეგიას ერთად ირჩევდნენ, რამაც მუშების და ინტელიგენციის „გაუგონარი, შესაშური ფენომენი“ შექმნა. ამის გამო, გდანსკის გემთმშენებელი ქარხნის მუშებთან სოლიდარული ძალებიც ერთიანდებოდნენ: ნორვეგიაში მაოისტები კონსერვატორებთან ერთად გამოხატავდნენ პროტესტს პოლონეთის მოვლენების თაობაზე, საფრანგეთში – ტროცკისტები და ქრისტიანული პროფკავშირები, ინგლისში – მემარცხენეები და კონსერვატორი ინტელექტუალები. ინდოეთში გდანსკის ამბებიდან ორი წლის შემდეგაც კი სახლების ფასადებზე დიდი ასოებით ეწერა: „იმპერიალისტური საბჭოეთო: ხელები შორს პოლონეთისაგან!“ „როგორც წესი, მხარდაჭერას ერთ რომელიმე მოვლენას ან მემარჯვენეები უცხადებენ, ან მემარცხენეები, მაგრამ „სოლიდაროსჩმა“ ამის

ბაბრქილება

გადალახვა მოახერხა. „რატომ ვუჭერდი მხარს სოლიდარობას? იმიტომ რომ მიყვარს იმის კეთება, რაც საკუთარ თავზე მაღლა მაყენებს“, – წერდა წლების შემდეგ ერთ-ერთი ნორვეგიელი აქტივისტი.

...

ამ დღეებში რენე ჰარლინის ფილმის ნაწყვეტი ვნახე – კადრები, როცა ოთხი პრეზიდენტი პარლამენტის შენობასთან შეკრებილი მწარედ დამარცხებული ქართველი ხალხის წინაშე გამოდის; ხალხის, რომელსაც ჰგონია,

რომ გაიმარჯვება. მერე პრეზიდენტები ერთმანეთს ხელებს სჭიდებენ და მაღლა სწევენ. ერთ-ერთი ლეხ კაჩინსკია, იმ დღეების სოლიდარობის განსახიერება. უკანასკნელ წუთს ყველაფერი თვალწინ დამიდგა. ეს სცენა; პოლონელების მიერ სულ ცოტა ხნის წინ განცდილი ელდა და ნალველი; კაჩინსკის ფოტო, რომელიც იმ დღეებში ნანახ ათას სხვა სურათს შორის მესხიერებაში ჩამჩრა, და რომელზეც კაჩინსკი პოლონური დროშის წინაშე მუხლებზე დგას. სურათი ღამითაა გადაღებული, რაც ატმოსფეროს ინ-

ტიმურობას ჰმატებს. სურათზე სხვა არავინ ჩანს, მარტო პრეზიდენტი და დროშა – პოლონეთი, რომელსაც ეს ადამიანი პატიოსნად, თუმცა საკუთარი მრწამსიდან გადაუხვევლად ემსახურებოდა. ვინც მის მეგობრად მიაჩნდა, გვერდით ერთგულად ედგა. არის ამ ფოტოზე მის პოზაში რაღაც ბავშვური სულის მოძრაობა, მგზნებარე, რომანტიკული ჟესტი, რაღაც სპეციფიკურად პოლონური. ბევრ რამეზე შეიძლება დაფიქრება, მაგრამ ვერ მოვასწარი – გული მეტკინა, თითქმის ისე, როგორც ნელს, აპრილში.



„მკვდარი კლასის“ ჩანაწერები

<<< ლასანისი გვ. 44

აბსტრაქტული ხელოვნების გეომეტრიული ელემენტები: კვადრატის, სამკუთხედის, წრის, კუბის, სფეროს, წრფის, წერტილის თეატრის სივრცითი გადანწყვეტისა და დრამის დაძაბულობის შექმნაში მონაწილეობს. ისინი, შესაძლოა, ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ კატეგორიაში გადავიყვანოთ. ყველა მათგანს საკუთარი არსი, მიზანი და შეუქცევადობა ახასიათებს.

წრფე – უსასრულობაა, წრე – განმეორება, წერტილი – მარტოობა. მათი პერიპეტიიდან, კონფლიქტებიდან და კატასტროფებიდან, შესაძლოა, ისეთივე დრამატული ზემოქმედების შექმნა, როგორც ანტიკურ ტრაგედიაშია.

მიუხედავად დიდი ისტორიული გამოცდილებისა, თეატრი მიჯაჭვულია საკუთარ სოციალურ და პოლიტიკურ გამოცდილებაზე და არ შეუძლია მისგან განთავისუფლება. ჩემი გან-

საზღვრება შეიძლება მკრეხელობად მოგეჩვენოთ, მაგრამ მგონია, რომ აბსტრაქციონიზმი საგნის და ადამიანის უარყოფაა, ან არარსებობა. და სწორედ ეს უარყოფა მგონია ძალიან მნიშვნელოვანი სცენაზე ადამიანის ბუნების ხელახლა აღმოჩენისათვის.

თითქოს ათასჯერ ხილულის უხილავ ზღურბლზე გადავაბიჯეთ... თითქოს ადამიანის სხეული ფიგურად გადაიქცა. მაგალითად, წარმოიდგინეთ შიშველი კაცი, რომელსაც სკამი შემოაქვს სცენაზე და უბრალოდ ჯდება. ადამიანი და სკამი, ამ შემთხვევაში, თანაბარ მნიშვნელობას ატარებენ – ორივე უტყვი და შიშველია, ანუ ორივე აბსტრაქტული ფიგურაა.

საგნებისა და ადამიანების გათანაბრება გადასახლებიდან დაბრუნებულის აღმოჩენას ჰგავს. რეალიზმის ადეპტებს ადამიანი მხოლოდ გარკვეულ იმპულსურ, სოციალურ, კომუნიკაციურ თუ რაიმე სხვა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში წარმოუდგენიათ სამყაროსთან, მაშინ როცა ცალკე ადამიანი სცენაზე გარკვეული დროისა და მოვლენის ნიშანია; უბრალოდ დაკარგული ფიგურა, რომელიც სცენური სივრცისათვის ნეიტრალურია, უსიცოცხლოა, მკვდარია.

აბსტრაქტული ფიგურა პირველად მარსელ დიუშანმა შექმნა, ეს ჯერ კიდევ შორეულ 1916 წელს მოხდა და

მხოლოდ ამ მოვლენიდან დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა აბსტრაქცია თეატრში.

1944 წელი, კრაკოვი. თეატრი ნანგრევებად იქცა. აბსტრაქტული ხელოვნება პოლონეთში მხოლოდ ომამდე არსებობდა. ებრაელთა გენოციდის შემდეგ იგი გაქრა. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში აბსტრაქტული ხელოვნების იდეა კვდება, რადგან ის სისასტიკის მსხვერპლია. ომის შემდგომი რეალობა ბევრად უფრო საშინელია, ხოლო ხელოვნების იდეალიზაციის მცდელობა უმწეო და უსუსური.

ადამიანის სიმხეცემ გამოიციხა ხელოვნება და, რაც პირველად მოხვდა ხელში, სწორედ ის აქცია ხელოვნების იარაღად. ამიტომ ცოდვა, შურისძიება თუ დანაშაული მორალის კატეგორიიდან ხელოვნებაში გადავიდა და თავად შექმნა ახალი, სოციალური ენა; მით უმეტეს, აგრესიული საშუალებებით აღბეჭდილ დროში. ადამიანი სინამდვილეში ცარიელი და უფუნქციო გახდა, როგორც ოთხთვალს დამატებული მეხუთე ბორბალი. ან ყოვლად უსარგებლო, ბრწყვიალა ნივთი ომის დროს, როცა ყველას პური ენატრება.

„ოდისევსის დაბრუნებაში“ პენელოპე მუდმივად სამზარეულოშია, სკამზე ზის. მისთვის პრინციპულია სწორედ „ადგილზე ჯდომა“, ანუ ეს ქმედება მისი უპირველესი ადამიანური მოვალეობაა. ამდენად პენელოპეს სკამმა სცენური დეკორაციის მნიშვნელობა დაკარგა და სხვა დატვირთვა შეიძინა. იგი მსახიობის მეტოქე გახდა. მაგრამ უკვე თეატრისა და რეჟისორის ამოცანაა, როგორ გადანყვიტოს ადამიანებისა და საგნების კონფლიქტი.

ფერფლი და ალმასი

მეოცე საუკუნის პოლონური თეატრალური რეჟისურა პირობითად ორ მიმართულებად იყოფა. პირველი – რეჟისორები, რომელთა ინტერესი მიმართულია ადამიანის შინაგანი სამყაროსკენ. ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ რელიგიური პრობლემებისადმი, ანუ „ინტროსპექტიული რეჟისურა“ (ანჯეი ვაიდა, ეუი გროტო-

ვსკი, კონრად შვინარსკი) და მეორე – რეჟისორები, რომელთაც უფრო გარე სამყარო და ფორმა აინტერესებთ.

კრიტიკოსები ამ უკანასკნელთ „პერმანენტულ ავანგარდისტებს“ უწოდებენ (ადამ ხანუშკევიჩი, თადეუშ კანტორი, იოზეფ შაინა), რომელთა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე მხატვრობასა და პერფორმანსის განვითარებაზე. გასაგებია, რომ ნებისმიერი დაყოფა პირობითია, მაგრამ „ავანგარდისტებში“ კანტორის როლს და მნიშვნელობას მისი ყველაზე დიდი კრიტიკოსებიც კი ვერ უარყოფენ. ალბათ იმიტომ, რომ მის შემოქმედებაში გამოკვეთილად იგრძნობა პიესის ტექსტისა და სცენური მოქმედების განცალკევებისა და საგნების ქმედებად გარდასახვის განსაცვიფრებელი უნარი და ხარისხი.

კანტორმა შეძლო, რომ მსახიობი ხან ილუსტრატორად, ხან საგნად და ხანაც „მოთამაშე“ მანეკენად ექცია, მაგრამ ისე, რომ მისთვის პროფესიონალური შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. მისი თეატრალური აზროვნება და სპექტაკლის ფორმა უარყოფს აქტიორის გარდასახვას, ნიჭს. ასე ვთქვათ, „თამაშის ხელოვნებას“. კანტორმა თეატრს საგანგებოდ გამოაცალა სტანისლავსკისთვის აუცილებელი იარაღი – გარდასახვა. მსახიობის პიროვნულმა ნეიტრალიზაციამ კი პოლონელი რეჟისორი თეატრალური ენის რევილუციურ ცვლილებამდე მიიყვანა. სწორედ ამიტომ უწოდებდა სხვადასხვა ეტაპზე საკუთარ თეატრს ხან „ნულოვან თეატრს“, ხან „საგნისა და ადამიანის“ თეატრს, ვიდრე შემოქმედების ბოლოს არ მივიდა „მკვდარ თეატრამდე“. ხოლო ამ რთულ წერტილამდე მისაღწევად მას „მკვდარი კლასის“ გაკვეთილი დასჭირდა.

შეგნებულად მოვიტოვეთ ფინანსისთვის კანტორის ყველაზე დიდი სპექტაკლები და მისი შემოქმედების უმნიშვნელოვანი პერიოდი, 70-80-იანი წლები. კანტორი თხზავს წარმოდგენებს უცნაურ პერსონაჟებზე; ადამიანებზე, რომლებიც დიდი ხნის წინ გარდაიცვალნენ, მაგრამ რეჟი-

სორის ფანტაზიამ ისინი მკრთალად განათებულ სცენაზე ცოცხლად დააბრუნა. ეს ციკლი ხუთ სპექტაკლს მოიცავს: „მკვდარი კლასი“ (1975), „ველოპოლე, ველოპოლე“ (1980), „დაე, გაიქცნენ მსახიობები“ (1985), „მე აქ არასდროს დავბრუნდები“ (1988), „დღეს ჩემი დაბადების დღეა“ (1990). ამ უკანასკნელი სპექტაკლის დადგმა რეჟისორმა ვერ შეძლო. იგი ავადმყოფობდა და რეპეტიციების დროს გარდაიცვალა.

ყველა ამ სპექტაკლს ერთი თემა – სიკვდილი აერთიანებს და, შესაბამისად, ეს ცვლის დამოკიდებულებას მაყურებლის მხრიდან. თუმცა რეჟისორისთვის ეს „პერსონალური აღსარება“ (მისი სიტყვებით რომ ვთქვათ), რომელსაც შვირად მის მიმართ პერსონაჟები ვერ „იმეტებენ“. ისინი განუწყვეტლივ სადღაც გარბიან, სადღაც ეჩქარებთ... და საბოლოოდ ერთ მოცუცქნულ საკლასო ოთახში ამოყოფენ თავს, სადაც გრძელ, ნაცრისფერ მერხებზე ჩამწკრივდებიან. საკუთარ მანეკენებთან ერთად სიკვდილის შესაგებებლად თუ გასაბრაზებლად ვალსის რიტმს დაელოდებიან. სწორედ ეს არის „მკვდარი კლასის“ მთავარი თემა – მოსალოდნელ სიკვდილთან შეხვედრა. ოღონდ რეჟისორი გვაფრთხილებს, რომ პერსონაჟებმა საკუთარი ბედისწერა უკვე იციან... ალბათ, როგორც 10 აპრილს, 15 წუთით ადრე, „ტუ-135“-ის ჩამოვარდნამდე. და ამ დროს ძველი პოლონური გამოთქმები, შემთხვევითი ბიბლიური ფრაზები, უსისტემო ლათინიზმები, ტანგოს ფრაგმენტები, სამხედრო მარშები და სასაცილო საბავშვო ლექსები – ყველაფერი ის, რაც ჟღერს სპექტაკლში, განსაცვიფრებელ და წინასწარმეტყველურ დატვირთვას იძენს!

ამიტომაც პან თადეუშ კანტორს დაგვიანებით ვუხდით მაღლობას იმ შემზარავი სიმართლისათვის, რასთანაც მისი „სიკვდილის თეატრი“ გვაახლოებს. ხოლო როცა თეატრს ასეთი კულტურა აქვს, ასეთი თვითრეფლექსიის და ტრაგიკული ირონიის უნარი, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ყველაფერს გაუძლებს და იცოცხლებს.

ეს ნიშნავს *Jeszcze Polska nie zginela!*



ქალიან სახიფათო ფრაუ მაინჰოფი

<<< დასაწყისი გვ. 50

საგანგებო ბატალიონ „ნახთიგა-ლის“ (ძალიან რომანტიკული სახელია, „ბულბულს“ ნიშნავს – ა.კ.ს.) მეთაური, რომელმაც უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობა ამოუღიჯა, მინისტრი გახლდათ, ჰიტლერის ანტისემიტური პროპაგანდის დოქტრინის ერთ-ერთი ავტორი ფედერალური კანცლერი იყო, ხოლო სამხედრო დამნაშავე და მთლად ოტო სკორცენის დიდი მეგობარი ბუნდესტაგის თავმჯდომარე ბრძანდებოდა.

მემარცხენეებმა 364 ათასი დოსიე შეადგინეს და აღმოაჩინეს, რომ ამ დამნაშავეების, მესამე რაიხის ნაცისტების ბრალის დამტკიცება უადვილესი საქმე იყო, მაგრამ ისინი ციხის ნაცვლად მთავრობის კაბინეტებში ისხდნენ. მემარცხენეები დაინტერესდნენ – რატომ? მემარცხენეები ეცადნენ, მათ ხელთ არსებული მასალა მთავრობისთვის გადაეცათ, მაგრამ მათ ყური არავინ ათხოვა. RAF მიხვდა, რომ გერმანიაში ფაშიზმთან ბრძოლა სხვაგვარად უნდა წარემართა.

და აი, ულრიკე მაინჰოფმა ქალაქის პარტიზანული ომის სტრატეგიის შემუშავება დაიწყო. იარაღისთვის, აგიტაციისთვის და არსებობისთვის ფული იყო საჭირო, და RAF ბანკების ძარცვას შეუდგა, თან დიდი წარმატებით: ერთ დღეს ზედიზედ სამი ბანკის გატანა შეძლეს. გერმანიის კრიმინალურ პოლიციაში საგანგებო განყოფილება შეიქმნა, რომელიც მხოლოდ RAF-ს დასდე-

ვდა, კარგა ხანს – ამაოდ.

1971 წელს RAF-ელები უშუალოდ ტერორზე გადავიდნენ. ქუჩაში პოლიციელებს ესროდნენ, სახელმწიფო უწყებების შენობები ფეთქდებოდა, ხოლო მას მერე, რაც ულრიკე მაინჰოფმა RAF-ის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ აშშ-ს არმია დასახელა, დასავლეთ გერმანიაში ამერიკული ყაზარმებიც აბრიალდა. ამბობენ, რომ მემარცხენეებთან გააფთრებით მეზობლი საგაზეთო კონცერნის, „შპრინგერის“ შენობას ბომბი თავად ულრიკემ დაუდო. ასე ამბობენ, კაცმა არ იცის.

ის კი ვიცით, რომ ულრიკე წერდა. ის წერდა ნათელი მომავლის სახელით და მათ ძე-დუნის ციტატების გამოყენებით:

„როცა მტერი გვებრძვის, ეს კარგია და არა ცუდი.

მე ვთვლი, რომ ჩვენთვის – თითოეულისთვის, პარტიისთვის, არმიისთვის თუ სკოლისთვის – ცუდია, როცა მტერი ჩვენ წინააღმდეგ არ ილაშქრებს, რადგან ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ჩვენ და მტერი ერთად ვართ. როცა გვიტყვენ, კარგია, რადგან ეს იმის დასტურია, რომ ჩვენ ჩვენს მტერს მკვეთრად გავემიჯნეთ. თუ მტერი ენერგიულად გვიტყვის, ჩვენზე ყველაზე ცუდ რამეს ჰყვება და ყველაფერს გვიწუნებს, ეს ყველაზე კარგია, რადგან იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ჩვენს მტერს არა მარტო გავემიჯნეთ, არამედ ჩვენმა მუშაობამ ბრწყინვალე შედეგიც გამოიღო“.

შედეგი სახეზეა: RAF გერმანიას შიშის ზარს სცემდა. RAF იყო ყველგან, RAF აკეთებდა ყველაფერს, რასაც იქაინებოდა – და 1972 წლის მაისში განაცხადა, რომ ნახევარ შტუტგარტს ააფეთქებს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ანტიტერორისტულმა ქვედანაყოფებმა წითელარმიელთა ხელმძღვანელების გადაცემისთვის ჯილდო გამოაცხადა: ათი ათასი დოიჩმარკა. საქმეში 150 ათასი აგენტი ჩაება.

ანდრეას ბაადერს და ჰოლგერ მაინსს პოლიცია ჩაუსაფრდა. ისინი დააკავეს. გუდრუნ ენსლინი შემთხვევით ჩავარდა, როცა ტანსაცმლის მალაზიიდან გამოდიოდა. ულრიკე მაინჰოფი ერთმა მემარცხენემ დაასმინა, კაცმა, რომლის ბინასაც ქირაობდა.

1975 წლის 21 მაისს სასამართლო დაიწყო. მსჯავრდებულთა სკამზე ისხდნენ მაინჰოფი, ბაადერი, ენსლინი და წითელარმიელთა კიდევ რამდენიმე ხელმძღვანელი. ჰოლგერ მაინსი მანამდე ციხეში მოკვდა – შიმშილობა გამოაცხადა, ყოველ შემთხვევაში, მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსია ეს იყო.

მათ ბრალად ედებოდათ 5 მკვლელობა, 55 თავდასხმა და მრავალი სხვა საშინელება – ცეცხლის გაჩენა, გატაცებები. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ RAF-ის გამო, 39 ადამიანი მოკვდა და 75 აფეთქებების დროს დაშავდა. პროცესს მთელი გერმანია გაფაციცებით ადევნებდა თვალს.

დიდი სასამართლო დაიწყო, წითელი არმიის ფრაქციის ლიდერები საკნებში ისხდნენ – და უცებ ტერორი კვლავ განახლდა. სარბიელზე RAF-ის მეორე თაობა გამოვიდა.

ახალმა წითელარმიელებმა გაიტაცეს დასავლეთ გერმანიის მენარმეთა კავშირის თავმჯდომარე, მილიონერი ჰანს-მარტინ შლაიერი, რომელიც ესესელი იყო, ომის დროს ჩეხეთის ძარცვას ედგა სათავეში და ბანაკებში სამხედრო ტყვეების განადგურებას ხელმძღვანელობდა. მის სანაცვლოდ ტერორისტებმა RAF-ის ლიდერების გათავისუფლება მოითხოვეს – ცხადია, ამაოდ. შემდეგ „ლუფტჰანზას“ თვითმფრინავი გაიტაცეს, იმავე მოთხოვნით – კვლავ ამაოდ.

უცებ აღმოჩნდა, რომ RAF-ს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს. უცებ გაირკვა,

რომ ფაშისტური მემკვიდრეობა უამრავ ადამიანს ამოსვლოდა ყელში. ამას წერდა გიუნტერ ვალრაფი. ამას წერდა ჰაინრიხ ბილი. 1978 წლის ოქტომბერში ბრემენში უფროსკლასელთა 40-ათასიანი დემონსტრაცია სკანდირებდა: „ლAჭ მართალია, თქვენ ფაშისტები ხართ“.

და ამ დროს გაირკვა, რომ განაჩენის მოლოდინში საკნებში მსხდომმა ნითელი არმიის ფრაქციის მეთაურებმა თავი მოიკლეს. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოდ:

შტამჰაიმის ციხეში პატიმრები „მკვდარი დერეფნების“ სისტემაში ისხდნენ, ანუ თითო დერეფანში – თითო პატიმარი თითო საკანში. ყოველ ორ კვირაში ერთხელ საკნებს ცვლიდნენ. ეს ციხე ბეტონითაა ნაგები, ხაზგასმით წერენ: „განსაკუთრებით მტკიცე ბეტონით“. პატიმრებს კი, ნუ იტყვი, კედლებში სამალავები გაუთხრიათ და შიგ საოცარი ნივთები დაუმალავთ – იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებების მარაგი, რადიომიმღებები. ეს ისე, სხვათა შორის ითქვა. მთავარია, რომ ცაცია ბაადერმა მარჯვენა ხელით საკუთარ კეფაში ისროლა. გუდრუნ ენსლინმა ჭერზე, კაუჭზე ჩამოიხრჩო თავი, ოღონდ იქ როგორ აძვრა და ელექტროგაყვანილობის მავთული საიდან მოიტანა – გაუგებარია. სრულიად ცარიელ საკანში ჩამოიხრჩო თავი ულრიკე მაინჰოფმაც.

ასე ამბობენ.

ულრიკე მაინჰოფის წერილი მკვდარი დერეფნიდან, 16.6.72-დან 9.2.73-მდე:

შეგრძნება, რომ თავი ფეთქდება (შეგრძნება, რომ თავის ქალა უნდა გასკდეს);

შეგრძნება, რომ ზურგის ტვინს თავის ტვინში ტვინიან;

შეგრძნება, რომ ტვინი თანდათან იჭმუჭნება, შემწვარი ხილივით;

შეგრძნება, რომ გამუდმებით და შეუმჩნეველად ძაბვის ქვეშ ხარ, გაირიყე;

შეგრძნება, რომ ასოციაციები ჩამოგაჩეხეს;

შეგრძნება, რომ სულს გამოაფსამ, წყლებს ღვრი;

შეგრძნება, რომ საკანი მიდის. იღვი-

ძებ, თვალს ახელ: საკანი მიდის, ნაშუადღევს, როცა მზე ადგება, ჩერდება. ვერ ხვდები, სიცხისგან კანკალებ თუ სიცივისგან,

ვერ ხვდები, რატომ კანკალებ, იყინები;

ჩვეულებრივ ხმაზე სალაპარაკოდ ისე იძაბები, როგორც ხმამალა თქმისთვის, ლამის ღრიალისთვის;

შეგრძნება, რომ მუწუდები, სიტყვების მნიშვნელობებს ველარ ხვდები, მხოლოდ გუმანით გრძნობ,

შიშინა ბგერების წარმოთქმა სრულიად აუტანელია,

ყარაულები, მნახველები, ეზო თითქოს ცელულოიდიასა;

თავის ტკივილი; ჩაელვებები;

წინადადების წყობა, გრამატიკა, სინტაქსი – ველარ აკონტროლებ. წერის დროს: ორი ხაზი – მეორე ხაზის ბოლოს პირველის დასაწყისი არ გახსოვს;

შეგრძნება, რომ შიგნიდან გამოიწვი;

შეგრძნება, რომ თუ იტყვი, რა ხდება, თუ ამას ამოუშვებ, იგივეა, რაც სხვას სახეში მდულარე შეასხა, ვთქვათ, მანქანაში ადულტული წყალი, რომელიც სამუდამოდ დამდულარავს, დაასახიჩრებს;

თავაშვებული აგრესია, რომელსაც ონკანს ვერ მოუჭერ. ეს ყველაზე ცუდია. ნათლად გაცნობიერება, რომ გადარჩენის შანსი არა გაქვს; სრული გაუგებრობა ამის გარკვევისას; მნახველები არაფერს ტოვებენ. ნახევარი საათის მერე მექანიკურად თუ აღიდგენ, დღეს გინახულეს თუ გასულ კვირაში;

სამაგიეროდ, კვირაში ერთხელ ბანაობა ნიშნავს წამით ამოყვინთვას, დასვენებას – ერთ-ორ საათს გასტანს;

შეგრძნება, რომ დრო და სივრცე გადაიხლართა;

შეგრძნება, რომ მრუდე სარკეების ოთახში ხარ;

ბარბაცებ;

მერე: საშინელი ეიფორია, რომ რალაც გესმის, დღე-ღამეს სმენით განახვავებ;

შეგრძნება, რომ ახლა დრო მიედინება, რომ ტვინი კვლავ შეივსება, ზურგის ტვინი თავის ადგილს დაუბრუნდება – რამდენიმე კვირით;

შეგრძნება, რომ გატყავებენ.

ბნელი ამბავია.

RAF-ის ადვოკატმა ხელისუფალნი მკვლევლობაში დაადანაშაულა – და უმაღლეს ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლეს. ჰაინრიხ ბიოლმა მოითხოვა, რომ ეს ბურუსით მოცული თვითმკვლელობები საფუძვლიანად გამოეკვლიათ – მისი შვილი ტერორისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით გაჩხრიკეს. მაგრამ ეს ცალკე ამბებია: „გერმანული შემოდგომა“, RAF-ის მეორე და მესამე თაობები, მოწინააღმდეგეები და მხარდამჭერები. ეს სხვა ამბებია, თან სრულიად გაუგებარი.

ალბათ მრავალი ადამიანისთვის ისიც გაუგებარია, თუ რატომ მიახვენებდა ტერორისტი და მკვლელი ულრიკე მაინჰოფის ცხედარს ოთხი ათასი ადამიანი. მე მესმის, ოღონდ ვერ ვხსნი. ჩემთვის ის უფრო გაუგებარია, რომ ყოველთვის, როცა რამე ცერად მიდის, მაინცდამაინც ულრიკე მაინჰოფი მახსენდება. სულ არ მაინტერესებს ხოლმე, როგორი კაცები იმსახურებდნენ მის კეთილგანწყობას ან მართლა ხვრეტდა თუ არა ვინმეს – მაინც ვერ გავიგებ. უბრალოდ, მასზე ვფიქრობ. ალბათ ცოტა მშურს.

ალბათ მშურს, რომ მე ვერასდროს დავწერე ის და ისე, როგორც მან დანერა. გიჟური ტექსტები, რომლებმაც ქვეყანა შეძრა და დღესაც აქტიუალურად დატოვა, ვაგლახ, უთარგმნელი შექახილი: !

და ბოლოს:

„აქ იყავით! მგონი, მთელმა ციხემ გაიხარა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ახლახან, ოქტომბერში ციხის თავზე ფერადი დრაკონები დაფრინავდნენ, ფრანები. ესე იგი, სადღაც ბავშვებიც იყვნენ, მათი ამფრენები. მაღლა, მაღლა ფრენდნენ ნითლები და მწვანეები. ძალიან კარგი იყო“...

ეს ულრიკემ თავის ტყუპ ქალიშვილებს მისწერა, როცა ციხეში მათი ნახვის უფლება პირველად დართეს. მანამდე ეს შვილები ტერორისტების ბანაკში ჰყავდა გაგზავნილი, შემთხვევით გაუმართლათ და გზაში დააკავეს.

„ძნელია... ძალიან ძნელია... უაღრესად ძნელია“...



ინტერვიუ ერიკ ტრუფაზთან

<<< ლასაწყისი გვ. 54

მესმის, და მაინც, მისი მუსიკა ამ დროსაც საინტერესოა. ჩვენ მუსიკისადმი სხვადასხვა მიდგომა გვაქვს, ჩვენივე პოტენციალიდან გამომდინარე. მე არ მაქვს მექანიკურობის ისეთი პრობლემა საყვირზე, როგორც მას, რადგანაც ის იმდენს მუშაობდა და მუშაობს ტექნიკის დასახვეწად, რომ შესაძლებელია, მისთვის არასასურველი მექანიკური ჩვევა ჩამოუყალიბდა. მე კი მუსიკალურ მასალაზე მუშაობისას ძირითადად ვცდილობ, რომ გადავახალისო ეს მასალა და მისი მსმენელისთვის მიწოდების ახალ გზებს მივავნო. რა თქმა უნდა, მეც ძალიან მიყვარს ბი-ბოფის დროინდელი მუსიკოსები, მაგრამ ჩემი პოტენციალი არ მაძლევს იმის საშუალებას, მათსავით ტექნიკურად დახვეწილი ვიყო ინსტრუმენტზე დაკვრისას.

საყვირის საოცრად მდიდარი ისტორია აქვს. წარსულის შესაყვირებმა თავისი განუმეორებელი მიდგომა შეჰმატეს ამ ინსტრუმენტს. როდესმე თუ გიფიქრიათ, რა ადგილის დაკავება გასურდათ მუსიკოსების ამ გუნდში?

ჩემი, როგორც საყვირზე შემსრულებელი მუსიკოსის, ცხოვრება შეიცვალა მაშინ, როდესაც, ისევ და ისევ ჩემივე პოტენციალიდან გამომდი-

ნარე, მივხვდი, რომ მალალ რეგისტრში დაკვრა არ შემიძლია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძირითადად დაბალ რეგისტრში უნდა მემუშავა. სხვა გზა უბრალოდ არ მქონდა. მოგიანებებით კი ჯონ ჰასელის აღმოჩენამ კიდევ ერთხელ შეცვალა საყვირისადმი ჩემი მიდგომა. საყვირზე მისებური დაკვრის ტექნიკა ორიგინალობით არაფრით ჩამოუვარდება დიზი გილესის ან თუნდაც იგივე მაილზ დევისის. იდუმალებით მოცულმა მისმა ფრაზირების უნარმა ბევრი რამ მასწავლა. მე საყვირზე დაკვრა კონსერვატორიაში შევისწავლე, ჯაზმენების უმრავლესობა კი ერთმანეთის სმენით სწავლობდა საყვირზე დაკვრას, მერე კი რაიმე თავისას უმატებდა ყველაფერ ამას. ამ მხრივ, საყვირის საკმაოდ მაჩო ისტორია აქვს. ფიზიკურადაც ძლიერი უნდა იყო, მალალ რეგისტრში რომ შეგეძლოს დაკვრა, მე კი შემომხედეთ – მალალ რეგისტრში ერთმა არპეჯიომ შეიძლება გადამიყოლოს.

მეორე მხრივ, საინტერესოა ისიც, რომ ამ შეზღუდვამ ბევრად უფრო კინემატოგრაფიული სახე მისცა თქვენს მუსიკას. ის განსაკუთრებული ვიზუალურობით გამოირჩევა. ალბათ სწორედ ამის გამო შეგიკვეთეს მუსიკის შექმნა იასუჯირო ოზუს მუნჯი ფილმისთვის – «ტოკიოელი ბავშვები“.

ალბათ, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ ფილმზე მუშაობა საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩემთვის, თუმცა ოზუს ფილმი რამდენიმე ფილმიდან სწორედ განსაკუთრებული, ჩემთვის გასაგები ატმოსფეროს გამო ამოვირჩიე; იმ სპარტანული გარემოს გამო, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით. თითქმის ორი თვე მოვანდომე ამ ფილმისთვის მუსიკის წერას. ახალი გამოცდილება იყო ჩემთვის.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მუსიკაში სიახლის შეტანის მცდელობაზე. როგორ გეხმობს ეს თქვენ დღეს, როდესაც ლამის ყველა საუნდი უკვე ისედაც მუსიკის ნაწილია?

დღეს მუსიკა უკვე ზედმეტად ბევრია, და ლამის პოლუციასავითაა. ის ყველგან ისმის – რესტორნებში, ლიფტებში, სუპერმარკეტებში. მიმაჩნია, რომ მუსიკა საზოგადოებას მიჰყვება ფეხდაფეხ. ადრე, გასული საუკუნის 60-70-იანებში როკ-ენდ-როლის გაჩენას ახალი მუსიკალური იდეების ჩასახვაც მოჰყვა. იმიტომ, რომ იმ დროს საზოგადოებაც იცვლიდა ცხოვრების ნირს და ფორმებს და მუსიკაც ამ ცვლილებებს მიჰყვებოდა. დღევანდელი საზოგადოება აჩქარებული, მოუთმენელი და ინფორმაციით გადატვირთულია და ამიტომაც, ხშირად ხდება ისე, რომ თუ რომელიმე მუსიკოსი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებლად ცდილობს მუსიკის კეთებას, ეს უკვე ახლად აღიქმება. დღეს ერთგვარი ბალანსის მიღწევის მცდელობის ხანაა ადამიანისა და ტექნიკური ევოლუციის განვითარების პროცესში.

და ეს პერიოდი რამენაირად აისახება მუსიკაში?

შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ზოგი ჩემი კომპოზიცია ნამდვილად ასახავს დღევანდლობას, რადგანაც თავადვე განვიცდი დროისა და დროში მომხდარი მოვლენების ზეგავლენას. ისე კი, კარგი მუსიკა დროის მიღმა უნდა იდგეს და ნლების შემდეგაც თანამედროვედ ჟღერდეს. ვის რად უნდა ისეთი მუსიკა, რომელიც ცეცხლივითაა – ერთ წამს გიზგიზებს, მერე კი ქრება?



„მეორე არხის“ პირველი პარტნიორი

<<< ლასაწყისი გვ. 58

არ მგონია, ძნელი იყოს პოლიტიკოსების დარწმუნება, რომ მათსავე ინტერესშია, როცა ჟურნალისტი კითხვას უსვამს, იგრძნობოდეს ჟურნალისტის დამოუკიდებლობა. ამაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ, თუ უნდათ, რომ საზოგადოებას მათ მიმართ ნდობა ჩამოუყალიბდეს. იგივე პოლიტიკურ დებატებში, როცა ჟურნალისტი მწვავე, კრიტიკულ შეკითხვებს უსვამს პოლიტიკოსს, შეიძლება მას გაუძნელდეს პასუხი, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მისი იმიჯისთვის გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინასწარ მომზადებულ შეთანხმებულ კითხვაზე პასუხი. წელან პოლიტიკოსის შინაგანი კულტურა ვახსენეთ – ის აუცილებლად უნდა გულისხმობდეს დემოკრატიულ კულტურას, რომელიც რამდენიმე თვეში არ ყალიბდება, ძალიან ხანგრძლივი პრაქტიკა სჭირდება. დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთში ეს კულტურა ჩამოყალიბდა. მაგალითად, 60-70-იან წლებში ჩვენთან ინფორმაციის მინისტრის პოსტიც კი არსებობდა. მინისტრი დავალებებს აძლევდა ჟურნალისტებს – რა როგორ გაეკეთებინათ. დღეს კი საფრანგეთის საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამორიცხული და შეუძლებელია ჟურნალისტის ან რედაქტორის გაგდება სამსახურიდან.

კიდევ შეიძლება საინფორმაციო სამსახურის უფროსის გაშვება, მაგრამ ისიც მხოლოდ პროფესიული ნიშნით და არა პოლიტიკური მოტივით. 30 წლის წინ კი ასეთი ფაქტები ხდებოდა. ძალიან ძნელია ჟურნალისტისთვის ისეთ პირობებში მუშაობა, როცა პოლიტიკოსთან მიდის ინტერვიუზე და ეშინია, რამე ისე არ თქვას ან გააკეთოს, რის გამოც, შეიძლება სამსახურიდან გაუშვან.

როგორ უყურებთ ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის ურთიერთობას – არსებობს თუ არა ოფიციალური ჩარჩოები, რომლის იქითაც ეს ურთიერთობა არ უნდა გავიდეს. ჩვენთან, სამწუხაროდ, ერთ აღიანსს ქმნიან ჟურნალისტები და პოლიტიკოსები. შესაძლებელია თუ არა ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის მეგობრობა?

ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის მეგობრობის განსაზღვრა და, მით უმეტეს აკრძალვა, არ შეიძლება. როცა წლების მანძილზე ჟურნალისტი მათ სივრცეში ტრიალებს და ყოველდღიურად ხვდება პოლიტიკოსს, რაღაც ურთიერთობები ყალიბდება. მეც ძალიან დაუფახლოვდი ბევრ დეპუტატს და პოლიტიკოსს, მაგრამ როცა საქმე ეკრანს ეხება, რასაკვირველია, ეს მეგობრობა და ახლობლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იგრძნობოდეს.

ჩვენთან ვერც ერთ ჟურნალისტზე ვერ იტყვი, რომ რომელიმე პოლიტიკოსთან მეგობრობს, რადგან ძალიან ხშირად, ვისთანაც მეგობრობენ, მათ უფრო მკაცრად ექცევიან, ვიდრე სხვა პოლიტიკოსებს, და ეს მკვეთრად ჩანს მათ გადაცემებსა და სიუჟეტებში. პოლიტიკური კულტურის ნაწილია ისიც, რომ შეძლო ერთმანეთისაგან გამიჯნო სამსახური და პირადი ცხოვრება.

წელან ბრძანეთ, რომ თქვენი არხის ხელმძღვანელი არის მემარცხენე და ამავე დროს ერთ-ერთი გადაცემის წამყვანიც. რამდენად პირობითი ცნებაა ჟურნალისტის ობიექტურობა და რა შემთხვევაში შეუძლია მას გამოხატოს საკუთარი აზრი?

ერთია, როცა ჟურნალისტები მონეულები არიან დებატებზე და წარმოადგენენ რომელიმე გაზეთს ან გამომცემლობას, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური მიმართულება აქვს – ვიღაც მემარჯვენეა, ვიღაც მემარცხენე. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტი იცავს გაზეთის პოზიციას და გამოხატავს საკუთარ აზრს, მაგრამ მეორეა, როცა ჟურნალისტები თვითონვე ამზადებენ გადაცემებსა და სიუჟეტებს, ამ შემთხვევაში, ისინი აბსოლუტურად ნეიტრალურები უნდა იყვნენ და მათი შეხედულება და მოსაზრება არანაირად არ უნდა იგრძნობოდეს ეკრანზე. ამას კი ვამბობთ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ 100-პროცენტიანი და სრული ობიექტურობა არ არსებობს; უბრალოდ, როცა ობიექტურობაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ სიუჟეტსა თუ გადაცემაში არ უნდა იგრძნობოდეს ჟურნალისტის სუბიექტურობა, თანაბრად იყოს წარმოდგენილი როგორც ერთი, ისე მეორე მხარის პოზიციები და ბალანსი იყოს დაცული, თორემ სრული ობიექტურობა ბუნებაში არ არსებობს.

როცა ირღვევა ჟურნალისტური ეთიკა, ხდება სტანდარტებისა და კრიტერიუმების აღრევა, როცა სახეზეა ჟურნალისტის მიკერძოების ელემენტები, რეგულირების რა მექანიზმებს იყენებთ ამ შემთხვევაში?

ჩვენთან ამის წარმოდგენა ცოტა ძნელია, რადგან ჟურნალისტის მომზა-

დებულ სიუჟეტს ყოველთვის ნახულობს გამოცდილი მთავარი რედაქტორი, რომელიც ადრე „ფრანს ტელევიზიაში“ მუშაობდა. თუ ჟურნალისტს რაიმე გაეპარა ან შეცდომა დაუშვა, გამო-რიცხულია მთავარმა რედაქტორმა ის სიუჟეტი ჩასწორების გარეშე ეთერში გაუშვას. თუკი განსაკუთრებულად მი-კერძობული სიუჟეტი გააკეთა ჟურნა-ლისტმა, რომელსაც აუხსნი და მაინც ვერ გაიგებს ან უარზეა, რამე შეცვა-ლოს, ერთადერთი „დასჯის“ ფორმა ის არის, რომ სიუჟეტი ეთერში არ გავა. ჩვენთან ასეთი რამ არასდროს მომხდარა. ვთქვათ, რომელიმე ჟურ-ნალისტმა თქვა, რომ სარკოზი არის პედოფილი ან ფაშისტი – რა თქმა უნდა, ასეთ სიუჟეტს ეთერში არავინ გაუშვებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიმართლე არ არის.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნისთვის ეთნიკური უმცირესობების, სექსუალური თუ რელიგიური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები ძალზე მნიშვნელოვანი და მტიკივნილია. ევროპისთვის რამდენად მნიშვნელო-ვანია ეს პრობლემები და რა ითვლება დისკრიმინაციად საფრანგეთში?

ვიდრე კითხვას ვუპასუხებდე, გე-ტყვი, რომ საფრანგეთი არის რეს-პუბლიკა, კანონის წინაშე ყველა თანა-ბარია და განსხვავებები არ არსებობს, ასევე არ არსებობს ეთნიკური უმცირე-სობა და, შესაბამისად, არც ტერმინი. ამ მხრივ თქვენგან განსხვავებულები ვართ, რადგან თქვენ გადაცემებიც კი გაქვთ ეთნიკური უმცირესობების ენე-ბზე. ჩვენთან, მაგალითად, კორსიკაში, მათ ენაზე გადის გადაცემები, მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებელზე მსგავსი რამ არ ხდება. რაც შეეხება დისკრიმი-ნაციას, ის არსებობს მხოლოდ გარეუ-ბნებში, სადაც ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოსული ემიგრანტები ცხოვრობენ. ისინი ამბობენ, რომ არ აქვთ სამსახური, არიან უმუშევრები და, სხვებთან შედარებით, მძიმე პი-რობებში უწევთ არსებობა; მართლაც, მათი საცხოვრებელი ბევრად უარესად გამოიყურება, ვიდრე სხვა ადგილები. ამბობენ, რომ ხელი არ მიუწვდებათ განათლებაზე. საფრანგეთში მართლაც

პრობლემაა გარეუბნებიდან გამოსული ახალგაზრდების საზოგადოებაში ინ-ტეგრირება. დისკრიმინაციის საკითხი ბევრად უფრო რთულია და პოლიტი-კას განეკუთვნება, მაგრამ ტელევი-ზიას რაც შეეხება, ჩვენ რამდენიმე პიროვნება თანამშრომლად ავიყვანეთ I, II, III თაობის ემიგრაციიდან და ისი-ნი დღემდე ჩვენთან მუშაობენ. გარდა ამისა, ვამზადებთ გადაცემებს გარეუ-ბნებიდან გამოსულ ახალგაზრდებზე, მათ პრობლემებსა და წარმატებებზე საუბრებით ვაჩვენებთ საზოგადოებას, როგორ შეუძლიათ მიაღწიონ იმას, რაც სურთ, თუკი ისწავლიან და იშრო-მებენ. საფრანგეთში კანონი კრძალავს და მკაცრად სჯის ყოველგვარი ტიპის დისკრიმინაციას, იქნება ეს რასო-ბრივი, რელიგიური თუ სექსუალური. როცა კონკრეტული ფაქტები ხდება, ამაზე საინფორმაციო გამოშვებებში ვსაუბრობთ. გარდა ამისა, ვთანამშ-რომლობთ დისკრიმინაციის წინააღმ-დეგ მებრძოლ ორგანიზაციასთან და ერთად ვაპირებთ ახალი პროექტის დაწყებას, რომლის საშუალებითაც სა-ზოგადოებას გავაცნობთ, როგორ შეუ-ძლია თავის დაცვა დისკრიმინაციული ქმედებებისაგან. ყველაზე ხშირი მაინც რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვე-ვებია – ზოგი ჩივის, რომ სამსახურში არ აიყვანეს იმის გამო, რომ ზანგია ან აფრიკული წარმოშობის, სხვებს დისკოთეკაზე არ უშვებენ – უფრო ასეთი ტიპის დისკრიმინაციის ფაქტე-ბია. ამ ბოლო დროს ძალზე შემცირდა სექსუალური უმცირესობების დისკრი-მინაციის შემთხვევები. გარეუბნების გარდა, ეს თითქმის აღარსად ხდება. როგორც კვლევები აჩვენებს, ფრანგი საზოგადოება ძალზე ტოლერანტული გახდა სექსუალური უმცირესობების მიმართ, საკმაო ტოლერანტობაა რე-ლიგიური უმცირესობების მიმართაც – 1905 წელს მიღებული კანონის თა-ნახმად, ყველა ადამიანს აქვს სრული უფლება, იყოს ან არ იყოს მორწმუნე; როგორც ყველაფერს, ამ საკითხსაც კანონი აგვარებს. გარკვეული პრო-ბლემა მაშინ წარმოიშობა, როცა რე-ლიგია ერევა სახელმწიფო საქმეებში. ვთქვათ, მუსლიმები თავიანთ გოგო-ნებს უკრძალავენ ბიჭებთან ერთად

აუზზე წასვლას, რაც უკვე კანონის დარღვევაა, იმიტომ, რომ სკოლაში არის ერთი აუზი და ასეთი აკრძალვა კანონს არღვევს. ასევე რელიგიური რიტუალების ჩატარება, რომელიც კა-ნონს არ შეესაბამება. სულ მუსლიმე-ბზე საუბარი გამომდის, მაგრამ იგივე კათოლიკები რომ ავიღოთ, ასევე კა-ნონის დარღვევაა, როცა მათ სასტიკი გამოსვლები აქვთ აბორტის აკრძალ-ვასთან დაკავშირებით. გარკვეული პრობლემებია რელიგიურსა და სახელ-მწიფო კანონებს შორის – ამ თემებზე ტელევიზიაში ხშირად ვაწყობთ დება-ტებს, სადაც პოლიტიკოსებს და ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენლებს ვინვეთ.

ჟურნალისტს რამდენად შეუძლია გა-მოხატოს პოზიცია სექსუალურ და რე-ლიგიურ პრობლემამტიკასთან დაკავში-რებით, დაეთანხმოს რომელიმე მხარეს ან უარყოს მათი აზრი.

ვისაც გადაცემაში ვინვეთ, მათ შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოხა-ტვა. ჩვენმა ჟურნალისტებმა კი ორი-ვე მხარის პოზიციები უნდა წარმო-ადგინონ და თუ რაიმე პოლიტიკური კონსენსუსი იქნა მიღწეული, ესეც უნდა აჩვენონ. მაგალითად, ეროვნულ ასამბლეაში მიღწეული იყო ერთგვარი კონსენსუსი თავსაბურავის ტარებას-თან დაკავშირებით – საერთოდ კი არ ავკრძალოთ, არამედ ვარეგულიროთ და, ვთქვათ, საზოგადოებრივი თავ-შეყრის ადგილებში აიკრძალოს. არ-სებობს სხვა შეხედულება, რომლის მიხედვითაც, აბსოლუტურად ყველ-გან უნდა აიკრძალოს, რაც ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება.

რამდენად იცნობთ პოსტსაბჭოთა მე-დიას და ჰგავს თუ არა განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთს ჟურნალისტიკის პრობლემამტიკის თვალსაზრისით.

ძირითადად ისეთ ქვეყნებში ვმუშა-ობდი, რომლებიც ტერიტორიულად საფრანგეთს განეკუთვნებიან. ისინი დამოუკიდებლები არ არიან და ეკო-ნომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ახლოს არიან საფრანგეთთან. პოლი-ნეზიის ტელევიზიის შექმნა რომ და-ვინყეთ, მაშინვე ულტრათანამედრო-

ვე, ციფრული აპარატურა შეიძინეს. თქვენგან განსხვავებით, მათთვის ეს პრობლემა არ ყოფილა. „მეორე არხის“ ტექნიკურმა დირექტორმა მითხრა, რომ დღესაც 18 წლის კამერებით მუშაობენ.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მედიას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რუსულ მედიაზე მაქვს წარმოდგენა, რომელიც შორს არ უნდა იყოს სინამდვილიდან – რუსული მედია ხელისუფლებისგან კონტროლდება.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ვურჩევდი, მაყურებლის ნდობის მოპოვების მიზნით, მეტად წარმოაჩინოს საკუთარი დამოუკიდებლობა. ეს კარგი იქნება თავად პოლიტიკოსებისთვისაც, რომლებიც საზოგადოებრივი არხისადმი თავისუფლების მინიჭებით ამავე საზოგადოების ნდობას მოიპოვებენ. ასევე უნდა მიხვდნენ, რომ „მეორე არხის“ სრულყოფილი მუშაობისათვის აუცილებელია ტექნიკური საშუალებების შექმნა. როცა არხი სრულფასოვანი გახდება, მაყურებლის ნდობა ერთიორად გაიზრდება.

ბრძანეთ, რომ 10 წლის წინ თქვენს არხს გარკვეული პედაგოგიური მუშაობა მოუხდა პოლიტიკოსებთან და „მე-


ორე არხისთვისაც“ ეს სამუშაო გეგმის ნაწილი უნდა იყოს. როცა პოლიტიკოსებს მონოპოლიზებული აქვთ ეთერი, შესაძლოა თუ არა, საბოლოო ჯამში თავისკენ გადაძალონ ტელევიზია?

ჩვენ პედაგოგიური მოღვაწეობა გავწიეთ ძირითადად ტექნიკურ საკითხებთან მიმართებაში – ვთქვათ, პარლამენტის სხდომა დაწყებულიყო და დამთავრებულიყო შეთანხმებულ დროს. როცა მოუწებოდათ, მაშინ არ გამოეცხადებინათ ან გაენელათ შესვენება, რადგან ეს ანგრევდა პროგრამების ბაღეს. ნელ-ნელა შევამჩნიეთ, რომ პოლიტიკოსების ქცევა შეიცვალა, ისინი ცდილობდნენ, უკეთესად წარმოჩენილიყვნენ ეროვნულ ასამბლეაში, რადგან ყველაფერი ეთერში გადაიცემოდა. რაც შეეხება თქვენს პოლიტიკოსებს, პირველ რიგში უნდა გააცნობიერონ, რომ მათი მიზანიც არის მაყურებლის მიზიდვა, რისთვისაც დაუსრულებელი მონოლოგები ნამდვილად არ გამოადგებათ. საუკეთესო საშუალებაა, თუ არხზე იქნება ნამდვილი დებატები, სადაც მოწვეული იქნებიან უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლები და გაიმართება ნამდვილი დისკუსია, ხოლო ისეთი დაუსრულებელი მონოლოგები, რაც

„თავისუფალ ტრიბუნაში“ ვიხილე, ნამდვილად არ უწყობს ხელს იმას, რომ პოლიტიკოსებს ჰყავდეთ მაყურებელი და გადაცემები, რომელშიც ისინი მონაწილეობენ, საინტერესო გამოვიდეს.

რამდენად შესაძლებელია არსებულ პოლიტიკურ გარემოში „მეორე არხის“ ჰქონდეს განვითარების პერსპექტივა?

დარწმუნებული ვარ, რომ ჯგუფს, რომელმაც წამოიწყო „მეორე არხის“ ჩამოყალიბების პროცესი, ყველანაირი საშუალება და მონაცემი აქვს იმისათვის, რომ ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული გეგმა. მათ კარგად ესმით მიზნებიც და ის წინააღმდეგობებიც, რაც შეიძლება შეხვდეთ. ჩვენ ერთობლივად ვიმუშავეთ სამაუწყებლო ბაღეზე, პროგრამირებასა და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ საკითხებზე. საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებებით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ტექნიკური, ასევე ადამიანური, „მეორე არხის“ განხორციელება აბსოლუტურად რეალური და შესაძლებელია. მჯერა ამ არხის მომავლის და იმედი მაქვს, რომ ამას არხის ხელმძღვანელობაც და პოლიტიკოსებიც მიხვდებიან და ერთობლივად იმუშავენ ამ მიმართულებით.



რინგოზი

<<< დასაწყისი გვ. 72

**„ფლიზონის“ რედაქტორს
21 დეკემბერი, 1962**

ძვირფასო ბატონო,
ნეტავ ისე არ გაგეშუქებინათ ჩემსა და უილიამ ბაკლის შორის გამართული დისკუსია, როგორც ლიბერალისა და კონსერვატორის კამათი. არ მანაღვლებს – რაც გსურთ, ის მიწოდეთ: რადიკალი, მემბოხე, წითელი, რევოლუციონერი, აუტსაიდერი, კანონგარეშე პირი, ბოლშევიკი, ანარქისტი, ნიჰილისტი, თუნდაც მემარცხენე კონსერვატორი – ოღონდ ძალიან გთხოვთ, ლიბერალს ნულარასდროს მიწოდებთ.
პატივისცემით,
ნორმან მეილერი

ბაბრქილია

არნოლდ ქემპს

18 დეკემბერი, 1964

ძვირფასო არნოლდე,
...როგორი უცნაურიც უნდა იყოს, როცა სარტრმა ნობელის პრემია მიიღო, ამ ამბავს სხვადასხვანაირად შევხედეთ. ჩემი აზრით, მას უარი არ უნდა ეთქვა, რადგან ბურჟუაზიას ის უფრო მეტად ამწარებს, როცა მის წინააღმდეგ მებრძოლები დიდ პრემიებს იღებენ. მაგალითად, ბოლო წლებში ყურნალი „ლაიფი“ ჟან-პოლ სარტრს ერთთავად „უსასოობის მოციქულად“ მოიხსენიებდა. ახლა კი მოულოდნელად ეს უსასოობის მოციქული ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ასე მათ ბევრად უფრო გაუძნელდებოდა ხალხის გასულელება. მჯერა, რომ ჯილდოებზე უარი არ უნდა ეთქვა, რადგან თუ სწორად გამოიყენებ, ისინი ბევრ რამეში დაგეხმარება. ერთ დღეს მართლაც რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რომ მოხდეს და ამაზე „ნიუ-იორკ ტაიმსში“ წერილის გამოქვეყნება მოგიხდეს, აი, მაგარი, მწარე წერილის, ამისთვის უფრო მეტი ბერკეტი გექნება...

საუკეთესო სურვილებით,
ნორმანი

მარკინ ბორსონს

11 აპრილი, 1968

ძვირფასო მარკინ,
...არ მგონია, თქვენს ძვირფას მონვევას დავთანხმდე და მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის ინიციატივით მონვეული ფილოსოფოსი გავხდე. ამისათვის ორი მიზეზი მაქვს. ნათლად ვერ ვხედავ, რომელ პოლიტიკურ პოზიციასთან უფრო ახლოს ვარ. იქნებ იცით, ან სულაც არ იცით, რომ მემარცხენე კონსერვატორი ვარ, რაც თავისებურ წინააღმდეგობებს გულისხმობს: ერთი მხრივ, უბანულ რეკონსტრუქციასთან დაპირისპირებას, მეორე მხრივ კი, მარჩხუნას ლეგალიზების საკითხში თავშეკავებას. თუმცა მე შეიძლება მხარი დავუჭირო მარჩხუნას ლეგალიზებას. დიახ, შეიძლება ასეც მოვიქცე, თუ პოლიცია ხალხის განამებასა და უაზრო დაპატიმრებებს არ შეწყვეტს. ამ დროს მირჩევნია, რომ მისი მოხ-

მარება კანონით ნებადართული არ იყოს, რადგან ასე სულ სხვა გემოს ატანს მონვევას, თან კორპორაციებიც ვერ ახერხებენ, რომ ჰიდროფონურად გამოყვანილი, საყოველთაოდ ნაქები, ფილტრიანი მარჩხუნა ვიტამინებით გააჯერონ; რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფსიქოდელოურ რეკლამებზე, რომლებსაც თავიდან ავიცილებთ. გარდა ამისა, დარწმუნებული არ ვარ, რომ მაკარტი და კენედი არაფრით განსხვავდებიან ჰამფრისგან, რომელმაც, სხვა თუ არაფერი, პასუხი უნდა აგოს ვიეტნამის ომის გამო. იოლი სათქმელია, რომ კენედისა და ჯონსონის შორის განსხვავება არ არის – ამ აზრს სულაც არ ვიზიარებ. მნიშვნელობა არა აქვს, კენედის თავში რა უტრიალებს, რადგან მაინც სრულიად განსხვავებულ ქვეყანას მიიღებ, როცა პრეზიდენტი ის კაცი ხდება, ვისაც მისნაირი ვარცხნილობა აქვს...

პატივისცემით,
ნორმანი

ალენ ბინზბერგს

9 დეკემბერი, 1969

ძვირფასო ალენ,
...მინდა, უბრალოდ, შენი სახლის ბინადრები მოვიკითხო და წარმატება გისურვო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანაში.

გულწრფელი მოკითხვით,
ნორმანი

P.S. ხშირად მთხოვენ ხოლმე, იმაზე დავწერო, თუ როგორ წარმომიდგენია 70-იანი წლები. არადა, უმცირესი წარმოდგენაც კი არ მაქვს. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ვიცოდით, რა მოხდებოდა 60-იანებში, და მაგრადაც ვცდებოდით. 70-იანები ჩემს თვალში მხოლოდ თავზარდამცემი თეთრი ლაქაა. იმედი მაქვს, ეს უფრო ასაკის ბრალია, ვიდრე წინათგრძნობის. შობას გილოცავ, პოეტო.

რიჩარდ სტრამონს

იანვრის დასაწყისი, 1987

ძვირფასო რიკ,
...მე და ნორისი მოსკოვში მიგვიწვიეს, კონფერენციაზე, რომელიც გორბაჩოვმა მოაწყო. რიკ, დაუჯერებ-

ელ რამეს გეტყვი: იქ ნამდვილად რაღაც ხდება. ის ქვეყანა დათვის მაგონებს – ბებერ, სქელ, აყროლებულ, მრავალგან დაჭრილ, საკუთარ ქაქში ამოსვრილ ცხოველს, რომლის თვალეშიც მხოლოდ იმას ამოიკითხავ, რომ ისევე ცირკში დაბრუნება უნდა. მას სურს, განვრთნილი დათვი იყოს და მაყურებლების ტაში დაიმსახუროს, ყველა სხვა ცხოველმა კი პატივი სცეს. უცნაურ რამეებს ვამბობ, მაგრამ რუსეთზე ფიქრი იმ დროიდან ამეკვიატა, რაც „შიშვლები და მკვდრები“ დაწერე. ჩემს თაობაში ძალიან ბევრი ჩემსავით ფიქრობდა, რომ რუსებმა დიდებულად იომეს მეორე მსოფლიო ომში. ისინი პატივს სცემდნენ მათ ჯარსა და თითოეულ ჯარისკაცს იმდენად, რამდენადაც ეს რიგით ამერიკელ ჯარისკაცს შეეძლო, აფასებდნენ ომის დროს რუსების მიერ გაღებულ მსხვერპლს. მერე კი ცივი ომი გაჩაღდა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. ამის შემდეგ აღარავის ვენდობი, მათ შორის – არც რუსებს, რადგან მივხვდი, რომ ლენინმა მოუმზადა საფუძველი სტალინიზმსა და იმ საშინელებებს, რაც იქ ტრიალებს. რუსებსა და ამერიკელებს შორის ერთი უმთავრესი განსხვავებაა: ამერიკაში ჩვენი დანაშაული ცხვირწინ გვიდევს, მაგრამ მას არაფრად ვაგდებთ. ამაში ტექნიკის განვითარება, თითოეული ულტრამოდური ნაბიჯი გვეხმარება. ჩვენ ფსიქონალიზი ჩაგვიტარეს, ტრანკვილიზატორები გვაყლაპეს, რობოტებად გვაქციეს, „ნუველ კუიზინის“ საოცრებებს გვაზიარეს, კარიერისტები გავგხადეს – შიშიც და უდიდესი დანაშაულიც აქვე, ხელის განვდენაზეა, მაგრამ მათგან თავის დაღწევას ვახერხებთ. აი, რუსები კი ვერ ახერხებენ. მათ საკუთარი დანაშაული ბოლოს უღებთ. ძალიან ცოტა რუსი დადის სუფთა სინდისით – ეს ქვეყანა ხომ 30 წლის მანძილზე აიძულებდა თითოეულ ადამიანს, რომ მეგობრებისთვის ზურგი ექცია (ალბათ ყველასთვის მაინც არა) და არ დახმარებოდა იმ ახლობლებს, რომლებიც მთავრობას თვალში არ მოსდიოდა. თვითონ მთავრობასაც მძიმე ტვირთად აწევს თავისივე უსინდისო-

ბა. ჩემი აზრით, რუსები გაცილებით კარგად იცნობენ საკუთარ სულს, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ ჩვენსას, რადგან ისინი მართლაც დამნაშავეები არიან. ვერ გეტყვი, როგორი სულისშემძვრელია, როცა თავად უმაღლეს ემელონებში აღიარებენ, რომ ცვლილებები აუცილებელია და ქვეყანას უფრო ჰუმანური მთავრობა უნდა ჰყავდეს. იცი რა, რიკ, ლოცვა რომ შემეძლოს, ზეციურ ძალებს შემწობას ვთხოვდი იმ დაუჯერებელი საქმისთვის, რასაც გორბაჩოვი აკეთებს რუსეთში. მე მას ბოლომდე თანავუგრძნობ. შეიძლება ყველაფერი სულ იოლად ჩაიყაროს წყალში, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ჩვენს ქვეყანას, ამერიკას მოუნევს, ხაზი გადაუსვას უამრავ აბსურდულ ახირებას და თვალი გაუსწოროს ახალ იდეას. თუ კომუნისტური ქვეყანა დემოკრატიული გახდა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი თავლებიც მისახედა: რა ხანია, ნეხვის სუნი დგას. კარგი, ვნახოთ, რა მოხდება.

მეგობრული მოკითხვით,
ნორმანი

სალ ჩიტრანოს

28 მარტი, 1999

ძვირფასო სელ,
...დემოკრატებს, პირველ რიგში კი კლინტონს, ვერ ვიტან იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც „ბუტიკის პოლიტიკას“ ვუნოდებ – ცოტა ეს, ცოტა ის და მაინც ყელამდე ნაგავში ყოფნა. ამ დროს რესპუბლიკელები ფსიქოზურ კომპარში აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, მათ ღმერთი, დროშა და ოჯახი აკერი-ათ პირზე, ხოლო მეორე მხრივ, ძალიან ცოტა თუ იცნობდა იესო ქრისტეს თავის გვერდით, პისუართან მდგარი რომ დაენახა. წარმოუდგენლად ბევრს ჯარში არასდროს უმსახურია, არც ტყვიის ზუზუნი გაუგონია. გარდა ამისა, ეს პოლიტიკოსები ცოლებისა და ოჯახის ღალატში ათენებენ და აღამებენ. ჰო, აბა, რა აზრი ექნებოდა პოლიტიკოსობას, თვალთმაქცობით თავის გატანის საშუალებას რომ არ იძლეოდეს? მთავარი კი ის არის, რომ რესპუბლიკელებს შიზოფრენია დაე-მართათ: ერთი მხრივ, ისინი ღმერთს, დროშას და ოჯახს ადიდებენ, ხოლო

მეორე მხრივ, კაპიტალიზმის უპირობოდ გავრცელებას უჭერენ მხარს. ამდენად, ყურადღების მიღმა რჩებათ ის, რაც შეიძლება ახლაც მნიშვნელოვანი იყოს: იესო კარლ მარქსით ფიქრობდა, რომ ფული ყველა ღირსებას აზრს უკარგავს. რა თქმა უნდა, ასეცაა. თუ მთელი ქვეყანა ვილაცებმა უნდა მიისაკუთრონ და ეს მართლაც ასე ხდება, მხოლოდ ზნეობრივი დეგრადაციის მომსრე კი არ გახდები, არამედ სოციალური აქტივობისა და სოციალური ნორმების შემცირებისაც – ვფიქრობ, ამ დეგრადაციას მაშინვე უნდა ელოდო, როგორც კი დოუ ჯონსის ინდექსი აიწვეს: რაც უფრო მაღალი იქნება ეს ინდექსი, მით უფრო დაბალი იქნება ნორმა. ფული ყველა ღირსებას ანადგურებს. რესპუბლიკური პარტიის მემარცხენე ფრთას პატივსაც კი ვცემ იმის გამო, რომ გარკვეულ ნორმებს იცავს, თუმცა ის კაპიტალიზმს არ ებრძვის. უმართავი კაპიტალიზმი კი ადამიანის თავს დამტყდარი უდიდესი უბედურებაა, რომელიც მის ღირებულებებს აცამტვერებს. ახლა სწორედ ეს ხდება. ალბათ იყო დრო, როცა კომუნიზმი უფრო დიდ უბედურებას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს ჩვენ ვართ ლიდერები. ვფიქრობ, თვითონაც ხვდები, რომ შენი არჩეული პარტია მორალთან მიმართებაში პარალიზებულია...

აბა, მაგრად, ძველო,
ნორმანი

„ბოსტონ გლოუზის“ რედაქტორს

13 მარტი, 2002

ჯორჯ უილი ნერს („ბოსტონ გლოუზი“, 12 მარტი): „ერნესტ ჰემინგუეის ენა რომ ჯონ უესლის ენის საკაზმით შევავემოთ, ბუშის ლაკონურ სტილს მივიღებთ“.
გასაგებია, ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, ვინც ჯონ უესლის ქადაგებებს იცნობს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჯორჯ ბუშის ნაწერების ხსენება ჰემინგუეის პროზის გვერდით თითქმის იგივეა, რაც ჯეკი სიუზენისა და ჯეინ ოსტინის გათანაბრება. სირცხვილის ნასახი აღარ შერჩათ ამ რესპუბლიკელ ქლებს? მართლაც ვერაფერს გახდებით იმ ხალხთან, ვისაც საკუთარი საქციე-

ლის არასდროს რცხვენია. ჯორჯ უილის სურვილს, რომ ღორის ყური აბრეშუმის ქისად გაასალოს, მხოლოდ მსოფლიო დონის ლაქუცი ჰქვია...

ნორმან მეილერი

ემერიხ ჰუსტრიხს

26 იანვარი, 2005

ძვირფასო იმრე,
დიდი ყურადღება გამოიჩინე, როცა მუხლების ართრიტის შესახებ სტატია გამომიგზავნე. რაც დრო გადის, სულ უფრო იოლად ვეგუები ჩემს მდგომარეობას. ორი ხელჯოხი მშვენიერ გასართობად გადაიქცევა, თუ მიხვდები, რა თვალთ უნდა შეხედო (მე ხომ მეხერხება ასეთები). მთელი სიამოვნება ის არის, რომ შეგიძლია წარმოიდგინო, თითქოს მთებში თხილამურებით სრიალებ, ჯოხებს აქეთ-იქით უსვამ – მაგარი გართობაა. გარდა ამისა, ფეხზე დიდხანს დგომაც არ გინევს: ყოველთვის გამოჩნდება ვილაც, ვინც თავის სკამს გითმობს.

„ფაინენშელ ტაიმსიდან“ იმ ამონაჭერს ვკითხულობ, შენ რომ გამომიგზავნე. მწარე სტატიაა. არ ვიცი, საით მივექანებით ყველა. ეს საუკუნე მძიმე ტვირთად დაგვანვა მხრებზე. მეოცე საუკუნეში გვეშინოდა, რომ ატომური ომი ერთიანად გაგვაცამტვერებდა, რაც ახლა სიურრეალისტურად მოჩანს. ოცდამეერთე საუკუნეში კი ბნელი აზრები იმდენს უტრიალებს თავში, რომ შეიძლება საუკუნის ბოლომდეც ვერ მივალნიოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობით. ჩემს ასაკში დიდი მნიშვნელობა აღარაფერს აქვს, მაგრამ მე ცხრა შვილი და ბევრი შვილიშვილი მყავს, რომლებსაც არცთუ სახარბიელო პერსპექტივა ელით.

მაპატიე, მსოფლიოს აღსასრული რომ დაგიხატე. მგონი, თხრობამ გამიტაცა. თუმცა იმის გამეორებაც მინდა, რაც ადრე გითხარი: ერთმანეთს წესიერად არც ვიცნობთ და მაინც ძველი მეგობრებით ვსაუბრობთ. ეს ისეთი სასიამოვნო რამ არის. მეგობრულად მოგიკითხავთ შენ და გერტრუდს – გავბედავ და ვიტყვი: ცოტა სიყვარულითაც.

ნორმანი



ლისმანისი

<<< ლასაწყისი 83. 76

– უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი, – შეუსწორა ყოვლისმცოდნე ვადიმ იანკოვმა, – ნობელის პრემიის ლაურეატი 1953 წელს, სხვათა შორის, ლიტერატურის დარგში.

– სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი, – ბოლომდე მიიყვანა საქმე მიშა პოლიაკოვმა, – მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი დემოკრატი, ყველა დროის ბუმბერაზი პოლიტიკოსი (სხვათა შორის, გამოხდება ხანი და 2002 წელს ბი ბი სი-ს მიერ ჩატარებული საფუძვლიანი გამოკითხვით, თანამემამულეები მას ისტორიაში ყველაზე დიდ ბრიტანელად მიიჩნევენ, შესპირსა და ნიუტონზე მნიშვნელოვან ინგლისელად ჩათვლიან).

– არა, ბიჭებო, მაგ დროს ჩერჩილი პრემიერი აღარ იყო, კლემენტ რიჩარდ ეტლი იყო, ლეიბორისტებმა ხომ სენსაციურად გაიმარჯვეს 1945 წლის არჩევნებში, – გადანვიცა მსოფლიო ლეგენდის გადარჩენა ბორია მანილოვიჩმა.

– კი მაგრამ, ჩემო ბორია, გადანვიცეტილება ბრიტანულ ზონაში მოხვედრილი საბჭოთა ტყვეების რუსეთისთვის გადაცემის შესახებ სწორედ ჩერჩილის პრემიერობისას, 1945 წლის თებერვალში, იალტის კონფერენციაზე მიიღეს, – შეახსენა თანაქალაქელს მწარე სიმართლე მიშა პოლიაკოვმა, – ასე რომ, ამ თითქმის ორი მილიონი ტიმინისნაირის ტრაგედიაზე უნიგნურ, უხემ, ბოროტ და მუტრუკ ძია ჯოსთან ერთად ნობელიანტი პუტკუნა კეთილი ძია ჩერჩილი, არანაკლებ კეთილი ძია სემი, უკაცრავად, სიმპათიური ფრანკლინ დელანო რუზველტი და კეთილშობილი დემოკრატიული და კაცთმოყვარე დასავლეთი აგებენ პასუხს.

– თვითონაც რომ ჩაჯდებიან, შემდეგ

მიხვდებიან ყველაფერს, – სოლჟენიცინის წინასწარმეტყველება გაახსენა გულბერყვილო დასავლეთს ჟორამ.

– პარიზზე რომ წითელ დროშას აუფრიალებენ, – გაიმეტა მსოფლიო დედაქალაქი ბორიამ.

– მაგათ თავისი დროშის ბოლო ფერი წითელიც ეყოფათ, ძალიან ეფერებიან კომუნისტებს, – დაუნუნა კომუნისტებისადმი ტოლერანტული საქციელი ფრანგებს იანკოვმა.

– რა ქნან, თუ ომის დროს კაცურად მარტო კათოლიკური ეკლესია და კომუნისტები იქცეოდნენ? – დავიცავი ბავშვობიდან ყველაზე საყვარელი ფრანგები.

– ეკლესია აირჩიონ, – მოითხოვა იანკოვმა.

კლუბ-სასადილოდან ლისმანისი გამოვიდა და განაცხადა:

– დღევანდელმა კინოჟურნალმა, მისმა პოლიტიკურ ზონაში შემოდნევამ, რასაც ბატონი პოლიაკოვი საყოველთაო რუსული „ბარდაგი“ ხსნის, ხოლო მე სულ სხვა რამ მეჩვენება, დამარწმუნა, რომ საბჭოთა კომუნისტებს მაქსიმუმ სამიოთხი წელი დარჩენიათ. ამ იდიოტებს, შალის და შემადგენლობას რა აცინებთ, ვერ გაიგია, მალე ერთმანეთის ყარაულობა მოუნევთ ბარაშევოში. ჯერ საბჭოთა კავშირი დაიშლება, მერე მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობა, ყველა კომუნისტური პარტია გაუქმდება მთელ მსოფლიოში, ყველას ხომ კრემლი აჭმევს და ინახავს.

– აპოკალიპტური სურათია, – სიამოვნება ვერ დამალა მსოფლიო კომუნისტების მოსალოდნელი ტრაგედიით იანკოვმა, – ინდოეთის სამი კომუნისტური პარტიიდან სამივე გაუქმდება!

– ჩინეთს, ჩრდილოეთ კორეას და კუბას არაფერი ემუქრება, შემდეგ ათასწლეულსაც კომუნიზმით შეხვდებიან, – იწინასწარმეტყველა ჟორამ, – მაგრამ საფრანგეთის და, განსაკუთრებით, იტალიის კომპარტიებს გაქრობა ემუქრებათ, მალე აღარც „ლ'უმანიტე“ გამოვა და არც „უნიტა“.

– „მორინგ სტარი“ არ დაგავიწყდეს, ჩემო ჟორა, „პრავდისა“ და „ჟერმინ ჟიბაოს“ შემდეგ მესამე გაზეთია მსოფლიოში, – ჩაწინხა ინგლისელი კომუნისტი ამხანაგები დღის გმირის, ტიმინის ხათრით ვადიმ იანკოვმა.

შემდეგ შაბათს ლისმანისმა აბანოში საგულდაგულოდ გამოგვიცხადა: დღევანდელი ფილმი არავინ გამოტოვოს, ერთბაშად ორ ყველაზე უფრო სანახაობრივად მომგებიან თემაზეა, ომზე და სიყვარულზე და ახალი ფილმის სათაურიც გაგვანდო: „სამხედრო-საველე რომანი“.

ფილმის დემონსტრირება დაიწყო თუ არა, კინოს ნამდვილ მოყვარულებს პირველი კითხვის ნიშანი გაგვიჩნდა: გაირკვა, რომ ფილმი ოდესის კინოსტუდიაში იყო გადაღებული. პესიმისტების აზრით, ოდესის კინოსტუდია ნიშნავდა, რომ ფილმი არ ვარგოდა, ხოლო ოპტიმისტების აზრით, ოდესის კინოსტუდიაში ისეთი რამის გაპარება შეიძლებოდა, რასაც მოსკოვსა და ლენინგრადში ვერ გააპარებდნენ. არც რეჟისორ ტოდოროვსკის გვარმა გვითხრა რაიმე არსებითი. მართალია, ლისმანისმა მოგვანოდა ინფორმაცია, „საქალაქო რომანსი“ აქვს გადაღებული და მსახიობად უთამაშია 1970 წელს გადაღებულ მარლენ ხუციევის შედეგში „იყო მისის თვე“ (უფროსი ლეიტენანტი იაკოვენკო). სხვათა შორის, ქართველებო, ლევან, ჟორა და ჯონი, თქვენი თანამემამულეა, ხუციმვილია გვარად, დედაც ქართველი ჰყავდა გვარად უთენელიშვილი, მარლენი კიდევ კომუნისტმა მამამ დაარქვა, რომელიც თვითონ რეპრესიებმა შეინირეს.

მარტივი სიუჟეტია (შესამჩნევია, რომ საოცრად ჰგავს „საქალაქო რომანსის“ სიუჟეტს, ეტყობა, რაღაც პირადი იყო ამ სიუჟეტში რეჟისორისთვის): იყო ომი და ომმა ერთმანეთს შეახვედრა ახალგაზრდები, ალექსანდრე და ლუბა. უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ომმა გაჰყარა. ომის შემდეგ კაცის ბედი კარგად მოეწყო, საყვარელი სამუშაო აქვს, ჰყავს ოჯახი. ქალის ბედი სხვაგვარად წარიმართა. ერთ მშვენიერ დღეს დიდ ქალაქ მოსკოვში ალექსანდრმა ნაცნობი ხმა გაიგონა, შემობრუნდა და თავისი დაკარგული ლუბა დაინახა, ოღონდ სულ სხვანაირი – ღვეზელის გამყიდველი, გაუხეშებული და გაუზრდელებული. და იწყებს ალექსანდრე ბრძოლას ლუბას გადასარჩენად, ადამიანში ადამიანის საპოვნელად, რაც ისეთ ანდერძად დაუტოვა თევდორე დოსტოვესკიმ რუსებს, რომ წყევლას უფრო ჰგავს.



განახლებული დმანისის მუზეუმი

დმანისის მუზეუმი საქართველოში პირველია, რომელიც უშუალოდ გათხრების ტერიტორიაზეა მოწყობილი. აქ დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა დააკვირდეს მეცნიერთა არქეოლოგიურ სამუშაოებს, გახედეს ახალი აღმოჩენების შესაძლო თანამონაწილე და მიიღოს უახლესი ინფორმაცია მეცნიერული აღმოჩენის შესახებ. მუზეუმის არქიტ

ექტურა მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ფენების დაცვას, ითვალისწინებს. არქიტექტურული პროექტის ავტორია ცნობილი ფრანგი არქიტექტორი ვან ფრანსუა მილე.

დმანისი კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, იგი ცნობილია, როგორც 1,8 მილიონი წლის წინანდელი ჰომინიდებისა და ცხოველების განამარჩებელი ნაშთების სოუზებით გამოჩენული ადგილი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში დმანისში პომინიდების 5 თავის ქალა და 4 ქვედაბაბა აღმოჩენილი. მსოფლიოს არც ერთ ძეგლზე პომინიდების ამდენი ნაშთი ერთ შრეში არ აღმოჩენილა. დმანისის ძეგლის კვლევების შედეგებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდი გამოხმაურება გამოიწვია და სრულიად შეცვალა მანამდე დამკვიდრებული მოსაზრება პომინიდების აფრიკიდან ევრაზიაში განსახლების შესახებ.

მუზეუმი არქეოლოგიური გათხრების უბანზეა გამართული, სადაც ერთდროულად სამივე ეპოქა: ქვის, ბრინჯაოს ხანისა და შუა



საუკუნეების კულტურული ფენები თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი და ერთიმეორესთან მონაცვლეობს. მუზეუმში დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს დმანისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები, მათ შორისაა პირველი ევროპელების მზისა და ზეზვას რეკონსტრუირებული მულავები.

დმანისის პროექტი ეროვნული მუზეუმისა და BP-ს ხანგრძლივი პარტნიორობის შედეგია, რომელიც საუკეთესო მაგალითია კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლობისა.

დმანისი კვლევ მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია. ადგილობრივ და საერთაშორისო ფურნალ-გაზეთებში, დმანისის მუზეუმის შესახებ, არაერთი სტატია დაიბეჭდა, მათ შორისაა ფურნალი „Nature“. განახლებულ მუზეუმს ერცვლი დოკუმენტური ფილმი მოქმედნა ტელეკომპანიათა BBC.

დმანისის მუზეუმი დამთვალიერებელს იენისიდან ელის.

გამოფენა "THE FACE OF HUMAN EVOLUTION"

2009 წლის 29 ნოემბრიდან 2010 წლის 28 თებერვლის ჩათვლით ნიდერლანდების ბუნების ისტორიის ნაციონალური მუზეუმში დმანისში აღმოჩენილ 1,8 მილიონი წლით დათარიღებული პომინიდის ექსპონატის მასპინძლობდა.

გამოფენაზე სახელწოდებით "THE FACE OF HUMAN EVOLUTION" წარმოდგენილი იყო დმანისში 2001 წელს აღმოჩენილი პომინიდის თავის ქალა და ქვედა ყბა.



ნიდერლანდების ბუნების ისტორიის მუზეუმში ერთ-ერთი უძველესია ევროპაში დმანისში აღმოჩენილი თავის ქალის ტრანსპორტირებას პრესა აეროპორტიდანვე აფეხვებდა თვალწინ. მუზეუმში ამ ექსპონატისთვის საპატრო აფილი გამოიყო, რომელიც სპეციალურად აღიჭურვა შესაბამისი თვალსაზრის მასალით დამთვალიერებლისთვის. პროექტი განხორციელდა სადაზღვეო კომპანია „ჯიპიი“-ს მხარდაჭერით.

nature

Georgia's fossils on view

Human Ancestry
Dmanisi, Georgia
Dmanisi National Museum

There are now exhibits at the Dmanisi National Museum of the fossils of the oldest hominids to be found outside Africa. The first phase of an excavation in 2001 revealed a jaw and skull which, agreed in September 2009 to present the world's oldest hominid. The fossils are now on display in a new exhibition. In the exhibition, a village about 80 kilometres southeast of Tbilisi is shown. The site is rich in mammal and human fossils, but it is the fossils of hominids that have put it on the scientific map. Fossils of human ancestors 1.8 million years old were unearthed in 2001 in Georgia. These small hominid hominids were the most primitive hominid fossils of Homo genus found in Asia, generally the early hominids like our ancestors in Africa.

"In the display," explains the Dmanisi National Museum and National Institute of the Georgian National Museum, "we have reconstructed the scene as it may have been in the 'Dmanisi' site. The site is rich in mammal and human fossils, but it is the fossils of hominids that have put it on the scientific map. Fossils of human ancestors 1.8 million years old were unearthed in 2001 in Georgia. These small hominid hominids were the most primitive hominid fossils of Homo genus found in Asia, generally the early hominids like our ancestors in Africa."

The exhibit also features a detailed account of the site's history, including the discovery of the site and the excavation process.



Workers at the Dmanisi dig site with archaeologists at work.



ბაბრქელა

ლუბას პირველი გამოჩენისთანავე ლისმანისმა კომენტარი გააკეთა, – შეხედეთ, რა ტალანტია, ნატალია ანდრეიჩენკო ამ ფილმში მხოლოდ 27 წლისაა და ამ კადრში, სულ ცოტა, ორმოცდაათი წლის ქალს არ ჰგავს?

მანილოვიჩი გაგიჟდა. გაგიჟდა ანდრეიჩენკოზე. არა, გულგრილი არც არავინ დარჩენილა, მაგრამ ბორია მანილოვიჩი აშკარად „გადაირია“ (იმავე წელს, ანდრეიჩენკო ოსკაროსან მსახიობ და რეჟისორ მაქსიმილიან შელს რომ გაჰყვა ცოლად, ბორიამ ამოიხსრა, – ჩემს ორივე ცოლს გაყავოლებდი მაქსიმილიანს, ოღონდ ნატაშა ჩემთვის დაეთმო). ვამშვიდებდით, – რად გინდა ანდრეიჩენკო, აგერ ცენზორ განიჩენკოს გითმობს ჯონიო, – მაგრამ ვერ წყნარდებოდა.

ლისმანისი მოვიდა და მითხრა:

– სიმართლე არავის სიამოვნებს, სიმართლე რომ ვთქვა, მანილოვიჩი ისედაც ანტისემიტად მთვლის და ახლა პირდაპირ როზენბერგად მომნათლავს. სიმართლე კი ისაა, რომ მაგ ქალბატონის ქმარმა, მაქსიმილიან შელმა, ავსტრიელმა თუ შვეიცარიელმა, თუ ორივემ ერთად, 1961 წელს მამაკაცის როლის საუკეთესო

შესრულებისთვის ოსკარი იმიტომ დაიმსახურა, რომ სტენლი კრამერის ფილმ „ნიურნბერგის პროცესში“ ნაცისტი დამნაშავეების ადვოკატის როლი შეასრულა ბრწყინვალედ. იცის ეს მანილოვიჩმა, იცის რა გადახრები აქვს მის საყვარელ ნატაშას?

– მაქსიმილიან შელი ავსტრიის ანშლუსის შემდეგ შვეიცარიაში გაიქცა, მთელს მის ოჯახს ნაცისტები ეზიზღებოდათ, მისმა დამ მაგ ნიადაგზე აურიო კიდეცა, – გამოვესარჩლე ოსკაროსან მსახიობს მე.

– თვითონ რომ ნაცისტი არაა და პირიქითაა, ეგ კი ვიცი, მაგრამ ნაცისტების ადვოკატის როლის ოსტატურად შესრულებას მანილოვიჩი არ აპატიებს. უთხარი ეს ფაქტი, იქნებ ნატაშა გულიდან ამოვადებინოთ და ოჯახში წერილი გავაგზავნივით, – ლისმანისი, როგორც „შესანიშნავი მეოჯახე“, მართლაც მუდმივად ზრუნავდა ყველა ოჯახის მთლიანობაზე.

ბორიას რომ ვუთხარი, – მაქსიმილიან შელს ოსკარი ნაცისტების ადვოკატის როლის ოსტატურად შესრულებისთვის მიუღიაო, – გაეცინა და მითხრა, – ხომ ვიცი, ამ ამბავს ლისმანისი მოგიყვებოდა, მაგის მეტმა ვინ იცის ასე წვრილად

კინოს ამბები ჩვენს ბანაკშიო. გადაეცი, ბორია მანილოვიჩის საშველი არ არის, ანდრეიჩენკოზე 12 ლექსი აქვს დაწერილი, მათ შორის სამი სონეტი, ორი ბალადა და ერთი მადრიგალი. რაც შეეხება საყვარულს, ნამდვილი თუ გამოგონილი ფაშისტის ხელში ჩაგარდნილი საბრალო რუსის ქალი კიდეც უფრო უყვარს-თქო.

კინოს საკმაოდ იშვიათი სტუმარი ვარ, ბოლო ხანებში კინოში მხოლოდ ამერიკაში დავდივარ და საუკეთესო ადგილს ვიკავებ, როგორც წესი, ცარიელ კინოდარბაზებში. გაუთავებელი სარეკლამო რგოლების შემდეგ ფილმის დემონსტრირება რომ იწყება, სულ მგონია, რომ უკნიდან ლისმანისის მხიარულ და ენერგიულ ხმას გავიგონებ:

– ყურადღებით შეხედეთ, რა ოპერატორული ნამუშევარია, მაურო ფიორე ნამდვილი გენიოსია, უკანა ფონზე რა ფერები გამალა! სხვათა შორის, ჯეიმს კემერონი თექვსმეტი წელი მუშაობდა „ავატარზე“, პირველი ოთხმოცგვერდიანი სცენარი 1994 წელს დაწერა. ქართველებო კლუბ-სასადილოში, იმ კომპიუტერულ ანიმატორებს შორის, რომელთაც ეს სასწაული შექმნეს, ქართველი კაციც არის!

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



ლიტერატურული კავში „ქარავანი“
წარმოგიღებინათ:

1 ივნიისი, სამუხრატო, 17 საათი
შეხვედრა პოეტ ვასილ გულეურთან





**რადიო „ნაცნობი“ გეკატეხებათ
კლუბში „ნაცნობი“**

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა



MON
group

UPgrade
Your
Life



www.mon.ge





WWW.LIBERALI.GE
